ICCN

CWN

ოჯახური ძალადობა ქალზე

მრავალკომპონენტიანი კვლევა

ოჯახური ძალადობა ქალზე - მრავალკომპონენტიანი კვლევა

კავკასიის ქალთა კვლევითი და საკონსულტაციო ქსელის პუბლიკაცია

რედაქტორები:

ნინო ციხისთავი
ნანა ბერეკაშვილი

კვლევითი პროექტის ავტორები და წიგნის შემდგენელები: ნინო ციხისთავი და ნანა ბერეკაშვილი

თავების ავტორები:

ლუიზა არუთინოვი
ნინო ბაქაქური
ქეთევან ჯელაძე
რუსუდან იმედაძე

სტილის რედაქტორი
ანა ჭაბაშვილი

კომპიუტერული უზრუნველყოფა
პაპუნა ბარათაშვილი
ვახტანგ კავთუაშვილი

კვლევითი პროექტი განხორციელდა ქალთა გლობალური ფონდის (აშშ) - ფინანსური მხარდაჭერით.

the GLOBAL FUND for WOMEN

მადლობას ვუცხადებთ გაერო-ს განვითარების პროგრამას (UNDP), გაეროს მოსახლეობის ფონდს (UNFPA), გაეროს ბავშვთა ფონდს (UNICEF), გაეროს განვითარების ფონდს ქალთათვის (UNIFEM) და გაეროს მუდმივი კოორდინატორის ოფისს საქართველოში პუბლიკაციის გამოცემისთვის.

© კავკასიის ქალთა კვლევითი და საკონსულტაციო ქსელი. 2006.

ISBN 99940-805-1-2

ოჯახური ძალადობა ქალზე საქართველოში – მრავალკომპონენტიანი კვლევა

2005
თბილისი

სარჩევი

ოჯახური ძალადობა ქალზე 9

პრობლემის მიმოხილვა 10

ოჯახური ძალადობა და მისი ფორმები 11

კვლევის მეთოდი და ინსტრუმენტი 12

შერჩევის პროცედურა 13

შერჩევის სტრუქტურა 14

კვლევის ანალიზი 15

2. ოჯახური თანაცხოვრების ზოგადი ატმოსფეროს შეფასება 17
რეგიონების სპეციფიკა
ასაკობრივი თავისებურებები
დასკვნები

3. ქალთა სოციალურ-ეკონომიკური სტატუსი 21
რეგიონის სპეციფიკა
ასაკობრივი თავისებურებები
დასკვნები

4. ეკონომიკური ძალადობის ნიშნები და მათი გამოვლენის ინტენსივობა 23
რეგიონის სპეციფიკა
ასაკობრივი თავისებურებები
დასკვნები

5. ფსიქოლოგიური ძალადობა 30
რეგიონის სპეციფიკა
ასაკობრივი თავისებურებები
დასკვნები

6. ცოლ-ქმარს შორის ჩხუბის (კონფლიქტის) მიზეზები 43
რეგიონის სპეციფიკა
ასაკობრივი თავისებურებები
დასკვნები

7. ვერბალური ძალადობა 47
კონფლიქტურ სიტუაციებში ძალადობის გამოვლენის პრიორიტეტული ფორმები
რეგიონის სპეციფიკა
ასაკობრივი თავისებურებები
დასკვნები

8. ფიზიკური ძალადობა და მისი გავრცელების ხარისხი 52
რეგიონის სპეციფიკა
ასაკობრივი თავისებურებები
დასკვნები
9. ქალის ქცევის სტრატეგიები კონფლიქტისა და მის მიმართ
განხორციელებული ძალადობის სიტუაციებში 58
რეგიონის სპეციფიკა
ასაკობრივი თავისებურებები
დასკვნები
10. სექსუალური ძალადობა 64
რეგიონის სპეციფიკა
ასაკობრივი თავისებურებები
დასკვნები
11. შეხედულებები და დამოკიდებულებები ოჯახურ ძალადობასთან
დაკავშირებით 68
რეგიონის სპეციფიკა
ასაკობრივი თავისებურებები
დასკვნები

ძირითადი მიგნებები **79**

ოჯახური ძალადობა და სამართალდამცავი სისტემა **85**

პირველადი აქტივობების მოკლე მიმოხილვა **86**

პოლიცია **87**

კითხვარის მიხედვით პოლიციელთა ინტერვიუირების შედეგად
მიღებული ინფორმაციის მიმოხილვა 87

პროკურატურა **96**

კითხვარის მიხედვით პროკურატურის თანამშრომლების
ინტერვიურების შედეგად მიღებული ინფორმაციის მიმოხილვა . . .96

დასკვნა **99**

რეკომენდაციები 100
რა შეიძლება გაკეთდეს ჩვენი მხრიდან: 101

სტატისტიკური დამუშავებისას მიღებული შედეგები **102**

საერთაშორისო სამართლებრივი სტანდარტები და უცხო ქვეყნების კანონმდებლობა ოჯახური ძალადობის სფეროში (შედარებითი ანალიზი) 111

I. საერთაშორისო სტანდარტები ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ 112

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპის კონვენცია

ოჯახური ძალადობა, როგორც ქალის დისკრიმინაციის ფორმა 115

კონვენცია ქალის დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ (CEDAW)

გაერთიანებული ერების შემდგომი ნაბიჯები 119

დეკლარაცია ქალის მიმართ ძალადობის წინააღმდეგ

პეკინის სამოქმედო პლატფორმა

დოკუმენტების სერია "პეკინი პლიუს ხუთი"

გაერთიანებული ერების სპეციალური მომხსენებელიმოდელური კანონმდებლობა ოჯახურ ძალადობაზე

თავი I. მიზნები

თავი II. ოჯახური ძალადობის დეფინიცია

თავი III. საჩივრების მექანიზმი

თავი IV. სასამართლო მოხელეთა უფლებამოსილება

თავი V. სისხლის სამართლის პროცესის თავისებურებები

თავი VI. სამოქალაქო პროცესის თავისებურებანი

თავი VII. მსხვერპლთა მომსახურება

ოჯახური ძალადობა, როგორც ბავშვის უფლებების დარღვევა 127

გაერთიანებული ერების ბავშვის უფლებათა კონვენცია

ევროპული დოკუმენტები ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ

II. უცხო ქვეყნების კანონმდებლობა - საკანონმდებლო სიახლეები 132

ოჯახური სფეროს ხელშეუხებლობის პრინციპიპიროვნული უსაფრთხოების პრინციპის წინააღმდეგ 132

ოჯახური ძალადობა - საჯარო ბრალდების დანაშაული 133

დამცავი ორდერები: ცალმხრივი, გადაუდებელი (დროებითი) შემზღუდავი ორდერი 134

სამოქალქო სამართლის ნორმების გამოყენება ოჯახური ძალადობისას 136

სასამართლო დამცავი ორდერები

ბავშვზე მეურვეობის საკითხის გადაწყვეტა

ოჯახური ძალადობა, როგორც დამოუკიდებელი დანაშაულიოჯახური ძალადობის დეფინიცია

ა. ამერიკის შეერთებული შტატები
ბ. შვედეთი
დანაშაულის ახალი სახე "ქალის უსაფრთხოების უხეში დარღვევა"
სამართალდამცავი ორგანოების როლი
ა. ავსტრია
ბ. ამერიკის შეერთებული შტატები
სახელმწიფო და არასამთავრობო დონეზეინსტიტუციური თანამშრომლობის აუცილებლობა
ა. ავსტრია
ბ. ამერიკის შეერთებული შტატები

საქართველოში ოჯახური ძალადობის სფეროში არსებული სამართლებრივი პრობლემები და მათი აღმოფხვრის გზები 151

პრობლემა I - ოჯახური ძალადობის დეფინიციის არარსებობა 152
პრობლემა II - ოჯახური ძალადობის დანაშაულებზე სისხლის სამართლის საქმეთა აღძვრისას მსხვერპლის ინიციატივაზე დაყრდნობა .153
პრობლემა III. დაზარალებულისა და მოწმის ჩვენების უქონლობა 156
პრობლემა IV - ოჯახური ძალადობის დანაშაულებისათვის გათვალისწინებული სასჯელების არაადეკვატურობა 156
პრობლემა VI - სამოქალაქო კანონმდებლობით ოჯახური ძალადობის პრობლემის არასათანადო რეგულირება 157

რეკომენდაციები 161

ოჯახური ძალადობის საკითხები მედიცინის მუშაკთა თვალთახედვით 167

დასკვნა და რეკომენდაციები 176

ოჯახური ძალადობის გამოვლინება ბავშვებში პედაგოგთა თვალთახედვით 179

დასკვნა 185

რეკომენდაცია 186

ოჯახური ძალადობა ქალზე

პროგლემის მიმოხილვა

ძალადობის პრობლემა უკანასკნელი ათწლეულების ერთ-ერთ მწვავე და აქტუალურ პრობლემათა რიცხვს განეკუთვნება. ამასთან, ცნობილია, რომ ძალადობის ვექტორული მიმართულება არ არის გენდერულად ნეიტრალური, ვინაიდან სხვადასხვა ფორმის ძალადობრივი ქმედების ერთ-ერთ ყველაზე ხშირ ობიექტს ქალი წარმოადგენს.

ქალის მიმართ ძალადობის საკითხის სრულფასოვანი კვლევა და ანალიზი შეუძლებელია ძალადობის იმ ორი ცენტრალური ასპექტის გათვალისწინების გარეშე, რომლებიც მთლიანობაში განაპირობებს ამ ფენომენის გამოვლენის ხასიათს და მასშტაბებს საზოგადოებაში. კერძოდ, როდესაც ქალის მიმართ ძალადობის საკითხი განიხილება, მხედველობაში უნდა იყოს მიღებული, ერთი მხრივ, მანიფესტირებული ძალადობის მდგომარეობა ქვეყანაში, მეორე მხრივ კი, ძალადობის გამოვლენის საზოგადოებრივი კონტექსტი, რის საფუძველს წარმოადგენს მისი ინსტიტუციონალიზაცია ცხოვრების ნებისმიერ სფეროში - სოციალურში, პოლიტიკურში, ეკონომიკურში და, უპირველეს ყოვლისა, საკანონმდებლო დონეზე. ორივე ამ ასპექტის უშუალო რეპრეზენტაციის მაგალითია ძალადობა ოჯახში. სწორედ ოჯახში ხდება ყველაზე ხშირად სხვადასხვა სახის ძალადობის მანიფესტაცია ქალის მიმართ. ამავე დროს ოჯახი, როგორც სოციალური ინსტიტუტი, წარმოადგენს საზოგადოების მხრიდან კონტროლისა და დამორჩილების განხორციელების მექნიზმს იმ სფეროში, რომელშიც ვერ ახერხებს სრულფასოვან შეღწევას პოლიტიკური თუ რაიმე სხვა სახის ძალაუფლების მატარებელი გარე ინსტანცია.

წინამდებარე კვლევის მიზანი იყო ქალის მიმართ გამოვლენილი მანიფესტირებული ძალადობის შესწავლა ოჯახის კონტექსტში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ნაცადი იყო ქვეყანაში ამ თვალსაზრისით არსებული ვითარების ასახვა უშუალოდ ქალებისაგან მიღებული მონაცემების საფუძველზე მათ მიერ განცდილი ძალადობის შესახებ.

დასახული მიზნიდან გამომდინარე, კვლევა გულისხმობდა შემდეგი საკითხების შესწავლას:

1. ქალის მიმართ გამოვლენილი ოჯახური ძალადობის ფორმათა კონფიგურაციის დადგენას;
2. სხვადასხვა ფორმის ძალადობის განხორციელების ინტენსივობასა და გავრცელებულობის ხარისხს;
3. ოჯახური ძალადობისა და კონფლიქტების წამყვანი მიზეზებს;
4. ოჯახური ძალადობისაგან თავის დაცვის პრიორიტეტულ სტრატეგიებს ქალებთან;
5. დამოკიდებულებებსა და შეხედულებებს ოჯახური ძალადობის საკითხებთან დაკავშირებით.

წინამდებარე კვლევის პრინციპული სიახლე და მნიშვნელობა მდგომარეობს

იმაში, რომ აქ პირველად შევეცადეთ შეგვესწავლა არა საზოგადოებრივი აზრი ძალადობისა და მისი გავრცელებულობის შესახებ, არამედ პირველწყაროდან მიგვეღო ინფორმაცია ჩვენს ქვეყანაში ამ მიმართებით არსებული ვითარების შესახებ. ცხადია, რომ ასეთი ამოცანის დასახვა მეტად სარისკო იყო იმდენად, რამდენადაც გულისხმობდა ინტერვენციას სრულიად ინტიმურ, დაფარულ სფეროში, რომლის შესახებ ღია საუბარს გაურბიან არა მხოლოდ ჩვენთან, არამედ ნებისმიერ საზოგადოებაში, რაგინდ გახსნილიც არ უნდა იყოს იგი სხვა თვალსაზრისით. ამდენად, ერთ-ერთი ძირითადი საფრთხე, რაც ამგვარი კვლევის ჩატარებას და მის შედეგებში ასახული სურათის ობიექტურობას ემუქრება, უკავშირდება ამ თემის ტაბუირებულობას.

მეორე საფრთხე თავად ქალის მიმართ ძალადობის გაგების თავისებურებშია. საზოგადოების, მათ შორის თავად ძალადობის უშუალო მსხვერპლი ქალების მიერ (თუნდაც ისეთ განვითარებულ ქვეყნებში, როგორებიცაა გერმანია და ნორვეგია) ძალადობა ხშირად აღიქმება როგორც ნორმა, ბუნებრივი რამ და არ ცნობიერდება პრობლემის სახით[1]. როგორც წესი, ძალადობად მიიჩნევა მხოლოდ მისი უკიდურესი გამოვლინებანი.

მიუხედავად ამ სირთულეებისა და სწორედ მათი არსებობის გამო მით უფრო მნიშვნელოვანი იყო ამგვარი კვლევის ჩატარება და ამ მიმართებით არსებული სურათის თუნდაც პირველი მიახლოებით დადგენა, რომლის გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია ამ პრობლემის წინააღმდეგ ბრძოლის გზაზე რაიმე სერიოზული, სისტემური ხასიათის ცვლილებებისა და ღონისძიებების დასახვა და განხორციელება.

ოჯახური ძალადობა და მისი ფორმები

არსებული ლიტერატურის თანახმად, ოჯახს შიდა ძალადობად მოიაზრება ოჯახის წევრის მიმართ მუქარის, ძალის, დამცირების ან რაიმე სახის შეზღუდვის, ჩაგვრის გამოყენება მასზე ძალაუფლებისა და კონტროლის მოსაპოვებლად[2]. ამდენად, ოჯახური ძალადობის გამოვლინებათა სპექტრი მეტად ფართო და მრავალსახოვანია, დაწყებული მისი ყველაზე აშკარა და უკიდურესი ფორმით - სიცოცხლისათვის საფრთხის შექმნით, ცემით თუ ფიზიკური წვალებით, დამთავრებული ფარული თუ ღია ფსიქოლოგიური ზეწოლით და ამა თუ იმ სახის ჩაგვრით, რაც, ხშირ შემთხვევებში არანაკლები ზიანის მომტანია როგორც მისი უშუალო მსხვერპლისათვის, ასევე ოჯახის სხვა წევრებისათვის, განსაკუთრებით ბავშვებისათვის. ძირითადად განასხვავებენ ქალის მიმართ ძალადობის ოთხ ფორმას. კერძოდ, ესაა:

ეკონომიკური ძალადობა - ფინანსური კონტროლი, ეკონომიკური რესურსებისაგან მოწყვეტა, მუშაობის აკრძალვა, უარი ფულის მიცემაზე, ეკონომიკური

1 Практикум гендерной психологии под ред. И.С. Клецкиной. Питер, 2003

2 ია შეყრილაძე, ნათია ფარცხალაძე, მასალები ტრეინინგიდან სოციალურ სამუშაოში ბავშვებთან და ოჯახებთან მომუშავე სპეციალისტებისათვის. თბილისი, 2003.

ზიანის მიყენება (პირადი საკუთრების განადგურება) და ა.შ.;

ფიზიკური ძალადობა - სხეულის დაზიანება, ფიზიკური თავდასხმა ან სხვადასხვა სახის აგრესიული საქციელი, დაწყებული დაუეჭილობით – მკვლელობამდე. ის ხშირად იწყება ერთხელობრივი დარტყმით, რომელიც გადაიზრდება უფრო ხშირ და სერიოზულ თავდასხმაში;

სექსუალური ძალადობა - ქალის იძულება შევიდეს სექსუალურ კავშირში ან თავისი სურვილის საწინააღმდეგოდ მონაწილეობა მიიღოს სექსუალურ აქტში;

ფსიქოლოგიური ძალადობა - მოიცავს დამცირებას, უხეშ დამოკიდებულებას, ზედმეტ მესაკუთრეობას, ქალის იზოლირებას მეგობრებისა და ოჯახის წევრებისაგან, დაშინებას, მუქარას, მისით მანიპულირებას და ა.შ.

ვერბალური ძალადობა - ზოგიერთი ავტორი ფსიქოლოგიურის პარალელურად გამოყოფს ვერბალურ ძალადობას, რაც გულისხმობს სიტყვიერ შეურაცხყოფას, ლანძღვა-გინებას. ძალადობის ეს სახე, მიუხედავად იმისა, რომ შეიცავს ფსიქოლოგიური ჩაგვრის დიდ დოზას, ცალკე განხილვას იმსახურებს თავისი განსაკუთრებული გავრცელებულობისა და სპეციფიკურობის გამო.

კვლევის მეთოდი და ინსტრუმენტი

ჩატარდა რაოდენობრივი კვლევა პირისპირ ინტერვიუირებით კითხვარის მეშვეობით. გამოკითხვას აწარმოებდნენ კვალიფიცირებული, დიდი ემპირიული გამოცდილების მქონე ინტერვიუერები - ძირითადად, თბილისის ფსიქოლოგიის ინსტიტუტისა და სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის ფაკულტეტის კურსდამთვარებულები. სულ კვლევაში მონაწილეობა მიიღო 25-მა ინტერვიუერმა, რომელთაც ჩაუტარდათ 2 სატრეინინგო სესია - ცალ-ცალკე, თბილისსა და რეგიონებში გამოკითხვის მონაწილეთათვის. გამოკითხვა ანონიმური იყო.

საველე სამუშაოებმა მოიცვა პერიოდი 15 იანვრიდან 15 მარტამდე.

შესასწავლი საკითხის სირთულისა და მრავალპლანიანობის გათვალისწინებით შემუშავდა 60-კითხვიანი ანკეტა, რომელსაც თან ახლდა მოკლე კითხვარი ინტერვიუერების კომენტარებისათვის.

ანკეტა ძირითადად დაეფუძნა დახურული ტიპის კითხვებს, რომელთა შორის დიდი ნაწილი მოიცავდა თავის ქვეპუნქტებს. კითხვები აგებული იყო სახელდებისა და რიგის სკალების საფუძველზე.

კითხვები გაერთიანებული იყო გარკვეული ბლოკების სახით ძალადობის ზემოაღნიშნული ფორმების შესაბამისად. გამოიყოფა შემდეგი ძირითადი თემატური ბლოკები (გარდა დემოგრაფიული ბლოკისა):

- ოჯახისა და თავად ქალის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა;
- ცოლქმრული თანაცხოვრების ზოგადი ატმოსფერო;

- ეკონომიკური ძალადობა;
- ვერბალური ძალადობა;
- ფიზიკური ძალადობა;
- სექსუალური ძალადობა;
- ფსიქოლოგიური ძალადობა;
- ოჯახური კონფლიქტებისა და აგრესიის გამოვლენის მიზეზები;
- ძალადობისაგან ქალის თავდაცვის პრიორიტეტული სტრატეგიები და ქცევის მოდელები ოჯახური კონფლიქტების დროს;
- გავრცელებული შეხედულებები და რწმენები ქალის მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებით;
- ძალადობის განსაზღვრება ქალთა თვალთახედვით - რას მიიჩნევენ ისინი ძალადობად.

ფიქსირდებოდა შერჩევის შემდეგი სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებლები: საცხოვრებელი ადგილი, ასაკი, განათლების დონე, შვილების რაოდენობა და მათი სქესი, ოჯახის (ერთ ჭერქვეშ მცხოვრებ) წევრთა რაოდენობა და შემადგენლობა, ეროვნება, რელიგიურობის ხარისხი (რესპონდენტების თვითშეფასებით), მუშაობის სფერო, ცოლ-ქმრული თანაცხოვრების ხანგრძლივობა.

შერჩევის პროცედურა

უნდა ითქვას, რომ ეს არის პირველი ამ ტიპის კვლევა, რომელიც ჩატარდა ქვეყნის ქალთა მოსახლეობის რეპრეზენტატიულ შერჩევაზე და სავსებით ასახავს მის სტრუქტურას გარკვეული დემოგრაფიული კრიტერიუმების შესაბამისად. ამასთან, გამოკითხვას ჰქონდა მიზანმიმართული ხასიათი, ვინაიდან ითვალისწინებდა მხოლოდ იმ ქალების გამოკითხვას, რომლებიც იმყოფებიან რეგისტრირებულ ან არარეგისტრირებულ ქორწინებაში და ჰქონდათ მამაკაცთან წელიწადისა და მეტი ხანგრძლივობის ოჯახური თანაცხოვრების გამოცდილება. სულ გამოკითხული იყო 1000 (+ 50 პილოტური კვლევისათვის) ქალი.

გამოკითხვა ჩატარდა ქვეყნის მასშტაბით, გარდა იმ ტერიტორიებისა, სადაც დღესდღეობით არ ვრცელდება საქართველოს იურისდიქცია. რესპონდენტთა აყვანა ხდებოდა მრავალსაფეხურიანი შემთხვევითი შერჩევის მეთოდით ოჯახებში მისვლით. შერჩევის მოდელის განსაზღვრის I ეტაპზე შემთხვევითი პრინციპით შეირჩა ის ტერიტორიული ერთეულები, სადაც უნდა ჩატარებულიყო კვლევა. თითოეული ტერიტორიული ერთეულისათვის მისი სიდიდის პროპორციულად დადგინდა შესაბამისი კვოტები. ამ კვოტების საფუძველზე განისაზღვრა ბიჯი, რომლის დაცვით ხდებოდა რესპონდენტთა აყვანა თითოეულ გამოსაკითხ პუნქტში. მაგ: ათვლის წერტილად არჩეული სახლიდან ყოველი მე-X ოჯახი. ოჯახის იმ წევრებიდან, რომლებიც შეესაბამებოდნენ სამიზნე ჯგუფის მოთხოვნებს, შერჩევა ხორციელდებოდა ისევ შემთხვევითი მეთოდით (ბოლო დაბა-

დების დღის პრინციპი). შერჩევაში იმ პირების მოხვედრის თავიდან აცილების მიზნით, ვინც არ განეკუთვნებოდა სამიზნე ჯგუფს, კითხვარი ითვალისწინებდა გამცხრილავ კითხვებს.

შერჩევა გაკეთებულია საქართველოს რეგიონების მიხედვით იმის პროპორციულად, თუ რამდენია ამ რეგიონში მოსახლეთა წილი[3]. ასეთივე პრინციპით გამოთვლილია ქალაქსა და სოფელში გამოსაკითხთა რაოდენობა.

ამგვარად, შერჩევა მთლიანად შეესაბამება მოსახლეობის განაწილებას, ერთი მხრივ, რეგიონების მიხედვით, და მეორე მხრივ, ქალაქებსა და სოფლების მიხედვით. შერჩევის პროპორციების დასადგენად ვისარგებლეთ საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის წელიწდეულით და საზოგადოებრივი კვლევის ცენტრის მიერ გამოცემული წელითწლეულით (ავტორი გ.წულაძე).

ძირითადი კვლევის ჩატარებამდე გაკეთდა პილოტაჟური გამოკითხვა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 50 ადამიანმა.

მიღებული ემპირიული მასალა დამუშავდა სტატისტიკური პროგრამით SPSS.

შედეგები გაანალიზდა, როგორც მთელი შერჩევის საფუძველზე მიღებული მასალის, ასევე გარკვეული კრიტერიუმების გათვალისწინებით, კერძოდ, ისეთი ნიშნების მიხედვით, როგორიცაა საცხოვრებელი ადგილი, ოჯახის მატერიალური კეთილდღეობის ხარისხი, ქალის მიერ საკუთარი შემოსავალის ქონა და მისი ოდენობა; ოჯახური ცხოვრებით კმაყოფილების ხარისხი და ა.შ. რეგიონების სპეციფიკის გამოვლენის მიზნით, მონაცემთა ანალიზისას რესპონდენტები საცხოვრებელი ადგილის მიხედვით დაიყო სამ ძირითად ჯგუფად: თბილისის მცხოვრებლები, დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს წარმომადგენლები. აღმოსავლეთ საქართველოს რესპონდენტთა კატეგორიას მივაკუთვნეთ აგრეთვე სამცხე-ჯავახეთის მცხოვრებლები ამ უკანასკნელთა სიმცირის გამო. ასაკობრივი კრიტერიუმით მონაცემთა ანალიზი წარმოებდა რესპონდენტების დაყოფით სამ კატეგორიად:

1. ახალგაზრდების (18-დან 35 წლამდე); 2. საშუალო ასაკის (36-დან 55 წლამდე) და 3. უფროსი თაობის (56 წლის და მეტი) წარმომადგენელთა ჯგუფები.

შერჩევის სტრუქტურა

რეგიონების მიხედვით რესპონდენტების განაწილება შემდეგნაირად გამოიყურება (უფრო დაწვრილებითი სურათი შესაბამისი ველის სიმძლავრეების ასახვით წარმოდგენილია დანართში №1):

3 შერჩევის პროპორციების განსაზღვრისას ჩვენ ასევე ვხელმძღვანელობდით იმ პრინციპით, რომ შესაძლებელი ყოფილიყო შერჩევის დაყოფა რეპრეზენტატიულ ქვეერთეულებად რეგიონების მიხედვით.

ცხრილი №1

რეგიონი	რესპონდენტების რაოდენობა
თბილისი	428
აჭარა	60
სამეგრელო	72
იმერეთი	82
გურია	44
კახეთი	60
შიდა ქართლი	72
ქვემო ქართლი	86
მცხეთა-თანეთი	34
სამცხე-ჯავახეთი	62

სხვა სოციალურ-დემოგრაფიული ნიშნების მიხედვით რესპონდენტების განაწილება შემდეგ სურათს იძლევა:

ცხრილი №2

ასაკი	პროცენტული განაწილება
18-23 წელი	6,0
24-35 წელი	31,1
36-45 წელი	31,1
46-55 წელი	19,3
56-65 წელი	7,9
66 წელი და ზემოთ	4,3

განათლება	პროცენტული განაწილება
საშუალო	25,1
სპეც-ტექნიკური	22,5
უმაღლესი	41,1
არასრული უმაღლესი	4,3
სხვა	7,3

ცხრილი №3

საქმიანობის სფერო	%
სახელმწიფო დაწესებულების მუშაკი	27,7
კერძო საწარმოს მუშაკი	10,4
აქვს საკუთარი ბიზნესი	3,3
სტუდენტი	3,4
დიასახლისი	38,8
პენსიონერი	5,5
უმუშევარი	10,0
სხვა	0,6

ცხრილი №4

ეროვნება	%
ქართველი	83,7
სომეხი	6,0
აზერბაიჯანელი	3,2
რუსი	3,2
სხვა	2,1

კვლევის ანალიზი

1. ჩესპონდენტთა ოჯახების ზოგადი დახასიათება

გამოკითხულ ქალთა გადამწყვეტი უმრავლესობა ამ პერიოდში იმყოფება რეგისტრირებულ ქორწინებაში (82,2%), აქედან თითქმის ყველა (79,2%) პირველ ქორწინებაში.

ცხრილი №5

ოჯახური მდგომარეობა	%
იმყოფება პირველ ქორწინებაში	79,2
გაყრილი	7,3
ხელმეორედ დაქორწინებული გაყრის შემდეგ	2,4
ქვრივი	8,7
იმყოფება ახალ ქორწინებაში მეუღლის გარდაცვალების შემდეგ	0,6
იმყოფება არარეგისტრირებულ ქორწინებაში	1,1
სხვა პასუხი	0,2

რესპონდენტთა უდიდეს უმრავლესობას (95,3%) ჰყავს შვილი, აქედან:

ცხრილი №6

31,2%-ს	1 შვილი
49%-ს	2 შვილი
13%-ს	3 შვილი
1,5%-ს	4 შვილი
0,3%-ს	5-დან 11 შვილამდე

18,7%-ს	6 წ-მდე ასაკის
18,8%-ს	12 წ-მდე ასაკის
16,9%-ს	18 წ-მდე ასაკის
22,9%-ს	27 წ-მდე ასაკის
16,5%-ს	28 წლის და მეტის

ოჯახების ძირითადი ნაწილი (80,3%) სამი (16,6%), ოთხი (31,5%) ხუთი (21,7%) ან ექვსი (10,5%) ადამიანისაგან შედგება. გაცილებით ნაკლებად, მაგრამ მაინც გარკვეული ხარისხით წარმოდგენილნი არიან ქალები ორ- (8%), შვიდ- (5,8%) და რვაწევრიანი (2,1%) ოჯახებიდან. მეტწევრიანი ოჯახების წარმომადგენელი ქალები მხოლოდ ერთეულების სახით გვხდებიან.

რესპონდენტთა ცოლქმრული თანაცხოვრების ხანგრძლივობის მიხედვით, იკვეთება შემდეგი სურათი[4]:

ცხრილი №7

ცოლ-ქმრული ცხოვრების ხანგრძლივობა	პროცენტული განაწილება
1-დან 3 წლამდე	10,0%
4-დან 10 წლამდე	26,9%
11-დან 15 წლამდე	15,6%
16-დან 25 წლამდე	27,0%
26 და მეტი წელი	20,5%

რესპონდენტთა ძირითად ნაწილს (73,4%), მათი განცხადებით, კარგი (10, 8%) ან დამაკმაყოფილებელი (68,6%) საბინაო პირობები აქვს.

გამოკითხულ ქალთა უმრავლესობა (93,2%) თავს მიიჩნევს ძლიერ (19,8%) ან მეტ-ნაკლებად (73,4) მორწმუნედ. აქვე შევნიშნავთ, რომ ეს პარამეტრი (მორწმუნეობის ხარისხი) ნაკლებად მგრძნობიარე კრიტერიუმი აღმოჩნდა საკვლევ საკითხთან მიმართებაში, ვინაიდან მისი გათვალისწინებით ჩატარებულმა მონაცემთა ანალიზმა ვერ გამოავლინა რაიმე ხელშესახები ტენდენციები.

4 შეგახსენებთ, რომ ეს კითხვა, ისევე როგორც კითხვა ოჯახის წევრთა რაოდენობის შესახებ, ღია იყო და, ამდენად, მასზე პასუხები საჭიროებდა გარკვეული პრინციპით დაჯგუფებას

ცხრილი №8

	მატერიალური კეთილდღეობის დონე:	პროცენტული განაწილება
1.	ძალიან დაბალი: შემოსავალი საკვებადაც არ გვყოფნის	12,0%
2.	დაბალი: შემოსავალი კვებაზე და ჩაცმაზე ძლივს გვყოფნის	34,6%
3.	საშუალო: ოჯახის ძირითადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას ვახერხებთ	49,1%
4.	მაღალი: შეგვიძლია გართობისა და დასვენების ხარჯებიც გავწიოთ	3,6%
5.	ძალიან მაღალი	0,5%

როგორც ვხედავთ, გამოკითხულთა მხოლოდ მცირე ნაწილი მიაკუთვნებს თავს უზრუნველყოფილ ოჯახთა კატეგორიას. ქალთა უმრავლესობა კი მატერიალური მდგომარეობის თვითშეფასების საფუძველზე შეიძლება დაიყოს თითქმის ორ თანაბარ ჯგუფად: საშუალო (49,1%) და დაბალშემოსავლიანი (46,6%) ოჯახების წარმომადგენლებად, რაც, თავისთავად, მთლიანად მოსახლეობის მდგომარეობის საკმაოდ ობიექტურ ასახვად შეიძლება მივიჩნიოთ. ეს ფაქტორი საკმაოდ მჭიდრო და სტატისტიკურად სანდო კავშირში აღმოჩნდა ამა თუ იმ ფორმის ძალადობის ამსახველ ნიშანთა გამოხატულების ხარისხთან.

2. ოჯახური თანაცხოვრების ზოგადი ატმოსფეროს შეფასება

ქალების საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი, თუ უკმაყოფილო არა, ყოველ შემთხვევაში, არც კმაყოფილია (25,6%) თავისი ცოლ-ქმრული ცხოვრებით. ყოველი მერვე-მეცხრე ქალი კი უკმაყოფილებას გამოხატავს ამ თვალსაზრისით (იხ. ცხრილი №10). მთლიანი შერჩევის ზოგადი პოზიცია ამ საკითხთან მიმართებაში გამოიხატება საშუალო მაჩვენებლით 3,72 კონტინუუმზე 1-დან (ძალიან უკმაყოფილო) 5-მდე (ძალიან კმაყოფილი) და ხვდება ზონაში ორ შეფასებას შორის „უფრო კმაყოფილი, ვიდრე არა“ და „არც კმაყოფილი, არც უკმაყოფილო“.

ცხრილი №9 *კ.2. მთლიანობაში, როგორ შეაფასებდით თქვენი ცოლქმრული ცხოვრებით კმაყოფილების დონეს?*

თქვენ ხართ:	პროცენტული განაწილება
ძალიან კმაყოფილი	25,1%
უფრო კმაყოფილი, ვიდრე არა	37,5%
არც კმაყოფილი, არც უკმაყოფილო	25,6%
უფრო უკმაყოფილო	7,6%
ძალიან უკმაყოფილო	4,1%

აღსანიშნავია, რომ ეს ფაქტორი ოჯახური ძალადობის ხარისხის ერთ-ერთ ინდიკატორად შეიძლება განვიხილოთ მისი მაჩვენებლის მჭიდრო კორელირების გამო ოჯახური ძალადობის გამოვლენის სხვადასხვა ნიშნებთან.

ერთობლივი თანაცხოვრების დროს წამოჭრილი საკითხების გადაწყვეტისას ქალთა მხოლოდ 45,7%-ს თუ აქვს ქმართან თანაბრად საბოლოო სიტყვის თქმის

უფლება. ქალთა თითქმის იმავე რაოდენობის (41,5%) შემთხვევაში ამ დროს გადამწყვეტი სიტყვა ეკუთვნის ქმარს (36,8%) ან ოჯახის სხვა წევრს (4,7%) (იხ. ცხრილი №10). აქვე მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ იმ ქალების უმრავლესობას, ვინც მიუთითებს, რომ მის სიტყვას აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა, შეადგენენ არარეგისტირირებულ ქორწინებაში მყოფნი (45,5%) და ხელმეორედ დაქორწინებულები განქორწინების ან მეუღლის გარადაცვალების შემდეგ (37,5), რომელთა საერთო წილი შეადგენს 9,9%-ს 11,2%-დან.

ცხრილი №10

	პროცენტული განაწილება
ძირითადად ჩემი	11,2%
ჩემი მეუღლის/პარტნიორის	36,8%
ორივესი თანაბრად	45,7%
ოჯახის სხვა წევრების (კერძოდ, ვისი)	4,7%
სხვა პასუხი (მიუთითეთ)	1,1%

იმ საკითხების გადაწყვეტასაც, რომელიც პირადად ქალს ეხება, არავის არ უთანხმებს გამოკითხულთა მხოლოდ მეოთხედზე ნაკლები (23,7%). უმრავლესობა კი (67,5%) აუცილებლად უთანხმებს თავის გადაწყვეტილებას მეუღლეს (59,7%) ან ოჯახის სხვა წევრებს (7%), მეტწილად ესენი არიან შვილი ან ოჯახის უფროსი თაობის წარმოადგენელი.

თითქმის ყოველი მეათე ქალი (9,5%) კი აცხადებს, რომ საკითხებს, რომლებიც პირადად მათ ეხება, უმეტესად წყვეტს მეუღლე, უნდათ მათ ეს თუ არა (იხ. ცხრილი №11).

ცხრილი №11

	პროცენტული განაწილება
მხოლოდ მე ვწყვეტ, არავის ვეკითხები	23,7%
უმეტესად მეუღლე წყვეტს, მინდა მე ეს თუ არა	9,5%
მე თვითონ აუცილებლად ვუთანხმებ ჩემს მეუღლეს	59,7%
ოჯახის სხვა წევრებთან შეთანხმებით (ძირითადად, ვისთან)	7,0%

რეგიონების სპეციფიკა

იმ ფონზე, რომ რეგიონების მიხედვით ოჯახური კმაყოფილების ხარისხი დიდად არ განსხვავდება მთლიან შერჩევაში მიღებული მაჩვენებლებისგან, მაინც შესაძლებელია გარკვეული განსხვავებული ტენდენციების შესახებ საუბარი, რომლებიც ძირითადად გამოვლინდა დასავლეთ საქართველოს წარმომადგენლებთან[5]. ამ ჯგუფის რესპონდენტები, სხვა რეგიონების მცხოვრებლებთან შედარებით, უფრო მეტ კმაყოფილებას გამოთქვამენ ოჯახური ცხოვრებით. თუ საშუა-

5 როგორც ზემოთაც აღინიშნა, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით გამოიყო რესპონდენტთა სამი ჯგუფი, რომლებსაც პირობითად მოვიხსენიებთ შემდეგი სახით: I ჯგუფი - თბილისის მცხოვრებლები, II - დასავლეთ საქართველოს, III -აღმოსავლეთ საქართველოს წარმომადგენლები.

ლო მაჩვენებლებით ვიხელმძღვანელებთ, დავინახავთ, რომ ამ ჯგუფის წარმომადგენლებთან ეს მაჩვენებელი შედარებით უფრო მაღალია, ვიდრე ორ სხვა ჯგუფში (3,82 წინააღმდეგ 3,7-სა და 3,66-სა თბილისსა და აღმოსავლეთ საქართველოში, შესაბამისად), ანუ მეტი ტენდენციაა კმაყოფილების მიმართულებით. II ჯგუფის წარმომადგენელთა შორის მეტია მათი წილი, ვინც ოჯახური ცხოვრებით უკიდურეს კმაყოფილებას გამოხატავს ("ძალიან კმაყოფილი" - 30,6% წინააღმდეგ 21,6%-სა და 23,8-სა III და I ჯგუფში, შესაბამისად). ამავე დროს ნიშანდობლივია, რომ, თუმცა ამ ჯგუფში ნაკლებია იმ ქალების წილი, ვინც უკმაყოფილებას ავლენს ოჯახური ცხოვრებით (7,7% წინააღმდეგ 12,9%-სა და 12,1%-სა, შესაბამისად), სწორედ აქ არის მიღებული არაერთმნიშვნელოვანი პასუხების ("არც კმაყოფილი, არც უკმაყოფილო") მეტი რაოდენობა (28,3% წინააღმდეგ 24,8%-სა და 24,5%-სა, შესაბამისად).

სამივე ჯგუფის წარმომადგენლებთან შეინიშნება რამდენადმე განსხვავებული ტენდენციები ერთობლივი თანაცხოვრების საკითხების გადაწყვეტისას: დასავლეთ საქართველოს რესპონდენტთა შორის ყველაზე ნაკლებია მათი წილი, ვინც თავის სიტყვას მიიჩნევს გადამწყვეტად (7% წინააღმდეგ 13%-სა და 11,9%-სა I და III ჯგუფებში) და მეტია იმ ქალთა წილი, ვინც ოჯახის სხვა წევრებს უთანხმებს თავის გადაწყვეტილებებს (8,1% წინააღმდეგ 4,2-სა და 3%-სა III და I ჯგუფებში); მთლიანობაში, თბილისის მცხოვრებლებთან შედარებით, რეგიონის წარმომადგენლებს შორის მეტი მათი წილი, რომელთა ოჯახებში საბოლოო გადაწყვეტილების უფლება ეკუთვნის მეუღლეს (39,7% და 36,4% III და II ჯგუფებში წინააღმდეგ 33,8%-სა I ჯგუფში); ამ ფონზე თბილისის რესპონდენტებთან უკეთესი მდგომარეობა შეინიშნება იმ თვალსაზრისით, რომ იქ მეტია მათი წილი, ვისაც ქმართან თანაბარი ხმის უფლება აქვს (48,1% წინააღმდეგ 46,1%-სა და 42,6%-სა II და III ჯგუფებში).

წინა შემთხვევის მსგავსი ტენდენციები დადასტურდა პირადად მათთან დაკავშირებული საკითხის გადაწყვეტისას. კერძოდ, ყველაზე დამოუკიდებლები საკუთრივ მათი პრობლემების გადაწყვეტისას აღმოჩნდნენ თბილისის რესპონდენტები (27,5%, 18,2% და 22,9% I, II და III ჯგუფებში შესაბამისად) და ყველაზე უფრო თავისუფლებაშეზღუდულები დასავლეთ საქართველოს წარმომადგენლები, რომლებიც არ აძლევენ თავს უფლებას, დამოუკიდებლად მიიღონ გადაწყვეტილება და აუცილებლად უთანხმებენ მას მეუღლეს (67,8% წინააღმდეგ 55,5%-სა და 57,6%-სა III და I ჯგუფებში, შესაბამისად); აღმოსავლეთ საქართველოს რესპონდენტთა მეტი წილი აღიარებს, რომ ამ ტიპის გადაწყვეტილებას ერთპიროვნულად მათი მეუღლეები წყვეტენ (14,2% წინააღმდეგ 6,2%-სა და 8,1%-სა II და I ჯგუფებში).

ასაკობრივი თავისებურებები

ყველაზე უკმაყოფილონი თავისი ცოლქმრული ცხოვრებით არიან საშუალო ასაკის რესპონდენტები, ყველაზე კმაყოფილები - უფროსი თაობის წარმომადგენლები (საშუალო მაჩვენებლები 3,76, 3,66, 3,82 - I, II, III ასაკობრივი ჯგუფები, შესაბამისად).

სხვა ასაკის წარმომადგენლებთან შედარებით, I ასაკობრივ ჯგუფში ყველაზე ნაკლებია მათი წილი, ვისაც საბოლოო სიტყვა ეკუთვნის ერთობლივი თანაცხოვრების საკითხების გადაწყვეტისას (7,8%, 12,9%, 13,9% I–III ჯგუფები). ამავე დროს, სხვა რესპონდენტებთან შედარებით, III ასაკობრივ ჯგუფში ყველაზე მეტია მათი წილი, რომელთა მეუღლეები წყვეტენ ერთპიროვნულად ამგვარ საკითხებს (35,8%, 35,7%, 40,2%) და ყველაზე ნაკლებია მათთან ერთობლივად გადაწყვეტის შემთხვევები (46,3%, 46,4%, 40,2%).

ახალგაზრდებში მეტია მათი წილი, ვისთანაც მეუღლე წყვეტს პირადად მათთან დაკავშირებულ საკითხებს (12,0%, 8,1%, 7,4% - I – III ჯგუფებში).

დასკვნები

- ამდენად, ცოლქმრული ცხოვრების ზოგადი კლიმატის შეფასების დროსაც საკმაოდ ნათლად ვლინდება ქალების მიერ საკუთარი თავის არაკომფორტულად განცდისა და მათ მიმართ არსებული ფსიქოლოგიური ძალადობის (ანუ ჩაგვრის) ელემენტები, კერძოდ:
  - ქალთა მესამედზე მეტი არცთუ კმაყოფილია ცოლქმრული ცხოვრებით;
  - რესპონდენტთა მნიშვნელოვანი ნაწილი (უმრავლესობა) ვერ აძლევს თავს უფლებას სხვების დაუკითხავად, დამოუკიდებლად გადაწყვიტოს ის საკითხებიც კი, რაც პირადად მათ ეხება; ქალთა გარკვეული ნაწილის (ყოველი მეათე) შემთხვევაში კი ქმარი ერთპიროვნულად იღებს მათ ნაცვლად გადაწყვეტილებას;
  - ასევე ქალთა საკმაოდ წარმომადგენლობითი ნაწილი (მესამედზე მეტი) ვერ ან არ აყენებს თავს ქმართან თანაბარ პირობებში, როცა საქმე ეხება ერთობლივი თანაცხოვრების დროს წამოჭრილი საკითხების გადაწყვეტას.
- თბილისელები, რეგიონის წარმომადგენლებთან შედარებით, გადაწყვეტილებების მიღებისას თავისუფლების შედარებით მეტი ხარისხით სარგებლობენ. დასავლეთ საქართველოს წარმომადგენლები ავლენენ საკუთარი თავისთვის შეზღუდვების დაწესების ტენდენციებს, მაშინ, როდესაც აღმოსავლეთ საქართველოს ქალებთან უფრო აქცენტირებულია მეუღლის მხრიდან მომდინარე შეზღუდვები. ზოგადად რჩება შთაბეჭდილება, რომ დასავლეთ საქართველოს რესპონდენტებთან მეტია სწრაფვა შეალამაზონ არსებული ვითარება, ამაზე მეტყველებს მათ მიერ ოჯახური მდგომარეობით კმაყოფილებისა და ნებისმიერ საკითხში სხვების თანამონაწილეობის აუცილებლობის აშკარა ხაზგასმა. შესაძლოა, სწორედ ამის გამო აღმოსავლეთ საქართველოს ქალებთან, რომლებთანაც აღნიშნული ტენდენცია ნაკლებად შეინიშნება, ჩაგვრისა და ზეწოლის მეტი ხარისხი იკვეთება.
- ასაკობრივი თავისებურებები დიდად არ იჩენს თავს, თუმცა ყურადღებას იქცევს ახალგაზრდა რესპონდენტების შედარებით მეტი შეზღუდულობა გადაწყვეტილების მიღების თავისუფლებაში.

3. ქალთა სოციალურ-ეკონომიკური სტატუსი

რესპონდენტთა უმრავლესობას (67,5%) ან საერთოდ არ გააჩნია საკუთარი შემოსავალი, ან აქვს მეტად მცირე ოდენობისა (იხ. ცხრილი №12).

ცხრილი №12 *კ.12. გაქვთ თუ არა პირადად თქვენი შემოსავალი*[6]*?*

	პასუხების პროცენტული განაწილება
1. დიახ და ძირითადად მე ვარჩენ ოჯახს	11,7%
2. დიახ, გარკვეული წვლილი შემაქვს ოჯახის ბიუჯეტში	19,7%
3. დიახ, მაგრამ ძალიან მცირე	19,7%
4. არა, საკუთარი შემოსავალი არ გამაჩნია	47,8%

აღსანიშნავია, რომ საკუთარი შემოსავლის ქონა-არქონა და მისი ოდენობა გარკვეულ, სტატისტიკურად მნიშვნელოვან კავშირში აღმოჩნდა, როგორც ზოგადად ოჯახური ცხოვრებით კმაყოფილების დონესთან, ასევე სხვადასხვა ფორმით ძალადობის გამოვლენის ინტენსივობასთან.

გამოკითხულთა ნახევარზე მეტი (56,3%) საერთოდ არ მუშაობს (53,9%), ან აქვს შემთხვევითი სამუშაო (2,4%). ამ კატეგორიის ქალების მნიშვნელოვანი ნაწილი (52%) არ მუშაობს იმ მიზეზით, რომ ოჯახს უვლის (44,6%) ან მეუღლე უშლის მუშაობას (7,4%).

ცხრილი №13 *კ. 9. რატომ არ მუშაობთ?*

	პასუხების პროცენტული განაწილება
ოჯახს ვუვლი	44,6%
მეუღლე მიშლის მუშაობას	7,4%
სამსახური ვერ ვიშოვე და გავანებე თავი ძებნას	32,9%
ვსწავლობ	5,1%
მეუღლეს საკმარისი შემოსავალი აქვს, რომ მე არ მამუშაოს	4,3%
სხვა	5,7%

იმ ქალებიდან, ვინც მუშაობს (41,6%), 35,5%-ს აქვს მუდმივი სამსახური, დანარჩენები კი დროებითი სამუშაოთი არიან დაკავებულნი. მომუშავე ქალთა უმრავლესობა (64,7%) თუ უკმაყოფილო (16,2%) არა, ყოველ შემთხვევაში, არც კმაყოფილია (48,5%) თავისი სამუშაოთი. სამუშაოთი კმაყოფილებას გამოხატავს მომუშავე ქალთა მხოლოდ მესამედი (35,4%, აქედან ძალიან კმაყოფილია 10,2%). მომუშავე ქალების დაახლოებით მეხუთედს (22,5%) სხვებიც ეხმარებიან საოჯახო საქმეების გაძღოლაში. თუმცა, როგორც ირკვევა, ქალების საკმაოდ მცირე ნაწილი აღნიშნავს, რომ საოჯახო საქმეები ხელს უშლის მის პროფესიულ წინსვლას (6,7%), მეტი წილი უჩივის საპირისპიროს (14,4%), ან საერთოდ ვერ

6 ვინაიდან ამ მონაცემების გათვალისწინება საჭიროდ მიგვაჩნია სხვა შედეგების განხილვის დროსაც, გამოყოფილ ჯგუფებს პირობითად აღვნიშნავთ და შემდგომში მოვიხსენიებთ შესაბამისი ციფრებით: 1, 2, 3, 4 საკუთარი შემოსავლის ოდენობის კლების მიხეთვით.

ხედავს სირთულეებს საოჯახო საქმეებისა და პროფესიული საქმიანობის შეთავსებაში (იხ ცხრ. №14).

ცხრილი №14 *კ.12. რამდენად ხშირად გიხდებათ ქმრისგან პირადად თქვენთვის ან ოჯახისათვის საჭირო ფულის თხოვნა?*

	პროცენტული განაწილება
საოჯახო საქმეები არ მიშლის ხელს პროფესიულ საქმიანობაში	54,8%
საოჯახო საქმეები ხელს მიშლის პროფესიულ წინსვლაში	6,7%
სამუშაო ხელს მიშლის საოჯახო საქმეებში და ოჯახს ჩემი ხელი აკლია	14,4%
ოჯახის საქმეების გაძღოლაში სხვებიც მეხმარებიან	22,5%

რეგიონის სპეციფიკა

სამსახურით უზრუნველყოფის მხრივ, გამოყოფილ სამ ჯგუფს შორის რაიმე არსებითი განსხვავება არ იკვეთება, თუმცა შედარებით მეტია უმუშევართა წილი აღმოსავლეთ საქართველოს წარმომადგენელთა შორის (58,7%, 53,5% და 48,6%, შესაბამისად III, II და I ჯგუფებში).

თბილისის მცხოვრებლებთან შედარებით, ორივე რეგიონის წარმომადგენლები მეტად ოპერირებენ ოჯახის მოვლის მოტივით იმის ახსნისას, თუ რატომ არ მუშაობენ (49,6% და 46,6% II-III ჯგუფებში წინააღმდეგ 40,2%-სა თბილისში). ყველაზე სუსტად არის წარმოდგენილი მეუღლის მიერ მუშაობის აკრძალვის მოტივი დასავლეთ საქართველოს წარმომადგენლებთან (4,3% წინააღმდეგ 8,4% და 8,5%-სა III და I ჯგუფებში).

ამ ბლოკის სხვა საკითხებთან დაკავშირებით მიღებულია იგივე სურათი, რაც მთლიან შერჩევაში.

ასაკობრივი თავისებურებები

ყველაზე ნაკლებად არიან უზრუნველყოფილნი მუდმივი სამსახურით ახალგაზრდა რესპონდენტები (25,7%, 42,3%, 37,0% – I-III ჯგუფები).

ახალგაზრდებს შორის ყველაზე ნაკლებია მათი წილი, ვისაც მიაჩნია, რომ ოჯახი არ უშლის ხელს მათ პროფესიულ საქმიანობას (15,0%, 29,8%, 29,5% - I-III ჯგუფები) და, ასევე, მათ შორის ყველაზე ნაკლებია ისინი, ვის საოჯახო საქმეებს ხელს უშლის სამუშაო (2,4%, 9,1%, 5,7% - I-III ჯგუფები).

იმ მიზეზებიდან, რის გამო არ მუშაობენ, ყველაზე ხშირად სახელდება "ოჯახის მოვლის" მოტივი ახლგაზრდების ჯგუფში (33,7%, 18,5%, 13,5% I–III ჯგუფებში). მეუღლის მხრიდან ხელშეშლის მიზეზს ამ კონტექსტში, ძირითადად, ასახელებენ ყველაზე ახალგაზრდა და უფროსი თაობის წარმომადგენლები (6,4%, 1,6%, 5,7% I-III ჯგუფები).

დასკვნები

- ამრიგად, იკვეთება ქალთა საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი (რესპონდენტთა თითქმის ნახევარი), რომლებსაც არ გააჩნიათ საკუთარი შემოსავლის წყარო და, შესაბამისად, მთლიანად არის დამოკიდებული ოჯახის სხვა წევრზე და ეკონომიკური ჩაგვრის ერთ-ერთ ყველაზე სავარაუდო ობიექტს წარმოადგენს;
- მომუშავე ქალთა მეტი წილი ინდიფერენტულად ან ნეგატიურად აფასებს სამუშაოთი თავის კმაყოფილებას და, საფიქრებელია, რომ სამსახური მათთვის უფრო ოჯახისათვის დამატებითი შემოსავლის წყაროს წარმოადგენს, ვიდრე მათი პიროვნული და პროფესიული რეალიზების საშუალებას. ამის დასტურად შეიძლება მივიჩნიოთ აგრეთვე ქალთა უმრავლესობის მიერ საოჯახო საქმეების კეთებისა და ოჯახის მოვლის აქცენტირება, რომლის ფონზე სამუშაო და პროფესიული საქმიანობა თუ წინსვლა, სულ მცირე, მეორეხარისხოვან როლს იძენს.
- ეკონომიკური რესურსებისგან ქალთა მოწყვეტის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი სწორედ ოჯახის მოვლას უკავშირდება და ირიბად თუ პირდაპირ მამაკაცისგან მომდინარე სურვილით ან მოთხოვნა-აკრძალვით არის გაპირობებული. ეს მომენტი განსაკუთრებით აქცენტირებულია რეგიონების წარმომადგენლებთან.
- ეკონომიკური მდგომარეობით და სამუშაოთი უზრუნველყოფის ხარისხის თვალსაზრისით არ აღინიშნება რაიმე არსებითი რეგიონალური განსხვავებები.
- ახალგაზრდები ყველაზე მეტად არიან მოწყვეტილნი საკუთარი შემოსავლის წყაროს, სწორედ მათ შორის არის უფრო აქცენტირებული ოჯახის მოვლის მოტივი საკუთარი უმუშევრობის ასახსნელად და უფროა ხაზგასმული საოჯახო საქმეების ხელშემშლელი როლი მათი სამსახურეობრივი საქმიანობისთვის.

4. ეკონომიკური ძალადობის ნიშნები და მათი გამოვლენის ინტენსივობა

ქალთა უდიდეს უმრავლესობას (82,9%) ამა თუ იმ სიხშირით უხდება ან უხდებოდა ქმრისგან ფულის თხოვნა ოჯახისა თუ საკუთრივ მისი საჭიროებისთვის, ამასთან, მეტწილად ეს ხდება თითქმის მუდმივად (39,4%) ან ხშირად (15,8%).

ცხრილი №15 *კ.12. რამდენად ხშირად გიხდებათ ქმრისგან პირადად თქვენთვის ან ოჯახისათვის საჭირო ფულის თხოვნა?*

	პროცენტული განაწილება
თითქმის ყოველთვის, როცა მჭირდება	39,4%
ხშირად	15,8%
იშვიათად	22,1%
უწინ მუდმივად, ამჟამად თითქმის არა	5,6%
არასოდეს	13,3%

მიღებული შედეგების განხილვა რესპონდენტების მიერ საკუთარი შემოსავლის ქონასა და ოდენობასთან მიმართებით, გვიჩვენებს, რომ ყველაზე მრავალრიცხოვან ჯგუფს იმ ქალებისა, ვისაც თითქმის ყოველთვის უწევს ფულის თხოვნა ქმრისგან, შეადგენენ ის რესპონდენტები, ვისაც არ გააჩნია საკუთარი შემოსავალი (27% წინააღმდეგ 1,5%, 5,1%, 6,8%-სა შემოსავლის მიხედვით 1,2,3 ჯგუფის წარმომადგენლებთან). თუმცა აღნიშვნის ღირსია ის გარემოებაც, რომ ამ თვალსაზრისით თითქმის არ იკვეთება სხვაობა იმ ქალებს შორის, ვინც არასოდეს არ სთხოვს ფულს ქმარს (3,3%, 2,8%, 3,1%, 4,7% შესაბამისად 1,2,3,4 ჯგუფებში).

იმ ქალებიდან, ვისაც იშვიათად ან ამჟამად საერთოდ არ უწევს ფულის თხოვნა ქმრისგან (გამოკითხულთა 42,2%), მეტი წილი (45,0%, ანუ ესაა მთლიანად გამოკითხულ ქალთა 19%) - ამის მიზეზად ასახელებს იმ გარემოებას, რომ მას აქვს. თავისი საკუთარი შემოსავალი ამავე დროს დაუკითხავად შეუძლია აიღოს საერთო დანაზოგიდან ის თანხა, რამდენიც სჭირდება, გამოკითხულ ქალთა 12,4%-ს და, შესაბამისად, იმ რესპონდენტების 29,4%-ს, ვისაც არ უწევს ქმრისგან ფულის თხოვნა (იხ. ცხრ. 17).

ცხრილი №17 *კ.13. თქვენ იშვიათად ან საერთოდ არ გიწევთ ქმრისაგან ფულის თხოვნა იმიტომ, რომ:*

	პროცენტული განაწილება (მთლიანი შერჩევა)	**იმ ქალთა პროცენტული განაწილება, ვისაც არ უწევს ქმრისგან ფულის თხოვნა**
გაგაჩნიათ თქვენი საკუთარი შემოსავალი	19,0%	45,0%
შეგიძლიათ დაუკითხავად აიღოთ საერთო დანაზოგიდან იმდენი თანხა, რამდენიც გჭირდებათ	12,4%	29,4%
ქმარს არ გააჩნია საკუთარი შემოსავალი	6,8%	16,1%
რომც თხოვოთ, მაინც არ მოგცემთ	1,5%	3,6%
ფულს სხვებს თხოვთ	1,5%	3,6%

როგორც ვხედავთ, ქალთა გარკვეულ ნაწილს სხვებისგანაც უხდება ფულის თხოვნა და ეს სხვები ძირითადად არიან საკუთარი მშობლები, შვილები ან ძმა.

ყოველი მეორე-მესამე ქალი (გამოკითხულთა 39,7%) ანგარიშს აბარებს მეუღლეს თითქმის ყველა ან მის მიერ გაკეთებული დანახარჯების უმეტესობის შესახებ, ასევე იმ შემთხვევაში, თუ საქმე ეხება პირადად მისთვის საჭირო შენაძენს. თავისუფალი არჩევანის უფლებით - საკუთარი შეხედულებისამებრ გადაწყვიტოს, უთხრას თუ არა ქმარს დანახარჯების შესახებ - სარგებლობს ქალთა მეოთხედი (26,6%). ქალთა გარკვეული ნაწილი (11,2%) საერთოდ არ აბარებს ანგარიშს მეუღლეს. თითქმის ყველა დანახარჯის შესახებ უფრო ხშირად აბარებენ ქმრებს ანგარიშს ის ქალები, ვისაც საკუთარი შემოსავალი არ გააჩნია (1,9%, 4,7%, 4,6%, 15,1% შესაბამისად შემოსავლის მიხედვით 1,2,3,4 ჯგუფში).

ცხრილი №18 *კ.14. რა შემთხვევაში უყვებით/ან უყვებოდით მეუღლეს თქვენ მიერ გაკეთებული დანახარჯების თაობაზე?*

	პროცენტული განაწილება
თითქმის ყველა დანახარჯის შესახებ	26,00%
უმრავლესობა ჩემს მიერ გაკეთებული დანახარჯის თაობაზე	11,30%
მხოლოდ, თუ მსხვილი დანახარჯია	20,70%
მხოლოდ მაშინ, თუ საქმე ეხება პირადად ჩემთვის საჭირო შენაძენს	2,40%
მხოლოდ, თუ ამას ჩავთვლი საჭიროდ	26,60%
არასოდეს	11,20%

იმ ქალთა შორის, ვინც, როგორც წესი, ანგარიშს აბარებს ქმარს ამა თუ იმ დანახარჯის თაობაზე (გამოკითხულთა 60,6%), თითქმის მესამედი (32%) ამის მიზეზად ასახელებს ოჯახში მიღებულ წესს ან მეუღლის მოთხოვნას (იხ. ცხრ.18).

ცხრილი №19 *კ. 15. მეუღლეს უყვებით დანახარჯების შესახებ იმიტომ, რომ:*

	პროცენტული განაწილება
ასეა მიღებული ოჯახში	20,30%
მეუღლე თვლის საჭიროდ	11,70%
თქვენ თვითონ თვლით ამას საჭიროდ	64,20%
სხვა პასუხი	3,80%

რაც შეეხება პირადად მათთვის საჭირო რამის ყიდვის თავისუფლებას, გამოკითხულთა მხოლოდ ნახევარი (48,7%) თუ სარგებლობს ამ შესაძლებლობით. დანარჩენები კი ამა თუ იმ ხარისხის შეზღუდვებს განიცდიან, მათგან ყოველი მეოთხე-მეხუთე პირადად მათთვის საჭირო ნებისმიერ საყიდელს ახორციელებს მეუღლესთან (18,5%) თუ ოჯახის სხვა წევრებთან (2,3%) შეთანხმებით ან საერთოდ არაფერს ყიდულობს თავისით (3,2%).

ცხრილი №20 *კ.11. შეგიძლიათ თუ არა, სხვების დაუკითხავად, იყიდოთ პირადად თქვენთვის ის, რაც გსურთ?*

	პროცენტული განაწილება
დიახ, სავსებით, იქნება ეს მსხვილი თუ წვრილმანი საყიდლები	48,70%
დიახ, თუ ეს წვრილმანი საყიდლებია	26,40%
ძირითადად მეუღლესთან შეთანხმებით	18,50%
ოჯახის სხვა წევრებთან შეთანხმებით	2,30%
საერთოდ არაფერს ვყიდულობ ჩემით	3,20%

ეკონომიკური ჩაგვრის ზემოთ მითითებული ფორმების გარდა, საკმაოდ ხშირად გვხვდება ამ სახის ძალადობის სხვა ნიშნებიც. ასე, მაგალითად, გამოკითხულ ქალთა თითქმის მესამედს (30,3%), მათი აღიარებით, განუცდია ამა თუ იმ სახის ეკონომიკური ზეწოლა აკრძალვების სახით. ყოველი მეოთხე-მეხუთე ქალისთვის (21,4%) ქმარს მათი თანაცხოვრების ამა თუ იმ პერიოდში აუკრძალავს მუშაობა, რესპონდენტთა გარკვეული ნაწილისათვის (8,9%) კი – სწავლის გაგრძელება (იხ. ცხრ. №20). რესპონდენტთა საკმაოდ წარმომადგენლობითი ჯგუფისთვის (16,6%) აკრძალვები აგრეთვე ვრცელდება მათთვის ჩვეული ან საყვარელი

საქმის კეთებაზეც, რაც, გარდა ეკონომიკური ჩაგვრისა, შეიცავს ფსიქოლოგიური ძალადობის ძლიერ მუხტსაც (იხ. ცხრ. №21). ყოველი მეხუთე ქალი (გამოკითხულთა 20,1%) აღიარებს, რომ ქმრისგან უარი მიუღია ფულის მოცემაზე, აქედან ნახევარი (11,1%) ასეთ უარს აწყდება ხშირად ან დროდადრო.

ცხრილი №21 *კ.32. პირადად თქვენს შემთხვევაში, რამდენად ხშირად ჰქონია ადგილი ასეთ აკრძალვებს[7]?*

	დიახ ხშირად	ზანდაზან	იშვიათად	არასოდეს არა	მიჭირს პასუხი
აუკრძალავს მუშაობა	9,6%	6,3%	5,5%	63,3%	14,8%
აუკრძალავს სწავლის გაგრძელება	6,1%	1,1%	1,7%	72,6%	17,3%
აუკრძალავს თქვენთვის ჩვეული ან საყვარელი საქმის კეთება	3,4%	6,0%	7,2%	66,5%	16,3%
არ მოუცია ფული, როდესაც გითხოვნიათ	4,3%	6,8%	9,0%	62,7%	16,5%

ყოველ მეათე-მეთერთმეტე ქალს (გამოკითხულთა 9,4%) თავის გამოცდილებაში ამა თუ იმ სიხშირით ჰქონია შემთხვევა, რომ ქმარს დასჯის მიზნით არ მიუცია მისთვის საჭირო ფული (იხ. ცხრ. №21). თითქმის იმავე რაოდენობის ქალს (9,2%) ქმარი მათი თანაცხოვრების ამა თუ იმ პერიოდში დამუქრებია სახლიდან გაგდებით (იხ. ცხრ. №22).

ცხრილი №22 *კ.27. თქვენი თანაცხოვრების პერიოდში ყოფილა თუ არა შემთხვევები, როდესაც მეუღლე:*

	ხშირად	ზოგჯერ	იშვიათად	უფრო კი, ამჟამად არა	არასოდეს
დაგმუქრებიათ სახლიდან გაგდებით	2,0%	2,2%	2,5%	2,4%	90,7%
დასჯის მიზნით დაუტოვებიხართ საჭმლის გარეშე	0,2%	1,1%	0,4%	0,5%	97,2%
დასჯის მიზნით არ მოუცია საჭირო ფული	1,7%	2,3%	4,0%	1,4%	89,8%

ეკონომიკური ჩაგვრის გამოვლინებათა რიცხვს მიეკუთვნება აგრეთვე ქალის მიმართ გამოთქმული საყვედურები და კრიტიკა მის სამსახურთან ან დიასახლისობასთან დაკავშირებით, რაც ამა თუ იმ სიხშირით შეხებია ყოველ მეოთხე-მეხუთე ქალს (იხ. ცხრ. №23).

7 როგორც ეკონომიკური, ასევე სხვა სახის აკრძალვების თემასთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ ქალთა მნიშვნელოვანი ნაწილი (14,8%-დან 18%-მდე) თავს არიდებს ამ კითხვებზე პასუხის გაცემას, რაც მეტად იშვიათად თუ ხდებოდა სხვა საკითხების შემთხვევაში. სავსებით სავარაუდოა, რომ აკრძალვები ძალადობის ის საკმაოდ გავრცელებული ფორმაა, რომლის აღიარება ერთ-ერთი მტკივნეული თემა აღმოჩნდა რესპონდენტებისთვის.

ცხრილი №23 *კ.31. ძირითადად რას ეხება (ან ეხებოდა) ხოლმე მეუღლის მხრიდან თქვენს მიმართ გამოთქმული საყვედურები თუ კრიტიკა*

	ხშირად	ზოგჯერ	იშვიათად	უწინ კი, ამჟამად არა	არასოდეს
თქვენს სამსახურს (დროის გასაყვანად დადიხართ, ოჯახს ყურადღებას აკლებთ)	2,2%	3,9%	8,2%	6,9%	77,9%
თქვენს დიასახლისობას	2,2%	3,2%	11,3%	5,7%	76,9%

რეგიონის სპეციფიკა

თბილისის წარმომადგენლებთან შედარებით, რეგიონის მაცხოვრებლებს უფრო ხშირად უწევთ ქმრისგან ფულის თხოვნა ოჯახისა თუ საკუთრივ თავისი საჭიროებისთვის (59,4%, 55,4% და 51,8%, შესაბამისად III, II და I ჯგუფებში), განსაკუთრებით ნათლად გამოჩნდა ეს განსხვავება აღმოსავლეთ საქართველოს წარმომადგენლებთან. ეს ტენდენცია დადასტურდა იმ მხრივაც, რომ რეგიონის რესპონდენტებს შორის უფრო მცირეა მათი წილი, ვისაც არასოდეს არ დასჭირვებია მეუღლისგან ფულის თხოვნა (11,6% II და III ჯგუფებში წინააღმდეგ 16,0%-სა I ჯგუფში).

ჯგუფებს შორის არ გამოვლინდა ხელშესახები განსხვავებები იმ პრიორიტეტული მიზეზების მხრივ, რის გამოც ქალებს არ ჭირდებათ მეუღლისგან ფულის თხოვნა. თუმცა აღსანიშნავია რამდენიმე საგულისხმო მომენტი: II ჯგუფის რესპონდენტებთან სუსტად არის წარმოდგენილი საკუთარი შემოსავლის ქონის მოტივი იმის ასახსნელად, თუ რატომ არ სთხოვენ ქმარს ფულს (31,3% წინააღმდეგ 50%-სა და 49,6%-სა I და III ჯგუფებში). ამავე დროს, საცხოვრებელი ადგილის მიუხედავად, რესპონდენტთა თითქმის ერთნაირ წილს არ შეუძლია ისარგებლოს საერთო დანაზოგით (28,6%, 30,3%, 29,3% III, II, I ჯგუფებში შესაბამისად). მთლიანობაში კი, თვალში საცემია ის გარემოება, რომ საერთო დანაზოგით სარგებლობის უფლებას რესპონდენტთა მესამედიც კი ვერ აძლევს თავს.

რეგიონებში, თბილისთან შედარებით, გაცილებით მეტია იმ რესპონდენტების წილი, ვინც მეუღლეს მოახსენებს ყველა მის მიერ გაკეთებული თითქმის დანახარჯის შესახებ (30,8% და 30,5% III და II ჯგუფებში წინააღმდეგ 20,9%-სა I ჯგუფში). ამ შემთხვევაში უფლებას, მოიქცეს ისე, როგორც თავად ჩათვლის საჭიროდ, ყველაზე მეტად ანიჭებენ საკუთარ თავს ისევ თბილისის რესპონდენტები და ყველაზე ნაკლებად აღმოსავლეთ საქართველოს მკვიდრნი (29,5%, 27,7% და 22,2%, I, II, III ჯგუფებში, შესაბამისად). სხვა რეგიონებთან შედარებით, დასავლეთ საქართველოში მცხოვრებთა შორის მათი მეტი წილი, ვინც მეუღლეს აბარებს ანგარიშს პირადად მათთვის საჭირო დანახარჯების შესახებაც (3,9% წინააღმდეგ 1,7%-სა და 2,1%-სა III და I ჯგუფებში შესაბამისად).

დანახარჯების შესახებ ანგარიშის ჩაბარების მოტივთა განაწილება თითქმის ერთნაირია გამოყოფილ ჯგუფებში და ემთხვევა საერთო შერჩევაში მიღებულს.

ზოგადად აკრძალვებთან დაკავშირებით ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ აღმოსავლეთ საქართველოს წარმომადგენელთა მეტად მნიშვნელოვანი ნაწილი – გაცილებით მეტი, ვიდრე ორ სხვა ჯგუფში – გამოკითხულთა მეოთხედი და მეტი (25,8% - 32,6%-მდე) თავს არიდებს პასუხს. ამ ფონზე თბილისელ რესპონდენტთა შორის წარმოდგენილ "თავშეკავებულთა" უჩვეულოდ მაღალი რაოდენობა გაცილებით მოკრძალებულად გამოიყურება (13,2%–14,4%-მდე). ძირითადად, სწორედ ამ გარემოებით არის გამოწვეული მეორე თვალში საცემი ტენდენციაც: იმ ფონზე, რომ ეკონომიკურ სფეროში აკრძალვების გავრცელების სიხშირე თითქმის თანაბარია სამივე რეგიონში და ემთხვევა საერთო შერჩევაში გამოვლენილს, გაცილებით მეტია იმ ქალთა წილი, ვინც აცხადებს, რომ ასეთი აკრძალვები არასოდეს არ შეხებია მას (75,6% – 83,3% ფარგლებში, წინააღმდეგ 51,3% – 60% III ჯგუფში და 63,4% – 75,2% I ჯგუფში), დასავლეთ საქართველოში, სადაც პასუხისაგან თავის არიდების შემთხვევები შეუდარებლად ნაკლებია (4%-ის ფარგლებში) და დიდად არ განსხვავდება სხვა კითხვებთან დაკავშირებით დაფიქსირებულ შესაბამის მაჩვენებლებისგან.

I და III ჯგუფების რესპონდენტებს შორის გაცილებით მეტია იმ ქალთა წილი, ვისაც, მათი განცხადებით, ცხოვრების ამა თუ იმ პერიოდში განუცდია კრიტიკა სამსახურთან დაკავშირებით (25,2% და 22,8% I და III ჯგუფებში წინააღმდეგ 13,3%-სა II ჯგუფში). დაახლოებით იგივე სურათი დაფიქსირდა დიასახლისობის მიმართ გამოთქმულ კრიტიკასთან დაკავშირებით: ყველაზე მეტია ასეთი კრიტიკის ობიექტი თბილისის რესპონდენტებს შორის (26,6%), შემდეგ კი აღმოსავლეთ (22,3%) და დასავლეთ საქართველოს (16%) მცხოვრებლებთან.

რაც შეეხება ეკონომიკური ძალადობის გამოვლინებას სხვადასხვა სახის დასჯის კონტექსტში, აქ თითქმის ერთგვაროვანი სურათი მივიღეთ.

ასაკობრივი თავისებურებები

საყიდლების და ფულის თავისუფლად განკარგვის თვალსაზრისით, იკვეთება შემდეგი ტენდენციები:

- ასაკთან ერთად იზრდება მათი რიცხვი, ვინც მეტად ყიდულობს იმას, რაც სურს (47,6%, 48,5%, 52,5%);
- ასაკთან ერთად ასევე ნაკლებად უხდებათ ფულის თხოვნა. განსაკუთრებით დიდია მათი წილი, ვისაც უხდება მეუღლისგან ფულის თხოვნა ახალგაზრდებში (46,8%, 37,3%, 24,6% I–III ჯგუფები);
- ასაკის მატებასთან ერთად არ უწევთ ფულის თხოვნა იმის გამო, რომ აქვთ საკუთარი შემოსავალი (14,4%, 19,6%, 30,3%);
- ახალგაზრდებში ასევე ყველაზე ნაკლებია მათი წილი, ვისაც შეუძლია საერთო დანაზოგით თავისუფლად სარგებლობა (8,8%, 14,9%, 13,1% I–III ჯგუფები). ახალგაზრდებს შორის აგრეთვე მეტია მათი წილი, ვინც აცხადებს, რომ ფულს არ მისცემენ იმ შემთხვევაშიც, თუ სთხოვს (2,7%, 0,8%, 0,8% I–III ჯგუფები);
- ასაკის მატებასთან ერთად ნაკლებად უყვებიან ქმრებს გაკეთებული დანა-

ხარჯების შესახებ (29,9%, 24,6%, 20,5%). საპირისპირო ვითარებას აქვს ადგილი, როდესაც არასოდეს არ უყვებიან (6,1%, 13,1%, 18,3% I–III ჯგუფებში).

– იმ მიზეზებთან დაკავშირებით, თუ რატომ უყვებიან დანახარჯების შესახებ, შემდეგი ტენდენციები დაფიქსირდა: ასაკის მატებასთან ერთად უყვებიან ამის შესახებ, იმიტომ რომ "ასეა მიღებული ოჯახში" (9,9%, 15,3%, 19,7%). ახალგაზრდებს შორის მეტია მათი წილი, ვინც თავად თვლის ამას საჭიროდ (49,7%, 41,1%, 37,4% I–III ჯგუფები) და ვისი მეუღლეც თვლის ამას საჭიროდ (8,0%, 8,7%, 4,9% - I–III ჯგუფები).

– ახალგაზრდებთან უფრო ხშირია მეუღლის მხრიდან დასჯის მიზნით ფულის არმიცემა (საშ. მაჩვენებელი სკალაზე 1-დან "ხშირად"– 5-მდე "არასოდეს" - 4,72; 4,79; 4,83 შესაბამისად I–III ჯგუფები).

– ეკონომიკური ხასიათის აკრძალვები მეტი ხარისხით არის წარმოდგენილი უმცროსი ასაკის რესპონდენტებთან. კერძოდ, ამ ჯგუფის წარმომადგენლთა მეტი წილი აცხადებს, რომ მათთვის ქმარს აუკრძალავს მუშაობა (საშ. მაჩვენებელი სკალაზე 1-დან "ხშირად"– 4-მდე "არასოდეს" – 3,54; 3,78; 3,7 I–III ჯგუფები); სწავლა (3,82; 4,03; 4,04); ჩვეული ან საყვარელი საქმის კეთება (3,83; 3,88; 3,93); არ მიუცია ფული, როდესაც უთხოვია (3,75; 3,83; 3,93).

დასკვნები

- ამრიგად, სახეზეა ეკონომიკური ძალადობის მრავალი გამოვლინება, რომელთა შორის ყველაზე გავრცელებულია ფინანსური დეპრივაცია და პერმანენტული მატერიალური დამოკიდებულობა ქმარზე. ეს კი გულისხმობს ნებისმიერი საჭიროების (ოჯახის თუ პირადად მისი) დასაკმაყოფილებლად განკუთვნილი საყიდლების სრულ ფინანსურ კონტროლს, დაწყებული მათ შესაძენად ფულის გაცემიდან დამთავრებული ანგარიშის ჩაბარებით თითქმის ყველა შენაძენის შესახებ. ამ ფინანსური პრესინგის ქვეშ იმყოფება ქალთა საკმაოდ შთამბეჭდავი რაოდენობა (გამოკითხულთა უმრავლესობა), რაზეც მეტყველებს თუნდაც ის გარემოებაც, რომ საერთო დანაზოგით თავისუფლად სარგებლობის შესაძლებლობა აქვს გამოკითხულთა 12,4%-ს.
- მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნაც, რომ ეკონომიკურ ჩაგვრას ყველაზე ინტენსიურად განიცდიან ის ქალები, ვისაც არა აქვს საკუთარი შემოსავალი. სწორედ ისინი შეადგენენ მუდმივი ფინანსური ზეწოლისა და ჩაგვრის ქვეშ მყოფ ყველაზე მრავალრიცხოვან კონტინგენტს. ამავე დროს, შედარებით ნაკლები ინტენსივობის, მაგრამ ეკონომიკური ძალადობის იგივე გამოვლინებები თითქმის თანაბრად გვხვდება რესპონდენტთა ყველა სხვა ჯგუფში, მიუხედავად მათი საკუთარი შემოსავლის ოდენობისა.
- ზემოთ აღნიშნული ფორმების პარალელურად საკმაოდ ხშირად აქვს ადგილი ეკონომიკური ძალადობის ისეთ ღიად გამოვლენილ სახეებს, როგორიცაა ეკონომიკური ხასიათის აკრძალვები, ფინანსური რესურსებისაგან მოწყვეტა და დასჯის მიზნით ეკონომიკური შეზღუდვების განხორციელება.
- მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკურ ძალადობასთან დაკავშირებით რეგიონალური თავისებურებები დიდად არ იჩენს თავს, იკვეთება გარკვეული სტა-

ბილური ხასიათის ტენდენციები. ზოგადად, რეგიონის მკვიდრნი მეტად განიცდიან ეკონომიკურ ზეწოლას იმ მხრივ, რომ ნაკლებად განაგებენ საერთო დანაზოგს, მეტად არიან ანგარიშვალდებულნი მეუღლის წინაშე და მეტად არიან მათზე ფინანსურად დამოკიდებულნი, მიუხედავად იმისა, აქვთ თუ არა საკუთარი შემოსავალი. განსაკუთრებით დამძიმებული სურათი ამ პარამეტრებით ვლინდება აღმოსავლეთ საქართველოს მკვიდრთა შორის. დასავლეთ საქართველოს შემთხვევაში მიღებული იმავე ტენდენციის შედარებით მსუბუქი გამოვლინება შეიძლება წარმოადგენდეს როგორც ობიექტურად არსებული ვითარების ასახვას, ასევე ამ რეგიონის რესპონდენტებისათვის უკვე მუდმივ ნიშნად ქცეულ ვითარების უფრო "ლამაზად" წარმოჩენის მცდელობას.

- ახალგაზრდებთან მეტად იჩენს თავს ეკონომიკური ხასიათის შეზღუდვები, რაც გამოიხატება ფულადი რესურსებით სარგებლობის ნაკლებ შესაძლებლობაში, მეტ ანგარიშვალდებულებაში მეუღლის წინაშე. ყოველივე ეს კი, ერთი მხრივ, განპირობებულია იმ გარემოებით, რომ მათ ნაკლებად აქვთ შემოსავლის საკუთარი წყარო, მატერიალურად მეტად არიან დამოკიდებულნი მეუღლეზე, მეორე მხრივ კი მეტად იმყოფებიან მეუღლის პრესინგის ქვეშ, რაზედაც მეტყველებს მათ მიმართ გამოყენებული აკრძალვების ხარისხი.

5. ფსიქოლოგიური ძალადობა

ძალადობის გამოვლინებების ერთ-ერთ ყველაზე მრავალგვარ და ხშირ ფორმას წარმოადგენს ფსიქოლოგიური ხასიათის ჩაგვრა. ამასთანავე აღსანიშნია, რომ იგი თან სდევს ძალადობის ყველა სხვა ფორმას და, ამდენად, ამ ტიპის ძალადობის წმინდა სახით გამოდიფერენცირება თითქმის შეუძლებელია. შესაბამისად, საკუთრივ ფსიქოლოგიური ძალადობის სახეებზე საუბრისას გარკვეულწილად ხელოვნურად უნდა შემოვიფარგლოთ მისი გამოვლინებების მხოლოდ ნაწილით, რომელიც, მიუხედავად ამისა, მაინც საკმაოდ ვრცელი და მრავალფეროვანია. ამ კატეგორიის ძალადობას, სიტყვიერი შეურაცხყოფისა და ლანძღვა-გინების, მუქარის, საყვედურების და აკრძალვების, ანუ ღიად გამოხატული სახეების გარდა, მიეკუთვნება ქალის ის დათრგუნული ემოციური მდგომარეობა, უსუსურობისა თუ დანაშაულის გრძნობა, რომელიც მას ქმართან ურთიერთობისას ეუფლება.

შეიძლება ითქვას, რომ გამორჩეულად მძიმე ეფექტი ახლავს ფსიქოლოგიური ძალადობის და ჩაგვრის ისეთ ფორმას, რომელიც გულისხმობს პიროვნული ღირსებების გაუფასურებას და დაკნინებას (იხ. ცხრ. №24). ამ ტიპის ძალადობის გამოვლინებებს მიეკუთვნება ის შემთხვევები, როდესაც ქალს აგრძნობინებენ, რომ ის ქმრის გარეშე არაფერს წარმოადგენს და დაიღუპება (გამოკითხულთა 44%-ს ეს განუცდია მისი ცხოვრების ამა თუ იმ პერიოდში), რომ მას დამოუკიდებლად არ შეუძლია გადაწყვეტილებების მიღება (გამოკითხულთა 56,6%), რომ მისი მიზნები და მიღწევები დიდად არაფერს ნიშნავს და არ ფასობს (გამოკითხულთა 61,3%).

ცხრილი №24 *კ.5. ყოფილა ხოლმე, რომ მეუღლეს უგრძნობინებია:*

	შემთხვევათა გამოვლინების საერთო მაჩვენებელი	ხშირად	ზოგჯერ
რომ თქვენ დამოუკიდებლად არ შეგიძლიათ გადაწყვეტილების მიღება	56,6%	11,7%	15,3%
რომ მის გარეშე თქვენ არაფერს წარმოადგენთ და დაიღუპებით	44,9%	10,1%	14,2%
კ. 10. გიჩნდებათ ხოლმე განცდა, რომ მეუღლე სათანადოდ არ აფასებს/აფასებდა თქვენს მიზნებსა და მიღწევებს	61,3%	15,8%	17,5%

ამავე რიგის მოვლენად და ქალის მიმართ ზემოთ აღნიშნული დამოკიდებულების ლოგიკურ გაგრძელებად და შედეგად უნდა მივიჩნიოთ ის გარემოება, რომ ქალების უმრავლესობის (60,6%) აღიარებით, მათი ცხოვრების ერთ-ერთ მთავარ ამოცანად იქცა მეუღლის ყველა სურვილისა და მოთხოვნის გათვალისწინება და შესრულება. ამ პოზიციას ცალსახად არ იზიარებს ქალთა მხოლოდ 18,6%. (იხ. ცხრ. №25)

ცხრილი №25 *კ.23. შეიძლება თუ არა ითქვას, რომ:*

	დიახ, სავსებით	გარკვეულწილად კი	უფრო არა, ვიდრე კი	სრულებითაც არა	მპგ
თქვენი ცხოვრების ერთ-ერთ მთავარ ამოცანად იქცა მეუღლის ყველა სურვილისა და მოთხოვნის გათვალისწინება და შესრულება?	20,8%	39,8%	18,0%	18,6%	2,1%

სავარაუდოა, რომ ქალების მიერ თავისი როლისა და დანიშნულების ასეთი შეფასება წარმოადგენს საზოგადოებაში გამეფებული "კარგი ქალის" სტერეოტიპის ასახვას და, შესაბამისად, სოციალური სასურველობისთვის ერთგვარი ხარკის გადახდის ელემენტსაც შეიცავს. იმავდროულად სრულიად ცხადია ისიც, რომ მორჩილებისა და ამგვარი მზაობის მაღალი ხარისხი დიდწილად უკავშირდება ქმრისგან მომდინარე მოთხოვნებს. ქალთა დიდ უმრავლესობას (74,5%, აქედან 34,4%-ს სრული დარწმუნებით) მიაჩნია, რომ მეუღლე მოელის თავისი მოთხოვნების ზედმიწევნით შესრულებას. მეტიც, ქალთა მნიშვნელოვანი ნაწილის (62,3%) აღიარებით, მათი მეუღლეები ბრაზდებიან ამ მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში. ქალთა მესამედს (32,3%) კი ამა თუ იმ ხარისხით ეშინია მეუღლის გაბრაზების (იხ. ცხრ. №26).

ცხრილი №26

კ.24. როგორ ფიქრობთ, მოელის თუ არა თქვენი მეუღლე, რომ თქვენ მის მოთხოვნებს არა მხოლოდ გაუწევთ ანგარიშს, არამედ ზედმიწევნით შეასრულებთ კიდევაც?	დიახ, ნამდვილად	ვფიქრობ, კი	არა მგონია	ნამდვილად არა	მპგ
	34,4%	40,1%	15,8%	8,6%	1,1%
კ.25. ბრაზდება თუ არა იგი, როდესაც ამ მოთხოვნებს არ ასრულებთ ან ვერ ხვდებით, თუ რას მოელის იგი თქვენგან?	დიახ, როგორც წესი	მეტწილად კი	ზოგჯერ	იშვიათად	არა
	18,4%	22,0%	21,0%	31,7%	2,8%
კ.26. გეშინიათ თქვენი მეუღლის გაბრაზების?	რასაკვირველია, კი	გარკვეულწილად კი	დიდად არა	ნამდვილად არ მეშინია	მპგ
	11,1%	21,2%	29,3%	36,9%	0,6%

ფსიქოლოგიური ძალადობის გამოვლინებათა ფართო სპექტრიდან არ გვხდება არც ერთი ისეთი ფორმა, რომელიც ამა თუ იმ სიხშირით არ განხორციელებულა ქალთა სულ მცირე 2,5%-10%-ის მიმართ. ძალადობის ამ სახეობათა განხილვა მათი გამოვლინების სიხშირის მიხედვით ქმნის გარკვეულ იერარქიას, სადაც

ცხრილი №27 *კ.27. თქვენი თანაცხოვრების პერიოდში ყოფილა თუ არა შემთხვევები, როდესაც მეუღლეს:*

	შემთხვევათა საერთო მაჩვენებელი	ხშირად	ზოგჯერ
გაბრაზებულ გულზე გამოუყენებია სიტყვიერი შეურაცხყოფა/ლანძღვა-გინება	66,9%	18,1%	24,5%
საკუთარი შეცდომა ან ცუდი გუნება-განწყობილება თქვენთვის გადმოუბრალებია	49,2%	11,9%	18,1%
უსაბაბოდ მოუწყვია ეჭვიანობის სცენები	33,9%	7,8%	9,7%
დაუმცირებიხართ ოჯახის წევრებისა ან მეგობრების წინაშე	33,0%	5,3%	7,9%
მხარს უჭერდა მათ, ვინც გაკრიტიკებთ	30,9%	5,9%	6,3%
თქვენგან რაიმეზე თანხმობის მისაღებად გამოუყენებია მუქარა ან ზეწოლა	27,0%	5,9%	5,5%
დასჯის მიზნით არ მოუცია საჭირო ფული	9,4%	1,7%	2,3%
დაგმუქრებიათ სახლიდან გაგდებით	9,2%	2,1%	2,2%
დაგმუქრებიათ, რომ მიგატოვებთ და შვილებს წაგართმევთ	8,7%	2,1%	2,5%
დაგმუქრებიათ მოკვლით	4,7%	1,7%	0,8%
დასჯის მიზნით დაუტოვებიხართ საჭმლის გარეშე	2,2%	0,2%	1,1%

ყველაზე გავრცელებულ ფორმას წარმოადგენს სიტყვიერი შეურაცხყოფა, ლანძღვა-გინება, ყველაზე ნაკლებად გავრცელებულს კი დასჯის მიზნით საჭმლის გარეშე დატოვება (იხ. ცხრ. №27).

ფსიქოლოგიური ძალადობის ყველაზე გავრცელებულ და პრიორიტეტულ ფორმებს, როგორც ვხედავთ, შეადგენს სიტყვიერი შეურაცხყოფა, ეჭვიანობის სცენების მოწყობა, საკუთარი გუნება-განწყობილების ქალზე გადმობრალება, მუქარა, ქალზე ზეწოლის მიზნით სხვებთან კოალიციაში შესვლა და ა.შ.

ქალთა მნიშვნელოვანი ნაწილი ამა თუ იმ სიხშირით განიცდის ქმრისგან მომდინარე კრიტიკას და საყვედურებს, რომლებიც ეხება თითქმის ყველა მნიშვნელოვან სფეროს. საყვედურები მათი გამოხატვის გავრცელებულობის მიხედვით გარკვეულ იერარქიულ სისტემას ქმნის, სადაც რანჟირის პირველ ოთხ საფეხურზე მოქცეულია საყვედურების ორი კატეგორია.

ცხრილი №28 *კ.31. ძირითადად რას ეხება (ან ეხებოდა) ხოლმე მეუღლის მხრიდან თქვენს მიმართ გამოთქმული საყვედურები თუ კრიტიკა და რამდენად ხშირია იგი?*

	შემთხვევათა საერთო მაჩვენებელი	ხშირად	ზოგჯერ
თქვენს დამოკიდებულებას მისადმი (არ გესმით მისი, არ ზრუნავთ მასზე)	49,8%	6,3%	14,2%
თქვენს შეხედულებებს	36,2%	3,8%	8,2%
დამოკიდებულებას მისი მშობლებისადმი ან სანათესაოსადმი	35,2%	3,8%	7,6%
თქვენს ცხოვრების წესს	30,6%	3,8%	8,2%
თქვენს მშობლებს ან სანათესაოს	28,2%	4,4%	6,1%
თქვენს ჩაცმულობას	26,3%	3,2%	6,6%
მასთან ურთიერთობის ინტიმურ მხარეს	25,6%	3,9%	5,9%
თქვენს მეგობრებს	23,7%	2,5%	4,4%
თქვენს გარეგნობას	22,7%	2,1%	6,1%
თქვენს დიასახლისობას	22,5%	2,3%	3,2%
თქვენს სამსახურს (დროის გასაყვანად დადიხართ, ოჯახს ყურადღებას აკლებთ)	21,0%	2,2%	3,9%

ყველაზე ხშირი და ფართოდ გავრცელებულია საყვედურები, რომლებიც მეუღლეს უკავშირდება და, ფაქტობრივად, გულისხმობს მასზე ზრუნვას და მისი პერსონისადმი განსაკუთრებული ყურადღების დათმობას. ამავე რიგის საყვედურებს განეკუთვნება ქმრის ახლო ნათესავებთან ურთიერთობის შესახებ გამოთქმული საყვედურები. ამის პარალელურად, დიდი დატვირთვა მოდის ისეთ კრიტიკაზე, რომელიც ქალის პიროვნული დამოუკიდებლობის გამომხატველ ნიშნებს უკავშირდება - მის შეხედულებებს და ცხოვრების წესს.

ცნობილია, რომ ფსიქოლოგიური ძალადობის ერთ-ერთ გავრცელებულ გამოვლინებას წარმოადგენს აგრეთვე აკრძალვების მექანიზმი, რომლის მეშვეობით

ყველაზე ხშირად რეალიზდება ქალზე კონტროლი და მამაკაცის ძალაუფლების განხორციელება. მიღებული შედეგების განხილვა ამ ტიპის ძალადობის გამოყენებათა სიხშირის თვალსაზრისით იძლევა აკრძალვების სისტემის ისეთ კონფიგურაციას (იხ. ცხრ. №29), სადაც ყველაზე მეტად აქცენტირებულია სოციალური კავშირების დამყარების შეზღუდვა ადამიანების უფრო ფართო წრესთან, ვიდრე ოჯახის წევრები არიან, ასევე გარკვეული ხარისხით კონტროლი ქალის აქტივობაზე (სამსახურებრივი თუ სხვა სახისა).

ცალკე და მნიშვნელოვან თემად იკვეთება ქმრის ზედმეტი მესაკუთრეობა და, აქედან გამომდინარე, ეჭვიანობის ნიადაგზე წარმოშობილი ძალადობის გამოვლინებანი (ეჭვიანობის სცენების მოწყობა, გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვა და ა.შ.). ამგვარი ზეწოლის ქვეშ იმყოფება რესპონდენტების დაახლოებით 33-34 პროცენტი, ანუ ყოველი მესამე-მეოთხე ქალი.

ცხრილი №29 *კ.32. .პირადად თქვენს შემთხვევაში, რამდენად ხშირად ჰქონია ადგილი ქმრის შემდეგ აკრძალვებს:*

	შემთხვევათა საერთო მაჩვენებელი	ხშირად	ზოგჯერ	მპგ
აუკრძალავას ისეთ ადამიანებთან ურთიერთობა, ვინც მას არ მოსწონს	55,4%	21,3%	17,7%	5,8%
ეჭვიანობის გამო აუკრძალავს სახლიდან მარტოკას გასვლა	24,3%	6,2%	8,2%	12,6%
აუკრძალავს მეგობრებთან წასვლა	22,1%	5,5%	6,0%	14,9%
აუკრძალავს მუშაობა	21,4%	9,6%	6,3%	14,8%
აუკრძალავს თქვენთვის ჩვეული ან საყვარელი საქმის კეთება	16,6%	3,4%	6,0%	16,3%
აუკრძალავს თქვენს მშობლებთან ან ნათესავებთან წასვლა	15,2%	4,2%	4,3%	15,3%
აუკრძალავს სწავლის გაგრძელება	8,9%	6,1%	1,2%	17,3%

ქალთა მესამედზე მეტის აღიარებით, ისინი ცხოვრების ამა თუ იმ პერიოდში გამხდარან ეჭვიანობით გამოწვეული უნდობლობისა და კონტროლის ობიექტი (იხ. ცხრ. №30).

ცხრილი №30 *კ.16. როცა სადმე ხართ წასული, მართალია, რომ თქვენი მეუღლე ხშირ-ხშირად გირეკავთ ან გაკითხავთ, რათა დარწმუნდეს, რომ იქ ხართ, სადაც უთხარით, რომ იქნებით?*

	განაწილება
დიახ, ეს ნამდვილად ასეა	11,5%
გარკვეულწილად ასეა	13,8%
ადრე ნამდვილად ასე იყო, ამჟამად უკვე არა	9,4%
არასოდეს	63,0%
მპგ	2,3%

ყოველი მეორე ქალი თითქმის ან საერთოდ არ იყენებს თავისუფალ დროს თავისი შეხედულებებისამებრ და ფაქტობრივად იმყოფება ერთგვაროვანი რუტინული ყოველდღიურობის ტყვეობაში (იხ. ცხრ. №31).

ცხრილი №31 *კ.17. თუ თავისუფალი დრო გამოგიჩნდათ, რამდენად ხშირად ატარებთ მას თქვენი შეხედულებისამებრ, ვთქვათ, მიდიხართ სადმე სტუმრად მეგობრებთან, ნათესავებთან ან კინოში, კაფეში?*

	განაწილება
საკმაოდ ხშირად	23,1%
ზოგჯერ (თვეში 1-2 ჯერ)	25,4%
იშვიათად (რამდენიმე თვეში ერთხელ)	33,0%
თითქმის არასოდეს	16,6%
მპგ	1,9%

ძირითად მიზეზად იმისა, რომ მათ უწევთ ასეთი ცხოვრება, ქალთა ამ ნაწილის მიერ დასახელებულია დროის უქონლობა და შესაბამისი სურვილის არქონა, ამ რიგში გაუსვლელობის მესამე მიზეზს წარმოადგენს მეუღლის წინააღმდეგობა (ცხრ. №32).

ცხრილი №32 *კ.18. რატომ "იშვიათად" ან "არასოდეს"?*

	საერთო შერჩევის წილი	იმ რესპონდენტთა წილი, ვინც იშვიათად ან საერთოდ არ დადის სტუმრად
მეუღლეს არ სიამოვნებს და ძირითადად წინააღმდეგია ჩემი გასვლის	6,4%	14,2%
როგორც წესი, ამის საშუალებას ოჯახის სხვა წევრები არ მაძლევენ	1,4%	2,4%
ამის დრო არ მაქვს	27,5%	51,3%
უბრალოდ არ მაქვს ამის სურვილი	12,7%	24,5%

აკრძალვების, შეზღუდვების და სხვა აღიარებული თუ უთქმელი ფსიქოლოგიური ჩაგვრის გამოძახილი და შედეგია ფსიქოლოგიური დისკომფორტის მანიშნებელი ის განცდები, რომლებიც ქალებს მეუღლეებთან ურთიერთობისას ეუფლება. ქალთა, სულ მცირე, მეოთხედს მაინც ქმართან ურთიერთობის ამა თუ იმ პერიოდში გასჩენია თუნდაც ერთ-ერთი იმ დამთრგუნველ გრანცდათაგან, რომლებიც აშკარა საფრთხეს წარმოადგენს ადამიანის სულიერი თუ ფიზიკური სიჯანსაღისათვის. ზოგადად კი ნეგატიური ემოციური განცდების გავრცელებულობის ხარისხი და სპექტრი შეიძლება განვიხილოთ იმის ერთგვარ ინდიკატორად, თუ რა ზომით განიცდიან ქალები სხვადასხვა სახის ძალადობას. ეს თემა - საკუთარი ემოციური მდგომარეობის შეფასება ქმართან ურთიერთობის კონტექსტში - კრიტიკული მნიშვნელობისა აღმოჩნდა რესპონდენტთა შედარებით მაღალი გახსნილობის თვალსაზრისით. მონაცემთა განხილვა ამა თუ იმ გრძნობის გაჩენის სიხშირისა და, შესაბამისად, გავრცელების ხარისხის გათვალისწინებით შემდეგ სურათს გვაძლევს (იხ. ცხრ. №33):

ცხრილი №33 *რამდენად ხშირად განგიცდიათ მეუღლესთან ურთიერთობისას შემდეგი გრძნობები:*

	განცდის გაჩენის საერთო მაჩვენებელი	ხშირად	ზოგჯერ
სურვილი, რომ ყველამ თავი დაგანებოთ, ან სადმე ცოტა ხანს მარტო გამყოფათ	65,1%	27,9%	31,8%
დაძაბულობა	54,3%	16,6%	28,8%
სინანული, რომ ხმა ამოიღეთ და ამით მდგომარეობა გაიუარესეთ	46,3%	8,6%	31,4%
საკუთარ თავში დაურწმუნებლობა	41,5%	9,4%	26,9%
შიში და შფოთვა	39,5%	12,4%	18,6%
დანაშაულის გრძნობა	38,1%	5,8%	25,8%
დამცირების გრძნობა	28,3%	7,8%	14,7%
უძლურობა და უუფლებობა	26,6%	7,8%	13,4%

იერარქიის თავში მოქცეული განცდები აშკარად მეტყველებს ადამიანის საკუთარი მდგომარეობით უკმაყოფილებასა და მისგან თავის დაღწევის სურვილზე. ქალთა მეოთხედზე მეტს თითქმის მუდმივად აქვს უკმაყოფილების და ყველაფრისაგან გაბეზრების ეს განცდა. ქალთა მნიშვნელოვანი ნაწილი იმყოფება დაძაბულობის, შფოთვის და შიშის მდგომარეობაში, ანუ ძლიერი სტრესის სიტუაციაში. რანჟირის მეორე ნახევარში მოქცეული სხვა გრძნობები, რომლებიც ასევე საკმაოდ ფართოდ გავრცელებული აღმოჩნდა, მთლიანობაში განაპირობებს აუტოაგრესიის, დაბალი თვითშეფასების და საკუთარი პიროვნული სისუსტის გაჩენას. ცალკე განხილვის ღირსია ის განცდა, რომელიც, კონკრეტული უსიამოვნო ემოციური მდგომარეობის არსებობის გარდა, ირიბად თუ პირდაპირ მეტყველებს ქალთა საკმაოდ დიდი ნაწილის (გამოკითხულთა თითქმის ნახევარი) დაძაბულ ურთიერთობაზე მეუღლესთან, რომლის შედეგად მათ უჩნდებათ („ხშირად“ თუ „დროდადრო“) სინანული, რომ თავისი პოზიციის დაცვის გამო გაიუარესეს მდგომარეობა.

რეგიონის სპეციფიკა

პიროვნული ღირსების დამაკნინებელი შეფასებები უფრო გავრცელებულ და გამოკვეთილია რეგიონებში. განსაკუთრებით ხშირად ხდებიან ამგვარი შეფასებების სამიზნეები აღმოსავლეთ საქართველოს წარმომადგენელები. ამ რეგიონის მკვიდრთა მხოლოდ მესამედი ან ოდნავ მეტი თუ აცხადებს, რომ მეუღლეებს მათთვის არასოდეს უგრძნობინებიათ, თითქოს მათ არ შეეძლოთ გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღება (33,5% წინააღმდეგ 45%-სა და 46,3%-სა II, I ჯგუფებში, შესაბამისად), რომ მეუღლის გარეშე “არაფერს წარმოადგენენ და დაიღუპებიან“ (39% წინააღმდეგ 58,5% და 58,8% -სა – I და II ჯგუფებში). მთლიანობაში, ამგვარი შეფასებები უფრო ხშირად ვლინდება რეგიონებში (“ხშირად“ და “დროდადრო“ - “არ შეუძლია გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღება“ - 32,2%, 27,2%, 23,6%; მეუღლის გარეშე “არაფერს წარმოადგენს და დაიღუპება“ - 33,2%; 25,6% და 17,4% – III, II , I ჯგუფებში, შესაბამისად).

დაახლოებით ანალოგიური ვითარება გამოვლინდა ქალების მიზნებისა და მიღ-

წევების შეუფასებლობასთან დაკავშირებით. როგორც ზემოთაც, ეს განსაკუთრებით ეხება აღმოსავლეთ საქართველოს წარმომადგენლებს, რომელთა მეტ წილს (სხვა ჯგუფების რესპონდენტებთან შედარებით) გასჩენია ეს განცდა მათი ცხოვრების მანძილზე ("არასოდეს" - 29% წინააღმდეგ 43,8%-სა და 38,9%-სა – I და II ჯგუფებში), იგი უფრო ხშირად უჩნდებოდა მათ ადრე (19% წინააღმდეგ 10,4% და 6,2%-სა I და II ჯგუფებში) და შედარებით ინტენსიურად ამჟამადაც ("ხშირად" 17,1% წინააღმდეგ 14,7% და 15,5%-სა I და II ჯგუფებში). ამაზე მეტყველებს მონაცემთა საშუალო მაჩვენებელიც (3,36% წინააღმდეგ 3,46%-სა და 3,41%-სა – I და II ჯგუფებში სკალაზე 1-დან "ხშირად" 5-მდე "არასდროს"), რაც მიანიშნებს ამ განცდის მეტ გავრცელებულობაზე მესამე ჯგუფის რესპონდენტებთან.

რეგიონებში, თბილისთან შედარებით, ქალთა გაცილებით მეტი წილი აცხადებს, რომ მათი ცხოვრების ერთ-ერთ მთავარ ამოცანად იქცა მეუღლის ყველა სურვილისა და მოთხოვნის შესრულება ("დიახ, სავსებით" და "გარკვეულწილად კი" - 71,3% და 63,2% II და III ჯგუფებში წინააღმდეგ 52,5%-სა I ჯგუფში). ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით გამოირჩევიან დასავლეთ საქართველოს წარმომადგენლები, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილისათვის ეს გარემოება "ეჭვს გარეშეა" ("დიახ, სავსებით"–29,8% წინააღმდეგ 21,6% და 14,8%-სა III და I ჯგუფებში). საშუალო მაჩვენებლის მიხედვით, რეგიონის წარმომადგენელთა ზოგადი პოზიცია 2,13 (II ჯგ.) და 2,36 (III ჯგ.) საშ. მაჩვენებელთა შორის თავსდება სკალაზე 1-დან ("დიახ, სავსებით") 4-მდე ("სრულებითაც არა") და ემთხვევა შეფასებას "გარკვეულწილად კი". თბილისელებთან ეს მაჩვენებელი შეადგენს 2,62-ს და მდებარეობს ორ შეფასებას შორის "გარკვეულწილად კი" და "უფრო არა, ვიდრე კი". რეგიონების წარმომადგენელთა ამგვარი პოზიცია მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მეუღლეთა მოლოდინებზე (ყოველ შემთხვევაში, მათ მიერ აღქმულ მეუღლეთა მოლოდინებზე). თუმცა, როგორც თბილისის, ასევე რეგიონების რესპონდენტების უმრავლესობას მიაჩნია, რომ მეუღლე მოელის მათგან ასეთ თავდადებას და მსხვერპლშეწირვას, ამ უკანასკნელებთან ეს მოლოდინი გაცილებით უფრო მძაფრი და ყოვლისმომცველი აღმოჩნდა (შესაბამისად, I ჯგ-ში - 65,1%, აქედან 24,8% - "დიახ, ნამდვილად"; II ჯგ-ში -83,3%, აქედან 44,2%, III ჯგ-ში - 80,3%, აქედან 39,7%) . საშუალო მაჩვენებლებიც I, II და III ჯგუფებში შეადგენს შესაბამისად 2,21; 1,79; 1,83 სკალაზე 1-დან "დიახ, ნამდვილად", 4-მდე "ნამდვილად არა").

ამ მოლოდინებიდან გამომდინარე, სავსებით ლოგიკურია, რომ რეგიონების წარმომადგენელთა მეტი წილის განცხადებით, მათი მეუღლეები ბრაზდებიან ამ მოთხოვნების შეუსრულებლობისას. თუმცა აქ უკვე შეინიშნება გარკვეული განსვლა ორ ამ რეგიონს შორის: მეუღლეთა "გაბრაზების" მომენტი მეტი ინტენსივობით არის წარმოდგენილი აღმოსავლეთ საქართველოს ჯგუფში, მაშინ როდესაც დასავლეთ საქართველოს ქალებთან ისევ იჩენს თავს მდგომარეობის შელამაზების ტენდენცია (I ჯგ-ში - 36,8%, აქედან 14,1% - "დიახ, როგორც წესი", შესაბამისად, II და III ჯგუფებში - 41,5%, აქედან 20,2% და 45,1%, აქედან 23,2%). საშუალო მაჩვენებლების მიხედვით, რეგიონების წარმომადგენელთა საერთო პოზიცია მდებარეობს ზონაში ორ პასუხს შორის: "დიახ, როგორც წესი"

და "მეტწილად კი" (2,71 და 2,61 II და III ჯგუფებში), თბილისის რესპონდენტებთან - კი თითქმის ემთხვევა პასუხს "ზოგჯერ" - 2,94.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, არც ისაა მოულოდნელი, რომ თბილისელებთან შედარებით, რეგიონის რესპონდენტთა საგრძნობლად მეტი წილი აღიარებს, რომ ეშინიათ მეუღლის გაბრაზების და ეს შიში მათთან უფრო ერთმნიშვნელოვანია (თბილისში 24,7%, აქედან 7,6%- "რასაკვირველია კი", II და III ჯგუფებში, შესაბამისად, 36,8, აქედან 11,2%, და 38,7, აქედან 15,5%).

ღიად გამოვლენილი ფსიქოლოგიური ძალადობის ფორმები განსხვავებული ხარისხით არის გავრცელებული ამა თუ იმ რეგიონში. აქედან გამომდინარე, შესაძლებელია ორი ძირითადი ტენდენციის გამოყოფა:

1. ფსიქოლოგიური ძალადობის ყველაზე გავრცელებული ფორმები – სიტყვიერი შეურაცხყოფა, ცუდი გუნება–განწყობილების ან საკუთარი შეცდომის ცოლისთვის გადმობრალება, ეჭვიანობის სცენების მოწყობა –, ისევე როგორც ფსიქოლოგიური ძალადობის შედარებით ნაკლებად გავრცელებული ფორმები თითქმის ერთნაირი ხარისხით გვხვდება სამივე ჯგუფის რესპონდენტებთან. თუმცა ამ შემთხვევაშიც დასავლეთ საქართველოს რესპონდენტთა მაჩვენებლები უფრო დაბალია სხვა რეგიონის წარმომადგენლებთან დაფიქსირებულთან შედარებით. ერთადერთ გამონაკლისს წარმოადგენს სიტყვიერი შეურაცხყოფის შემთხვევები, რომლებიც ამ (II) ჯგუფში უფრო გავრცელებული აღმოჩნდა ("ხშირად" და "ზოგჯერ" - 45,7%, წინააღმდეგ 42,6% და 40,30% -სა I და III ჯგუფებში).
2. იკვეთება ძალადობის ფორმები, რომლებიც უფრო გავრცელებულია და ინტენსიურად არის წარმოდგენილი აღმოსავლეთ საქართველოში, ესაა: "რაიმეზე თანხმობის მისაღებად მუქარის ან ზეწოლის გამოყენება" ("ხშირად" და "ზოგჯერ" - 15,5%, წინააღმდეგ 10,2% -სა და 9,7% -სა I და II ჯგუფებში); "ოჯახის წევრების და მეგობრების წინაშე დამცირება" (18,7% წინააღმდეგ 11,6%-სა და 9,3% -სა შესაბამისად); "სექსუალური აქტივობის დაძალება, რომლისთვისაც მზად არ არის" (16,5%, 9,8% და 8,9% შესაბამისად); "ისეთი სექსუალური აქტივობის დაძალება, რომელიც მიუღებელი იყო მისთვის" (6,1% წინააღმდეგ 3,7% და 4,7%-სა).

რაც შეეხება ფსიქოლოგიური ჩაგვრის ისეთ ფორმებს, როგორიცაა საყვედურები და კრიტიკა, ყველა მისი ცალკეული სახე უფრო გავრცელებულია და თან უფრო ინტენსიურად ვლინდება თბილისელ რესპონდენტებთან. ეს სხვაობა შესაბამის მონაცემებს შორის არ ფიქსირდება მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში - ყველაზე იშვიათ (როგორიცაა კრიტიკა, რომელიც ეხება ქმართან ურთიერთობის ინტიმურ მხარეს, სამსახურს) და ყველაზე გავრცელებულ (კრიტიკა, რომელიც ეხება ქმრისადმი დამოკიდებულებას, რომ ის არ ზრუნავს მასზე და ა. შ.) სახეებთან დაკავშირებით. თუმცა ეს სხვაობა ამ ბოლო შემთხვევაშიც ვლინდება, მართალია, შედარებით ნაკლები ინტენსივობით ("არასოდეს"- 45,1% წინააღმდეგ 55,8% და 50,6% -სა II და III ჯგუფებში). საყვედურების ყველა დანარჩენ სამიზნეებთან დაკავშირებით ეს სხვაობა საკმაოდ შესამჩნევია (7%-დან 20%-მდე). განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სხვაობა თბილისისა და რეგიონების მონა-

ცემებს შორის ვლინდება იმ შემთხვევაში, როდესაც საყვედურები ეხება როგორც ცოლის, ასევე ქმრის ახლო სოციალურ წრეს (მშობლებს, მეგობრებს და ა.შ.). აქვე შევნიშნავთ, რომ მიუხედავად ორივე რეგიონის (II და III ჯგუფების) მაჩვენებლების სიახლოვისა, ძალადობის ამ სახეებთან დაკავშირებითაც უმრავლეს შემთხვევაში ვლინდება დასავლეთ საქართველოსთვის დამახასიათებელი შერბილების ტენდენცია.

განსხვავებული ტენდენციები გამოვლინდა აკრძალვებთან დაკავშირებითაც. ამჯერად ეს განსხვავება გამოიხატა რესპონდენტთა იმ ნაწილის მკვეთრ მატებაში, რომლებიც თავს არიდებენ პასუხს. ამ კატეგორიის რესპონდენტთა უმრავლესობა ფიქსირდება აღმოსავლეთ საქართველოს მცხოვრებთა შორის და აგრეთვე თბილისში, თუმცა ამ უკანასკნელებთან – შედარებით ნაკლები ხარისხით. თავშეკავების ეს პოზიცია ვლინდება აკრძალვების უკლებლივ ყველა მიწოდებული სიტუაციის შემთხვევაში და III ჯგუფში მოიცავს რესპონდენტთა 21,9-დან 32-მდე, ხოლო I ჯგუფში - 11,6-დან 14,4 -მდე პროცენტს, მაშინ, როდესაც II ჯგუფში ეს მაჩვენებელი დიდად არ განსხვავდება სხვა კითხვებთან დაკავშირებით დაფიქსირებული შესაბამისი მონაცემებისგან (3,5-დან 4,7-მდე პროცენტი).

დასავლეთ საქართველოს მცხოვრებნი, როგორც ყოველთვის, მეტად უარყოფენ ამ სახის ძალადობის გამოვლინებას მათ მიმართ და, შესაბამისად, აქაც ბევრად უფრო შემსუბუქებულ სურათს ქმნიან. თუმცა სწორედ თავშეკავებულთა დიდი წილის წყალობით, რომელიც დაფიქისირდა III და I ჯგუფებში, პარადოქსული ვითარება შეიქმნა: ერთი მხრივ, აღმოსავლეთ საქართველოს ჯგუფში დადგინდა აკრძალვების გამოვლინებათა დაბალი მაჩვენებელი – უფრო დაბალი, ვიდრე დასავლეთ საქართველოს რესპონდენტებთან, მეორე მხრივ კი, მათთან ამ ტიპის ძალადობის უარყოფის მაჩვენებლებიც გაცილებით დაბალია (30%-დან 60%-მდე, მაშინ, როდესაც II ჯგუფში შესაბამისი მაჩვენებლები 72,1%-დან – 83,3%-მდეა), თბილისისა და, განსაკუთრებით, II რეგიონის მონაცემებთან შედარებით. ნაკლები სხვაობით, მაგრამ აბსოლუტურად იგივე სიტუაცია გვაქვს თბილისის შემთხვევაშიც.

უარყოფითი ემოციური განცდები, როგორც შედეგი მეუღლესთან ურთიერთობისა, თითქმის თანაბარი ხარისხით არის წარმოდგენილი ყველა გამოყოფილ ჯგუფში. ეს შეეხება როგორც განცდების ინტენსივობას, ასევე მათი გავრცელების მასშტაბებს. შესაბამისად, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მიღებული სურათი დიდად არ განსხვავდება მთლიან შერჩევაში დადგენილისგან. თუმცა აღსანიშნავია ერთი, მართალია, სუსტი ინტენსივობის, მაგრამ სტაბილური ტენდენცია, რომელიც გამოვლინდა თითქმის ყველა აღებული ემოციური მდგომარეობის შემთხვევაში. კერძოდ, სხვა ორი ჯგუფის წარმომადგენლებთან შედარებით, აღმოსავლეთ საქართველოს რესპონდენტების მეტი წილი და მეტი ხარისხით განიცდის ამ უარყოფით ემოციებს. ერთადერთი განცდა, რომელიც ამ კატეგორიის რესპონდენტებთან შედარებით ნაკლებად ვლინდება, ესაა დამცირების გრძნობა. აქვე საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ მეორე რეგიონის – დასავლეთ საქართველოს ქალებთანაც ეს განცდები საკმაოდ გავრცელებულია და თავისი გამოვლენის ინტენსივობით არათუ ჩამოუვარდება I ჯგუფის რესპონდენტებთან გამოვლენილი ემოციების ხარისხს, არამედ განცდათა უმეტეს შემთხვე-

ვაში აღემატება კიდევაც თბილისის შესაბამის მაჩვენებლებს და ემსგავსება III რეგიონის მონაცემებს. ესაა – დანაშაულის გრძნობა (საშუალო მაჩვენებელი სკალაზე 1-დან "ხშირად"– 4-მდე "არასოდეს" 3,17; 3,17 და 3,36 - II, III და I ჯგუფებში), საკუთარ თავში დაურწმუნებლობა (3,14; 3,07 და 3,17 - II, III და I ჯგუფებში); შიში და შფოთვა (3,19; 3,08 და 3,27 –II, III და I ჯგუფებში); უძლურება და უუფლებობა (3,46; 3,32; 3,53 – II III და I ჯგუფებში); სურვილი, რომ ყველამ თავი დაანებოს (2,42; 2,39 და 2,56 – II, III და I ჯგუფებში). თბილისელებთან, მეორე ჯგუფთან შედარებით, უფრო ინტენსიურად არის გამოხატული მხოლოდ სამი განცდა – "სინანული, რომ ხმა ამოიღო და მდგომარეობა გაიუარესა" (3,25; 2,79 და 3,14 – II, III და I ჯგუფებში), დამცირების გრძნობა (3,48; 3,2 და 3,36 – II, III და I ჯგუფებში) და დაძაბულობა (2,89; 2,84 და 2,78 – II, III და I ჯგუფებში).

თავისუფალი დროის საკუთარი შეხედულებისამებრ გატარების თვალსაზრისით, რეგიონისა და თბილისის მცხოვრებთა შორის არ შეინიშნება რაიმე არსებითი განსხვავება ("საკმაოდ ხშირად" და "ზოგჯერ" იყენებს თავისუფალ დროს 47%; 49,2% და 49,7% – I, II და III ჯგუფებში, შესაბამისად). ძირითად მიზეზს იმისა, თუ რატომ ვერ სარგებლობენ თავისუფალი დროით დანარჩენი რესპონდენტები, წარმოადგენს უდროობა და შესაბამისი სურვილის არქონა. ამასთან ერთად, ორი სხვა ჯგუფისგან განსხვავებით, III ჯგუფის წარმომადგენლებთან გაცილებით უფრო აქცენტირებული აღმოჩნდა მეუღლის წინააღმდეგობის მოტივი (19,6% წინააღმდეგ 12,7%-სა და 13,1%-სა I და II ჯგუფებში).

ამის პარალელურად, ქმრის მხრიდან ეჭვიანობასა და უნდობლობასთან დაკავშირებით განსხვავებული ტენდენცია დაფიქსირდა აღმოსავლეთ საქართველოს წარმომადგენლებთან, რომლებთანაც ამგვარი შემთხვევები ნაკლებად არის გავრცელებული და ნაკლები ინტენსივობით ვლინდება ("არასოდეს" 70,3% წინააღმდეგ 59,7%-სა I და II ჯგუფებში).

ასაკობრივი თავისებურებები

ფსიქოლოგიური ძალადობის თვალსაზრისით შემდეგი ტენდენციები იკვეთება:

- ასაკის მატებასთან ერთად ნაკლებად აცხადებენ, რომ მეუღლის მხრიდან უგრძვნიათ, რომ არ ძალუძთ დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღება ("ხშირად" და "ზოგჯერ" 28,3%, 28,8%, 21,3% I–III ჯგუფები), მეტად უგრძვნიათ ეს ადრე (9,6%, 10,5%, 14,8% I–III ჯგუფები); ნაკლებად აგრძნობინებენ, რომ არაფერს წარმოადგენს და მეუღლის გარეშე დაიღუპება (36,4%, 33,9%, 30,3% I–III ჯგუფები) და მით უფრო გრძნობდნენ ამ დამოკიდებულებას ადრე (9,9%, 11,1%, 15,6% I–III ჯგუფები);
- ყველა ასაკის წარმომადგენელს ერთნაირად უჩნდება განცდა, რომ მისი მეუღლე სათანადოდ არ აფასებს მის მიზნებსა და მიღწევებს (საშ. მაჩვენებელი 3,4; 3,36; 3,37 I–III ჯგუფები); ყველა ჯგუფში ერთნაირად მაღალია მათი წილი (60-64,7%), ვინც აცხადებს, რომ მათი ცხოვრების ერთ-ერთ მთავარ მიზნად იქცა მეუღლის ყველა მოთხოვნისა და სურვილის შესრულება;
- ასაკთან ერთად იმატებს მათი რიცხვი, ვინც ფიქრობს, რომ მისი მეუღლე მო-

ელის ყველა თავისი მოთხოვნის შესრულებას (72,4%, 75,4%, 81,1% I–III ჯგუფები), განსაკუთრებით უკიდურეს პოზიციას ავლენენ ამ შემთხვევაში უფროსი ასაკის ქალები ("დიახ, ნამდვილად" – 34,2%, 31,7%, 45,9% I–III ჯგუფები);

- ამავდროულად, ასაკთან ერთად მცირდება მათი წილი, ვინც აცხადებს, რომ მეუღლე ბრაზდება ამ მოთხოვნების შეუსრულებლობისას (42,0%, 40,5%, 36,9% I–III ჯგუფები) და რომ მათ ეშინიათ მეუღლის გაბრაზების (35,8%, 30,5%, 27,9% I–III ჯგუფები);
- სხვადასხვა სახის მუქარისა და ზეწოლის გამოვლინებები უფრო აქცენტირებულია ახალგაზრდა რესპონდენტებთან. კერძოდ, ზეწოლის 13 სიტუაციიდან 7-ში ახალგაზრდების მეტი წილი აღნიშნავს ძალადობის ამა თუ იმ შემთხვევას: მუქარა ან ზეწოლა რაიმეზე თანხმობის მისაღებად (საშ. მაჩვენებელი სკალაზე 1-დან "ხშირად"– 5-მდე "არასოდეს" - 4,22; 4,4; 4.34 I–III ჯგუფები); დამცირება ოჯახის წევრების ან მეგობრების წინაშე (საშ. მაჩვენებელი (4,11; 4,28; 4,28 შესაბამისად); გაბრაზებულ გულზე სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენება (3,04; 3,08; 3,2); უსაბაბოდ ეჭვიანობის სცენების მოწყობა (4,01; 4,14; 4,31); მათი მხარდაჭერა, ვინც აკრიტიკებს (4,19; 4,24; 4,29); მუქარა, რომ მიატოვებს და შვილებს წაართმევს (4,72; 4,8; 4,88); დასჯის მიზნით ფულის არმიცემა (4,72; 4,79; 4,83, შესაბამისად I–III ჯგუფები). დანარჩენ პუნქტებთან დაკავშირებით განსხვავებები არ შეინიშნება.
- ანალოგიური ვითარება ფიქსირდება აკრძალვებთან დაკავშირებით: 11 მიწოდებული სიტუაციიდან 6 შემთხვევაში ახალგაზრდების ჯგუფში მეტად არის წარმოდგენილი კრიტიკისა და საყვედურების ხარისხი. ასაკთან ერთად შეინიშნება იმ რესპონდენტების კლება, ვინც მიუთითებს ამგვარი შემთხვევების შესახებ მათთან. ახალგაზრდების მეტი წილი განიცდის კრიტიკას შემდეგი ასპექტებით: დამოკიდებულება მეუღლის მშობლებისადმი (საშ. მაჩვენებელი სკალაზე 1-დან "ხშირად"– 5-მდე "არასოდეს" - 4,17; 4,24; 4,45 I–III ჯგუფები); საყვედურები მისი საკუთარი მშობლებისა (4,22; 4,38; 4,59) და მეგობრების (4,37; 4,55; 4,64), აგრეთვე შეხედულებებისა (4,06; 4,17; 4,3) და ცხოვრების წესის (4,19; 4,28; 4,35) გამო.
- აკრძალვების უკლებლივ ყველა შემთხვევა უფრო წარმოდგენილია ახალგაზრდების ჯგუფში. ასაკის მატებასთან ერთად უმრავლეს შემთხვევაში ეს აკრძალვები ნაკლებად ვლინდება.
- უარყოფითი ემოციური განცდების ხარისხი თანაბრად არის წარმოდგენილი ყველა ასაკობრივ ჯგუფში.
- ასაკთან ერთად მცირდება ქალის გადაადგილების გაკონტროლების შემთხვევები. ახალგაზრდებთან ამგვარი პრობლემა გაცილებით უფრო აქცენტირებულია (32,6%, აქედან 15,5% - "ნამდვილად ასეა"; 22,4%, აქედან - 9,9%; 14,7%, აქედან 5,7% I–III ჯგუფები).
- ამასთანავე, ასაკთან ერთად მცირდება თავისუფალი დროის საკუთარი შეხედულებისამებრ გატარება (55,6%, 44,6%, 41,8% I–III ჯგუფები).
- იმის ასახსნელად, თუ რატომ ვერ სარგებლობენ თავისუფალი დროით, ახალ-

გაზრდებთან ნაკლებად არის წარმოდგენილი დროისა და სურვილის უქონლობა, სამაგიეროდ, მათთან უფრო ხაზგასმულია მეუღლის წინააღმდეგობის მოტივი (20,5%, 12,6%, 10,5% I–III ჯგუფები).

დასკვნები

- შეიძლება ითქვას, რომ სწორედ ფსიქოლოგიური ხასიათის ძალადობის ნიშნებში აისახება ზოგადად ძალადობის (ფიზიკური თუ სხვა) გამოვლინებათა ხარისხი და სიხშირე.
- ფსიქოლოგიური ხასიათის ძალადობის გამოვლენა მეტად მასშტაბურია თავისი გავრცელების ხარისხის მხრივ და მრავალგვარია, უფრო ზუსტად კი, ყოვლისმომცველია: დაწყებული ეჭვიანობით, საურთიერთობო სოციალური წრის შეზღუდვით და დამთავრებული ჩაგვრის ისეთი დახვეწილი და ულმობელი ფორმით, როგორიცაა პიროვნული ღირესების შელახვა და გაუფასურება.
- ქალთა დიდი ნაწილისთვის ამგვარი ფსიქოლოგიური ზეწოლა, თავისი მრავალგვარი გამოვლინებებით, მათი ცხოვრების განუყოფელ კომპონენტად იქცა. ესაა საყვედურების, კრიტიკის, აკრძალვების, მოთხოვნებისა და მოლოდინების (რეალური და ქალთა მიერ ნავარაუდევი) მთელი სისტემა, რომელიც ისევ და ისევ უკავშირდება ქალისთვის "ადგილის მიჩენას", მისი ფუნქციებისა და მნიშვნელობის შემოსაზღვრას ოჯახის ფარგლებით, მისით მანიპულირებასა და მასზე ძალაუფლების განხორციელებას.
- ფსიქოლოგიური ჩაგვრის ღიად გამოვლენილ უკიდურესად უხეშ (ლანძღვა-გინება, აკრძალვები) ფორმებთან ერთად ფართო მოხმარებაშია აგრეთვე ძალადობის უფრო ნატიფი, დახვეწილი სახეები, რომლებიც ხშირად ვერბალურ გაფორმებასაც არ საჭიროებს, თუმცა, შესაძლოა, უფრო დამანგრველ ეფექტს აღწევდეს და არანაკლებ ქმედით კონტროლის მექანიზმს წარმოადგენდეს. ესაა გამუდმებული მინიშნება ქალის უსუსურობასა და მის უნიათობაზე, უუფლებობასა და პიროვნულ არაეფექტურობაზე. შესაბამისად, ქალთა დიდი ნაწილი, თუ სისტემატურად არა, საკმაოდ ხშირად შფოთვისა და დეპრესიული განცდების მატარებელია.
- სიმპტომატურია, რომ მთლიანობაში, ფსიქოლოგიური ძალადობის ესა თუ ის ფორმა (როგორც გამოვლინებათა სიხშირის, ასევე გავრცელების მასშტაბების მხრივ) გარკვეულწილად რეგიონალური სპეციფიკით არის აღბეჭდილი. კერძოდ, აღმოსავლეთ საქართველოში, სადაც, რესპონდენტთა შეფასებებიდან გამომდინარე, უფრო მკვეთრად ვლინდება სხვა კატეგორიის ძალადობის ფორმებიც – ეკონომიკური, ფიზიკური და ა.შ., უფრო მძლავრად არის წარმოდგენილი აგრეთვე ფსიქოლოგიური ძალადობის ფორმათა უმრავლესობა. ეს ტენდენცია მჟღავნდება ფსიქოლოგიური ძალადობის როგორც ღიად გამოვლენილ ფორმებთან (მუქარა, დამცირება, სექსუალური აქტივობის დაძალება, გაბრაზება მოთხოვნების შეუსრულებლობის გამო, სხადასხვა სახის აკრძალვები) დაკავშირებით, ასევე ღირსების შემლახავი შეფასებების, უარყოფითი ემოციური განცდების გამოვლენის ინტენსივობის მხრივ. დასავლეთ საქართველოში ამ ფონზე შედარებით ზომიერი სურათი აღინიშნება.

- ამავდროულად ორივე რეგიონისთვის კრიტიკული მნიშვნელობის და, შესაბამისად, არსებითი ხასიათისა აღმოჩნდა ქმრის მიმართ თავდადების გამოჩენა, რის შედეგიცაა ამ უკანასკნელის ინტერესთა ქალის ცენტრალურ სასიცოცხლო ამოცანად ქცევა. ყოველ შემთხვევაში, ქალის ამგვარი თავდადება მისაბაძ და სანიმუშო მოდელად წარმოგვიდგება.
- ნიშანდობლივია ისიც, რომ თბილისის რესპონდენტებთან, სხვა რეგიონების წარმომადგენლებთან შედარებით, უფრო აქცენტირებულია კრიტიკისა და საყვედურების სიმრავლე და ინტენსივობა, განსაკუთრებით, მათი საურთიერთობო წრისადმი მიმართული, რაც გულისხმობს არჩევანის თავისუფლების შეზღუდვას, გარე სამყაროსგან ქალის იზოლირებას.
- ფსიქოლოგიური ზეწოლის განსაკუთრებით მაღალი ხარისხი ვლინდება ახალგაზრდა რესპონდენტების მიმართ, რომლებიც მეტად არიან (რეალურად თუ განცდისეულ დონეზე) მოქცეულნი შეზღუდვებისა და ჩაგვრის მთელ სისტემაში. ამ ფონზე საშუალო ასაკისა და, კიდევ უფრო მეტად, უფროსი თაობის ქალები თითქოს მეტი თავისუფლებით სარგებლობენ და უფრო გამართულები ჩანან. იქმნება შთაბეჭდილება, რომ მათ ეს ყველაფერი უკვე მოილიეს და ამჟამად უფრო ფესვგამდგარი და ძლიერები გახდნენ. მაგრამ ეს შთაბეჭდილება ეჭვს ქვეშ დგება, თუ გავითვალისწინებთ იმ ემოციურ დისკომფორტს, რომელსაც ყველა თაობის რესპონდენტი ერთნაირად განიცდის, და იმ გარემოებას, რომ ყველა მათგანი თავის ერთ-ერთ მთავარ დანიშნულებასა და მიზანს მეუღლის მომსახურებაში ხედავს. შესაძლოა, ზეწოლის შესუსტების მთავრ მექანიზმს წარმოადგენს სწორედ რომ მეტი მორგება ქმრისგან მომდინარე მოთხოვნებისადმი და საკუთარი თავისუფლების ნებაყოფლობით შეზღუდვა (რასაც ადასტურებს თუნდაც უფროსი თაობის წარმომადგენელთა მაღალი ვარაუდი – მეუღლე მოელის ყველა მისი მოთხოვნის შესრულებას).

6. ცოლ-ქმარს შორის ჩხუბის (კონფლიქტის) მიზეზები

კონფლიქტის წამოწყების ინიციატორები თანაბრად არიან როგორც ქალები (37,3%), ასევე მათი მეუღლეები (33,6%). ზოგიერთი რესპონდენტის განცხადებით, მისი მხრიდან კონფლიქტის წამოწყება გაპირობებულია ქმრის საქციელით (სიმთვრალით, უსაქმურობით და ა.შ.) და, ამდენად, პასუხისმგებლობა ჩხუბზე ამ უკანასკნელს უნდა დაეკისროს. გამოკითხულთა ნაწილი (10,8%) კონფლიქტის წამოწყებაში ოჯახის სხვა წევრებს ადანაშაულებს, კერძოდ, ყველაზე ხშირად სახელდებიან უფროსი თაობის წარმომადგენლები და შვილები.

ცოლ-ქმარს შორის კონფლიქტისა და აგრესიის გამოვლენის მიზეზები პირობითად სამ კატეგორიად შეიძლება დაჯგუფდეს: დაკავშირებული (1) ქალთან; (2) ქმართან; (3) ზოგადი ხასიათის ან მესამე პირებთან დაკავშირებული მიზეზები.

დასახელების სიხშირის მიხედვით თითოეული ამ კატეგორიის მიზეზები შემდეგი სახით შეიძლება წარმოვადგინოთ (იხ. ცხრ. №34):

ცხრილი №34 *კ.19. რა ხდება თქვენსა და მეუღლეს შორის კონფლიქტისა და აგრესიის გამოვლენის ყველაზე ხშირი მიზეზი?*

1. მიზეზები, რომლებიც უკავშირდება უშუალოდ ქალს ან მის მიმართ განხორციელებულ ქმედებებს	დასახელებათა განაწილება
(3) ცოლის დამოუკიდებლობა თავის შეხედულებებში	14,7%
(11.1) სხვებზე გაბრაზების ან გაღიზიანების ცოლზე გადმოტანა	14,6%
(2) ქალის ურჩობა (შეპასუხება, საკუთარი პოზიციების დაცვა)	13,7%
(6.1) ეჭვიანობა ცოლზე	10,5%
(18) სხვადასხვა სახის აკრძალვები ქმრის მხრიდან (ჩაცმულობა, გარეთ გასვლა, მეგობრები და ა.შ.)	10,3%
(23) ქმრის უხეში დამოკიდებულება	9,3%
(5) ცოლის მიერ მეტი ყურადღების დათმობა თავისი სამსახურეობრივი თუ პროფესიული წინსვლისადმი, ვიდრე ოჯახური მოვალეობებისადმი	6,6%
(25) ცოლის დამცირება სხვების თვალში	6,2%
(8) ცოლის მიერ ფულის უყაირათოდ ხარჯვა	4,9%
(26) ქმრის მცდელობა აკონტროლოს ცოლის ყველა ნაბიჯი	4,7%
(14.1) უკმაყოფილება ცოლის მეგობრებით	4,0%
(15) ქალის მიერ გადაწყვეტილებების დაუკითხავად მიღება	3,8%
2. მიზეზები, რომლებიც უკავშირდება უშუალოდ ქმარს ან მის მიმართ განხორციელებულ ქმედებებს	დასახელებათა განაწილება
(21.1.) ქმრის ხშირი სმა	23,8%
(7) ცოლის მხრიდან საყვედურები	17,1%
(17) ქმრის უსაქმურობა (არ მუშაობს, არ ეხმარება საოჯახო საქმეებში)	14,8%
(20) ქმრის მიერ მეტი ყურადღების დათმობა თავისი სამსახურეობრივი თუ პროფესიული წინსვლისადმი, ვიდრე ცოლისა და ოჯახისადმი	12,8%
(29.1) მთვრალ მდგომარეობაში ყოფნა	12,2%
(29.2) ნარკოტიკული ნივთიერებების მოხმარება ან ნარკოტიკული ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ ყოფნა	8,4%
(11.2) სხვებზე გაბრაზების ან გაღიზიანების ქმარზე გადმოტანა	8,1%
(14.2)უკმაყოფილება ქმრის მეგობრებით	6,9%
(19) ქმრის ღალატი	6,8%
(31) ქმრის სრული დამოკიდებულობა მშობლების აზრზე თუ ნებაზე	4,8%
3. ზოგადი ხასიათის ან მესამე პირებთან დაკავშირებული მიზეზები	დასახელებათა განაწილება
(30) ფინანსური პრობლემები	34,5%
(22) უმნიშვნელო ან ყოველგვარი საბაბის გარეშე	19,1%
(4) მეუღლის მშობლებთან ურთიერთობის პრობლემები	18,9%
(27) შეუთანხმებლობა შვილების აღზრდა-განათლებაში	12,5%
(28) მეუღლეებს შორის ურთიერთობებში მათი მშოლების ან ნათესავების ჩარევა	12,2%
(12) სხვების მხრიდან წაქეზება	7,6%
(16) უსიყვარულობა /გრძნობების გაქრობა	4,1%

როგორც ვხედავთ, კონფლიქტის წარმოშობის საკმაოდ ტრადიციული ფაქტორების - ფინანსური, მეუღლის მშობლებთან და ნათესავებთან დაკავშირებული პრობლემების - პარალელურად მეტად გავრცელებულ მიზეზთა კომპლექსს

ქმნის უშუალოდ ქალის ჩაგვრის გამომხატველი ქმედებები, რომლებსაც მიეკუთვნება თითქმის მთლიანად I ჯგუფში გაერთიანებული მიზეზები. აქვე გასათვალისწინებელია ისეთი მოვლენის გავრცელების მაღალი ხარისხი, როგორიცაა ქმრის ხშირი სმის, სიმთვრალის ან ნარკოტიკების მოხმარებისა და მათი ზემოქმედების ქვეშ ყოფნის გამო კონფლიქტების აღმოცენება და აგრესიის გამოვლენა. როგორც აღმოჩნდა, არცთუ იშვიათად ამგვარი კონფლიქტები უმნიშვნელო ან ყოველგვარი საბაბის გარეშეც ჩნდება.

რეგიონის სპეციფიკა

თუმცა მთლიანობაში, კონფლიქტისა და აგრესიის გამოვლენის მიზეზთა განაწილება სხვადასხვა ჯგუფში ემთხვევა მთლიან შერჩევაში მიღებულ სურათს, მაინც შესაძლებელია საკმაოდ მკაფიოდ გამოხატული ტენდენციების არსებობაზე საუბარი.

უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია ის მყარი და ერთმნიშვნელოვანი ტენდენციის სახით გამოვლენილი სხვაობა ჯგუფების მონაცემებს შორის, როდესაც საქმე ეხება ქალთან დაკავშირებულ მიზეზებს. ამ კატეგორიის მიზეზები (ორი გამონაკლისის გარდა) მეტად არის აქცენტირებული თბილისელ რესპონდენტებთან, ყველაზე ნაკლებად კი – აღმოსავლეთ საქართველოში. განსაკუთრებით მკაფიოდ ეს განსხვავება ვლინდება ამ კატეგორიის ყველაზე გავრცელებული მიზეზების შემთხევაში (მე-(3) მიზეზი – 17,5%; 14,2%; 11,2%. –I, II, III ჯგ-ში; (11.1) მიზეზი – 16,3%; 15,9%; 11,2%. (18) მიზეზი – 12,0%; 9,3%, 8,7%. (2) მიზეზი – 17%; 7,7%[8]; 14% – I, II, III ჯგ-ის, შესაბამისად). შებრუნებული სიტუაცია, ანუ ისეთი განაწილება, როდესაც, თბილისთან შედარებით, უფრო მაღალი მაჩვენებელია მიღებული აღმოსავლეთ საქართველოს მცხოვრებლებთან, ფიქსირდება ისეთ მიზეზებთან მიმართებაში, როგორიცაა "ქმრის უხეში დამოკიდებულება" (9,6%; 6,5%; 11,2% – I, II, III ჯგ-ში) და "ცოლის დამცირება სხვების თვალში" (5,5%; 5,7%; 7,7% I II, და III ჯგ-ში, შესაბამისად).

სხვა კატეგორიის მიზეზებთან დაკავშირებით არ იქნა დაფიქსირებული ერთმნიშვნელოვანი განსხვავება. მამაკაცთან (ქმართან) დაკავშირებული მიზეზების ნაწილი თითქმის თანაბარი ხარისხით არის წარმოდგენილი ყველა გამოყოფილ ჯგუფში ((17) მიზეზი 15,8%; 12,2%; 15,7%; (29,1) მიზეზი – 3,1%; 2,4%; 3,5% I–III ჯგუფებში შესაბამისად). თუმცა გამოიყოფა რიგი მიზეზებისა, რომლებიც განსაკუთრებული სიხშირით გვხვდება ამა თუ იმ რეგიონში ((7) მიზეზი - 20,6%; 15,0%; 13,6%; (20) მიზეზი - 17,7%; 8.1%; 9,8%; (21,1) მიზეზი - 22,7%; 20,7%; 28%; (21.2) მიზეზი - 4,8%; 4,5%; 6,6% I – III ჯგუფებში, შესაბამისად).

იგივე შეიძლება ითქვას ზოგადი ხასიათის მიზეზებზეც, რომელთა შორის ზოგიერთი დაახლოებით ერთნაირი ხარისხით არის წარმოდგენილი სხვადასხვა რეგი-

8 როგორც ჩანს, "ქალის ურჩობა" დასავლეთ საქართველოს რესპონდენტებისთვის ეწინააღმდეგება "კარგი ქალის" სტერეოტიპს და ამდენად, იგი მათთან გაცილებით ნაკლებად ფიგურირებს, როგორც მათ ოჯახებში კონფლიქტის გამომწვევი მიზეზი.

ონში ((4) მიზეზი - 20,1%; 17,1%; 18,9%; (12) მიზეზი - 7,9%; 8,1%; 6,6%; (28) მიზეზი - 11,2%; 9,3%; 13,6% I - III ჯგუფებში შესაბამისად), ზოგი კი პრევალირებს ამა თუ იმ რეგიონში ((30) მიზეზი - 33,7%; 33,7%; 39,2%; (22) მიზეზი - 22%; 16,7%; 16,8% I - III ჯგუფებში, შესაბამისად). ამასთანავე ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ მიზეზთა კატეგორიის მიუხედავად, მთლიანობაში გაცილებით უფრო შეიმჩნევა გამოკვეთილ (მეტი სიხშირით წარმოდგენილ) მიზეზთა სიმრავლე თბილისელ რესპონდენტებთან, ვიდრე სხვა ჯგუფების წარმომადგენლებთან.

რეგიონებში უთანხმოების მიზეზთა დასახელების ხარისხი მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული იმაზე, თუ ვინ არის უთანხმოების სამიზნე ობიექტი. როგორც დასავლეთ, ასევე, განსაკუთრებით, აღმოსავლეთ საქართველოში კონფლიქტის აღმოცენების მიზეზებს ნაკლებად უკავშირებენ ქალის ამა თუ იმ მახასიათებლებს, რაც შესაძლოა, წარმოადგენს მცდელობას, აირიდონ საკუთარი პასუხისმგებლობა და თავი დაიცვან. სინამდვილეში კი, ამგვარ პოზიციას ქმრის გამართლებასთან უფრო მივყავართ, ვიდრე საკუთარი თავისა. საკუთარი თავის გამართლების პოზიცია უფრო დამახასიათებელი აღმოჩნდა აღმოსავლეთ საქართველოს მკვიდრთათვის, რასაც ადასტურებს ის გარემოებაც, რომ სწორედ მათ შორისაა ყველაზე ნაკლები იმ ქალების წილი, რომლებიც კონფლიქტის ინიციატორებად საკუთარ თავს მიიჩნევენ (32,9% წინააღმდეგ 39,5% და 38,9%-სა II და I ჯგუფებში). შესაბამისად, მათ შორის მეტია იმ ქალთა წილი, ვინც კონფლიქტის ინიციატორად მეუღლეს მიიჩნევს (35,2% წინააღმდეგ 32,2% და 33%-სა II და I ჯგუფებში).

ორივე რეგიონში – აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში – მეტია მცდელობა, გადაიტანონ პასუხისმგებლობა ოჯახის სხვა წევრებზეც (12,6% და 12,4% III და II ჯგუფებში წინააღმდეგ 8,8%-სა I ჯგუფში).

ასაკობრივი თავისებურებები

ასაკთან ერთად იზრდება მათი წილი, ვინც მიუთითებს, რომ კონფლიქტი მისი მიზეზით იწყება (35,8%, 38,1%, 37,7% I–III ჯგუფები), და ასევე მათი წილიც, ვინც მეუღლეს მიიჩნევს კონფლიქტის ინიციატორად (32,9%, 32,7%, 38,5% I–III ჯგუფები). სამაგიეროდ, ახალგაზრდები და საშუალო თაობის წარმომადგენლები მეტად აბრალებენ ჩხუბის წამოწყებას ოჯახის სხვა წევრებს (7,8%, 9,7%, 5,7%).

კონფლიქტის მიზეზებიდან ახალგაზრდა რესპონდენტებთან მეტად არის აქცენტირებული ქალთან დაკავშირებული მიზეზები, მაშინ, როდესაც უფროსი თაობის წარმომადგენლები მეტად უსვამენ ხაზს ქმართან დაკავშირებულ მიზეზებს.

დასკვნები

- ამრიგად, გარედან მომდინარე - მატერიალური ხასიათის და მესამე პირებთან დაკავშირებული სირთულეების - ზეწოლის ქვეშ მყოფ ცოლ-ქმარს შორის ურთიერთობები ხშირად მწვავდება აგრეთვე ე.წ. შიდა ზეწოლების გამო,

რომელთა შორის დიდი ადგილი უჭირავს უშუალოდ ქალის ჩაგვრის გამომხატველ ქმედებებს.

- ქალთან უშუალოდ დაკავშირებული კონფლიქტის ყველაზე გავრცელებული მიზეზები, პირობითად, ორ კატეგორიად არის დაყოფილი: ერთ-ერთის შემადგენელი ბირთვია ქალის დამოუკიდებლობა ან მცდელობა დაიცვას საკუთარი ინტერესები; მეორესი კი - ქმრის მცდელობა განახორციელოს კონტროლი. საბოლოო ჯამში, ორივე ჯგუფის მიზეზები უკავშირდება ქალის ბრძოლას თავისუფლებისათვის.
- მნიშვნელოვანია, რომ სწორედ ქალთან დაკავშირებული მიზეზების მიმართ გამოვლინდა რეგიონალური განსხვავებები - ყველაზე დიდი დატვირთვა (როგორც გავრცელებულობის, ასევე ინტენსივობის ასპექტით) ამ მიზეზებზე მოდის თბილისში და ყველაზე ნაკლები - რეგიონებში, განსაკუთრებით, აღმოსავლეთ საქართველოში. შესაძლებელია, ეს სხვაობა გაპირობებული იყოს რეგიონის ქალთა შეხედულებების მეტი კონსერვატიულობით (რაც შემდგომ საკითხებთან დაკავშირებითაც გამოჩნდა) და, შესაბამისად, დამოუკიდებლობის მიუღებლობით საკუთარ თავთან მიმართებაში. ასევე სავარაუდოა, რომ ქალთან დაკავშირებული მიზეზების ნაკლები წონა რეგიონებში პასუხისმგებლობის აცილების მცდელობაა. არც ეს ვარაუდია საფუძველს მოკლებული, ვინაიდან სწორედ იმ რეგიონში, სადაც ყველაზე მკაფიოდ გამოვლინდა ეს ტენდენცია, პასუხისმგებლობას კონფლიქტის გამოწვევისთვის მეტად აკისრებენ მამაკაცს, განსხვავებით სხვა რეგიონებისგან, სადაც საწინააღმდეგო ტენდენცია დაფიქსირდა.
- ის ტენდენცია, რაც შეინიშნება ზოგადად ასაკობრივ თავისებურებებთან დაკავშირებით, ამ შემთხვევაშიც გამოვლინდა – ახალგაზრდები, კონფლიქტის გამომწვევ ისეთ მიზეზებს უსვამენ ხაზს, რომლებიც უშუალოდ მათ უკავშირდება და მიანიშნებენ სწორედ მათ მიმართ განხორციელებული ძალადობრივი ქმედებების მეტ ხარისხზეც.

7. ვერბალური ძალადობა

კონფლიქტურ სიტუაციებში ძალადობის გამოვლენის პრიორიტეტული ფორმები

კონფლიქტურ სიტუაციებში ქმრის მიერ უკმაყოფილების გამოვლენის ფორმათა შორის აშკარად ჭარბობს სხვადასხვა სახის სიტყვიერი შეურაცხყოფა - ბუზღუნი და საყვედურები (53,2%), ყვირილი და ლანძღვა (31,9%). გაცილებით იშვიათად მიუთითებენ ფიზიკური შეხების შემთხვევათა შესახებ (11,1% - ცემა, ხელის კვრა, რაიმე ნივთის სროლა). მთლიანობაში კი, უკმაყოფილების გამოვლინებათა მდიდარი არსენალი მათი დასახელების სიხშირის მიხედვით შემდეგ იერარქიას ქმნის.

როგორც ვხედავთ, ვერბალური ძალადობის გამოვლინებათა ხარისხი საკმაოდ მაღალია. ამ ფორმის აგრესია გამოკითხულთა დიდ უმრავლესობას (85,1%) განუცდია, აქედან მესამედზე მეტს - მისი უკიდურესი გამოვლინებები: მუქარა,

ყვირილი და ლანძღვა. უკმაყოფილების გამოხატვის პრიორიტეტულ ფორმებს მიეკუთვნება აგრეთვე "სახლიდან წასვლა და დათრობა". საკმაოდ ხშირია აგრეთვე ირიბი აგრესიის შემთხვევები, როდესაც ჯავრს იყრიან ნივთებზე ან ოჯახის სხვა წევრებზე.

ცხრილი №35 *კ.20. ჩვეულებრივ, რა სახით ვლინდება ქმრის უკმაყოფილება თქვენით?*

	საერთო შერჩევის წილი	შემთხვევები
ბუზღუნებს ან საყვედურს გეუბნებათ	37,0%	53,2%
იგი გიყვირით და გლანძღავთ	22,0%	31,9%
ხმის ამოუღებლად სადმე განცალკევდება	13,7%	19,7%
სახლიდან მიდის და შემდეგ მთვრალი ბრუნდება	8,3%	12,0%
ჯავრს რაიმე საგნებზე ან ნივთებზე იყრის (ამტვრევს და ა.შ.)	3,5%	5,1%
ხელს ან მუჯლუგუნს გკრავთ	3,4%	4,9%
თავისი გაბრაზება ოჯახის სხვა წევრებზე გადააქვს	3,2%	4,6%
გცემთ	2,9%	4,1%
გემუქრებათ ცემით	2,6%	3,7%
გაბრაზებულ გულზე რაიმე ნივთს გესვრით	1,4%	2,1%

აღსანიშნავია, რომ თავად ქალებიც ანალოგიურ სიტუაციაში უკმაყოფილების გამოვლენის იმავე პრიორიტეტულ ფორმებს ირჩევენ, რასაც მათი მეუღლეები, იმ განსხვავებით, რომ ყველაზე გავრცელებული - ვერბალური აგრესიის გამომხატველი ქმედებები მათთან ნაკლები ხარისხით გვხდება (69,2%, აქედან 23,2% "ყვირილი და ლანძღვა" წინააღმდეგ 85,1% და 31,9%-ისა, შესაბამისად ქმრების შემთხვევაში) უფრო პასიური სტრატეგიების გამოყენების ხარჯზე (27,5% წინააღმდეგ 19,7%-სა). ამას ადასტურებს აგრეთვე "სხვა პასუხების" სახით მოცემული ალტერნატივები, რომელთა ძირითადი მასა პასიური აქტივობების გამომხატველია (ტირის, ჩუმდება, უკმაყოფილებას არ ავლენს, ან ვერ ბედავს მის გამოვლენას, არ იმჩნევს, იბუტება, გაყრაზე ფიქრობს). ცნობილია, რომ ამ ტიპის რეაქციები სიმპტომატიურია ძალადობის მსხვერპლისთვის. ქალები, მამაკაცებთან შედარებით, ნაკლები ხარისხით ავლენენ ირიბ აგრესიას (3,7% წინააღმდეგ 9,7%-სა), თუმცა მნიშვნელოვანია, რომ მათი აგრესიის ობიექტები მეტწილად (ღია პასუხებიდან გამომდინარე) ბავშვები არიან. რაც შეეხება ფიზიკურ აგრესიას, მისი გამოვლინებები ქალებთან გაცილებით იშვიათად გვხვდება (1,5% წინააღმდეგ 11,1%-სა მამაკაცებთან).

როგორც აღმოჩნდა, ყოველი მეშვიდე ქალის მიმართ მისი ფეხმძიმობის პერიოდში განხორციელებულა ქმრის მხრიდან ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა. ამ ქალთა გარკვეულ ნაწილს ასეთი ძალადობა არაერთხელ განუცდია (იხ. ცხრ. №34).

ასეთ შეურაცხყოფას იმ ქალების ნაწილისთვის, ვისაც ამგვარი რამ გადახდა თავს, მეტად მძიმე შედეგები მოჰყვა - "მუცლის მოშლა" (3,8%), იძულებითი აბორტი (0,7%), ფსიქოლოგიური ტრავმა (12,3%), გაყრა (2,6%).

ცხრილი №36 *კ.41. თქვენი ფეხმძიმობის პერიოდში ჰქონდა თუ არა ადგილი ქმრის მხრიდან თქვენ მიმართ ფიზიკურ და სიტყვიერ შეურაცხყოფას?*

	განაწილება
დიახ, სისტემატურად	1,7%
რამდენჯერმე	5,1%
ერთხელ	7,6%
.არასოდეს	79,7%
არ ვყოფილვარ ფეხმძიმედ	3,7%
თავი აარიდა პასუხს	0,1%

ცხრილი №37 *კ.42. რა შედეგი მოჰყვა ამას (შეურაცხყოფას)?*

	განაწილება
დროებით განვერიდე (მაგ. სახლიდან წავედი)	26,3%
დავშორდი	2,6%
მუცელი მომეშალა (ბავშვი დავკარგე)	3,8%
ყველაფერი უწინდებურად გრძელდებოდა	28,3%
ასეთი შემთხვევა აღარ განმეორებულა	21,2%
აბორტი გავიკეთე ექიმის რჩევით, რადგან ნაყოფი დაზიანდა	0,7%
ფსიქოლოგიური ტრავმა დიდ ხანს გამყვა	12,3%
პასუხს თავი აარიდა	0,6%

რესპონდენტთა გარკვეული ნაწილის (5,7%) აღიარებით, სხვების ღია თუ ფარული ძალდატანებით ისინი იძულებულნი იყვნენ შეეწყვიტათ ორსულობა. ეს ძალდატანება ძირითადად მოდიოდა ქალის მეუღლისაგან (43,6%) ან ამ უკანასკნელის მშობლებისაგან (30,9%). ორსულობის იძულებითი შეწყვეტის წამყვანი მიზეზები აღმოჩნდა: მეტი ბავშვის არყოლის სურვილი (32,1%), მატერიალური სირთულეები (26,8%) და ოჯახში დაძაბული სიტუაციის არსებობა (25,0%). კიდევ ერთ, ოღონდ შედარებით იშვიათად დასახელებულ მიზეზს წარმოადგენს ბავშვის არასასურველი სქესი (8,9%).

რეგიონის სპეციფიკა

ქმრის მხრიდან უკმაყოფილების გამოხატვის ყველა ფორმა დაახლოებით იმავე პრიორიტეტულობით იქნა დასახელებული, როგორც მთლიან შერჩევაში. ამის პარალელურად უკმაყოფილების გამოხატვის ყველა ეს სახე გაცილებით ნაკლები ხარისხით დასახელდა დასავლეთ საქართველოს რეგიონში, ვიდრე ორ დანარჩენ ჯგუფში. ეს შეეხება როგორც ვერბალური აგრესიის გამოხატვის სახეებს ("ყვირილი და ლანძღვა" - 34,2%, 22,5%, 35,7%, "ბუზღუნი და საყვედურები" - 56,4%, 47,5%, 53,2% I–III ჯგუფები), ასევე, განსაკუთრებით, უფრო უკიდურეს ფორმებს - დამუქრება ფიზიკური შეხებით (4,4%, 1,6%, 4,4%), ცემა (4,7%, 1,2%, 5,7% I–III ჯგუფები). სამაგიეროდ, დასავლეთ საქართველოში უფრო ან იმავე ხარისხით გავრცელებული აღმოჩნდა განრიდების ტიპის ქცევა ("ხმის ამოუღებლად სადმე განცალკევება" - 19,2%, 24,2%, 16,8%; "სახლიდან წასვლა და მთვრალ მდგომარეობაში დაბრუნება" - 11%, 11,9%, 13,5% I–III ჯგუფები), ფი-

ზიკური აგრესიის გამოვლენის ისეთი სახეები, როგორიცაა "მუჯლუგუნის, ან ხელის კვრა" (4,4%; 5,3; 5,1% I–III ჯგუფები), "ნივთების სროლა" (2,8%; 2,0%, 0,7% I–III ჯგუფები), (საგნების ან ნივთების მტვრევა" (4,9%; 5,7%; 4,7% I–III ჯგუფები, შესაბამისად).

რაც შეეხება თავად ქალების მიერ უკმაყოფილების გამოხატვას, აქ ყურადღებას იქცევს აღმოსავლეთ საქართველოს წარმომადგენელთა პოზიცია: ისინი, სხვა ჯგუფების წარმომადგენლებთან შედარებით, ნაკლებად მიიწერენ ვერბალური აგრესიის გამოვლინებებს, სამაგიეროდ, მეტად უსვამენ ხაზს განრიდების სტრატეგიას და ძალადობის მსხვერპლისთვის ჩვეულ რეაქციებს (გაღიზიანების სხვებზე გადატანა, გაჩუმება, გაბრაზების არშემჩნევა და ა.შ.).

თბილისელებთან, რეგიონის წარმომადგენლებთან შედარებით, უფრო გავრცელებულია ვერბალური აგრესია ("ყვირილი და ლანძღვა" - 26,7, 20,2%, 20,8%; "ბუზღუნი და საყვედურები" - 50,2%, 46,8%, 39,8% I–III ჯგუფები).

რეგიონების მკვიდრთათვის, თბილისის რესპონდენტებთან შედარებით, უფრო პრიორიტეტულია განცალკევების სტრატეგია (25,5%, 27,4%, 30,4%) და გაბრაზების სხვებზე გადატანა (1,9%, 2,4%, 3,5% I–III ჯგუფები).

ფეხმძიმე ქალის მიმართ განხორციელებული ფიზიკური და ვერბალური შეურაცხყოფის შემთხვევები დაფიქსირდა ყველა გამოყოფილ ჯგუფში, თუმცა აღმოსავლეთ საქართველოს ჯგუფში მათი სიხშირე და გავრცელების მასშტაბები შედარებით მეტი აღმოჩნდა (შემთხვევათა პროცენტული წილი 21,3%; 14,4%; 14,6%; აქედან სისტემატურად ან რამდენჯერმე – 9,6%; 5,9%; 5,4% III–I ჯგუფებში შესაბამისად). ყველა გამოყოფილ ჯგუფში ამგვარი ძალადობის მსხვერპლი ქალების ძირითადი ქცევითი მოდელი დროებით განრიდება (34%; 14,4% და 26% I–III ჯგუფები) ან ისე ცხოვრებაა, ვითომც არაფერი მომხდარა – "ყველაფერი უწინდებურად გრძელდება" (23%; 26,5%; 34% - I – III ჯგუფებში).

ასაკობრივი თავისებურებები

მამაკაცის მიერ უკმაყოფილების გამოხატვის იმავე პრიორიტეტული სახეების დაფიქსირების ფონზე სხადასხვა ასაკობრივ ჯგუფში გამოვლენილ იქნა გარკვეული განსხვავებებიც. კერძოდ, თუ ახალგაზრდების და საშუალო ასაკის წარმომადგენლებთან მეტად არის აქცენტირებული უკმაყოფილების გამოხატვის ვერბალური ფორმები ("ბუზღუნი და საყვედურის თქმა" - 51,9%; 55,4%; 47,9%, "ყვირილი და ლანძღვა" – 32,4%; 31,8%; 29,1% "სახლიდან წასვლა და მთვრალ მდგომარეობაში დაბრუნება"– 12,4%; 12,4%; 6,8% I–III ჯგუფები, შესაბამისად), უფროს ასაკობრივ ჯგუფში შედარებით მეტი ხარისხით არის წარმოდგენილი ფიზიკური და ვერბალური აგრესიის გამოვლენის შემდეგი სახეები: "ცემა" (7,7% წინააღმდეგ 4,1% და 3,3%-სა – I და II ჯგუფში); "დამუქრება ცემით" (5,1% წინააღმდეგ 3,8% და 3,3%-სა I–II ჯგუფებში), ასევე უკმაყოფილების გამოხატვის ისეთი ფორმა, როგორიცაა "ხმის ამოუღებლად სადმე განცალკევება" (29,1% წინააღმდეგ 17,6% და 19,1%-სა I-II ჯგუფებში). სამაგიეროდ, I და II ჯგუფებში უფრო ხშირად სახელდება ფიზიკური აგრესიის გამოვლენის ისეთი ფორ-

მა, როგორიცაა "მუჯლუგუნის, ან ხელის კვრა" (4,7%; 5,5%; 2,6% I – III ჯგუფები), ახალგაზრდებთან კიდევ დამატებით "ნივთების სროლა" (3%; 1,4%, 1,4% I – III ჯგ-ში). ასევე I ჯგუფში უფრო ხშირია ირიბი აგრესიის შემთხვევები – "საგნების, ან ნივთების მტვრევა" (7,4%; 3,9%; 2,6% I – III ჯგ-ში შესაბამისად), აგრესიის გადატანა ოჯახის სხვა წევრებზე (6%; 4,1%; 2,6% I–III ჯგუფები, შესაბამისად).

რაც შეეხება თავად ქალების მიერ საკუთარი უკმაყოფილების გამოხატვის ფორმებს და გავრცელების ხარისხს, ამ თვალსაზრისით სამივე ჯგუფში დაფიქსირებული ქცევითი მოდელები სრულიად ერთგვაროვანი აღმოჩნდა თავისი გამოვლენის სიხშირის მხრივ.

ახალგაზრდების ჯგუფში მეტია იმ რესპონდენტების წილი, ვინც მიუთითებს, რომ ფეხმძიმობის პერიოდში მეუღლეს მიუყენებია მათთვის ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა, თუმცა ამგვარი შემთხვევების სისტემატური და ხშირი განმეორების მაჩვენებლები ერთნაირია სამივე ასაკობრივ ჯგუფში (17,1%, აქედან "სისტემატურად" და "რამდენჯერმე" - 7,7%; 12,9%, აქედან 6%; 12,3%, აქედან 7,4% შესაბამისად I–III ჯგუფები). ამგვარი შეურაცხყოფის შედეგების მხრივ დაახლოებით ერთნაირი სურათი ფიქსირდება და ემთხვევა მთლიან შერჩევაში დაფიქსირებულს.

ყველა ასაკობრივ ჯგუფში თანაბარია იმ ქალთა წილი, ვინც სხვისი ძალდატანებით იძულებული იყო შეეწყვიტა ორსულობა. ახალგაზრდებთან ოდნავ მეტია მათი წილი, ვინც მიუთითებს, რომ ეს ძალდატანება ქმრის მხრიდან მოდიოდა (30,6%, 23,4%, 16,9%)

დასკვნები

- ღიად გამოვლენილი ვერბალური და ფიზიკური ძალადობის შემთხვევები საკმაოდ შთამბეჭდავია, როგორც თავისი გავრცელების მასშტაბების, ასევე ფორმათა ნაირგვარობის მხრივ. ქალზე უშუალოდ მიმართული აგრესიული ქმედებებისა თუ სიტყვიერი ძალადობის პარალელურად (რომელთა სამიზნე ობიექტები გამოკითხულთა დიდი უმრავლესობა ყოფილა), არცთუ მცირე ადგილი უჭირავს ჩაგვრისა თუ მძიმე ემოციური დისკომფორტის შემქმნელი ზეწოლის სხვადასხვა ფორმას.
- ქალთა გარკვეული ნაწილი ფიზიკური თუ ვერბალური ძალადობის ობიექტი მისი ფეხმძიმობის პერიოდშიც კი აღმოჩენილა. მეტიც, ზოგიერთს ოჯახის წევრთა, მათ შორის ქმრის მხრიდან ზეწოლის გამო, შეუწყვეტია ორსულობა. ნიშანდობლივია, რომ ამგვარი უკიდურესად მძიმე ძალადობის შემთხვევებშიც კი, ქალთა ძირითადი სტრატეგია მდგომარეობდა მოთმენასა და მომხდარის რეაგირების გარეშე დატოვებაში.
- მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნაც, რომ უკმაყოფილების გამოვლენის ძირითად სტრატეგიასთან – ვერბალურ აგრესიასთან - ერთად, ქალთა არცთუ მცირე ნაწილი (15%–18%) ავლენს მსხვერპლისთვის ჩვეულ რეაქციებსაც (პასიური დალოდება, ვიდრე სიტუაცია თავისით არ მოგვარდება, მომხდარის არ-

შემჩნევა, ტირილი, სიბრალულის გამოწვევა მოძალადეში და ა.შ.).

- მამაკაცის მხრიდან უკმაყოფილების გამოხატვა გარკვეული რეგიონალური თავისებურებებით ხასიათდება, რაც ძალადობის ამა თუ იმ ფორმის რომელიმე რეგიონში მეტი ხარისხით გავრცელებულობაში გამოიხატება.
- ამასთანავე ყურადღებას იქცევს შემდეგი რეგიონალური თავისებურებები: დასავლეთ საქართველოს წარმომადგენლები ცდილობენ, რაც შეიძლება, ნაკლები დარტყმის ქვეშ მოაქციონ მამაკაცები და ამ მცდელობაში ლამის ივიწყებენ საკუთარი თავის შელამაზების საჭიროებას. აღმოსავლეთ საქართველოს რესპონდენტებთან საპირისპირო ტენდენცია შეიმჩნევა: ისინი, თბილისელებთან შედარებითაც კი, უფრო უსვამენ ხაზს ფიზიკური ძალადობისა და მძიმე სიტყვიერი შეურაცხყოფის გამოყენებას მათ მიმართ. ისინი ცდილობენ გამოკვეთონ ის მძიმე ვითარება, რაც ვლინდება მათ მიმართ მამაკაცის მხრიდან ძალადობრივი ქმედებების გამოყენებაში და, იმავდროულად, ცდილობენ თავად ნაკლებად აგრესულები გამოჩნდნენ. შესაბამისად, მათთან უფრო აქცენტირებულია მსხვერპლისთვის დამახასიათებელი რეაქციები.
- ქალების მიერ უკმაყოფილების გამოხატვა არ ხასიათდება რაიმე ასაკობრივი სპეციფიკით და, ძირითადად, ვერბალური აგრესიის სახეების ან პასიური სტრატეგიების მდიდარი არსენალის გამყენებით ხდება. პასიური სტრატეგიების ნაწილი ტიპურია ძალადობის მსხვერპლისთვის.
- მიუხედავად იმისა, რომ უფროსი თაობის რესპონდენტები, სხვა ჯგუფების წარმომადგენლებთან შედარებით, ნაკლებად მიუთითებენ მათ მიმართ მამაკაცის მხრიდან ვერბალური აგრესიის გამოყენების შესახებ, ისინი, სხვებზე მეტად თუ არა, არც ნაკლებად ხდებიან მძიმე ფიზიკური შეურაცხყოფის ობიექტები.

8. ფიზიკური ძალადობა და მისი გავრცელების ხარისხი

ყოველი მეოთხე-მეხუთე ქალი (22,2%) აღიარებს მის მიმართ განხორციელებულ ფიზიკურ ძალადობას. ქალთა გარკვეულ ნაწილს (5,2%) ამგვარი განსაცდელი არაერთხელ გადახდომია თავს.

ცხრილი №38 *კ.37. რამდენად ხშირად ყოფილა, რომ მეუღლეს/პარტნიორს ფიზიკური შეურაცხყოფა მოუყენებია თქვენთვის, ან ჰქონია ამის მცდელობა?*

	განაწილება
რამდენჯერმე აპირებდა, მაგრამ არ გაუკეთებია	6,5%
ერთი-ორჯერ	11,4%
არაერთხელ	5,2%
ასეთი რამ ადრე ხდებოდა, მაგრამ ამჟამად არა	5,6%
ასეთი რამ არასოდეს ყოფილა	70,5%

ფიზიკური შეურაცხყოფა ძირითადად ვლინდება გარტყმის (მთლიანი შერჩევის 14,3% და შემთხვევათა 65,5%) ან ცემის (5,0% და შესაბამისად 23,3%) სახით, თუმცა, უნდა ითქვას, რომ ფიზიკური შეურაცხყოფის გამოვლინებები მეტად

მრავალფეროვანი აღმოჩნდა (იხ. ცხრ. №37).

ცხრილი №39 *კ.38. თუ ფიზიკურ შეურაცხყოფას ჰქონდა ადგილი, რა სახით ვლინდებოდა ეს[9]?*

	საერთო შერჩევის წილი	შემთხვევები
ერთჯერდი გარტყმა	14,3%	66,5%
ცემა	5,0%	23,3%
ხრჩობა	0,2%	0,9%
ცივი იარაღის გამოყენება	0,2%	0,9%
მიბმა	0,2%	0,9%
სხვა საგნების გამოყენებით ცემა	0,2%	0,9%
თმებით თრევა	0,3%	1,4%
სხვა პასუხი	1,1%	5,1%
თავი აარიდა პასუხს	0,4%	1,9%

ამ ჩამონათვალს "სხვა პასუხების" სახით ემატება აგრეთვე ფიზიკური ძალადობის ისეთი სახეები, როგორიცაა "ნივთების სროლა" (0,3%), ტანსაცმლის შემოხევა (0,2).

აქვე, ალბათ, საჭიროა მივუთითოთ იმ განსვლაზე, რაც დაფიქსირდა ცემის შემთხვევათა დასახელებასთან დაკავშირებით წინა კითხვაზე (ქმრის უკმაყოფილების გამოხატვის ფორმები) მიღებულ მონაცემებში და ამ მაჩვენებლებს შორის. შესაძლოა, ეს განპირობებული იყოს თავად შეკითხვის კონტექსტით, მაგრამ, შესაძლოა, წარმოადგენდეს რესპონდენტთა გულწრფელობის ხარისხის მაჩვენებელსაც ამ საკმაოდ მტკივნეულ თემასთან დაკავშირებით. შესაბამისად, სავარაუდოა, რომ ვინაიდან პირდაპირ დასმული კითხვისთვის გვერდის ავლა უფრო რთულია, ამ უკანასკნელ შემთხვევაში რეალურთან ოდნავ უფრო მიახლოებული სურათია მიღებული.

გამოკითხულთა მნიშვნელოვანი ნაწილი - 42,8 პროცენტი - მიუთითებს ფიზიკური ძალადობის არსებობის შესახებ მათ ახლო ნაცნობთა წრეში.

ცხრილი №40 *კ.39. თქვენი ახლო ნაცნობების წრეში ჰქონია თუ არა ადგილი ქმრის მხრიდან ცოლის მიმართ ფიზიკურ შეურაცხყოფას?*

	განაწილება
დიახ	42,8%
არა	44,7%
არ ვიცი	11,8%

ნაცნობებთან მიმართებაში ფიზიკური შეურაცხყოფის ორი ყველაზე გავრცელებული სახიდან გაცილებით ჭარბობს ცემა (61,5%, ანუ - საერთო შერჩევის 27,5% წინაღმდეგ "ერთჯერადი გარტყმის" 33,0% და საერთო შერჩევის 13,9%-სა). საგულისხმოა ის გარემოება, რომ სხვა სახის ფიზიკური შეურაცხყოფის გა-

9 ამ და კ.40-ის შემთხვევაში მხედველობაში მიიღება მხოლოდ იმ რესპონდენტთა მონაცემები, ვინც მიუთითა ძალადობის გამოყენების შესახებ.

მოვლინების ხარისხი თითქმის ემთხვევა უშუალოდ რესპონდენტებთან დაფიქსირებულ ანალოგიურ მაჩვენებელს (იხ. ცხრ. №36). მეტიც, "სხვა პასუხის" კატეგორიაში მოცემულია ზუსტად იმავე სახის ძალადობის ფორმები - "ნივთების სროლა" და "მტვრევა". ყოველივე აღნიშნული კი გვაფიქრებინებს, რომ ამ ბოლო კითხვაზე გაცემული პასუხები ერთგვარად პროექციულ ხასიათს ატარებს და გარკვეულწილად უშუალოდ რესპონდენტებთან არსებულ სიტუაციას ასახავს.

ცხრილი №41 *კ.40. თუ ახლო ნაცნობების წრეში ჰქონია ადგილი ფიზიკურ შეურაცხყოფას, რა სახით ვლინდებოდა ეს?*

	საერთო შერჩევის წილი	შემთხვევები
ერთჯერდი გარტყმა	13,9%	33,0%
ცემა	27,2%	61,5%
ხრჩობა	0,3%	0,7%
ცივი იარაღის გამოყენება	0,5%	1,2%
მიბმა	0,1%	0,2%
სხვა საგნების გამოყენებით ცემა	0,4%	0,9%
თმებით თრევა	0,5%	1,2%
სხვა პასუხი	1,3%	2,1%
თავი აარიდა პასუხს	0,1%	0,1%

ფიზიკური ძალადობისგან თავის დასაცავად ყოველი მეშვიდე-მერვე ქალი პოლიციის ჩარევის საჭიროების წინაშეც კი დამდგარა (13,1%), თუმცა რეალურად ამის განხორციელება გამოკითხულთა მხოლოდ მცირე ნაწილმა თუ გაბედა (1,8%, აქედან 1,4%-მა არაერთხელ). იმ რესპონდენტთა დიდი ნაწილი, ვისაც სჭირდებოდა პოლიცია, მაგრამ მისთვის არ მიუმართავს, ამგვარ სიტუაციაში არაერთხელ აღმოჩენილა (22,7%). საჭიროების მიუხედავად, პოლიციისადმი არმიმართვის მიზეზები საკმაოდ მრავალგვარი აღმოჩნდა, რომელთა შორის შედარებით პრევალირებს ისეთი მოტივები, როგორიცაა პოლიციისადმი უნდობლობა, ქმრის შიში და სირცხვილი. მოვიყვანთ დასახელებულ მოტივთა უფრო დეტალური ჩამონათვალს:

1. ქმრის შეეშინდა (0,7%) - გაღიზიანების და გართულების თავიდან ასაცილებლად;
2. პოლიციას არ ენდო (0,5%) - რეალურ დახმარებას მათგან ვერ მიიღებდა;
3. შერცხვა (0,3%);
4. თავი შეიკავა ოჯახისა და ქმრის შენარჩუნების მიზნით (0,3%) - ცოლი ვარ და უნდა მოვითმინო;
5. არ ჩათვალა საჭიროდ (0,2%) - ის, რაც ხდება ოჯახში, ოჯახშივე უნდა დარჩეს;
6. არ გაიმეტა ქმარი (0,2%);
7. ქმარი არ აძლევდა ამის საშუალებას (0,1%).

ყოველი მეთორმეტე ქალი (8,4%) მეუღლესთან ჩხუბის შედეგად საჭიროებდა სამედიცინო დახმარებას, თუმცა, წინა შემთხვევის მსგავსად, მათგან მხოლოდ ნა-

წილს თუ განუხორციელებია ეს რეალურად (2,7%, აქედან 1,0%-ს არაერთხელ). იმ ქალებიდან, ვისაც სჭირდებოდა სამედიცინო დახმარება, მაგრამ მისთვის არ მიუმართავს, ყოველ მეექვსე-მეშვიდეს (14,5%) ეს გასაჭირი არაერთხელ ჰქონია. სამედიცინო დახმარებისათვის არმიმართვას ყველაზე ხშირად ხსნიან იმით, რომ შერცხვათ ან მოერიდათ გახმაურებისა (0,5%). კიდევ ერთი შედარებით ხშირად დასახელებული მიზეზია ქმრის შიში (0,3%).

რეგიონის სპეციფიკა

ფიზიკური ძალადობის შემთხვევში თითქმის იმავე სახით გამოჩნდა ვერბალურ და ფსიქოლოგიურ ძალადობასთან დაკავშირებით გამოვლენილი რეგიონალური თავისებურებები. ეს თავისებურებები, ცხადია, შეეხება ძალადობის გავრცელების მასშტაბებსა და გამოვლინებათა ინტენსივობას სხვადასხვა გამოყოფილ ჯგუფში. როგორც მოსალოდნელი იყო, III ჯგუფის რესპონდენტებს შორის შედარებით მეტი აღმოჩნდა იმ ქალთა წილი, ვის მიმართაც ქმრის მხრიდან განხორციელებულა ფიზიკური ძალადობა. აღსანიშნავია ისიც, რომ, თბილისთან შედარებით, ზოგადად ორივე რეგიონში მეტი აღმოჩნდა იმ რესპონდენტთა წილი, რომელთაც ეს არაერთხელ გადახდენიათ თავს (25,1%, აქედან 6,1% – "არაერთხელ"; 20,5%, აქედან 5,4%; 21,1%; აქედან 4,2%, შესაბამისად III, II, I ჯგუფებში). რეგიონებში ასევე მეტია მათი წილიც, ვისაც დამუქარებიან ცემით (7,4%; 7,4%; 5,3% – III – I ჯგუფებში, შესაბამისად).

რაც შეეხება ფიზიკური შეურაცხყოფის სახეებს, მათ ჩამონათვალში არ გვხდება არც ერთი ისეთი, რომელიც არ დაფიქსირებულა თბილისის რესპონდენტებთან. ამ მხრივ საკმარისად მრავალფეროვანი აღმოჩნდა აგრეთვე აღმოსავლეთ საქართველოს რესპონდენტებთან დაფიქსირებული ძალადობის გამოვლენის სახეები, თუმცა მათ შორის გაცილებით ხშირია ერთჯერადი გარტყმის შემთხვევები (18,1%; 11,6%; 13,4% – III - I ჯგუფებში). სამაგიეროდ, ყველა გამოყოფილ ჯგუფში თითქმის თანაბარია ცემის შემთხვევათა მაჩვენებლები (5,6%; 4,3%; 4,8% I – III ჯგუფებში).

ორ დანარჩენ რეგიონთან შედარებით, თბილისის რესპონდენტთა შორის მეტია მათი წილი, ვინც მიუთითებს ძალადობის შემთხვევების არსებობაზე ნაცნობთა ახლო წრეში (47%; 40,3% და 39,0% - I – III ჯგუფებში). სამივე ჯგუფში ნაცნობთა წრესთან მიმართებაში ფიზიკური ძალადობის ფორმებს შორის ყველაზე ხშირად სახელდება ცემა (65,1%; 53,3%; 63% – I – III ჯგუფებში). თუმცა, როგორც ყოველთვის, აქაც დასავლეთ საქართველოს რესპონდენტებთან უფრო შერბილებული სურათი ვლინდება, ერთჯერადი გარტყმის შემთხვევების უფრო ხშირი დასახელების ხარჯზე (29,1%; 37,6%; 29,8% – I – III ჯგუფებში). პოლიციისადმი და სამედიცინო დახმარებისადმი მიმართვის შემთხვევების რაოდენობა ერთნაირად დაბალია ყველა რეგიონში.

ასაკობრივი თავისებურებები

ფიზიკურ ძალადობასთან დაკავშირებით გამოვლენილი ტენდენციები ძირითა-

დად ემთხვევა ზოგადად ასაკობრივი თავისებურებების ჭრილში გამოკვეთილ ცენტრალურ ხაზს. კერძოდ:

– სხვა ასაკის წარმომადგენლებთან შედარებით, ახალგაზრდებს შორის ნაკლებია მათი წილი, ვინც მიუთითებს, რომ მის მიმართ არ ჰქონია ადგილი ფიზიკურ ძალადობას ქმრის მხრიდან (66%, 71,2%, 80,3% I–III ჯგუფები);
– სწორედ ახალგაზრდებთან ფიქსირდება მეტი წილი რესპონდენტებისა, ვინც მიუთითებს, რომ ყოფილა ფიზიკური შეურაცხყოფის ობიექტი - დაწყებული ცემით დამუქრებით (7,8%, 6%, 4,9%) და დამთავრებული ფიზიკური ძალადობის მრავალჯერადი შემთხვევებით (5,9%, 4,6%, 4,9%, "ერთი-ორჯერ" - 13,4%, 11,3%, 6,6%, "ადრე ყოფილა" - 6,1%, 6%, 2,5% I–III ჯგუფები);
– ცემის დაახლოებით იმავე მაჩვენებლის ფონზე, რაც სხვა ჯგუფებშია დაფიქსირებული (4,0%, 5,8%, 4,9%), ახალგაზრდებთან გაცილებით უფრო მეტად გვხვდება ერთჯერადი გარტყმის შემთხვევები (19,5%, 12,7%, 5,7% I–III ჯგუფები);
– ახალგაზრდები ასევე მიუთითებენ მათ მიმართ განხორციელებული ძალადობის სახეების მთელ სპექტრზე - უფრო მრავალფეროვანზე (არც ერთი ჩამოთვლილი სახე არ არის გამოტოვებული), ვიდრე სხვა ასაკის რესპონდენტების მიერ არის დასახელებული.
– ახალგაზრდებს შორის მეტია მათი წილი, ვინც მიუთითებს ძალადობის არსებობის შესახებ თავისი ახლო ნაცნობების წრეში (45,7%, 40,9%, 41,8% I–III ჯგუფები).
– ახალგაზრდების ჯგუფში, სხვა ასაკის რესპონდენტებთან შედარებით, მეტია მათი რიცხვი, ვინც ძალადობისგან თავის დასაცავად პოლიციის ჩარევის საჭიროების წინაშე აღმოჩენილა (14,2%, 12,5%, 12,2% I–III ჯგუფები).

დასკვნები

- ფიზიკური ძალადობის ობიექტი, სულ მცირე, გამოკითხულთა მეხუთედი მაინც გამხდარა, მათგან ყოველი მეოთხე ქალი - არაერთხელ. ფიზიკური აგრესიის გამოვლინებათა არსენალიდან ყველაზე პრიორიტეტულია ერთჯერადი გარტყმა და ცემა.
- სტაბილურად იკვეთება ქალთა ნაწილი, ვინც დაუფარავად მიანიშნებს, რომ არის ფიზიკური ძალადობის მუდმივი ობიექტი. ქალთა ეს ნაწილი, განსხვავებით იმ რესპონდენტებისგან, რომლებიც აცხადებენ, რომ განუცდიათ ერთჯერადი ხასიათის ფიზიკური შეურაცხყოფა (თუმცა, სავარაუდოა, რომ იგი არ შემოიფარგლებოდა ერთჯერადი შემთხვევით, თორემ, ალბათ, არც გაიხსენებდნენ), წარმოადგენს ძალადობის იმ სამიზნეებს, რომლებიც აშკარად ითხოვენ მიხედვას და შველას[10]. როგორც გაირკვა, ქალთა ეს ნაწილი შეადგენს, სულ მცირე, 5 პროცენტს მაინც, რაც, თუ გადავითვლით ზრდასრული მოსახ-

10 ამას ადასტურებს ინტერვიუერების ჩანაწერები, სადაც მითითებულია, რომ ზოგიერთი რესპონდენტი მათ სთხოვდა დახმარებას ან რჩევას, თუ ვის შეიძლება მიმართონ თავისი გასაჭირით.

ლეობის ქალთა ნაწილზე (განურჩევლად იმისა, დაოჯახებულნი არიან ისინი თუ არა), ნიშნავს, რომ ამჟამად მუდმივი ფიზიკური ძალადობის ობიექტთა რიცხვი შეადგენს, მინიმუმ, 75-85000 ქალს (ეს რიცხვი კიდევ უფრო გაიზრდება, თუ ეს გადათვლა მოხდება მხოლოდ მოცემულ მომენტში ქორწინებაში მყოფ ქალთა რაოდენობის გათვალისწინებით).

- ამასთანავე, საფიქრებელია, რომ ეს რიცხვი გაცილებით ნაკლებია რეალურზე თუნდაც იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ რესპონდენტთა მნიშვნელოვანი ნაწილი - ყოველი მეშვიდე-მერვე ქალი - ძალადობისგან თავის დასაცავად პოლიციის ჩარევის საჭიროების წინაშეც დამდგარა. მეტიც, ქალთა გარკვეულ ნაწილს პოლიცია არაერთხელ ჩაურევია კიდევაც (მოკრძალებული მაჩვენებელი - 1,4% - ამ შემთხვევაში გულისხმობს მინიმუმ 1500 ქალს).
- ძალადობის მსხვერპლთა გაცილებით მეტი რაოდენობის არსებობაზე მიუთითებს ირიბად დასმულ მეორე კითხვაზე მიღებული მაჩვენებელიც, რომლის თანახმად, ძალადობის შედეგად ყოველ მეთორმეტე ქალს სჭირდებოდა სამედიცინო დახმარება.
- შესაბამისი სამსახურების (სამედიცინო დაწესებულების, პოლიციის) დახმარებას მიმართავს მხოლოდ მცირედი ნაწილი იმ ქალებისა, რომელიც ამას საჭიროებს. შესაბამისი დაწესებულებებისადმი არმიმართვის ტიპურია მიზეზებია ის, რომ მათ რცხვენიათ ახლობლების ან მეზობლებისა, ერიდებიან გახმაურებას და ეშინიათ მეუღლის გაბრაზების - საქმის კიდევ უფრო გართულებისა.
- მითითება იმაზე, რომ მათ ახლობელთა წრეში ფიზიკური ძალადობა მეტად გავრცელებული მოვლენაა და ეს, ძირითადად, ცემის სახით ხორციელდება, გარკვეული ხარისხით რეალური ვითარების ასახვასთან ერთად, პროექციულ მნიშვნელობასაც იძენს. ამ ვარაუდს განამტკიცებს მთელი რიგი პარალელებისა, რომლებიც ფიქსირდება საკუთარ ოჯახში და ახლობელთა წრეში განვითარებული ამ ტიპის მოვლენათა შეფასებისა და ფიზიკური ძალადობის სახეების დასახელების სიხშირის თვალსაზრისით.
- საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ძნელია იმაზე საუბარი, სად უფრო ჭარბობს ძალადობის შემთხვევები, ვინაიდან ამა თუ იმ სახით ისინი წარმოდგენილია ყველა გამოყოფილ რეგიონში იმ განსხვავებით, რომ ერთ რეგიონში უფრო პრიორიტეტულია ძალადობის ერთი სახე, მაორეში კი - სხვა.
- აქედან გამომდინარე, შეიძლება საუბარი მხოლოდ გარკვეულ ტენდენციებზე:
    1. სამივე გამოყოფილ ჯგუფში თანაბრად არის გავრცელებული ცემის შემთხვევები;
    2. აღმოსავლეთ საქართველოში უფრო მეტია ფიზიკური ძალადობის გავრცელების მასშტაბები;
    3. ზოგადად რეგიონებში, თბილისთან შედარებით, უფრო მეტია ფიზიკური ძალადობის გამოვლინებათა განმეორებადობის ხარისხი;
    4. ფიზიკური ძალადობის გამოვლენის სახეები მეტი მრავალფეროვნებით

გამოირჩევა თბილისში, რეგიონებთან შედარებით;

5. თბილისელი რესპონდენტები, რეგიონების წარმომადგენლებთან შედარებით, მიუთითებენ ფიზიკური ძალადობის მეტ მასშტაბებზე თავის ახლო ნაცნობთა წრეში;
6. ძალადობის ორი ყველაზე გავრცელებული სახიდან – ცემა და ერთჯერადი გარტყმა – საკუთარ თავთან მიმართებაში გაცილებით ხშირად სახელდება ეს უკანასკნელი, მაშინ როდესაც ახლობელთა წრესთან მიმართებაში შებრუნებული ვითარებაა, ანუ ჭარბობს ცემა.

- ფიზიკურ ძალადობასთან დაკავშირებით ასაკობრივი თავისებურებები ვლინდება სრულიად ერთმნიშვნელოვანი ტენდენციის სახით - ახალგაზრდები გვევლინებიან ყველაზე მოწყვლად ფენად, რომლის მიმართ გაცილებით მეტად ხორციელდება ძალადობა, ან რომელიც უფრო აცნობიერებს ამ მოვლენას და აღიარებს კიდევაც მის არსებობას.

9. ქალის ქცევის სტრატეგიები კონფლიქტისა და მის მიმართ განხორციელებული ძალადობის სიტუაციებში

მოცემულ თემატურ ბლოკთან დაკავშირებით მიღებული შედეგები საინტერესოა როგორც საკუთრივ დასმული საკითხის გარკვევის თვალსაზრისით, ასევე საზოგადოდ იმ კუთხითაც, რომ მათ საფუძველზე შესაძლებელია მსჯელობა კონფლიქტური სიტუაციებისა და ძალადობის გავრცელების ხარისხზე. ბოლო გარემოება განსაკუთრებით საყურადღებოა, ვინაიდან ამ გზით შესაძლებელი ხდება ძალადობის მასშტაბების უფრო დაზუსტებული და რეალურად არსებულთან მიახლოვებული სურათის გამოვლენა.

მცირე გამონაკლისების გარდა (1,8%), თითქმის ყველა რესპონდენტი, მათი პასუხებიდან გამომდინარე, აღმოჩენილა ქმართან კონფლიქტისა თუ ჩხუბის სიტუაციაში. მნიშვნელოვანია, რომ ამ სიტუაციების შემდგომ ქალების უმრავლესობის მიერ განხორციელებული ქმედებები თავისი არსით ძალადობის მსხვერპლისთვის დამახასიათებელ სტრატეგიებს წარმოადგენს: მომხდარის "არშემჩნევა" მყისიერი გაბრაზების შემდეგ (32,0%) და დამორჩილება - "კიდევ უფრო მეტად ცდილობს მოიქცეს ისე, რომ მეუღლე არ გააღიზიანოს" (30,8%). გამოკითხულთა შედარებით მცირე ნაწილი ცდილობს გამოავლინოს თავისი პოზიცია მომხდართან დაკავშირებით - თუნდაც, გაბუტვით (24,0%) ან დროებით სხვაგან გადასვლით (3,9%).

"სხვა პასუხების" კატეგორიაში, როგორც წესი, გვხვდება ქმართან უთანხმოების უარყოფა.

თუმცა ქცევათა აქ გამოვლენილ სპექტრში გაცილებით იშვიათია ჩხუბის შედეგად "გაღიზიანების სხვებზე გადატანის" შემთხვევები, ამ საკითხის შესასწავლად ცალკე დასმული კითხვიდან ირკვევა, რომ გამოკითხულთა თითქმის ნახევარი (48,8%), ქმრისგან შეურაცხყოფილი, შვილებზე იყრის ჯავრს. ამ ქალების მნიშვნელოვანი ნაწილი (მთლიანი შერჩევის მესამედი) ამ გზას არცთუ იშვიათად მიმართავს, მეტიც, ყოველი მეხუთე-მეექვსე რესპონდენტისათვის ამგვარი

ქცევა თითქმის წესად არის ქცეული.

ცხრილი №42 *კ.35. ქმართან კონფლიქტის თუ ჩხუბის შემდეგ თქვენ, ჩვეულებრივ:*

	განაწილება
კიდევ უფრო მეტად ცდილობთ მოიქცეთ ისე, რომ არ გააღიზიანოთ მეუღლე	30,8%
გადადიხართ დროებით თქვენს მშობლებთან ან სხვა ბინაში (მეგობრებთან, დაიქირავეთ)	3,9%
არაფერს ცდილობთ, მხოლოდ ებუტებით და რამდენიმე დღე არ ელაპარაკებით	24,2%
მყისიერად ბრაზდებით, მაგრამ შემდეგ იქცევით ისე, თითქოს არაფერი მომხდარა	32,0%
ღიზიანდებით და ეს გაღიზიანება სხვებზე გადაგაქვთ	4,0%
სხვას მიმართავთ დახმარებისათვის	0,4%
სხვა პასუხი	1,8%

ცხრილი №43 *კ.36. ყოფილა თუ არა შემთხვევა, რომ ქმრისგან შეურაცხყოფილს ჯავრი ბავშვებზე გიყრიათ (გიცემიათ, დაგისჯიათ, დაგიტუქსავთ), თუმცა შემდეგ მძიმედ განგიცდიათ?*

	განაწილება
დიახ, როგორც წესი	6,1%
მეტწილად კი	11,9%
ზოგჯერ	14,3%
იშვიათად	16,4%
ასეთი შემთხვევა არ ყოფილა	47,2%

ძალადობის გარცელების მაღალ ხარისხზე მეტყველებს აგრეთვე მძიმე ფიზიკური და ვერბალური შეურაცხყოფის საპასუხოდ ქალების პრიორიტეტული მოქმედებების მაჩვენებელთა განაწილება. როგორც გაირკვა, გამოკითხულთა მხოლოდ 28,0%-ს არ განუცდია მეუღლის მხრიდან მძიმე ფიზიკური ან სიტყვიერი შეურაცხყოფა, მაშინ როდესაც ქალების გამოკვეთილ უმრავლესობას ამგვარი გამოცდილება აშკარად გააჩნია, რაზედაც მეტყველებს მათ მიერ მითითებული საპასუხო ქმედებების განაწილება ამგვარ სიტუაციებში.

ქალთა მეტი წილი მიმართავს გაჩუმებისა და დალოდების, მოძალადისაგან იზოლირების სტრატეგიას (37,3%). ამგვარი ქცევა - ძალადობის პასიურად მიღება - ისევე, როგორც თავის შეცოდებისა და მოძალადის მხრიდან სიბრალულის გამოწვევის მცდელობა გარედან დახმარების მოძიების მინიმალური ხარისხის ფონზე, მსგავსად წინა შემთხვევისა, სხვა არაფერია, თუ არა ძალადობის მსხვერპლის მოქმედების ტიპური მოდელი. ნაწილი ქალებისა მიმართავს თავდაცვის აქტიურ ფორმებს - უწევს წინააღმდეგობას (7,7%) – სიტყვიერს და ფიზიკურს.

ქალთა მესამედზე მეტი (36,6%) ქმართან უთანხმოების დასარეგულირებად დათმობას ამჯობინებს, გამოკითხულთა გარკვეულ ნაწილს (5,2%) კი მეუღლე აიძულებს წავიდეს დათმობაზე. ამგვარ სიტუაციებში ორმხრივ დათმობას მიმართავს ოჯახთა ნახევარზე ოდნავ ნაკლები (46,6%).

ცხრილი №44 *კ.43. ჩვეულებრივ, როგორ იქცევით მეუღლის მხრიდან თქვენ მიმართ განხორციელებული მძიმე სიტყვიერი ან ფიზიკური შეურაცხყოფის დროს?*

	განაწილება
ჩუმდებით და ელოდებით, რომ მეუღლეს ბრაზმა გადაუაროს	25,4%
ცდილობთ გაეცალოთ და სხვა ოთახში განმარტოვდეთ	11,9%
სახლიდან გარბიხართ	2,8%
ტირით და თავს აცოდებთ	7,2%
ცდილობთ, ყოველნაირად დაამშვიდოთ	5,3%
დახმარებისათვის სხვებს უხმობთ	0,4%
სიტყვიერ წინააღმდეგობას უწევთ	6,8%
ფიზიკურ წინააღმდეგობას უწევთ	0,9%
ასეთ შემთხვევას არ აქვს ადგილი	28,0%

ცხრილი №45 *კ.22. ჩვეულებრივ, როგორ ხდება თქვენსა და მეუღლეს შორის უთანხმოების დარეგულირება?*

	საერთო შერჩევის წილი	შემთხვევები
თქვენ უთმობთ მეუღლეს	31,6%	36,6%
მეუღლე გითმობთ თქვენ	15,4%	17,9%
მეუღლე გაიძულებთ მას დაეთანხმოთ/დაუთმოთ	4,5%	5,2%
თქვენ აიძულებთ მეუღლეს დაგეთანხმოთ/დაგითმოთ	1,3%	1,5%
ორივენი ცდილობთ დათმობაზე წახვიდეთ	39,9%	46,6%
ოჯახის სხვა წევრის ჩარევით, რომლესაც ორივენი ანგარიშს უწევთ	5,2%	6,0%
ოჯახის სხვა წევრის ზეწოლით ან იძულებით	0,3%	0,4%

ნიშანდობლივია ქალთა წამყვანი სტრატეგიები შესაძლო უთანხმოების გაჩენის სიტუაციებში. ქმრის განაწყენების თავიდან ასაცილებლად, ქალთა უმრავლესობა (63,5%) მისთვის მნიშვნელოვანი ინტერესების დაცვისას მიდის დიდ დათმობებზე (56,3%), ან საერთოდ უარს ამბობს მათზე (7,2%). თავისი ინტერესების დაცვას ცდილობს ქალთა მხოლოდ მესამედი (36,3%).

ცხრილი №46 *კ.30.1. თქვენთვის მნიშვნლოვანი ინტერესების დაცვისას თუ იგრძნობთ, რომ ამით მეუღლეს გაანაწყენებთ ან გააბრაზებთ, თქვენ:*

	განაწილება
მიდიხართ მნიშვნელოვან დათმობებზე	56,3%
საერთოდ უარს ამბობთ თქვენს ინტერესებზე	7,2%
ცდილობთ დაიცვათ თქვენი ინტერესები	36,3%

ქმრის მხრიდან კრიტიკას და საყვედურებს შედარებით აქტიურად უპირისპირდება და პროტესტს გამოთქვამს რესპონდენტთა მხოლოდ ნახევარი, დანარჩენნი

კი ჩაგვრის ობიექტისთვის ჩვეულ რეაქციებს ამჯობინებენ: საკუთარ თავში ჩაკლული გაღიზიანება, საყვედურების მორჩილად მიღება ან "არშემჩნევა" (იხ. ცხრ. № 45).

ცხრილი №47 *კ.30.2. თუ მეუღლე გაკრიტიკებთ ან გსაყვედურობთ, თქვენ:*

	განაწილება
ამ კრიტიკას თუ საყვედურებს არ აქცევთ ყურადღებას	15,3%
თქვენ ღიზიანდებით, მაგრამ გაღიზიანებას არანაირად არ გამოხატავთ	22,0%
თქვენ ღიზიანდებით და პროტესტს გამოთქვამთ	49,7%
ამ კრიტიკას და საყვედურებს მორჩილად იღებთ	10,9%

რეგიონის სპეციფიკა

რეგიონის რესპონდენტებთან შედარებით, თბილისელი ქალები მეტად ცდილობენ დაიცვან თავისი ინტერესები (38,9%; 32,9% და 35,5% – I, II და III ჯგუფებში, შესაბამისად). ყველაზე ნაკლებად იჩენენ ამ მხრივ ინიციატივას და შედარებით ხშირად ამბობენ უარს თავის ინტერესებზე დასავლეთ საქართველოს წარმომადგენლები, მაშინ როდესაც ამგვარი სტრატეგია ყველაზე ნაკლებად პრიორიტეტულია აღმოსავლეთ საქართველოს რესპონდენტთა შორის (7,6%; 7,8% და 6,1%– I, II და III ჯგუფები, შესაბამისად).

საყვედურის პასიურად მიღების სტრატეგია თითქმის თანაბარი ხარისხით უფრო დამახასიათებელია ორივე რეგიონის რესპონდენტებისთვის ("ღიზიანდება, მაგრამ არ გამოხატავს" - 25,6%; 25,5% წინააღმდეგ 17,6%-სა II, III და I ჯგუფებში; "საყვედურებს მორჩილად იღებს - "11,2%; 11,9%; 10% – II, III და I ჯგუფებში). შესაბამისად, თუ თბილისში თავისი დამოკიდებულებებისა და ემოციების გამოხატვას ახერხებს გამოკითხულთა ნახევარზე მეტი (54,9%), რეგიონებში ეს მაჩვენებელი მცირდება (43% და 47,7% - II და III ჯგუფებში).

უთანხმოების სიტუაციაში ქალის ქცევითი სტრატეგიების იმავე პრიორიტეტების ფონზე, რაც გამოიკვეთა მთლიან შერჩევაში, თავი იჩინა რეგიონალურმა თავისებურებებაც. კერძოდ, აღმოსავლეთ საქართველოს მკვიდრთა წამყვანი მოდელი ამ შემთხვევაში აღმოჩნდა ძალადობის მსხვერპლისთვის ყველაზე ტიპური სტრატეგია – "კიდევ მეტი მცდელობა, მოიქცეს ისე, რომ არ გააღიზიანოს მეუღლე" (39,4% წინააღმდეგ 26,6% და 27,5%-სა– I და II ჯგ-ში). დანარჩენი ორი ჯგუფის წარმომადგენელთათვის უფრო პრიორიტეტულია "მომხდარის არშემჩნევა" (რაც განსაკუთრებით ტიპურია II ჯგუფისთვის: 34,9%; 31,9%; 29,4% II, I და III ჯგ-ში) და პასიური პროტესტის გამოხატვის ისეთი ფორმა, როგორიცაა "რამდენიმე დღით გაბუტება" (25,2%; 25,2%; 21,9% I – III ჯგუფებში). მნიშვნელოვანია ისიც, რომ III ჯგუფის რესპონდენტებს შორის მეტია მათი წილი, ვინც აღიარებს, რომ "სისტემატურად ან უმეტეს შემთხვევაში" მათ, ქმრებისგან შეურაცხყოფილებს, ჯავრი ბავშვებზე უყრიათ (23,8% წინააღმდეგ 15,3% და 15,9%-სა I და II ჯგუფებში), თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ყველა გამოყოფილ ჯგუფში საკუთარი უძლურების ამგვარი კომპენსირების გზას მიმართავს ქალთა თითქმის ნახევარი ("ასეთი შემთხვევა არ ყოფილა" – 48,8%; 50,4%;

41,9% I – III ჯგუფები შესაბამისად), ანუ ძალადობაზე რეაგირების ეს ფორმა თანაბრად არის გავრცელებული ყველა რეგიონში.

თბილისთან შედარებით (კ. 43.), დანარჩენ რეგიონებში უფრო პრიორიტეტული აღმოჩნდა ძალადობის პასიურად ატანისა და გაჩუმების პოლიტიკა (19,9%; 28,3%; 30,3% – I – III ჯგუფებში). საერთოდ კი პასიურობის, გაყუჩებისა და განცალკევების ეს პოზიცია განსაკუთრებით დამახასიათებელია აღმოსავლეთ საქართველოს ჯგუფისათვის ("სხვა ოთახში განმარტოება" - 10%; 12,4%; 14,5%– I – III ჯგ-ში), რაც კიდევ უფრო საყურადღებოა, ვინაიდან სწორედ ამ უკანასკნელთა მიმართ აღინიშნება ყველაზე ხშირად სხვადასხვა სახის ძალადობის შემთხვევები ("ასეთ შემთხვევას არ აქვს ადგილი" - 20,3%; 25,2%; 37% III – I ჯგუფები შესაბამისად)

უთანხმოების დარეგულირებისას ქალების მხრიდან დათმობა გაცილებით უფრო პრიორიტეტული აღმოჩნდა რეგიონებში, განსაკუთრებით, ეს ითქმის აღმოსავლეთ საქართველოს რესპონდენტებზე (32,0%, 37,6%, 43,0% I–III ჯგუფები). ამის ლოგიკურ გაგრძელებაა ის გარემოება, რომ აღმოსავლეთ საქართველოს ჯგუფში, დანარჩენ რეგიონებთან შედარებით, ნაკლები ხარისხით არის წარმოდგენილი "ორმხრივი დათმობა" (46,5%; 51,4%, 42,7% I–III ჯგუფები) და, მით უფრო, – მამაკაცის მხრიდან დათმობაზე წასვლა (20,3%; 19,2%; 13,6% I–III ჯგუფები).

თბილისის წარმომადგენლები ამ კონტექსტში შედარებით უფრო თანაბარუფლებიანები ჩანან მამაკაცთან მიმართებაში: მათ შორის უფრო ცოტანი არიან ისინი, ვინც ცალმხრივ დათმობაზე მიდის, მეტია ორმხრივი და ქმრის მხრიდან დათმობების შემთხვევები.

ასაკობრივი თავისებურებები

მეუღლესთან უთანხმოების სიტუაციაში ქალების ქცევის სტრატეგიებთან დაკავშირებით დაფიქსირდა შემდეგი ტენდენციები:

- ასაკის მატებასთან ერთად იზრდება ისეთი ქცევითი მოდელების წილი, როგორიცაა "კიდევ მეტი მცდელობა, მოიქცეს ისე, რომ არ გააღიზიანოს მეუღლე", შესაბამისად, უფროს ასაკობრივ ჯგუფში ეს ხდება წამყვანი სტრატეგია (26,5%, 32,3%, 37,7% I–III ჯგუფები); სამაგიეროდ, მათთან ნაკლები პოპულარობით სარგებლობს პროტესტის გამოხატვის პასიური ფორმა - "გაბუტვა" (24,9%, 24,8%, 19,7%);
- სხვა ასაკობრივ ჯგუფებთან შედარებით, ახალგაზრდებს შორის შედარებით მეტია მათი წილი, ვისაც თავისი გაღიზიანება სხვებზე გადააქვს (5,6%, 2,8%, 4,4%); ასევე მათთან მეტია მათი წილიც, ვინც აღიარებს, რომ ხშირ შემთხვევაში თავისი გაღიზიანება ბავშვებზე გადააქვს ("როგორც წესი", "მეტწილად", "ზოგჯერ" - 36,9%, 31%, 25,4%);
- ახალგაზრდების ჯგუფში ყველაზე ნაკლებია მათი რიცხვი, ვინც აცხადებს, რომ მის მიმართ მეუღლის მხრიდან არასოდეს განხორციელებულა მძიმე ფიზიკური და ვერბალური ძალადობა (26,5%, 27,2%, 32,0% I–III ჯგუფები);

– ასაკის მატებასთან ერთად იზრდება ძალადობის პასიურად ატანისა და განრიდების სტრატეგიების წილი ("გაჩუმება და დალოდება..." - 21,7%, 27,4%, 27,9%; სხვა ოთახში განცალკევება - 11,5%, 12,1%, 13,!%; "სახლიდან გაქცევა" - 2,7%, 2,4%, 4,9%);
– დახმარებისათვის სხვებისადმი მიმართვის ის ერთეული შემთხვევები, რაც საერთოდ დაფიქსირდა ამ კვლევაში, მხოლოდ ახალგაზრდებთან გვხვდება (1,0%);
– ახალგაზრდებთან, სხვა ასაკის წარმომადგენლებთან შედარებით, მეტად არის გავრცელებული მოძალადისთვის თავის შეცოდების პოლიტიკა (9,1%, 6,3%, 4,9%), ამავდროულად, ისევ მათი მეტი წილი უწევს წინააღმდეგობას - ძირითადად, სიტყვიერს - მოძალადეს (9,1%, 6,2%, 4,1%).
– საკუთარი ინტერესების დაცვას მეტად ცდილობენ ახალგაზრდები (38,5%, 35,7%, 32,0% I–III ჯგუფები), სხვა ჯგუფების წარმომადგენლებთან შედარებით ნაკლებად მიდიან მნიშვნელოვან დათმობებზე (53,7%, 57,9%, 57,4%). ამავე დროს, უფროსი თაობის წარმომადგენლებში მეტია მათი წილი, ვინც საერთოდ უარს ამბობს თავის ინტერესებზე (7,5%, 6,2%, 10,7%).
– ასაკთან ერთად მეტად ცდილობენ არ მიაქციონ ყურადღება მათ მიმართ გამოთქმულ საყვედურებს და კრიტიკას (11,8%, 15,7%, 25,4%); ნაკლებად გამოთქვამენ პროტესტს (55,3%, 49,6%, 32,0%) და უფრო ხშირად იღებენ მორჩილად ამ საყვედურებს (9,4%, 10,5%, 17,2% I–III ჯგუფები).
– უთანხმოების დარეგულირების პრიორიტეტულ გზებად (კ.22) ყველა გამოყოფილ ჯგუფში რჩება "ორმხრივი დათმობა" (47,6%; 46,6% და 43,4% - I – III ჯგუფები) და ქალის მხრიდან დათმობაზე წასვლა, რაც განსაკუთრებით ხშირად გვხვდება საშუალო ასაკისა და ახალგაზრდა რესპონდენტებთან (36,4%; 38,4%; 32% I–III ჯგუფები). უფროსი თაობის წარმომადგენლები, რომლებთანაც, ზოგადად, სიტუაციის შემსუბუქების ტენდენცია ფიქსირდება, აქაც მამაკაცების მხრიდან დათმობაზე წასვლის მეტ შემთხვევებზე მიუთითებენ (23%; 17,1%; 17,4% III–I ჯგუფები).

დასკვნები

- გამოკითხულთა უმრავლესობას მეუღლესთან ურთიერთობისას ჰქონია არა მხოლოდ ჩხუბისა და კონფლიქტების შემთხვევები, არამედ მიუღია კიდევაც მისგან მძიმე ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა.
- მეუღლესთან ჩხუბისა და მისგან მძიმე შეურაცხყოფის მიღების სიტუაციაში ქალების დიდი ნაწილის პრიორიტეტულ სტრატეგიას წარმოადგენს მსხვერპლისთვის დამახასიათებელი ქცევის მოდელები: "სიმშვიდის" შენარჩუნება, მომხდარის არშემჩნევა, აგრესიის პასიურად მიღება, იზოლირება, დახმარებისთვის არმიმართვა.
- სავარაუდოა, რომ ქცევის ეს პატერნები ჩვეული რეაქციების სახით ვლინდება ქალთა ყოველდღიურ ცხოვრებაშიც. ყოველ შემთხვევაში, ისეთ სიტუაციებში, რომლებიც გულისხმობს მეუღლესთან მიმართებაში საკუთარი ინტერესებისა თუ ღირსების დაცვას, ქალთა მნიშვნელოვანი ნაწილი (როგორც წე-

სი, ნახევარი და მეტი) ირჩევს მოქმედების ისეთ მეთოდებს, რომლებიც, საუკეთესო შემთხვევაში, პასიურ თავდაცვაში გამოიხატება, უარესში კი - მსხვერპლისთვის სიპტომატურ რეაქციებში.

- ძალადობის მსხვერპლისთვის ერთ-ერთი ტიპური რეაქცია - საკუთარი უძლურების კომპენსირება მასზე უფრო სუსტ არსებაზე ჯავრის ამოყრით – განსაკუთრებით სავალალოა თავისი შედეგებით, ვინაიდან იგი არა მხოლოდ აჩენს ახალ მსხვერპლს, არამედ აგრეთვე წარმოშობს პოტენციურ მოძალადეს, რომელიც მომავალში, შესაძლოა, ასევე მოიქცეს თავის ოჯახში. როგორც აღმოჩნდა, ბოღმის, გულისტკივილის, გაღიზიანების გადატანა საკუთარ შვილებზე საკმაოდ გავრცელებული მოვლენაა ჩვენში.
- გამოიკვეთა უთანხმოების დარეგულირების ორი თანაბრად გავრცელებული გზა - ორმხრივი დათმობა ან ქალის წასვლა დათმობაზე - ნებაყოფლობით თუ იძულებით.
- მთლიანობაში, რეგიონის მკვიდრთათვის, თბილისელებთან შედარებით, უფრო დამახასიათებელია ძალადობის პასიურად ატანისა და გაჩუმების პოზიცია. ამასთანავე, თუ დასავლეთ საქართველოს მცხოვრებთათვის უფრო ტიპურია თავის ინტერესებზე ნებაყოფლობით უარის თქმა და უკან დახევა, აღმოსავლეთ საქართველოში უფრო გავრცელებული აღმოჩნდა ჩაგვრის ობიექტისთვის მეტად დამახასიათებელი რეაგირება – "ბავშვებზე ჯავრის ამოყრა" ან "კიდევ მეტი მცდელობა ისე მოიქცეს, რომ ქმარი არ გააღიზიანოს".
- სავარაუდოა, რომ ეს განსვლა რეგიონების მაჩვენებლებს შორის უფრო უკავშირდება ძალადობის აღქმის, ანუ მისი ასეთად დანახვის, მისი გაცნობიერების ხარისხს და შესაბამისი სახით რეაგირებას, ვიდრე რეალურად არსებულ ვითარებას.
- იმ ფონზე, რომ უფროსი თაობის წარმომადგენლებთან აშკარად ჭარბობს მორჩილი ცოლისა და ჩაგვრის ობიექტისთვის დამახასიათებელი ქცევითი მოდელები, ახალგაზრდა რესპონდენტები მეტად გამოიყურებიან როგორც პიროვნულად უფრო ძლიერი ადამიანები, რომლებიც მეტად აცნობიერებენ მათ მიმართ არსებულ ძალადობას, მეტად ცდილობენ დაიცვან თავისი ინტერესები და შეეწინააღმდეგონ მოძალადეს.

10. სექსუალური ძალადობა

ცოლ-ქმარს შორის ურთიერთობის ფორმებს შორის სექსუალური ცხოვრების სფერო ერთ-ერთი დახურული თემაა, მით უფრო ტაბუირებული ხდება იგი ძალადობასთან მიმართებით. ამ გარემოების გათვალისწინებით, საკმაოდ მოულოდნელი ჩანს სურათი, რომელიც ამ საკითხთან დაკავშირებით იქნა მიღებული. გამოკითხულთა მეოთხედის (25,5%) აღიარებით, მათ ცხოვრების ამა თუ იმ პერიოდში განუცდიათ ქმრის მხრიდან სექსუალური კონტაქტის დაძალება. ყოველი მერვე ქალის მიმართ ასეთი იძულება ხორციელდება ხშირად (4,0%) ან დროდადრო (7,9%). ქალთა გარკვეულ ნაწილს კი (7,7%), მათი განცხადებით, თავის გამოცდილებაში ჰქონია ისეთი შემთხვევები, როდესაც მათ აიძულებდნენ ისეთ სექსუალურ აქტივობას, რომელიც მათთვის მიუღებელი იყო (იხ. ცხრ. №46).

ცხრილი №48 *კ.27. თქვენი თანაცხოვრების პერიოდში ყოფილა თუ არა შემთხვევები, როდესაც მეუღლე:*

	შემთხვევათა საერთო მაჩვენებელი	ხშირად	ზოგჯერ
გაძალებდათ სექსუალურ აქტივობას, რომლისათვის თქვენ იმ მომენტში მზად არ იყავით	25,5%	4,0%	7,9%
გაიძულებდათ ისეთ სექსუალურ აქტივობას, რომელიც თქვენთვის მიუღებელია	7,7%	1,0%	3,7%

ნიშანდობლივია ქალების პოზიცია, რომელიც დაფიქსირდა ზოგადად ქმრის მხრიდან სექსუალური კონტაქტის დამყარების იძულებასთან დაკავშირებით. გამოკითხულთა თითქმის ნახევარი (46,3%, აქედან 15,3% დარწმუნების მაღალი ხარისხით) მიიჩნევს, რომ ქალი უნდა დათანხმდეს სექსუალურ კონტაქტზე, თუ ეს მეუღლეს სურს (იხ. ცხრ. №47).

ცხრილი №49 *კ.28. რამდენად ეთანხმებით მოსაზრებას, რომ, თუ ქმარს/პარტნიორს სურს სექსუალური კონტაქტი, უმჯობესია, ქალი დასთანხმდეს, თუნდაც მას ეს იმ მომენტში არ უნდოდეს?*

	განაწილება
სავსებით ვეთანხმები	15,3%
უფრო კი, ვიდრე არა	31,0%
უფრო არ ვეთანხები	31,7%
სრულებით არ ვეთანხმები	20,3%

ამრიგად, ქალთა თუნდაც ამ ნაწილისთვის ქმრის სურვილი ყველაფერზე მაღლა დგას და, ამდენად, სექსუალური აქტივობის დაძალება არ უნდა აღიქმებოდეს მათ მიერ ძალადობად და იძულებად. ამის დასტურად, გარკვეულწილად, შეიძლება მივიჩნიოთ ის გარემოება, რომ, როგორც შემდგომი კითხვიდან გაირკვა, გაცილებით მეტი ქალი ხვდება ხოლმე სექსუალური კონტაქტის დაძალების სიტუაციაში, ვიდრე ეს ზემოთ განხილული შედეგებიდან გამომდინარეობს. კერძოდ, გამოკითხულთა დიდი უმრავლესობა (74,2%), მათივე განცხადებით, ამა თუ იმ მიზეზით დასთანხმებია მეუღლეს სექსუალურ კონტაქტზე თავისი სურვილის საწინააღმდეგოდ. გამოკითხულთა მხოლოდ მეოთხედი (24,7%) მიუთითებს, რომ მათ მიმართ არ ჰქონია ადგილი დაძალების შემთხვევებს (იხ. ცხრ. №48). შესაძლოა, ამ შედეგებს შორის ასეთი მნიშვნელოვანი განსვლა დიდწილად წარმოადგენს იმავე ტენდენციის ასახვას, რაც ძალადობის თაობაზე სხვა ირიბად და პირდაპირ დასმულ კითხვებთან დაკავშირებით გამოვლინდა.

სექსუალურ კონტაქტზე იძულებით დათანხმების ძირითად მიზეზად შეიძლება მივიჩნიოთ ქმრის განწყენების თავიდან აცილების სურვილი, რაც საკმაოდ დიდი დოზით შეიცავს შიშს ქმრის შესაძლო რეაქციის გამო უარის თქმის შემთხვევაში. აღსანიშნავია, რომ "სხვა პასუხების" სახითაც, ძირითადად, იგივე მოტივია დასახელებული და აქ უკვე ფიგურირებს სიტყვა "შიში" – "შიში, რომ არ გაღიზიანდეს", "არ გაბრაზდეს" და ა.შ. როგორც ცხრილში მოყვანილი მონაცემები-

დან ჩანს, ქალთა გარკვეული ნაწილის იძულებითი თანხმობა გამოწვეული იყო იმით, რომ მათზე ძალა იხმარეს ან დაემუქრნენ.

ცხრილი №50 *კ.29. თუ ყოფილა შემთხვევა, რომ თქვენ დასთანხმდით მეუღლეს/პარტნიორს სექსუალურ კონტაქტზე მაშინ, როდესაც თქვენ ეს არ გსურდათ, ძირითადად რის გამო?*

	განაწილება
არ გინდოდათ გაანაწყენოთ	55,5%
მან ძალა იხმარა	1,2%
დაგითანხმათ მუქარით	1,3%
შეგეცოდათ	12,8%
გცემათ	0,1%
სხვა პასუხი	3,2%
ასეთი შემთხვევა არ ყოფილა	24,7%

რეგიონის სპეციფიკა

აღმოსავლეთ რეგიონის რესპონდენტებს შორის მეტია მათი რიცხვი, ვინც აღიარებს, რომ ყოფილა ქმრის მხრიდან სექსუალური ძალადობის ობიექტი (კ. 27.3, კ.27.4). კერძოდ, მიღებული მონაცემების თანახმად, მათთან სექსუალური აქტივობის იძულების შემთხვევები უფრო გავრცელებულია და უფრო განმეორებადია ("ხშირად" ან "დროდადრო" – 16,5% წინააღმდეგ 8,9% და 9,8%-სა II, I ჯგ-ში; "არასოდეს" - 70,6%; 74%; 77,1% - III – I ჯგ-ში), ასევე გავრცელებულია ქალისთვის მიუღებელი სექსუალური აქტივობის დაძალება (6,1%; 4,7%; 3,7%; - III – I ჯგ-ში).

დასავლეთ საქართველოს რესპონდენტებისთვის დამახასიათებელი სტერეოტიპულობის მეტმა ხარისხმა, რაც ძირითადად "კარგი ქალის" ხატს უკავშირდება და რომლის ცენტრალურ ღერძს წარმოადგენს ქმრისადმი მორჩილებისა და დამყოლობის ხაზგასმა, თავი იჩინა ქმართან სექსუალური ურთიერთობის კონტექსტშიც. კერძოდ, სწორედ ამ რეგიონის წარმომადგენელთა შორის ფიქსირდება იმ ქალების მეტი წილი, ვისაც მიაჩნია, რომ ქალი ქმარს უნდა დასთანხმდეს სექსუალურ კონტაქტზე იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს მას არ სურს. ამ პოზიციის მქონე ქალები II ჯგუფის რესპონდენტების უმრავლესობას შეადგენენ, აქედან თითქმის ნახევარი ამ შეხედულებას ცალსახად იზიარებს (55,4%, აქედან "სავსებით ვეთანხმები" 21,7%; 43,6%, აქედან - 14,2%; 42,4% - აქედან 12,3%, შესაბამისად, II, III და I ჯგუფები).

ამ ტენდენციის შესაბამისად, სექსუალურ კონტაქტზე იძულებით დათანხმების მოტივთა შორის (კ.29) დასავლეთ საქართველოს ქალებთან მეტი ხარისხით არის წარმოდგენილი შეცოდების მომენტი (16,3%, 12,9%; 10,9% – II, III და I ჯგუფებში), მაშინ, როდესაც სხვა დანარჩენი მოტივები აბსოლუტურად ერთნაირი სიხშირით არის წარმოდგენილი ყველა ჯგუფში. მნიშვნელოვანია ისიც, რომ სწორედ დასავლეთის რეგიონის ჯგუფში ფიქსირდება იძულებით სექსუალურ კონტაქტზე არდათანხმების ყველაზე დაბალი მაჩვენებელი (20,9%, 25,8%; 26,4%; II, III და I ჯგუფებში).

ასაკობრივი თავისებურებები

უფროსი თაობის რესპონდენტთა შორის მეტია მათი წილი, ვინც ეთანხმება მოსაზრებას, რომ ქალი, თავისი სურვილის მიუხედავად, უნდა დასთანხმდეს მეუღლეს სექსუალურ კონტაქტზე (44,4%, 45,5%, 54,1% I–III ჯგუფები). სამაგიეროდ, სხვა ასაკის წარმომადგენლებთან შედარებით, ახალგაზრდებს შორის ნაკლებია მათი წილი, ვინც ერთმნიშვნელოვნად უჭერს მხარს ამ პოზიციას (12,6%, 17,3%, 15,6%), და მეტია ისინი, ვინც რადიკალურად არ ეთანხმება ამას (22,2%, 20,6%, 15,6%).

სურვილის საწინააღმდეგოდ სექსუალურ კონტაქტზე დათანხმების ძირითადი მიზეზი - "ქმრის განაწყენების თავიდან აცილება" - თანაბარი ხარისხით არის წარმოდგენილი ყველა ასაკობრივ ჯგუფში. თუმცა უფროსი ასაკის რესპონდენტებთან ამ მიზეზად შედარებით უფრო ხშირად სახელდება აგრეთვე ქმრის მხრიდან მუქარა (1,1%, 0,6%, 4,9%) ან ძალის გამოყენება (1,1%, 0,4%, 1,6% I–III ჯგუფები).

დასკვნები

- სექსუალური კონტაქტის დაძალება საკმაოდ გავრცელებულ მოვლენას წარმოადგენს: რესპონდენტთა, სულ მცირე, მეოთხედი მაინც ყოფილა ამგვარი იძულების ობიექტი; ყოველ მეთორმეტე-მეცამეტე ქალს კი აიძულებდნენ განეხორციელებინა მისთვის მიუღებელი სექსუალური აქტივობა.
- ამასთან, ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ ირიბად დასმულ კითხვებზე მიღებული პასუხების საფუძველზე ფიქსირდება სურვილის საწინააღმდეგოდ სექსუალურ კონტაქტზე დათანხმების გაცილებით მეტი რაოდენობა, რომლებიც, როგორც ჩანს, უმეტესწილად იძულებად არ აღიქმება. ამ უკანასკნელ ვარაუდს ადასტურებს ამგვარი ქცევის მიზნაშეწონილობის აღიარება ქალთა მნიშვნელოვანი ნაწილის მიერ.
- სექსუალურ კონტაქტზე იძულებით დათანხმების წამყვან მიზეზთა საერთო მომენტს წარმოადგენს ქმრის განაწყენების ან გაბრაზების შიში.
- ანგარიშგასაწევია შემთხვევათა ის არცთუ მცირე რაოდენობა, როდესაც სექსუალური კონტაქტის დამყარება ხდებოდა ძალის ან მუქარის გამოყენებით – მიღებული 2,5 პროცენტის გადათვლით ზრდასრულ ქალთა რაოდენობაზე ვიღებთ დაახლოებით 35-40000 ქალს საქართველოს მასშტაბით.
- სექსუალურ ძალადობასთან დაკავშირებით გარკვეული რეგიონალური სპეციფიკა აღინიშნება და იგი ეხმიანება მთელ ამ კვლევაში დაფიქსირებულ ერთ-ერთ სტაბილურ ტენდენციას. კერძოდ, აღმოსავლეთ საქართველოში სექსუალური ძალადობის თვალსაზრისით შედარებით უფრო მძიმე სიტუაცია ფიქსირდება, ვიდრე დანარჩენ ორ ჯგუფში, განსაკუთრებით, აღმოსავლეთ საქართველოში.
- ამავდროულად, სწორედ აქ იჩენს თავს ყველაზე მკაფიოდ ის შეუსაბამობა, რაც საეჭვოს ხდის ზემოაღნიშნულ განსხვავებას დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში. როგორც გაირკვა, იძულებით სექსუალურ კონტაქტზე არ-

დათანხმების მაჩვენებელი ყველაზე ნაკლებია სწორედ დასავლეთ საქართველოს მკვიდრთა შორის, აგრეთვე – სხვა ჯგუფების რესპონდენტებთან შედარებით, აქ ყველაზე მეტია მათი წილი, ვინც ამგვარ სიტუაციაში მიზანშეწონილად მიიჩნევს დათანხმებას და ვინც თავის ასეთ ქცევას "ქმრის შეცოდებით" ხსნის. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, განსვლა ორი რეგიონის მონაცემებს შორის უფრო განცდისეულ დონეს შეეხება. შესაბამისად, აღნიშნული განსვლა, შესაძლოა, წარმოადგენს არა იმდენად რეალური ვითარების ასახვას, რამდენადაც ძალადობის გაცნობიერების და შემდეგ მისი ღიად გაცხადების ხარისხის მაჩვენებელს.

- მიუხედავად იმისა, რომ სექსუალურ ძალადობასთან დაკავშირებით არ დაფიქსირებულა დიდად განსხვავებული ასაკობრივი სპეციფიკა, აქაც იჩინა თავი ახალგაზრდების შედარებით მეტმა შეუპოვრობამ რეალური იძულებისადმი თუ არა, ყოველ შემთხვევაში, "კეთილგონიერი" ცოლის ქცევის შესახებ არსებული შეხედულების მიმართ.

11. შეხედულებები და დამოკიდებულებები ოჯახის ძალადობასთან დაკავშირებით

პირველ ყოვლისა, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ქალთა დაახლოებით მესამედს (31,5%), მათივე განცხადებით, ცოლ-ქმრული ცხოვრების ამა თუ იმ პერიოდში უფიქრია გაყრაზე, რაც, ცხადია, მეტყველებს ქალთა ამ ნაწილის ცხოვრებაში კრიზისული პერიოდების არსებობაზე.

საინტერესოა იმ ძირითადი მოტივების დადგენა, რომელთა გათვალისწინებით, ქალები, საჭიროების შემთხვევაშიც კი, არ გაეყრებოდნენ ქმარს. როგორც აღმოჩნდა, ქალთა გამოკვეთილი უმრავლესობისთვის (87,8%) ქმართან არგაყრის უალტერნატივო მიზეზი უკავშირდება შვილებს - მათი უმამოდ გაზრდის პერსპექტივას (65,1%) და საკუთარი ძალებით მათი მატერიალური უზრუნველყოფის პრობლემებს (21,7%). ამ ძირითად მოტივს დიდი დაცილებით მოსდევს ისეთი მიზეზები, როგორიცაა ქმრის მიმართ სიყვარული (33,9%), დამოუკიდებლად ცხოვრებისა (10,7%) და მარტოობის (10,8%) შიში. ქალების მნიშვნელოვანი ნაწილისთვის (23,6%) ანგარიშგასაწევ ფაქტორს წარმოადგენს აგრეთვე საზოგადოებრივი აზრი - მომდინარე მათი მიკროსოციუმიდან თუ ფართო საზოგადოებიდან (იხ. ცხრ. №49).

ამავე კონტექსტში მნიშვნელოვანია ქალთა პოზიციის გარკვევა იმ საკითხთან დაკავშირებით, თუ რა უნდა წარმოადგენდეს, მათი აზრით, ქმრისგან მომდინარე მუდმივი ფიზიკური თუ ვერბალური ძალადობისგან თავის დაღწევის საშუალებას. გამოკითხულთა მესამედზე მეტმა (36,4%) მთელი პასუხისმგებლობა ამ პრობლემის გადაწყვეტაზე გადაიტანა ქალზე. მათი აზრით, სწორედ ქალი უნდა გაუმკლავდეს ამ სიტუაციას - თავად მოაწესრიგოს ქმართან ურთიერთობა (საინტერესოა, როგორ, თუ იგი მუდმივი ფიზიკური და სიტყვიერი ანგარიშსწორების მხოლოდ და მხოლოდ ობიექტია) ან - კიდევ უფრო უარესი და დამღუპველი როგორც თავად ქალისათვის, ასევე მთლიანად ოჯახისთვის - მოითმინოს ეს გამუდმებული ძალადობა (10,9%). ამ პოზიციის საპირწონედ არსებობს

მხოლოდ ერთი რადიკალური გამოსავალი, რომელსაც უპირატესობა მიანიჭა ქალების მეორე ნაწილმა, – გაყრა (იხ. ცხრ. №50).

ცხრილი №51 *კ.52. რა მიგაჩნიათ ყველაზე მნიშვნელოვან მიზეზად, რის გამო არ გაეყრებოდით ქმარს, ამის საჭიროებაც რომ იყოს?*

	საერთო შერჩევის წილი	შემთხვევები
შვილების უმამოდ გაზრდის პერსპექტივა	31,8%	65,1%
შიში, რომ ვერ შეძლებთ მარტოკა თავისა და ბავშვების რჩენას	10,6%	21,7%
ქმრის მიმართ სიყვარული	16,5%	33,9%
ერიდებით მშობლებისა და ახლობლების ნერვიულობას	8,4%	17,1%
საზოგადოებაში გავრცელებული არახელსაყრელი აზრი გაყრილ ქალებზე	7,9%	16,2%
მარტოობის შიში	5,2%	10,8%
დამოუკიდებლად ცხოვრების შიში	5,2%	10,7%
ნათესავების და ახლობლების მხრიდან გაკიცხვის შიში	3,6%	7,4%
ბინის პრობლემები	3,5%	7,1%
შეჩვევა	3,7%	7,0%

ცხრილი №52 *კ.50. როგორ ფიქრობთ, როდესაც ქმარი გამუდმებით ფიზიკურად უსწორდება ცოლს ან ლანძღავს მას უშვერი სიტყვებით, რა უნდა მოიმოქმედოს ცოლმა?*

	განაწილება
მიმართოს პოლიციას ან სასამართლოს	1,4%
გაეყაროს მას	52,0%
ჩარიოს თავისი სანათესაო	4,8%
მოითმინოს	10,9%
მიმართოს ფსიქოლოგს მეუღლესთან ურთიერთობების მოსაწესრიგებლად	3,8%
შეეცადოს თავად მან მოაწესრიგოს ქმართან/პარტნიორთან ურთიერთობა	25,5%
თვითონ გაუსწორდეს ქმარს ფიზიკურად და ამით დაიცვას თავი	0,8%
გაუწიოს ფიზიკური ან სიტყვიერი წინააღმდეგობა	0,4%

როგორც ვხედავთ, ამგვარი სიტუაციის დარეგულირების სხვა საშუალებები, თუნდაც მესამე მხარის ჩარევა - იქნება ეს ოფიციალური ინსტანცია, სპეციალისტი, თუ ნათესავი - მეტად არაპოპულარული აღმოჩნდა. კიდევ უფრო ნაკლები მომხრე ჰყავს ისეთ გზას, რასაც ჰქვია ძალადობის მცდელობის მოგერიება თავად ქალის მხრიდან.

ამრიგად, მიღებული მონაცემები მიგვანიშნებენ ერთი ცენტრალური ტენდენციის არსებობაზე - ოჯახური ძალადობის მოგვარება თუ მოთმენა, რადაც არ უნდა დაუჯდეს ეს ქალს, ოჯახის ფარგლებში და მისივე რესურსებით უნდა მოხდეს. ამავე პოზიციის დადასტურებად უნდა მივიჩნიოთ შემდეგ კითხვასთან დაკავში-

რებით მიღებული სურათიც: გამოკითხულთა დიდი უმრავლესობა ემხრობა იმ აზრს, რომ "რაც არ უნდა ხდებოდეს ოჯახში, ოჯახშივე უნდა მოგვარდეს". შესაბამისად, გამოკითხულთა გაცილებით ნაკლები რაოდენობა მიიჩნევს საჭიროდ სპეციალიზიბული სამსახურების ჩართვას ქალთა მიმართ განხორციელებული ძალადობის აღსაკვეთად. კიდევ უფრო ნაკლები მომხრე ჰყავს ცოლების მიმართ განხორციელებული ძალადობის გატანას საზოგადოების ფართო სამსჯავროზე (იხ. ცხრ №51). რაც შეეხება პოლიციასა და სამართალდამცავ ორგანოებს, მათი ჩარევა, წინა შემთხვევის მსგავსად, ყველაზე ნაკლებ სასურველად არის მიჩნეული.

ცხრილი №53 კ.56. თუ შეიძლება, მიუთითეთ, რომელ მოსაზრებას ეთანხმებით უფრო:

	განაწილება
ცოლების მიმართ განხორციელებული ძალადობა უნდა გახდეს ფართო მსჯელობის საგანი საზოგადოებაში	11,4%
ამ პრობლემით უნდა დაკავდნენ სამართალდამცავი ორგანოები	3,3%
ამ პრობლების მოგვარება უფრო სპეციალიზირებული სოციალური სამსახურების საქმე უნდა გახდეს	19,1%
რაც არ უნდა იყოს, ის, რაც ხდება ოჯახში, ისევ ოჯახშივე უნდა მოგვარდეს	64,2%

გამოკითხულთა ზემოაღნიშნული პოზიცია, რასაკვირველია, არ არის მოულოდნელი და, ფაქტობრივად, იმ დაუწერელი კანონის ასახვაა, რასაც ეწოდება "ოჯახის სახის შენარჩუნებაზე ზრუნვა", ანუ "ოჯახის ნამუსის შენახვა". ამგვარი პოზიციის არსებობა, შესაძლოა, გასაგებიც იყოს, რომ არა ოჯახური ძალადობის

ცხრილი №54 *კ.55. როგორ ფიქრობთ, ვის მიმართ ხორციელდება უფრო ხშირად ძალადობა?*

	საერთო შერჩევის წილი	შემთხვევები
ქმრის მხრიდან ცოლის მიმართ	43,7%	89,3%
ცოლის მხრიდან ქმრის მიმართ	5,3%	10,7%
ქმარი საკუთარი მამის მიმართ	3,5%	7,1%
ქმარი საკუთარი დედის მიმართ	3,6%	7,3%
ცოლი საკუთარი მამის მიმართ	0,7%	1,3%
ცოლი საკუთარი დედის მიმართ	1,0%	1,9%
სიმამრის მიმართ	1,9%	3,9%
სიდედრის მიმართ	3,9%	6,7%
მამამთილის მიმართ	2,4%	4,9%
დედამთილის მიმართ	4,7%	9,5%
მამის მხრიდან ვაჟიშვილის მიმართ	5,1%	10,4%
მამის მხრიდან ქალიშვილის მიმართ	4,6%	9,4%
დედის მხრიდან ვაჟიშვილის მიმართ	2,2%	4,4%
დედის მხრიდან დედის მხრიდან ვაჟიშვილის მიმართ	1,9%	3,9%
სიძის მიმართ	3,6%	7,3%
რძლის მიმართ	9,3%	18,9%

ის მასშტაბები, რაც თავად რესპონდენტების პასუხებიდან გამომდინარეობს. გამოკითხულთა უმრავლესობის აზრით (კ.54), ოჯახური ძალადობის შემთხვევები ჩვენთან ხშირია (73,1%, აქედან 19,3%-ის აზრით, ძალიან ხშირია) და ეს ძალადობა, გამოკითხულთა ასევე დიდი უმრავლესობის თანახმად, ხორციელდება ქმრის მხრიდან ცოლის მიმართ (89,3%). ასევე ნიშანდობლივია, რომ მამაკაცის მხრიდან მომდინარე ძალადობის სხვა ობიექტებს შორის შედარებით ხშირად არის აგრეთვე დასახელებული ვაჟიშვილი (10,4%) და ქალიშვილი (9,4%). ქალის მიმართ განხორციელებული ძალადობის მაღალი ხარისხის ფონზე გაცილებით მოკრძალებულად გამოიყურება ის მაჩვენებლები, რომელებიც ასახავს რძალ-დედამთილს შორის ტრადიციული დაპირისპირების შედეგებს (იხ. ცხრ. №52).

აქვე საინტერესოა იმის გაგება, თუ ძირითადად რას გულისხმობენ ქალები ოჯახურ ძალადობაში[11]. ქალთა დიდი უმრავლესობა (89,1%) ძალადობად მიიჩნევს ფიზიკურ შეურაცხყოფას - ფიზიკურ შეხებას, ცემას. მთლიანობაში კი, ძალადობის ამა თუ იმ ფორმის სიხშირული დასახელების მაჩვენებლების საფუძველზე გამოიკვეთა შემდეგი სურათი (იხ. ცხრ. №53).:

ცხრილი №55 *კ.53. თქვენი აზრით, რა შეიძლება ჩაითვალოს ძალადობად ოჯახში*

	განაწილება
ფიზიკური შეხება, ცემა	89,1%
დამცირება და პიროვნული შეურცხყოფა	55,6%
სიტყვიერი შეურაცხყოფა (ლანძღვა, გინება)	41,1%
სექსუალური კავშირის დაძალება	35,7%
დამუქრება დასჯით	32,4%
თავისუფლების შეზღუდვა (ურთიერთობების, ქცევის, ჩაცმულობის კონტროლი)	32,3%
გამუდმებული კრიტიკა და შენიშვნების მიცემა	28,9%
ქალის მოტაცება მისი ცოლად შერთვის მიზნით	20,2%
საკუთარი აზრის თავისუფლად გამოთქმის შეზღუდვა	16,0%
ფინანსური კონტროლი	14,9%

ძნელი დასანახი არ არის, რომ ძალადობის ფორმებთან მიმართებაში ერთმნიშვნელოვანი პოზიცია ფიქსირდება მხოლოდ მის ფიზიკურ გამოვლინებებთან დაკავშირებით. ძალადობის დანარჩენი ფორმების მიმართ აშკარად არსებობს აზრთა სხვადასხვაობა. დაწყებული ძალადობის საკმაოდ ზოგადი სახიდან – "დამცირება და პიროვნული შეურაცხყოფა" - გამოკითხულთა პოზიცია უკვე არაერთმნიშვნელოვანი ხდება. ყველაზე იშვიათად ძალადობად მიჩნეულია "ქალის მოტაცება", "აზრის გამოთქმის თავისუფლება" და "ფინანსური კონტროლი".

ქალების დამოკიდებულებები და შეხედულებები ოჯახური ძალადობის საკით-

11 ყურადღება უნდა მიექცეს ორ გარემოებას:
1. შესაბამისი კითხვა ერთ-ერთი ბოლო იყო ანკეტაში, ანუ, სავარაუდოა, რომ რესპონდენტები, ძალადობის სხვადასხვა ფორმების ამსხაველ კითხვებზე მუშაობის შედეგად, გარკვეულწილად გაერკვნენ ამ საკითხში;
2. პასუხების რაოდენობა არ იყო შეზღუდული.

ხებთან დაკავშირებით საკმაოდ მწყობრ სისტემას ქმნის, რომელშიც ერთგვარი წინააღმდეგობები შეინიშნება მხოლოდ ოჯახურ ძალადობასთან არაპრივატული (და არა მარტო ქალის რესურსებით) მეთოდებით ბრძოლის მიმართ გამოთქმული მოსაზრებების გარშემო. კერძოდ, რესპონდენტთა უმრავლესობას მიაჩნია, რომ: "ქალი უნდა იყოს უფრო თავშეკავებული, რათა არ მოახდინოს ძალადობის პროვოცირება" (90,6%, აქედან 57,8% ამ აზრს ერთმნიშვნელოვნად იზიარებს); ქალზე - მის კეთილგონიერებაზე - არის დამოკიდებული, გახდება თუ არა იგი ძალადობის მსხვერპლი (71,7% და 55,9% შესაბამისად); ისევ ქალია დამნაშავე, თუ მას ხელი გაარტყეს, და იგი უნდა დაფიქრდეს ამაზე (55,2% და 27,4%, შესაბამისად); უთანხმოების აღმოცენებისას ქალი უნდა წავიდეს დათმობებზე (76,7% და 33,4% შესაბამისად), ისევე, როგორც ნასვამ კაცს ყველაფერი უნდა მოუთმინონ ცოლმა და ოჯახის წევრებმა (65,2% და 32,7%, შესაბამისად). ასევე გამოკითხულთა მნიშვნელოვან ნაწილს მიაჩნია, რომ ზოგიერთი ქალი იმსახურებს ცემას (44,3%, აქედან 24,4% ცალსახად იზიარებს ამ პოზიციას).

ცხრილი №56

მსჯელობები	სავსებით ვეთანხმები	უფრო ვეთანხმები, ვიდრე არა	უფრო არ ვეთანხმები	სრულებით არ ვეთანხმები
მეუღლეებს შორის უთანხმოებისას ცოლმა უნდა დაუთმოს ქმარს	33,4%	43,0%	16,6%	6,2%
ქალს მართებს მეტი თავშეკავებულობა და სიბრძნე, რომ არ მოახდინოს ძალადობის პროვოცირება ქმრის მხრიდან	57,8%	32,8%	6,3%	2,5%
ჭკვიანი ქალი არასოდეს გაარტყმევინებს ქმარს ხელს	55,9%	15,8%	16,6%	11,2%
თუმცა ცემა ულამაზოა, მაგრამ ზოგიერთი ქალი იმსახურებს ცემას	24,4%	20,3%	24,7%	29,7%
თუ ქმარმა ცოლი ცემა, ქალი უნდა დაფიქრდეს, რა დააშავა	27,4%	27,8%	19,4%	24,1%
თუ ქმარმა ცოლი ცემა, ეს მათი პირადი საქმეა, რომელშიც არავინ არ უნდა ჩაერიოს	38,2%	21,9%	24,3%	14,3%
ცოლის ცემა დანაშაულია, რომელიც კანონით უნდა ისჯებოდეს	40,1%	30,7%	19,4%	8,1%
თუ მეუღლე ფიზიკურად გაუსწორდა ცოლს, უმჯობესია, ქალმა მიმართოს სამართალდამცავ ორგანოებს	9,3%	21,2%	46,1%	21,2%
როცა კაცი გაბრაზებულია, უმჯობესია, მან ბრაზი თავის ცოლზე ამოიყაროს, ვიდრე სხვაზე	9,1%	11,2%	19,6%	59,3%
ნასვამ მამაკაცს ყველაფერი უნდა მოუთმინოს ცოლმა/ოჯახის წევრებმა	32,7%	32,5%	14,6%	19,3%

ამრიგად, ყველა აქ მოყვანილი მსჯელობის მიმართ გამოხატული დამოკიდებულებები შინაგნად ჰომოგენურ შეხედულებათა სისტემას ქმნის, რომელიც,

ფაქტობრივად, წარმოადგენს თვითგვემის, მსხვერპლშეწირვისა და დანაშაულის განცდის ნაერთს და შეიცავს ქალის მიმართ დისკრიმინაციული დამოკიდებულების ძლიერ მუხტს. ამავე დროს უნდა აღინიშნოს ის წინააღმდეგობები, რომელსაც ადგილი აქვს აშკარა ძალადობის გამომხატველი სიტუაციების მიმართ გამოთქმული მოსაზრებების შეფასებებისას. ქალზე პასუხისმგებლობის დაკისრების მომხრეთა რიგები შედარებით მცირდება, როდესაც საქმე ეხება ქალის ფიზიკური შეურაცხყოფის სიტუაციებს, მაგრამ თუ ოდნავ მაინც არსებობს თუნდაც სულ მცირე საბაბი ძალადობის გამართლებისა, ქალთა უმრავლესობა ისევ ორთოდოქსული შეხედულებებისკენ იხრება. ამის აშკარა მაგალითა ორი თითქმის ერთგვაროვანი მოსაზრებისადმი გამოხატული დამოკიდებულება: "თუ მამაკაცი მთვრალია (და ეს შემამსუბუქებელი გარემოებაა) მას ყველაფერი უნდა მოუთმინონ", - მიაჩნია გამოკითხულთა უმრავლესობას. მაგრამ თუ იგივე მამაკაცი მხოლოდ გაბრაზებულია, ამ შემთხვევაში გამოკითხულთა უმცირესობა (20,3%) უჭერს მხარს მოსაზრებას, რომ "უმჯობესია, მან ჯავრი ცოლზე იყაროს". დაახლოებით იგივე, თუმცა ნაკლები ხარისხის წინააღმდეგობების შემცველი სიტუაცია გვაქვს შემდეგ წყვილ მოსაზრებასთან დაკავშირებით. ქალთა შედარებით ნაკლები წილი უჭერს მხარს იმას, რომ "ზოგიერთი ქალი იმსახურებს ცემას" (44,3%), მაგრამ ამგვარ მოსაზრებას მეტი მომხრე უჩნდება, თუ ქალის დადანაშაულების რაღაც, თუნდაც ილუზორული, შანსი არსებობს: "ქალი უნდა დაფიქრდეს, რა დააშავა". ანუ, შესაძლებელია, რომ მაინც ქალი იყოს დამნაშავე, და მაშინ მისი ცემა გამართლებულია.

აშკარად წინააღმდეგობრივი, უფრო სწორად, ურთიერთგამომრიცხავი ხდება შეხედულებები, როდესაც საქმე ეხება ძალადობის სამართლებრივი გზებით აღკვეთას. ქალთა უმრავლესობა თითქოს, მხარს უჭერს მოსაზრებას, რომ "ცოლის ცემა დანაშაულია, რომელიც კანონით უნდა ისჯებოდეს". მაგრამ ეს პოზიცია დეკლარაციული განცხადების ხასიათს იძენს, ვინაიდან, პარალელურად, გამოკითხულთა დაახლოებით იგივე რაოდენობა წინააღმდეგია, რომ "ქალმა მიმართოს სამართალდამცავ ორგანოებს, თუ მას ფიზიკურად უსწორდებიან", ვინაიდან მიაჩნია, რომ ეს "ცოლ-ქმარის პირადი საქმეა, რომელშიც არავინ არ უნდა ჩაერიოს".

მონაცემთა კორელაციური ანალიზის შედეგებმა დაადასტურა ზემოაღწერილი ტენდენციები. შეხედულებათა ეს კონფიგურაცია, მწყობრი სისტემის სახე აქვს. ამ სისტემაში გამოიყოფა ორი არათანაბარი ჯგუფი ერთმანეთთან მჭიდრო და სავსებით კანონზომიერად დაკავშირებული შეხედულებებისა. მათთან ინკონსისტენტური ორი შეხედულების გარდა, ყველა დანარჩენი ერთმანეთთან დადებითად კორელირებს და ქმნის კონსერვატიული, უფრო სწორად, სტერეოტიპული პატრიარქალური შეხედულებების ბირთვს, რომლის თითოეული შემადგენელი ელემენტი აბსოლუტურად ურთიერთშენაცვლებადია. ორი დანარჩენი შეხედულება (რომლებიც ეხება ძალადობის სამართლებრივი გზებით აღკვეთას), ერთმანეთთან მჭიდრო დადებით კავშირშია და უარყოფითად ან საერთოდ არ კორელირებს დანარჩენ რვა შეხედულებასთან. ცალკე აღნიშვნის ღირსია ის გარემოება, რომ უარყოფითი კავშირების განსაკუთრებული სიმრავლე (ორის გარდა) ფიქსირდება დებულების მიმართ, რომლის თანახმად, "ცოლის ცემა დანაშაულია, რომელიც კანონით უნდა ისჯებოდეს".

მეტად საინტერესო კავშირები დგინდება შეხედულებათა ამ სისტემასა და რესპონდენტთა სხვადასხვა მახასიათებელს - როგორც სოციალურ-დემოგრაფიულ, ასევე ძალადობის გამოვლინებებთან მათი მიმართების ხარისხს შორის. კერძოდ, აღმოჩნდა, რომ, რაც უფრო კმაყოფილია ქალი თავისი ოჯახური ცხოვრებით, მით უფრო სტერეოტიპულია მისი შეხედულებები, მით უფრო ეთანხმება ყველა კონსერვატიულ შეხედულებას და, სამაგიეროდ, არ ეთანხმება ორივე ე.წ. ინკონსისტენტურ შეხედულებას. ამავე დროს საკუთარი შემოსავლის ქონა და მისი ოდენობის ხარისხი უკუკავშრშია სტერეოტიპული შეხედულებების მიმღებლობის ხარისხთან. იგივე სურათი მიიღება ზოგადად მატერიალური მდგომარეობის დონესთან დაკავშირებით - რაც უფრო მაღალია კეთილდღეობის ხარისხი, მით ნაკლებ ავლენენ კონსერვატიული შეხედულებების მიმღებლობას.

გარდა ამისა, შეიმჩნევა შემდეგი, შეიძლება ითქვას, კანონზომიერი კავშირები:

- რაც უფრო წყვეტენ რესპონდენტები პირადად მათთან დაკავშირებულ საკითხებს, იცავენ თავიანთ ინტერესებს და თავისი ცხოვრების ერთ-ერთ მთავარ ამოცანად არ მიაჩნიათ მეუღლის ყველა მოთხოვნისა და სურვილის შესრულება, მით უფრო არ ეთანხმებიან სტერეოტიპულ დებულებებს;
- რაც უფრო განიცდიან უარყოფით ემოციებს, მით ნაკლებია ამ დებულებების მიმღებლობა;
- ამავე დროს, რაც უფრო უარყოფენ მუქარისა და დაძალების, კრიტიკისა და საყვედურების შემთხვევებს, მით უფრო ეთანხმებიან სტერეოტიპულ შეხედულებებს და არ ეთანხმებიან ინკონსისტენტურ მოსაზრებებს.
- ამრიგად, იკვეთება საკმაოდ მწყობრი მსოფლმხედველობის მატარებელი ქალების განსხვავებული ჯგუფები.

რეგიონის სპეციფიკა

ყველა გამოყოფილ ჯგუფში, ქალთა თითქმის თანაბარი – დაახლოებით მესამედი ნაწილი – აღმოჩენილა ისეთ სიტუაციაში, როდესაც უფიქრია გაყრაზე. მცირე განსხვავებები გამოვლინდა დასავლეთ საქართველოს წარმომადგენლებთან, რომლებთანაც, როგორც მოსალოდნელი იყო, უფრო შერბილებული სურათი იქნა მიღებული (უფიქრიათ გაყრაზე – 33,6%; 26,%; 33,5% I - III ჯგუფებში, შესაბამისად).

ქმართან არგაყრის ძირითადი მოტივი - შვილების მომავალზე ზრუნვა - გაცილებით აქცენტირებულია რეგიონების წარმომადგენლებთან (60,9%, 66,4%, 70,0% I–III ჯგუფები). სამაგიეროდ, მათთან, თბილისთან შედარებით, იკლებს რიგით მეორე მნიშვნელობის მოტივი – ქმრის მიმართ სიყვარული (39,1%, 32,0%, 27,9%). როგორც მოსალოდნელი იყო, სოციალური გაკიცხვისა (6,6%, 11,6%, 11,4%) და " გაყრილ ქალებზე საზოგადოებაში გავრცელებული არახელსაყრელი აზრი"-ს (15,0%, 18,8%, 15,8% I–III ჯგუფები) მიმართ უფრო მგრძნობიარენი აღმოჩნდნენ დასავლეთ საქართველოს მკვიდრნი (22,7%; 18,75; 10,7% III-I ჯგუფებში). ამავე დროს, ყველაზე მეტად აშინებთ "დამოუკიდებლად

ცხოვრება“ (12,9%, 6,0%, 11,4%) და მატერიალური სიძნელეები (24,1%, 14,0%, 24,6% I–III ჯგუფები) თბილისისა და აღმოსავლეთ საქართველოს მკვიდრთ.

გაყრას, როგორც ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის გზას, ყველაზე მეტი მომხრე აღმოაჩნდა თბილისში (61,1% წინააღმდეგ 42,2% და 47,1%-სა II - III ჯგ-ში), მაშინ, როდესაც რეგიონის წარმომადგენლებთან შედარებით პრიორიტე-ტული აღმოჩნდა პასუხისმგებლობის გადატანა ქალზე, რომელსაც ეკისრება თავად მოაგვაროს ურთიერთობა ქმართან (27,5%; 26,5%; 23,4% - II, III, I ჯგუფებში). მეტიც, რეგიონის წარმომადგენელთა აზრით, ერთ-ერთ ძირითად (მნიშვნელობით მესამეს) სტარტეგიას ამ შემთხვევაში უნდა წარმოადგენდეს “მოთმენა“ (16,8%; 14% და 4,4% - III, II, I ჯგუფებში), სიმპტომატურია, რომ მოთმინების მომხრენი ყველაზე მეტად არიან წარმოდგენილნი იმ ჯგუფებში, სადაც უფრო მძიმე სურათი იკვეთება ძალადობის გავრცელების მხრივ.

სამივე ჯგუფის რესპონდენტთა უმრავლესობას მიაჩნია, რომ “ოჯახური ძალადო-ბის შემთხვევები ჩვენთან “ძალიან ხშირია“ და “ხშირია“, თუმცა დასავლეთ სა-ქართველოს წარმომადგენლები ამ შემთხვევაშიც იჩენენ მეტ ზომიერებას (76,9%, 66,7%, 73,6% – I–III ჯგუფები).

იმ ფონზე, რომ სამივე გამოყოფილი ჯგუფის წარმომადგენელთა დიდი უმრავლე-სობა ძალადობის ძირითად ობიექტად თვლის ცოლს (92,5%, 84,7%, 88,4% I–III ჯგუფები შესაბამისად), გარკვეული განსხვავებები შეინიშნება ძალადობის სხვა სამიზნეების დასახელების სიხშირის მხრივ. კერძოდ, თბილისელი რესპონდენ-ტები, სხვა ჯგუფების წარმომადგენლებთან შედარებით, გაცილებით ხშირად აღნიშნავენ მამის ძალადობას ვაჟიშვილისა (16,0%, 4,8%, 7,3%) და ქალიშვილის (15,3%, 3,2%, 6,3% I–III ჯგუფები) მიმართ, ასევე მამაკაცის მხრი-დან საკუთარი მშობლების (მამის - 10,6%, 5,6%, 3,3%; დედის - 10,6%, 6,5%, 3,3% I–III ჯგუფები) მიმართ; ცოლის მხრიდან ქმრის მიმართ (12,0%, 10,5%, 9,2% I–III ჯგუფები), მეუღლის მშობლების მხრიდან რძლის (22,8%, 17,3%, 14,9%) და სიძის (10,6%, 3,2%, 5,9%) მიმართ. დასვლეთ საქართველოს წარმო-მადგენლები მათთვის ჩვეულ ზომიერებას ღალატობენ და უფრო ხშირად ასახე-ლებენ დედამთილის მიმართ განხორციელებულ ძალადობას (11,3%, 13,3%, 4,0% I–III ჯგუფები).

ქალთა მიმართ განხორციელებული ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის საშუა-ლებებთან დაკავშირებითაც ყველა აღებულ ჯგუფში გამოვლინდა იგივე პრიო-რიტეტები, რაც მთლიან შერჩევაში. ამასთანავე, გარკვეული განსხვავებები აღინიშნა პრიორიტეტების არჩევის ხარისხის მხრივ. თბილისთან შედარებით, რეგიონის წარმომადგენელთა შორის გაცილებით მეტია მათი წილი, ვინც მიიჩ-ნევს, რომ ეს პრობლემა ოჯახის შიგნით უნდა მოგვარდეს (56,5%, 69%, 70,6% 1–III ჯგუფებში). ამავე დროს მათთან ნაკლები პოპულარობით სარგებლობს “სპე-ციალიზირებული სამსახურების ჩართვა ამ საქმეში“ (25,5%, 15,5%, 13,2% – I–III ჯგუფებში). ყველაზე ნაკლები მომხრე ჰყავს “ამ პრობლემის ფართო სამსჯავ-როზე გამოტანას“ დასავლეთ საქართველოში (12,7%, 8,9%, 12,3% I–III ჯგუფებ-ში შესაბამისად).

რეგიონის წარმომადგენლებთან შედარებით, თბილისის რესპონდენტები უკეთ ახდენენ ძალადობის სახეთა იდენტიფიცირებას. ამის მკაფიო მაგალითია თუნდაც ის ფაქტი, რომ ფიზიკური შეურაცხყოფა - ცემა, რომელიც შედარებით ერთმნიშვნელოვნად აღიარებულია როგორც ძალადობის ფორმა, ასეთად არ აღიქმება რეგიონის ქალთა საკმაოდ მოზრდილი ჯგუფის მიერ, განსაკუთრებით ეს ეხება დასავლეთ საქართველოს მკვიდრთ (94,9%, 80,7%, 87,8% I–III ჯგუფები). კიდევ უფრო ნაკლები მიიჩნევს ასეთად "დამცირებას და პიროვნულ შეურცხყოფას" (64,1%, 51,6%, 46,7%); "სიტყვიერ შეურაცხყოფას" (49,5%, 31,1%, 37,5%), "დამუქრებას დასჯით" (40,3%, 21,3%, 30,6%), "გამუდმებულ კრიტიკასა და შენიშვნების მიცემას" (34,7%, 22,4%, 26%). რაც შეეხება ძალადობის დანარჩენ სახეებს, მათი ძალადობად იდენტიფიცირების ხარისხი ერთნაირად დაბალია ყველა ჯგუფში.

გამოყოფილ ჯგუფებს შორის დაფიქსირდა საკმაოდ ერთმნიშვნელოვანი და სტაბილური განსხვავებები ოჯახური ძალადობის მიმართ გამოხატული დამოკიდებულებებისა და მოსაზრებების შეფასებაში. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, განსხვავება იკვეთება თბილისისა და რეგიონის წარმომადგენლებს შორის ამა თუ იმ დებულების მიღება-მიუღებლობის ხარისხის მხრივ. როგორც წესი, რეგიონის მკვიდრნი, თბილისელებთან შედარებით, უფრო ხისტ კონსერვატიულ პოზიციას ავლენენ, რაც გამოიხატება ძალადობის კონტექსტში ქალის როლის შესახებ არსებული სტერეოტიპული მოსაზრებების მეტ მიმღებლობაში (იმ შეხედულების ჩათვლით, რომლის თანახმად, გაბრაზებულმა მამაკაცმა უმჯობესია ჯავრი იყაროს ცოლზე) და ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის სამართლებრივი გზების მიუღებლობის მეტ ხარისხში. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია აღმოსავლეთ საქართველოს წარმომადგენელთა ორთოდოქსალურობის მეტი ხარისხი, თუნდაც დასავლეთ საქართველოს რესპონდენტებთან შედარებით. მათი ამგვარი პოზიცია მით უფრო იპყრობს ყურადღებას, რომ სწორედ ამ ჯგუფის მონაცემების საფუძველზე დადგინდა ძალადობის მეტი ხარისხი ამ რეგიონში.

ასაკობრივი თავისებურებები

ასაკის მატებასთან ერთად მცირდება მათი წილი, ვინც აცხადებს, რომ ცხოვრებაში ჰქონია ისეთი მომენტები, როდესაც უფიქრია გაყრაზე (34,2%, 31,2%, 25,4%).

ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის გზებთან დაკავშირებით გამოვლინდა შემდეგი ტენდენციები:

– საშუალო ასაკის ჯგუფში მეტია მათი წილი, ვინც ამჯობინებს რადიკალურ გზას - გაყრას (49,2%, 55,6%, 45,1% I–III ჯგუფები), ამსათანავე, მათ შორის ნაკლებია ცოლისგან მოთმენის მომხრე (11,5%, 7,9%, 19,7% I–III ჯგუფები).

– ახალგაზრდებში, სხვა თაობის წარმომადგენლებთან შედარებით, მეტია მათი წილი, ვინც ამ პრობლემის მოგვარებას თავად ქალს აკისრებს (28,6%, 23,4%, 23,8%).

– უფროსი ასაკის ჯგუფში, სხვებთან შედარებით, მეტი მომხრე ჰყავს, ოჯახური

ძალადობის ოჯახშივე მოგვარებას (63,9%, 61,9%, 73,8% I–III ჯგუფები). სხვა ალტერნატიულ გზებს მეტი მომხრე ჰყავს საშუალო ასაკისა და გარკვეული ხარისხით ახალგაზრდების ჯგუფებში ("უნდა გახდეს ფართო მსჯელობის საგანი" - 9,4%, 14,1%, 8,2%; სამართალდამცავი ორგანოების - 4,0%, 3,2%, 1,6% ან სპეციალიზებული სამსახურების დახმარებით - 20,9%, 18,8%, 14,8% I–III ჯგუფები).

ყველა ასაკობრივ ჯგუფში თანაბრად მაღალია მათი წილი, ვინც მიიჩნევს, რომ ჩვენში ხშირია ოჯახური ძალადობა (74,8%, 72,5%, 71,3%).

ძალადობის ერთადერთ ძირითად ადრესატს, რომელსაც ასახელებს სამივე ჯგუფის რესპონდენტთა უდიდესი უმრავლესობა, წარმოადგენს ცოლი (89,4%, 89,9%, 86,3% – I, II და III ჯგუფებში, შესაბამისად). მთლიან შერჩევაში დაფიქსირებულის ანალოგიურია აგრეთვე ძალადობის სხვა ობიექტებთან დაკავშირებით მიღებული განაწილებაც.

იმ ძირითად მოტივებს შორის, რის გამოც "არ გაეყრებოდნენ ქმარს, ამის საჭიროება რომ იყოს კიდეც", ყველაზე მეტი დატვირთვა "შვილების უმამოდ გაზრდის პერსპექტივაზე" მოდის უფროსი თაობის წარმომადგენლებთან (76,5% წინააღმდეგ 65,2% და 61,3%-სა II–I ჯგუფებში). ახალგაზრდებთან შედარებით, დანარჩენი ორი ჯგუფის წარმომადგენელთათვის უფრო მეტი მნიშვნელობის მქონეა "საზოგადოებაში გავრცელებული არახელსაყრელი აზრი გაყრილ ქალებზე" (22,7%; 18,75; 10,7% III-I ჯგუფებში), ამავე დროს, ახალგაზრდებს ყველაზე მეტად აშინებთ "დამოუკიდებლად ცხოვრება" (14%; 9,2%; 6,7% I-III ჯგუფებში).

ახალგაზრდა რესპონდენტებთან შედარებით, საშუალო და უფროსი თაობის წარმომადგენლები უკეთ ახდენენ ძალადობის სახეთა იდენტიფიცირებას (მაგალითად, "სიტყვიერი შეურაცხყოფა" - 35,3%, 44,5%, 44,6%; "დამუქრება დასჯით" - 28,3%, 34,1%, 38%; "გამუდმებული კრიტიკა" – 25,3%, 30,7%, 32,2%; "ფინანსური კონტროლი" - 12,8%, 16,4%, 15,7%; "თავისუფლების შეზღუდვა" - 29,6%, 34,3%, 32,2% – I-III ჯგუფები, შესაბამისად). ერთადერთ გამონაკლისს, სადაც, მართალია, სუსტად გამოხატული, მაგრამ საწინააღმდეგო ტენდენცია გამოვლინდა, წარმოადგენს სექსუალური კავშირის დაძალება (37,5%, 34,9%, 33,1% I–III ჯგუფები)..

ასაკთან ერთად იზრდება სტერეოტიპული შეხედულებების გაზიარების ხარისხი. ახალგაზრდები გაცილებით ლიბერალურ პოზიციას ავლენენ უკლებლივ ყველა ამ ტიპის მოსაზრებების შეფასებისას. იგივე პოზიცია შეინიშნება ალტერნატიულ შეხედულებებთან (ძალადობის სამართლებრივი გზებით გადაწყვეტა) დაკავშირებით, თუმცა ამ შემთხვევაში მას უკვე აღარა აქვს გამოკვეთილი ხასიათი.

დასკვნები

- გამოკითხულთა დაახლოებით მესამედი აღმოჩენილა ისეთ მძიმე სიტუაციებში, როდესაც ოჯახის დანგრევის შესაძლებლობაზეც კი უფიქრია.

- იმ მიზეზთა შორის, რომლებიც, გამოკითხულთა თანახმად, განაპირობებს ქმართან დარჩენას, მიუხედავად მასთან გაყრის საჭიროებისა, ძირითადად ფიგურირებს ბავშვის მომავალზე ფიქრი, მატერიალური სიძნელეებისა და სოციალური გაკიცხვის შიში, საყრდენის გარეშე აღმოჩნისა და დამოუკიდებლობის შიში, აგრეთვე ქმრისადმი სიყვარული და მიჯაჭვულობა.
- გამოკითხულთა თანხმად, ოჯახური ძალადობის გავრცელების მასშტაბები მეტად შთამბეჭდავი და შემაშფოთებელია, ხოლო მის ერთადერთ, თითქმის უალტერნატივო ობიექტი ქალია. ამ ფონზე კიდევ უფრო დამაფიქრებელი ჩანს ამავე ქალების მიერ გამოხატული პოზიცია, რომლის თანახმად, ოჯახური ძალადობის პრობლემა უნდა დარჩეს დახურულ, პრივატული გარჩევის საგანად.
- ერთი მხრივ, იმის მოთხოვნა, რომ ყველაფერი ოჯახის შიგნით დარჩეს და მისივე ძალებით მოგვარდეს, მეორე მხრივ კი, ოჯახური ძალადობის გავრცელების მაღალ ხარისხზე მითითება, სულ ცოტა, ამ საკითხში ორმაგი მორალის, უფრო სწორად კი, ფარისევლური პოზიციის არსებობაზე უნდა მიანიშნებდეს.
- ოჯახური ძალადობა მჭიდროდ უკავშირდება მხოლოდ ფიზიკური ძალის გამოყენებას და, გარკვეული ხარისხით, აგრეთვე პიროვნულ შეურაცხყოფას და დამცირებას. ამავდროულად, ძალადობის ისეთი ფორმები, როგორიცაა სიტყვიერი შეურაცხყოფა, თავისუფლების შეზღუდვა, სექსუალური კონტაქტის დაძალება, ქალის მოტაცება და ფინანსური შეზღუდვები, ქალთა უმრავლესობის მიერ ძალადობად არ აღიქმება.
- ქალთა შეხედულებების სისტემა ცოლ-ქმარს შორის უთანხმოებისა და ძალადობის საკითხებთან დაკავშირებით აგებულია ერთი ცენტრალური ღერძის გარშემო - ამ სფეროში პასუხისმგებლობის უდიდესი წილის ქალისთვის დაკისრებისა - და ამ თვალსაზრისით მას საკმაოდ ჰარმონიული, შინაგნად შეთანხმებული და იმავდროულად მეტად ხისტი წარმონაქმნის სახე აქვს.
- შეხედულებათა ეს სისტემა აღბეჭდილია ტრადიციული პატრიარქალური სულისკვეთებით, რის მკაფიო გამოხატულებასაც წარმოადგენს ის გარემოება, რომ ქალზეა გადმოტანილი პასუხისმგებლობის მთელი სიმძიმე უთანხმოების აღმოცენებასა და მის დარეგულირებაში, ძალადობისაგან თავის დაღწევის ერთადერთ მისაღებად გზად კი მიჩნეულია ქალის მხრიდან დათმობაზე წასვლა ან მოთმენა.
- ოჯახური ძალადობა, გამოკითხულთა პოზიციიდან გამომდინარე, განწირულია დარჩეს გადაუწყვეტელ, მოუგვარებად მუდმივ პრობლემად, ვინაიდან მისი გატანა მზის შუქზე, რათა შესაძლებელი გახდეს, აღკვეთა თუ არა, ყოველ შემთხვევაში, მისი შემცირება სამართლებრივი გზებით ან რაიმე მესამე ინსტანციის ჩარევით – რესპონდენტთა უმრავლესობისთვის სრულიად მიუღებელ გზად აღიქმება. სრულიად აბსურდული ჩანს ამ უკანასკნელთა მოთხოვნა, რომ ეს პრობლემა მოგვარდეს თავად ძალადობის ობიექტის მიერ.
- მიუხედავად იმისა, რომ უფროსი ასკის წარმომადგენლები უკეთ ახდენენ ძალადობის სახეების იდენტიფიცირებას, სწორედ ისინი იჩენენ, ახალგაზრდა

რესპონდენტებთან შედარებით, მეტ კონსერვატიზმს ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებებთან დაკავშირებით. სწორედ ამ ასაკობრივი ფენის წარმომადგენლები ერთმნიშვნელოვნად ემხრობიან ამ პრობლემის მოგვარებას მხოლოდ ოჯახის შიგნით არსებული რესურსებით, სინამდვილეში კი – ქალის ხარჯზე, მისი მოთმენისა თუ გაჩუმების გზით.

- იგივე ითქმის იმ რეგიონის წარმომადგენლებზეც, სადაც ყველაზე მძიმე სურათი დაფიქსირდა ძალადობის გავრცელების ხარისხისა და ინტენსივობის მხრივ. მიუხედავად ამ პრობლების არსებობის გაცნობიერებისა და აღიარებისა, ამ რეგიონის წარმომადგენელი ქალები, დასავლეთ საქართველოს რესპონდენტთა მსგავსად, რომლებიც ცდილობენ შეინარჩუნონ "ოჯახის სახე" და შესაბამისად, უფრო შემსუბუქებულ სურათს ავლენენ, ისევ ქალებს აკისრებენ პასუხისმგებლობას ყოველგვარი ძალადობის აღკვეთასა თუ პრევენციაზე.
- ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის გზებთან დაკავშირებით ახალგაზრდებთან ვლინდება საკმაოდ წინააღმდეგობრივი პოზიცია – ერთი მხრივ, ამ პრობლემის მოგვარებაზე პასუხისმგებლობის მთელი სიმძიმის გადატანა თავად ძალადობის მსხვერპლზე, მეორე მხრივ, გარეშე ინსტანციების ჩარევის საჭიროების აღიარება. კიდევ უფრო კონტრასტული ჩანს ქალზე პასუხისმგებლობის გადატანის მათი ეს პოზიცია იმ ცენტრალური ტენდენციის ფონზე, რაც გამოვლინდა მთლიანად კვლევაში (ახალგაზრდების მეტი მგრძნობიარობა ძალადობისადმი, ამ მოვლენის გაცნობიერების და აღიარების მეტი ხარისხი), ისევე, როგორც მათი უფრო ლიბერალური შეხედულებები.
- სამაგიეროდ, სრულიად ერთმნიშვნელოვანი, ჰარმონიული პოზიცია ვლინდება უფროსი ასაკის წარმომადგენლებთან, რომელიც მთლიანად მორგებულია "კარგი ცოლის" ხატზე – მეტი მოთმენა, ამ პრობლემის ოჯახშივე მოგვარება, რაც შეიძლება ნაკლები გარეშე ძალების ჩარევა, ოჯახური ძალადობის არსებობაზე პასუხისმგებლობის ქალის ავკარგიანობაზე გადატანა.

ძირითადი მიგნებები

- ოჯახური ჩაგვრისა და ზეწოლის ერთ-ერთ საკმაოდ გავრცელებულ ფარულ ფორმას წარმოადგენს გადაწყვეტილების მიღების თავისუფლების შეზღუდვა:
  - ქალების უმრავლესობას ნებაყოფლობით თუ იძულებით ჩამორთმეული აქვს უფლება დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილებები იმ საკითხებთან დაკავშირებითაც, რომლებიც პირადად მას ეხება;
  - ქალთა მესამედზე გაცილებით მეტი ვერ სარგებლობს ქმართან თანაბარი ხმის უფლების ერთობლივი თანაცხოვრების დროს წამოჭრილი საკითხების გადაწყვეტის დროსაც;
  - განსაკუთრებით უფლებაშეზღუდულები ამ თვალსაზრისით ჩანან რეგიონის წარმომადგენლები და ახალგაზრდა ასაკის რესპონდენტები.

- საკუთარი შემოსავლის წყაროს არქონა და ეკონომიკური რესურსებისგან მოწყვეტა გვევლინება ოჯახური ძალადობის მიმართ ქალის მოწყვლადობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად. ქალთა თითქმის ნახევარი მოწყვეტილია ამ რესურსებს, რის ერთ-ერთი წამყვანი მიზეზი ოჯახის მოვლასა და ირიბად თუ პირდაპირ მეუღლისგან მომდინარე მოთხოვნებს უკავშირდება.
  - პროფესიული საქმიანობა განიხილება მხოლოდ როგორც ოჯახისთვის დამატებითი შემოსავლის წყარო და ნაკლებად წარმოადგენს პიროვნული რეალიზების შესაძლებლობას;
  - ახალგაზრდა რესპონდენტებთან განსაკუთრებით მწვავედ დგას საკუთარი ფინანსური რესურსების არქონა და სწორედ მათთან ირღვევა გარკვეულწილად საოჯახო საქმეების პრიორიტეტულობა სამსახურებრივ საქმიანობასთან შედარებით.
- გამოვლინდა ცოლის მიმართ ეკონომიკური ძალადობის ფორმათა მთელი სპექტრი, რომელთა შორის ქმრის მხრიდან ფინანსური კონტროლისა და მასზე მუდმივი ეკონომიკური დამოკიდებულების გვერდით მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სხვადასხვა სახის ეკონომიკური ხასიათის აკრძალვებსა და შეზღუდვებს.
  - გამოკითხულთა დიდი უმრავლესობა ამა თუ იმ ხარისხით იმყოფება ფინანსური ზეწოლის ქვეშ, რაც გულისხმობს მეუღლისგან ფულის თხოვნის საჭიროებას ნებისმიერი (საოჯახო თუ პირადი სარგებლობის) საყიდლებისათვის და მის წინაშე ანგარიშვალდებუ-ლებას გაკეთებული დანახარჯების თაობაზე;
  - საერთო დანაზოგით თავისუფლად სარგებლობის უფლება აქვს ქალთა მცირედ ნაწილს (12,4%);
  - ეკონომიკური ჩაგვრის ყველაზე ხშირ სამიზნეებს წარმოადგენენ რეგიონის მკვიდრნი, შემოსავლის საკუთარი წყაროს არმქონე ქალები და ახალგაზრდები.
- ფსიქოლოგიური ზეწოლის მრავალგვარობა, მისი ინტენსივობის და გავრცელების მაღალი ხარისხი გვაფიქრებინებს, რომ სწორედ ეს იარაღი - უჩინარი, ფარული და, ამავე დროს, არანაკლებ მძლავრი, ვიდრე ფიზიკური ზემოქმედება, იქცა ქალის მართვის, კონტროლისა და მასზე ძალაუფლების განხორციელების ერთ-ერთ ყველაზე პრიორიტეტულ საშუალებად.
  - ანგარიშგასაწევია ამ იარაღის ორმაგი ეფექტიც - ერთი მხრივ, იგი ბადებს მძიმე ემოციურ განცდებს, განაპირობებს საკუთარ ძალებში დაურწმუნებლობას და პიროვნულ დაკნინებას, მეორე მხრივ კი ეხმიანება "კარგი ქალის" სტერეოტიპს, რომლის ცენტრალურ ღერძს წარმოადგენს ოჯახისთვის და ქმრისთვის თავდადება და საკუთარი მისწრაფებებისა და მიზნების მსხვერპლად გაღება. სწორედ ამ ორგვარი ეფექტის წყალობით, მიუხედავად შინაგანი დისონანსისა და ემოციური დისკომფორტისა, რომლებიც თან ახლავს მას, მიიღწევა ქმრისადმი მიჯაჭვულობის მაღალი ხარისხი;
  - ქალთა მნიშვნელოვანი ნაწილი (არა ნაკლებ მესამედისა) იმყოფება მუდ-

მივი ფსიქოლოგიური ზეწოლის ქვეშ, რომელიც მოიცავს ამ ტიპის ძალადობის მთელ სპექტრს: ესაა ეჭვიანობა, საყვედურები, აკრძალვები, ქალის საურთიერთობო წრის შეზღუდვა მხოლოდ ოჯახის წევრებით, მოთხოვნებისა და მოლოდინების მთელი სისტემა. ყოველივე ეს კი ემსახურება ქალზე ძალაუფლებისა და მასზე კონტროლის განხორციელებას;

– ფსიქოლოგიური ძალადობის მიმართ ყველაზე მგრძნობიარე ფენას ქმნიან რეგიონის წარმომადგენლები და ახალგაზრდა ასაკის რესპონდენტები;

– ფსიქოლოგიური ძალადობის გამოვლენის ხარისხი აშკარა შესაბამისობაშია სხვა ფორმის ძალადობის გამოხატულების ხარისხთან, რაც გარკვეულწილად ანიჭებს მას ზოგადად ძალადობის ინდიკატორის მნიშვნელობას. ფსიქოლოგიური ძალადობა განსაკუთრებით მკვეთრად ვლინდება იმ კატეგორიის რესპონდენტებს (საცხოვრებელი ადგილისა თუ ასაკის მიხედვით გამოყოფილს) შორის, რომლებთა მიმართ ასევე განსაკუთრებული ხარისხით ვლინდება (ან განიცდება) ეკონომიკური თუ ფიზიკური ძალადობა.

- ოჯახური კონფლიქტისა და აგრესიის გამომწვევი ისეთი ხასიათის მიზეზთა გვერდით, როგორიცაა მატერიალური ხასიათისა და მესამე პირებთან ურთიერთობის პრობლემები, მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მიზეზთა იმ კომპლექსს, რომელიც უკავშირდება ქალის სწრაფვას პიროვნული დამოუკიდებლობისკენ და ქმრის მცდელობას განახორციელოს მასზე კონტროლი.
- ქალთა უდიდესი ნაწილი, განურჩევლად მათი ასაკისა და საცხოვრებელი ადგილისა, მძიმე ფიზიკური და ვერბალური ძალადობის ობიექტი ხდება. ამგვარ ძალადობას ქალთა გარკვეული ნაწილი მათი ფეხმძიმობის პერიოდშიც აწყდება, რაც ზოგი მათგანისთვის სავალალო შედეგებით მთავრდება (ორსულობის შეწყვეტა).
- კონფლიქტურ სიტუაციებში ქმრების მხრიდან უკმაყოფილების გამოხატვა, უპირატესად, ღიად გამოვლენილი ფორმებით ხდება – ვერბალური თუ ფიზიკური აგრესიის გამოვლენის სახით. ქალებთან, ძირითადად, ვერბალურ აგრესიასთან ერთად ჭარბობს ძალადობის მსხვერპლისთვის ჩვეული რეაქციები (ტირილი, მოძალადისთვის თავის შეცოდება, ძალადობის უჩუმრად ატანა და ა.შ.).
- ფიზიკური ძალადობის ობიექტი გამხდარა, სულ მცირე, რესპონდენტთა მეხუთედი მაინც. მათ შორის იკვეთება ქალთა გარკვეული ნაწილი, რომელიც საჭიროებს რაიმე სახის დაცვას სისტემატური ფიზიკური თავდასხმებისგან.

  – ფიზიკური ძალადობის მრავალი, გამოყენებაში მყოფი სახიდან განსაკუთრებით პრიორიტეტულია ერთჯერადი გარტყმა და ცემა;

  – ნაწილი ქალებისა მათ მიმართ გამოყენებული ფიზიკური ძალადობის გამო საჭიროებდა შესაბამისი (სამართალდამცავი და სამედიცინო) სამსახურების ჩარევასაც, თუმცა რეალურად ეს მხოლოდ ცოტამ განახორციელა. ამ სამსახურებისადმი არმიმართვის ძირითადი მიზეზები იყო გახმაურების შიში, სირცხვილის გრძნობა და ქმრის კიდევ მეტად გაღიზიანების შიში. პოლიციის შემთხვევაში ამ მიზეზებს ემატება უნდობლობა ამ სამსა-

ხურის ეფექტურობისადმი.

- ფიზიკური ძალადობა, მართალია, სხვადასხვა პრიორიტეტული ფორმით, მაგრამ ერთნაირი სიხშირით გვხვდება ყველა გამოყოფილ რეგიონში.
- ახალგაზრდების მიმართ ფიქსირდება ფიზიკური ძალადობის ყველა გამოვლინების შედარებით მაღალი ხარისხი, რაც, სავსებით სავარაუდოა, რეალური ვითარების ასახვაა, თუმცა ასევე შესაძლებელია, რომ იყოს ამ მოვლენის მეტი გაცნობიერებისა და აღიარების მაჩვენებელიც.

- კონფლიქტურ სიტუაციებში ქალის ქცევითი სტრატეგიების განაწილების მაჩვენებლები საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ მცირედი გამონაკლისების გარდა, გამოკითხულთა დიდი უმრავლესობა გამხდარა მძიმე სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფის ობიექტი.
  - მიყენებულ შეურაცხყოფაზე რესპონდენტთა ტიპური რეაქციები უმეტესწილად წარმოადგენს ძალადობის მსხვერპლისთვის დამახასიათებელ ქცევით მოდელებს: მომხდარის არშემჩნევა, აგრესიის პასიურად მიღება, დალოდება, რომ ყველაფერი თავისით მოგვარდეს, დახმარებისთვის არმიმართვა, საკუთარი უძლურების კომპენსირება სხვებზე – უპირველეს ყოვლისა, შვილებზე გაღიზიანების გადატანით;
  - საკუთარი ინტერესებისა თუ ღირსების დაცვის დროსაც რესპონდენტთა მნიშვნელოვანი ნაწილი (ნახევარი და მეტი), როგორც წესი, ირჩევს პასიური თავდაცვის გზებს ან მსხვერპლისთვის ჩვეულ ქცევით მოდელებს.
  - საკუთარ ინტერესებზე ნებაყოფლობით თუ იძულებით უარის თქმის ან უკანდახევის, ძალადობის პასიურად ატანის სტრატეგიები უფრო დამახასიათებელი აღმოჩნდა რეგიონის მცხოვრებთათვის და უფროსი ასაკის რესპონდენტებისთვის. მათ ფონზე თბილისელები და, განსაკუთრებით, ახალგაზრდები გაცილებით უფრო მებრძოლები და პიროვნულად ძლიერები ჩანან.
  - უფროსი ასაკის ქალები ახორციელებენ "კარგი ცოლების" ტიპურ მოდელს: უფრო კმაყოფილები არიან ოჯახური ცხოვრებით, შედარებით მეტ უფლებამოსილებას ანიჭებენ საკუთარ თავს ოჯახის სხვადასხვა საქმიანობის, მათ შორის, ეკონომიკურის, განხორციელებისას, თუმცა, ამავდროულად, გაცილებით მეტად გამოიყურებიან ჩაგვრის ობიექტად.

- სურვილის საწინააღმდეგოდ სექსუალურ კონტაქტზე დათანხმება საკმაოდ ჩვეულებრივი მოვლენაა - რესპონდენტთა მეოთხედი მაინც ყოფილა ამგვარი იძულების ობიექტი, ქალთა გარკვეულ ნაწილს კი (ყოველი მეთორმეტე-მეცამეტე) აიძულებდნენ მათთვის მიუღებელ სექსუალურ აქტივობას.
  - ქმრის მხრიდან სექსუალური კონტაქტის იძულება ხშირ შემთხვევაში არ განიცდება ქალების მიერ ასეთად, მით უმეტეს, ძალადობად. მეტიც, უმრავლესობა რესპონდენტებისა სავსებით მიზანშეწონილად მიიჩნევს ქალთა მორჩილებას ამგვარ სიტუაციებში.
  - ამავე დროს სექსუალურ კონტაქტზე იძულებით დათანხმების ძირითადი მიზეზი უკავშირდება ქმრის განაწყენების შიშს.

- გამოკითხულთა დაახლოებით მესამედს მათი ოჯახური ცხოვრების განმავლობაში ქმართან გაყრაზეც კი უფიქრია. ძირითადი მიზეზი იმისა, თუ რატომ არ გაეყრებიან ქმარს, ამის საჭიროებაც რომ იყოს, უკავშირდება პასუხისმგებლობას შვილების მომავალზე, მატერიალური სიძნელეებისა და სოციალური გაკიცხვის შიშს. ქალთა გარკვეული ნაწილი ამის მიზეზად ასახელებს შიშს, რომ ეს კიდევ უფრო გააბრაზებს ქმარს.
- გამოკითხულთა უმრავლესობა ოჯახურ ძალადობას ჩვენში საკმაოდ გავრცელებულ მოვლენად მიიჩნევს, ხოლო მის ერთადერთ უალტერნატივო ობიექტად თვლის ცოლს. ამავე დროს ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთ პრიორიტეტულ გზად, გაყრის პარალელეურად, მიჩნეულია ოჯახური პრობლემების ოჯახშივე, პრივატული გზებით მოგვარება, ძირითადად, ისევ ძალადობის ობიექტის - ცოლის მოთმინების, გაჩუმების და ძალისხმევის ხარჯზე.
- შესაბამისად, ქალთა შეხედულებები ოჯახური ძალადობისა და მასთან ბრძოლის შესახებ აიგება ერთი ცენტრალური იდეის გარშემო, რომლის თანახმად, ძირითადი სიმძიმე ოჯახური პრობლემების აღმოცენებასა თუ დარეგულირებაში ქალზე უნდა იყოს გადმოტანილი, მის ავკარგიანობაზე. ოჯახური ძალადობის პრევენციის ან აღკვეთის ერთადერთ მისაღებ გზად კი ესახებათ ქალის მხრიდან დამობაზე წასვლა, ან, უფრო უკეთესი, მისი მორჩილება.

ოჯახური ძალადობა და სამართალდამცავი სისტემა

ქეთევან ჯელაძე – იურისტი, ექსპერტი

ნინო კაკალია – იურისტი, ინტერვიუერი

კითხვარი შეადგინა ქ. ჯელაძემ

ჩატარდა 100 რესპონდენტთან (50-50 შსს და პროკურატურის თანამშრომლებთან)

პირველადი აქტივობების მოკლე მიმოხილვა

ოჯახური ძალადობისადმი სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელთა დამოკიდებულების და ოჯახში ჩადენილი დანაშაულებების გამოძიებისას წარმოშობილი პრობლემების გამოვლენის მიზნით განხორციელდა კვლევა. საქართველოს სამართალდამცავ სისტემაში. კერძოდ, პოლიციის და პროკურატურის ორგანოებში განხორციელდა ოპერატიული მუშაკების, გამომძიებლების, შესაბამისი სამსახურების ხელმძღვანელთა და გენერალური პროკურატურის საზედამხედველო ფუნქციის განმახორცილებელ პროკურორთა ინტერვიურება წინასწარ შემუშავებული კითხვარის საფუძველზე, რომელიც მოიცავდა სამართლებრივი ხასიათის საკითხებს. (იხ. დანართი №1 კითხვარი). ინტერვიურების შედეგად მიღებული ინფორმაცია დამუშავდა და გაკეთდა სამართლებრივი ანალიზი.

რადგან კვლევის მიზანი იყო სამართალდამცავი ორგანოების პროფესიული დამოკიდებულებისა და მათი ფუნქციის გამოკვეთა ოჯახში ჩადენილი დანაშაულებების გამოძიებისა და პრევენციის საქმეში, აუცილებელი გახდა მათთან ურთიერთობის დამყარების მეთოდებზე სიღრმისეული მუშაობა.

ჩვენი კვლევის ობიექტი იყო არა მარტო სამართალდამცავი ორგანოების ზედა რგოლები, არამედ, ყველა რაიონული და ქვედა ინსტანცია. სწორედ ამიტომ, აუცილებელი გახდა მათი ინფორმირება ოფიციალური წესით და კერძოდ კი, ზემდგომი ინსტანციების გამოყენების გზით.

საქართველოს პროკურატურა, რომელიც კანონმდებლობის თანახმად სასამართლო ხელისუფლების დაწესებულებას მიეკუთვნება და პოლიციისგან განცალკევებულ რგოლს წარმოადგენს, ასევე წარმოადგენდა ჩვენი კვლევის ინტერესს. საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით პროკურატურის ორგანოების უშუალო ვალდებულებაა ადამიანის უფლებების დაცვა, ასევე სწორედ მისი განსჯადია მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულებები, რომელიც ძალზე ხშირად ოჯახური ძალადობის განვითარების გარკვეულ ეტაპზე ხდება.

ფაქტობრივად ორივე უწყებამ დეტალურად შეისწავლა, თუ რა მიზნით ტარდებოდა აღნიშნული ინტერვიუები - რაც სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარეობს.

ჩვენ მადლობას ვუცხადებთ ზემოთაღნიშნულ ორივე უწყებას საქართველოს შინაგან საქმეთა ამინისტროსა და საქართველოს პროკურატურას გაწეული თანამშრომლობისათვის.

პოლიცია

ინტერვიუების ჩატარების პროცესი

ინტერვიუების ჩატარება დავიწყეთ პოლიციის რაიონული ორგანოებიდან, კერძოდ, თბილისის ტერიტორიაზე განლაგებული პოლიციის ხუთი სამართველოდან, სადაც წინასწარ გადაგზავნილი იყო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წერილობითი მიმართავა და ფაქტობრივად სამმართველოს ხელმძღვანელობა ერთი კვირით ადრე იყო ინფორმირებული ჩვენი ვიზიტისა და მოსალოდნელი ინტერვიუების შესახებ.

პირველად გასაუბრება ტარდებოდა სამმართველოს უფროსებთან. ხდებოდა იმ ოპერატიული მუშაკების და პოლიციელების შერჩევა, ვისაც სამსახურებრივად ევალება ოჯახში ჩადენილ დანაშაულებებზე რეაგირება, პირველადი ოპერატიული ღონისძიების გატარება, მოკვლევისა და საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება.

პოლიციელებთან ინტერვიუების ჩატარებისას გამოიკვეთა შემდეგი ხასიათის პრობლემები: გამოკითხულთა უმრავლესობა უნდობლობით ეკიდებოდა დასმულ შეკითხვებს, იყო გარკვეული დაძაბულობა პასუხების გაცემისას, შეკითხვების უმეტესი ნაწილი სამართლებრივი ხასიათისაა და, ბუნებრივია, პასუხების გაცემა მოითხოვს არა მარტო პრაქტიკულ გამოცდილებას არამედ შესაბამის თეორიულ ცოდნასაც, რომელიც ცალსახად უნდა ჰქონდეს ნებისმიერ პოლიციელს.

თვით ტერმინი "ოჯახური ძალადობა" ხშირად გაურკვევლობას იწვევდა, ამიტომ უმეტესწილად ვიყენებდით განმარტებას "ოჯახში ჩადენილი დანაშაული" მაგრამ ვაკონკრეტებდით, რომ ჩვენი ინტერესის ობიექტი ძირითადად ქალებისა და ბავშვების წინააღმდეგ ჩადენილი ძალადობაა.

კითხვარის მიხედვით პოლიციელთა ინტერვიუირების შედეგად მიღებული ინფორმაციის მიმოხილვა

კითხვაზე - ოჯახში ჩადენილ დანაშაულებათა შორის რომელი სახის დანაშაული ხვდებათ ყველაზე ხშირად -

გამოკითხულთა ნაწილმა კერძო ბრალდების საქმეებზე მიგვითითა, როგორიცაა ცემა და ჯანმრთელობის ისეთ განზრახ მსუბუქი დაზიანება, ხოლო მეორე ნაწილი, საკუთარი პრაქტიკიდან გამომდინარე, ყველაზე ხშირად აწყდება ოჯახში ჩადენილ დანაშაულთა შორის ჯანმრთელობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაუ-

ლებებს, რაც ფაქტობრივად მოიცავს ძალზე გავრცელებულ დანაშაულს – ცემასა და წამებას.

უბნის ინსპექტორების პრაქტიკა ცხადყოფს, რომ ცემის ფაქტები თითქმის ყოველ მეათე ოჯახში ხვდებათ, თუმცა ვერ აკონკრეტებენ, ვინ არის ყველაზე ხშირად ცემის მსხვერპლი.

ამდენად, პოლიციელებების განმარტებით შინაგან საქმეთა ორგანოების საგამოძიებო ქვემდებარეობაში არსებული საქმეებიდან ყველაზე ხშირია ჯანმრთელობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულებები, განსაკუთრებით კი - ცემა. როგორც გამოკითხულები განმარტავენ, ამ დანაშაულზე სისხლის სამართლის საქმის აღძვრა, საპროცესო კანონმდებლობის თანახმად, მთლიანად დაზარალებულის ნებაზეა დამოკიდებული, რაც იმას ნიშნავს, რომ, თუ დაზარალებული გარკვეული მიზეზებით ვერ შეიტანს საჩივარს, პოლიციის მუშაკი, რომელიც ცემის ფაქტს შეესწრო, თავისი ინიციატივით ვერ მისცემს პასუხისგებაში მოძალადეს.

(სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 27-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით ცემის ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე აღიძვრება მხოლოდ დაზარალებულის საჩივრით)

კითხვაზე - **ოჯახში მომხდარ დანაშაულთა გამოძიებისას აწყდებით თუ არა პრობლემებს და ძირითადად რა სახისაა ეს პრობლემები** -

საკმაოდ საინტერესო მოსაზრებები გამოითქვა. ყველაზე საინტერესო აღმოჩნდა თავად დაზარალებულის ქცევის შეფასება, რომელიც თითქმის ყველა რაიონის პოლიციის თანამშრომლებთან საუბრისას გამოიკვეთა. საკითხი ეხება დაზარალებულის დამოკიდებულების ცვალებადობას კონკრეტული დანაშაულებრივი ფაქტისადმი, რომელიც მის წინააღმდეგ იქნა ჩადენილი *(აღსანიშნავია, რომ საუბარია პოლიციის ქვემდებარე ნაკლებად მძიმე დანაშაულებებზე, რომელსაც არ მიეკუთვნება ისეთი მძიმე დანაშაულებები, როგორიცაა მკვლელობის მცდელობა, გაუპატიურება და სხვა)*

მოკვლევისა და გამოძიების ეტაპზე დაზარალებული ხშირად იცვლის თავის დამოკიდებულებას დამნაშავისადმი. საჩივრის შეტანისას, როგორც პოლიციელები განმარტავენ, დაზარალებული თავის ახსნა-განმარტებაში პრინციპულობასა და მოძალადის უპირობო დასჯაზე აკეთებს აქცენტს, იხსენებს და უთითებს მოძალადის მიერ წინათ ჩადენილ აგრესიულ ქმედებებზე. მაგრამ გარკვეული პერიოდის გასვლის შემდეგ, მოკვლევის ეტაპზე დაზარალებულის აგრესიულობა სუსტდება და ხშირია შემთხვევები, როდესაც დაზარალებული ცვლის ახსნა-განმარტებაში მითითებულ გარემოებებს.

მოკვლევის სტადიაზე ყველაზე სერიოზულ სირთულეს წარმოადგენს მტკიცებულებათა მოძიება, ფაქტების გადამოწმება და სისხლის სამართლის საქმის აღძვრისათვის საკმაო საფუძვლების გამოვლენა. მაგალითად, ფინანსურ სიძნელეებთან არის დაკავშირებული დაზარალებულის სამედიცინო შემოწმება (ეს ერთ-ერთი სერიოზული მტკიცებულებაა, რაც ადასტურებს დანაშაულებრივი ხელყოფის ფაქტს). მართალია, დაზიანების ზედაპირული შემოწმება პოლიციის მი-

მართვის საფუძველზე უფასოა, მაგრამ, როგორც წესი, ჯანმრთელობის დაზიანების დადგენისათვის სიღრმისეული სამედიცინო გამოკვლევაა საჭირო, რასაც ფინანსურად სახელმწიფო ვერ უზრუნველყოფს. ამის გამო ძირითადად, დაზარალებულის ინტერესი ილახება და საქმისათვის აუცილებელი მტკიცებულება - როგორიცაა სამედიცინო დასკვნა, აღარ არსებობს.

მეორე სერიოზული ბარიერი მოკვლევისა და გამოძიების ეტაპზე არის მოწმეთა ინსტიტუტის ფაქტობრივად არარსებობა, საკმაოდ კურიოზულია შედარებით ასაკოვან პოლიციელეთა დაკვირვება:

მაგ: *საბჭოთა კავშირის პერიოდში ყოველი მესამე მოქალქე ერთხელ მაინც ყოფილა მოწმედ სისხლის სამართლის საქმეში და უმეტესად თავისით გამოცხადებულა კონკრეტული დანაშაულებრივი ფაქტის დასადატურებლად, განსაკუთრებით კი ოჯახურ დავებზე. თანამედროვე ეტაპზე კი, არც ერთ მეზობელსა თუ ოჯახის ახლობელს არ სურს სხვის საოჯახო ურთიერთობებში ჩარევა. როგორც წესი, მეზობლებისათვის ახსნა-განმარტებების ჩამორთმევისას მათი უმრავლესობა "ყრუ-მუნჯის" როლში გამოდის. ეს ცალსახად სპობს დანაშაულის ფაქტის დადასტურების შესაძლებლობას. მტკიცებულებების და მოწმეების არარსებობისას მხოლოდ დაზარალებულის ახსნა-განმარტებაზე დაყრდნობით დანაშაულის ნიშნების დადგენა ძნელია, ხოლო სისხლის სამართლის საქმის აღძვრა ზოგ შემთხვევაში გაუმართლებელი.*

ოჯახის რომელიმე წევრის ცემის ან ჯამრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანების შემთხვევაში განცხადების შემოტანისას დაზარალებულის მხრიდან რამდენად ხშირია საქმის ბოლომდე გაყოლის პრეცედენტები - გამოკითხულთა განმარტებით, რადგან ამ კატეგორიის საქმეები კერძო ბრალდების საქმეებს განეკუთვნება, საქმის აღძვრა საპროცესო კოდექსის 27-ე მუხლის თანახმად, მხოლოდ დაზარალებულის საჩივრით ხდება. ხოლო ს/ს საქმის შეწყვეტა შესაძლებელია დაზარალებულისა და განსასჯელის შერიგებით, სათათბირო ოთახში განაჩენის გამოსატანად სასამართლოს გასვლამდე.

ცემის ფაქტზე დაზარალებულის საჩივარი ქალის მხრიდან იშვითად შედის, მაგრამ თუ საქმე აღიძრა, გამომძიებელი აწვდის ინფორმაციას და ხშირად უმარტავს მხარეებს შერიგების დასაშვებობას, რაც იწვევს საქმის შეწყვეტას. მათი აზრით, მხარეების შერიგება და ოჯახის შენარჩუნება ცალსახად კარგი საქმეა.

პოლიციელთა განმარტებით, მათ პრაქტიკაში ხშირია მოკვლევის ან გამოძიების ეტაპზე მხარეთა შერიგების ფაქტები. ქალის მიერ საქმის ბოლომდე გაყოლის პრეცედენტებზე კი თითქმის ვერც ერთმა გამოკითხულმა ვერ მიგვითითა.

პროცესუალურად ცემისა და ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანებასთან დაკავშირებული საქმეები პირდაპირ სასამართლოში იგზავნება *(ჩვენ ამ ფაქტებზე თავიდანვე კონკრეტული საქმეები მოვითხოვეთ - რა თქმა უნდა, მოვითხოვეთ საქმის ის ნაწილი, რომელიც საჯარო ხასიათს ატარებს მაგ: დადგენილება ს/ს საქმის აღძვრაზე, მაგრამ რადგან ცემა კერძო ბრალდების საქმეა, ხშირად მათი გამოძიება არც ხდება და საქმე თვით დაზარალებულის საჩივრით პირდაპირ სასამართლოში იგზავნება)*

გამოკითხულთა აზრით, ცემა ძალზე ხშირი და ყველაზე მსუბუქად დასჯადი დანაშაულია. გარდა ამისა, პოლიციელთა დაკვირვებით, საქართველოში ქალები ცემაზე ხშირად დუმილით პასუხობენ და ამ ფაქტს იშვიათად ახმაურებენ. თუმცა არის ე.წ. "ჭირვეული ოჯახები", სადაც ცემა სისტემატურ ხასიათს ატარებს და პოლიციას შეწუხებული მეზობლები იძახებენ, მაგრამ ეს ძირითადად ალკოჰოლიკების ოჯახებს ეხება.

კითხვაზე - **ოჯახში ჩადენილ დანაშაულებებზე ყველაზე ხშირად შეტყობინებას ვისგან იღებთ? (თავად მსხვერპლისგან, ოჯახის სხვა წევრისგან, მეზობელისგან თუ თავად მოძალადისგან)** -

მრავალფეროვანი პასუხები იქნა მიღებული, თუმცა არც ერთი მათგანი არ იყო უჩვეულო. ინფორმაციას დანაშაულის ჩადენის შესახებ იშვიათად ღებულობენ მოძალადისაგან. რა თქმა უნდა სტატისტიკურად ყველაზე ხშირად პოლიციაში მსხვერპლი ცხადდება ან რეკავს.

თქვენი აზრით, ოჯახის წევრებს შორის ვინ ახდენს დანაშაულის პროვოცირებას?

ამ კითვაზე გამოკითხულთა ნაწილმა აღნიშნა, რომ "პროვოცირებას" საქართველოს კანონმდებლობა, როგორც დასჯად ქმედებას, არ განიხილავს, ხოლო, რაც შეეხება წაქეზებას, ის ჩვეულებრივ დასჯადი ქმედებაა და განიხილება, როგორც თანამონაწილეობა დანაშაულში. მაგრამ ოჯახში ჩადენილ დანაშაულებებში დაზარალებულის გამომწვევი საქციელი ვერ დაკვალიფიცირდება წაქეზებად. საინტერესო მოსაზრება უკავშირდება მოძალადის ფსიქოლოგიურ ტეროორს, რომელსაც, თურმე, სოციალური სიდუხჭირის ფონზე ხშირად ცოლები მიმართავენ, ხოლო მამაკაცის ისედაც დაძაბული ფსიქიკა ხშირად ვერ უძლებს კრიტიკასა და პრეტენზიებს, რაც მას ძალადობისკენ უბიძგებს.

როგორ ფიქრობთ, რა არის ოჯახში ჩადენილი დანაშაულის გამომწვევი ძირითადი მიზეზები?

გამოკითხულთა უმრავლესობამ ოჯახში შექმნილი უსიამოვნებების გამომწვევ ძირითად მიზეზად სოციალური სიდუხჭირე, დაბალი ხელფასები და უმუშევრობა დაასახელა.

პოლიციელთა განმარტებით, ოჯახური ძალადობის პროვოცირების უპირობო ფაქტორად უმუშევრობა უნდა მივიჩნიოთ, რასაც ნებისყოფით სუსტი მამაკაცი ხშირად ლოთობის ზღვრამდე მიჰყავს. ლოთობა და ნარკომანია, გამოკითხულთა განმარტებით იმდენად არის გახშირებული, რომ ისინი მზად არიან ნებისმიერი დანაშაულის გამომწვევ მიზეზად ეს უარყოფითი გადახრები დაასახელონ.

როდესაც დაზარალებული მოგმართავთ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის მოთხოვნით, ვინ უზრუნველყოფს მის გადაუდებელ სამედიცინო შემოწმებას და ვინ იხდის სისხლის სამართლის საქმის აღძვრამდე ჩატარებული სამედიცინო გამოკვლევის ხარჯებს? -

დაზარალებულის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის შესახებ სამედიცინო დასკვნა მნიშვნელოვანი მტკიცებულებაა, რაც სისხლის სამართლის საქმის

აღძვრისას აუცილებელად უნდა არსებობდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში ვერ დადასტურდება ხელყოფის ფაქტი და დაზიანების სიმძიმე.

გამოკითხულებმა თეორიული მოსაზრებები ვრცლად წარმოადგინეს ამ წმინდა პრაქტიკულ შეკითხვაზე. ნაწილმა აღნიშნა, რომ დღეს სახელმწიფო ვერ უზრუნველყოფს დაზარალებულის დაუყოვნებლივ უფასო სამედიცინო შემოწმებას. როდესაც დაზარალებული ცხადდება პოლიციაში, და ამასთან, თუ მას აღენიშნება ფიზიკური ძალადობის კვალი, ან თავად უთითებს ჯანმრთელობის ხელყოფაზე - მომკვლევი ვალდებულია, დაზარალებულს მისცეს მიმართვა სამედიცინო შემოწმებაზე. მაგრამ მიმართვის ფარგლებში განხორციელებული სამედიცინო შემოწმება, ფაქტობრივად, ზედაპირული სამედიცინო დათვალიერებაა, რაც ხშირად ექიმს ვერ აძლევს ზუსტი დიაგნოზის და დაზიანების ხარისხის ზუსტად განსაზღვრის სრულ შესაძლებლობას (ეს კი აუცილებელია დანაშაულის კვალიფიკაციისთვის). სერიოზული სამედიცინო შემოწმება, უმეტეს შემთხვევაში, (განსაკუთრებით, როდესაც ადგილი აქვს შიდა დაზიანებებს) მოითხოვს თანამედროვე აპარატურის გამოყენებას, რაც დღევანდელ დღეს უასასყიდლო ვერ იქნება. ამდენად, სახელმწიფო სრულად ვერ უზრუნველყოფს სამედიცინო შემოწმებას.

გამოკითხულ პოლიციელთა ნაწილი კი აღნიშნავდა, რომ სამედიცინო შემოწმება მოკვლევის სტადიაზე, ანუ ს/ს საქმის აღძვრამდე აბსოლუტურად უფასო და სრულყოფილა. დაზარალებული მისი განცხადების საფუძველზე, კანონით დადგენილი წესით, იგზავნება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს სასამართლო ექსპერტიზის ცენტრში, სადაც გადის სამედიცინო შემოწმებას.

რამდენად ხშირია სისხლის სამართლის საქმის პარალელურად სამოქალაქო სარჩელის აღძვრის შემთხვევები? -

განმარტებისთვის - სისხლის სამართლის საქმის წარმოებისას ძალადობის მსხვერპლს, რომელსაც უშუალოდ დანაშაულის შედეგად მიადგა ფიზიკური, მორალური ან ქონებრივი ზიანი, უფლება აქვს, მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება და ამ მიზნით წარადგინოს სამოქალაქო სარჩელი იმ მომკვლევთან, გამომძიებელთან ან პროკურორთან, რომლის წარმოებაშიცაა ს/ს საქმე. თუ მომკვლევი, გამომძიებელი, პროკურორი საქმის მასალებიდან დარწმუნდა, რომ პირს აქვს სამოქალაქო სარჩელის წარდგენის უფლება, იგი ვალდებულია, გამოიძახოს დაზარალებული და განუმარტოს მას ეს უფლება. ეს ფაქტობრივად მათი ვალდებულებაა.

გამოკითხულთა უმრავლესობამ დაადასტურა, რომ ზოგადად, მათი განმარტების საფუძველზე, დაზარალებული, რომელმაც დანაშაულებრივი ხელყოფის გამო განიცადა ზიანი, ითხოვს სამოქალაქო წესით ზიანის ანაზღაურებას.

გამოკითხულ პოლიციელთა ნაწილის განცხადებით პრაქტიკაში საკმაოდ იშვიათია ოჯახურ ძალადობაზე აღძრული ს/ს საქმეები და, შესაბამისად, ნაკლებია ზიანის ანაზღაურებაზე მოთხოვნებიც.

ძნელად გასარკვევი აღმოჩნდა, თუ რამდენად ხშირად ასრულებენ სამართალდამცავები დაზარალებულის ინფორმირების ვალდებულებას ზიანის ანაზღაურების უფლების თაობაზე. როგორც წესი, თუ დაზარალებულს არ ჰყავს ადვოკატი, ის ვერც კი ხვდება, რომ მას სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის საფუძველზე აქვს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის დაყენების უფლება. უმეტესწილად, მათ ამ უფლების არსებობის თაობაზე ინფორმაციას არ აწვდინ ს/ს საქმის მწარმოებელი სუბიექტები, რაც ზოგჯერ განპირობებულია ოპერატიული მუშაკების არაკვალიფიციური მიდგომით სამოქალაქო სამართლებრივი საკითხებისადმი. ეს დადასტურდა მათთან გასაუბრებისას. გამოკითხულთა ნაწილი (მცირე) არც კი იცნობდა სისხლის სამართლის საქმის წარმოებისას სამოქალაქო სარჩელის აღძვრის პროცედურას.

ზემოაღნიშნული უფლების რეალიზება კი მეტად მნიშვნელოვანია დაზარალებულისათვის - რაც სწრაფად დააყენებს ის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას, უფრო მეტია შესაძლებლობა, ბრალდებულმა აუნაზღაუროს მას ზიანი (მაგ.: დროულად მოხდება ბრალდებულის ქონების დაყადაღება). სამოქალაქო სარჩელის აღძვრის გაჭიანურებამ შეიძლება საერთოდ დაუკარგოს დაზარალებულს ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობა, მაგალითად, ბრალდებულმა ს/ს საქმეზე განაჩენის გამოტანამდე შეიძლება გაასხვისოს უძრავ-მოძრავი ქონება. (როგორც წესი, სწორედ სასჯელის დადგენის შემდეგ "ფხიზლდებიან" დაზარალებულები და შემდეგ იწყებენ ზრუნვას ზიანის ანაზღაურებაზე).

ამ უფლების რეალიზაციას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ოჯახური ძალადობის მსხვერპლი ქალებისათვის, რადგან სწორედ ისინი რჩებიან ყოველგვარი დასაყრდენის, ქონების და დახმარების გარეშე - ძალიან ხშირად მცირეწლოვანი ბავშვებით. ამას ადასტურებს არსებული პრაქტიკა.

ოჯახში ჩადენილ დანაშაულებათა გამოძიებისას დამაბრკოლებელ გარემოებად მიგაჩნით თუ არა სხვის ოჯახურ ცხოვრებაში ჩარევის ფაქტორი და რამდენად გზღუდავთ ეს გარემოება? -

როგორც აღმოჩნდა, ამ კატეგორიის საქმეების გამოძიება საკმაოდ არ სიამოვნებთ გამომძიებლებს. დაზარალებულთა უმრავლესობა ხშირად ურიგდება მოძალადეს და სამართალდამცავებს ხელში ფაქტობრივად გამოუძიებელი საქმეები რჩებათ. ეს კი მათი საქმიანობისათვის ცალსახად უარყოფითი მოვლენაა. დაზარალებულის აქტიურობა ხშირად პასიურობით და გამოძიებისთვის თანამშრომლობაზე ურის თქმით იცვლება. რა თქმა უნდა, თუ დანაშაულებრივ ხელყოფას მძიმე შედეგი არ მოჰყვა, ოპერატიული თანამშრომლები ცდილობენ, მოხსნან დაძაბულობა ოჯახის წევრებს შორის.

ჩვენ დავინტერესდით, თუ როგორ ახდენენ კონფლიქტის დეესკალაციას, რაზეც საკმოდ საინტერესო პასუხი მივიღეთ. პოლიციაში ისედაც იშიათად მიმსვლელ ძალადობის მხვერპლ ქალებს პოლიციელები ურჩევენ, ცოტა ხნით განერიდონ მოძალადეს და შემდეგ ჩვეულებრივ გააგრძელონ მათთან ურთიერთობა. გამოკითხულები განმარტავენ, რომ მათი ჩარევის მიუხედავად ზემოთ აღნიშნულის მსგავსად ვითარდება მოვლენები ოჯახში, ჯერ ჩხუბობს ცოლ-ქმარი, ხოლო შემ-

დეგ ურიგდება ერთმანეთს.

ცემისა და ჯამრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანების შემთხვევაში სისხლის სამართლის საქმის აღძვრა უნდა იყოს თუ არა დამოკიდებული მხოლოდ დაზარალებულის ნებაზე?

ჩვენ მიერ დასმული პრობლემატიკის გათვალისწინებით, გამოკითხულთა გარკვეულ ნაწილს ამ დანაშაულებების კერძო-საჯარო ბრალდების საქმეების კატეგორიისათვის მიკუთვნება მიაჩნიათ მიზანშეწონილად. ამ შემთხვევაში საქმე აღიძვრება მხოლოდ დაზარალებულის საჩივრის საფუძველზე, მაგრამ ბრალდებულთან შერიგებით ვერ შეწყდება. შესაბამისად, მოძალადე დაზარალებულთან ურთიერთობის გამოსწორებით ვერ "დაუძვრება" სისხლის-სამართლებრივ პასუხისმგებლობას.

გამოკითხულთა ნაწილი თვლის, რომ ცემის ფაქტზე ს/ს საქმის აღძვრა დაზარალებულის ნება-სურვილის გათვალისწინებით უნდა ხდებოდეს, რაც ცალსახად ცემის, როგორც მსუბუქ დანაშაულად კატეგორიზაციით არის განპირობებული. დანაშაულებები (ცემა, სხეულის დაზიანება), რომლებიც ძირითადად, ცოლქმარს შორის ხდება, სტიქიური ხასათისაა და პრაქტიკა ცხადყოფს, რომ სამომავლოდ მეუღლეებს შორის ურთიერთობა შეიძლება მოგვარდეს ბავშვების ინტერესებიდან გამომდინარეც. ამგვარი დანაშაულებების ჩადენისას ქმრის ან პარტნიორის პასუხისმგებლობა შეიძლება მხარეთა გადასაწყვეტად დავტოვოთ. მათ უნდა ჰქონდეთ არჩევანის უფლება.

საჭიროა თუ არა სპეციალური კანონის მიღება, რომელიც დეტალურად დაარეგულირებდა ოჯახში ჩადენილ დანაშაულებათა წინააღმდეგ ბრძოლის, გამოძიებისა და დაზარალებულთა დამატებითი დაცვის მექანიზმების შემოღების საკითხებს?

გამოკითხულთა უმრავლესობას უსაფუძვლოდ მიაჩნია სპეციალური კანონის მიღების იდეა, სამართლებრივი თვალსაზრისით მოქმედ კანონმდებლობაშიც საკმარისადაა ნორმები, რომლებიც უზრუნველყოფენ მოძალადის დასჯას. რაც შეეხება დაზარალებულის დაცვის მექანიზმების გამყარებას, მათი აზრით ეს შესაძლებელია სახელმწიფო დაფინანსების გაზრდით და პროცესუალური ნორმების დახვეწით.

ნებისმიერი ხარვეზი, რაზეც ჩვენ ვუთითებდით, პოლიციელთა განმარტებით, სახელმწიფოს მწირი დაფინანსებით არის გამოწვეული და, შესაბამისად, მოქალაქეთა უფლებების არაეფექტურად დაცვაში ბრალი მათ ნაკლებად მიუძღვით. ოჯახში ჩადენილი დანაშაულებების წინააღმდეგ ბრძოლა სახელმწიფოს მხრიდან უნდა გამოიხატებოდეს, პირველ რიგში, არა სპეციალური კანონის მიღებით, არამედ დანაშაულის ჩადენის გამომწვევი მიზეზების აღმოფხვრით. (მაგ: უმუშევრობა., ნარკომანია, ლოთობა და ა.შ.).

როგორც პოლიციელები მიუთითებენ, ოჯახური ძალადობის ფაქტების მოკვლევისას ბრალდებულზე დაკვირვებამ ცხადყო, რომ მისი ძალადობრივი ხასიათი არ არის თანდაყოლილი ფიზოლოგიური მოვლენა. ის უმეტეს შემთხვევაში შე-

ძენილი მწვავე ნევროზის გამოვლინებაა. მოძალადეებად ჩამოყალიბებას ცალსახად განაპირობებს მძიმე მატერიალური მდგომარეობა და საზოგადოების მხრიდან მხარდაჭერის არარსებობა.

გამოკითხულთა ნაწილი დაზარალებულთა დაცვის სამოქალაქო სამართლებრივი მექანიზმების გაზრდას მიიჩნევს მიზანშეწონილად. მათი აზრით, კანონი უნდა ზრუნავდეს განქორწინებულთა სოციალურ-მატერიალურ უზრუნველყოფაზე. ხშირად ცემისა და ჯამნრთელობის დაზიანების ფაქტები ფიქსირდება უკვე განქორწინებულ მეუღლეებს შორისაც, როდესაც მათ ისევ ერთ ჭერქვეშ ცხოვრება უწევთ.

კარგი იქნებოდა თუ არა უცხოეთის კანონმდებლობით გათვალისწინებული მექანიზმების შემოღება. მაგ.: ამკრძალავი ორდერების, რაც გულისხმობს მოძალადის სახლიდან გაძევებას, გარკვეული პერიოდის განმავლობაში სახლში დაბრუნებისა და მსხვერპლთან ურთიერთობის აკრძალვა?

გამოკითხულთა ნაწილისათვის უცხოეთის კანონმდებლობით გათვალისწინებული მექანიზმები სრულიად უცხო აღმოჩნდა. თუმცა, ჩვენ მიერ ამკრძალავ ორდერებზე გარკვეული განმარტებების მიცემის შემდეგ, ამკრძალავი ორდერი საკმაოდ აგრესიულ საშუალებად იქნა აღქმული რამდენიმე რესპონდენტის მხრიდან.

გამოკითხულთა აზრით, მოძალადე ქმრის გაძევება სახლიდან შესაძლებელი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სახლი უშუალოდ მის საკუთრებას არ წარმოადგენს. საქართველოში უმეტესად უძრავი ქონების მესაკუთრეებად მამაკაცები გვევლინებიან, ამიტომ მათი გაძევება მათივე საკუთრებაში არსებული სახლიდან საქართველოს კანონმდებლობით დაუშვებელია და გამოიწვევს კონსტიტუციით გარანტირებული საკუთრების უფლების დარღვევას. პოლიციელთა მცირე ნაწილის აზრით, კავკასიური მენტალიტეტისა და ქართული სტერეოტიპების გათვალისწინებით, ასეთი მექანიზმი არ გაამართლებს.

გამოკითხულთა შორის გამოითქვა სხვა აზრიც, რომ, ერთი მხრივ, ცუდი არ იქნება მოძალადის სახლიდან დროებით გარიდება, მაგრამ, მეორე მხრივ, ამგვარმა ქმედებამ შეიძლება მოძალადე უფრო მძიმე დანაშაულის ჩადენისაკენ წააქეზოს. თუმცა, პოლიციელთა ნაწილს ამგვარი რისკის გაწევა არამართებულად მიაჩნია და თვლის, რომ გაცილებით უკეთესი იქნება აღმკვეთი ღონისძიების სახით მოძალადისათვის პატიმრობის შეფარდება, თუ კანონმდებლობით ამის შესაძლებლობა იქნება.

ფაქტობრივად, ეს მოსაზრებები დამატებითი მექანიზმების და სპეციალური ნორმების მიღების აუცილებლობის დადასტურებაა. თუმცა ოჯახური ძალადობის პრობლემა არარის სიღრმისეულად გაანალიზებული, შეიძლება ამ პრობლემისადმი არასერიოზულად მიდგომის გამოც.

აუცილებელია თუ არა დაზარალებულისა და მოწმისათვის დამატებითი დაცვის მექნიზმების შემოღება და რატომ? რამდენად საკმარისია დაცვის ის მექანიზმები, რომლებიც უკვე არსებობს ჩვენს კანონმდებლობაში?

გამოკითხულთა განმარტებით, საპროცესო კანონმდებლობაში არსებული დაცვის მექანიზმების ძირითადი ნაწილის გამოყენება ვერ ხერხდება სახელმწიფო დაფინანსების და ადამიანური რესურსის სიმცირის გამო. ამიტომ, დაცვის მექანიზმების გამყარება აუცილებელია, განსაკუთრებით მოწმეებისთვის.

არსებობს თუ არა სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებისათვის უფლებამოსილების გაზრდის აუცილებლობა ოჯახში მომხდარ დანაშაულებათა გამოძიებისას?

როგორც გაირკვა, გამოძიების პროცესში ამის აუცილებლობა არ იგრძნობა. მაგრამ სამართალდამცავი სტრუქტურების შესაბამისი სამსახურების მიერ უფრო სრულყოფილი პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარებისათვის კონფლიქტის ნიადაგზე მოსალოდნელი დანაშაულის თავიდან აცილების მიზნით, უფლებამოსილების გაზრდა აუცილებელია.

რეკომენდაციების შეჯამებით შესაძლებელია დავასკვნათ, რომ მთელი პასუხისმგებლობა ოჯახური ძალადობის წარმოშობის, აღმოფხვრის თუ სხვა პრობლემების მოგვარებისა გადატანილია სახელმწიფოზე, და მათი აზრით, განპირობებულია არსებული მძიმე სოციალური მდგომარეობით.

ოჯახში ჩადენილი დანაშაულებების დასჯადობის სიმცირე თავად ქალის ამ პრობლემისადმი დამოკიდებულებით არის განპირობებული. ჯერ ერთი, ქალი ყოველთვის გაურბის პოლიციასთან ურთიერთობას. არსებობს რაღაც შიშის კომპლექსი. ქალების უმრავლესობას მაინც ეშიანია ქმრის პოლიციაში "დასმენის". დაზარალებულთა უმრავლესობა თვლის, რომ ამ საქციელს ("ჩაშვებას") აუცილებლად მოჰყვება ოჯახური ურთიერთობების კიდევ უფრო გართულება. ქმარი, რომელიც შეიძლება დაისაჯოს, საბოლოოდ მაინც არ აპატიებს ცოლს პოლიციაში "დასმენას". ამ ბარიერის დასაძლევად, მათი აზრით, აუცილებელია ქალის სამართლებრივი ცნობიერების ამაღლება, საკუთარი თავისადმი პატივისცემის გაზრდა, საკუთარი ღირსების დაცვის აუცილებლობაში მათი დარწმუნება. მთავარია, ქალმა, რომელიც ცხადდება პოლიციაში, გაითავისუფლოს თავი დანაშაულის შეგრძნებისგან. დაზარალებულთა უმრავლესობას ახასიათებს ეს დანაშაულის შეგრძნების კომპლექსი, რაც განაპირობებს მოკვლევისა თუ გამოძიების ეტაპზე მათ პასიურობას. შესაძლებელია, სწორედ ამის დაძლევაში, დაეხმაროს მას სოციალური მუშაკი, თუ სახელმწიფო შემოიღებს მსგავს ინსტიტუტს. ასეთ შემთხვევებში სახელმწიფომ უნდა იზრუნოს ქალის სამართლებრივი სტატუსის ამაღლებაზე, იქნება ეს დამატებითი შეღავათები თუ გარანტიების დადგენა. გამოკითხულთა უმრავლესობა ძირითადად ყურადღებას ამახვილებდა სამოქალაქო სამართლებრივ გარანტიებზე, როგორიცაა საცხოვრებელი ფართის გამოყოფა განქორწინების შემდეგ, სოციალური დახმარების დანიშვნა, განქორწინებულის სამსახურით უზრუნველყოფა და ა.შ.

ძირითადი რეკომენდაციები ეხებოდა სამოქალაქო კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანას ქონებრივი უფლებების გაზრდის ნაწილში. რაც შეეხება უშუალოდ სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობის სრულყოფას, აქ აქცენტი კეთდებოდა მხოლოდ პოლიციის მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყობაზე.

აგრეთვე იყო მოსაზრებები კვალიფიკაციის ამაღლებასა და პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარების აუცილებლობაზე, რაც კანონმდებლობით არ არის დადგენილი.

კითხვაზე – **რა პროფილაქტიკური ღონიძიებების არსებობა უზრუნველყოფდა ამ დანაშაულებების პრევენციას** უმრავლესობას გაუჭირდა დასახელება, გვირჩიეს, თავად გვეფიქრა პროფილაქტიკური ღონისძიებების სახეებზე, საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით.

საინტერესო მოსაზრება ეხებოდა ქალის თანამედროვე სტატუსს, რომელიც, თურმე, არის ძალადობის ფაქტების რაოდენობრივი ზრდის მთავარი მიზეზი. ქალების უმრავლესობა გასულია ოჯახიდან, რაც უარყოფითად აისახება ოჯახურ თანაცხოვრებაზე. რესპონდენტებმა აგრეთვე აღნიშნეს, რომ სწორედ სახელმწიფომ უნდა იზრუნოს ქალის თვითდამკვიდრებაზე საზოგადოებაში, უნდა აღგეს დედის ინსტიტუტი, რომელსაც, მათი აზრით, თანამედროვე ეტაპზე ჩაენაცვლა ძიძის ინსტიტუტი.

ამდენად, თანამედროვე ქალის ამპლუა ძალზე მიუღებელი აღმოჩნდა პოლიციელთა გარკვეული ნაწილისთვის, მათთვის გაცილებით მისაღებია დედა, რომლის ძირითადი საზრუნავი მხოლოდ ბავშვების აღზრდაა.

შეიძლება დავასკვნათ, რომ რეკომენდაციები ძირითადად მაინც სახელმწიფოს ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებას, უმუშევრობის აღმოფხვრას, ხელფასების გაზრდას, ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებას ეხებოდა.

პროკურატურა

ინტერვიუების ჩატარების პროცესი

პროკურატურის ორგანოებიდან შერჩეულ იქნა თბილისის ტერიტორიაზე არსებული ხუთი რაიონული პროკურატურა და საქართველოს გენერალური პროკურატურა. ინტერვიუირება დავიწყეთ რაიონული ორგანოებიდან.

უშუალოდ ინტერვიუირების პროცესი ნაკლები სირთულეებით ხასიათდებოდა, რაც, შესაძლებელია, პოლიციის ინტერვიუირებისას მიღებულმა გამოცდილებამ განაპირობა ან თავად პროკურატურის თანამშომელთა შედარებით კვალიფიციურობამ.

ჯითხვარის მიხედვით პროჯექტის თანამშომეების ინტერვიუერების შედეგად მიღებული ინფორმაციის მიმოხილვა

პროკურატურის ქვემდებარე ოჯახში ჩედნილი დანაშაულებებიდან ყველაზე ხშირია განზრახ მკვლელობა, მკვლელობის მცდელობა და, შედარებით იშვიათად - გაუპატიურება. საერთოდ კი, ოჯახში ჩადენილი დანაშაულებებიდან ყველაზე გავრცელებულ დანაშაულად მაინც ჯანმრთელობის დაზიანება იქნა დასახელებული.

როგორც ირკვევა, პროკურატურის მუშაკებისთვისაც სირთულეს წარმოადგენს ოჯახში მომხდარი დანაშაულებების დროს მოწმეთა ბაზის შექმნა. ასეთი სახის დანაშაულებებზე ძირითადად მოწმეები არ არსებობენ. თავად ოჯახის წევრები ან ახლო ნათესავები, რომლებიც, შესაძლოა, შეესწრნენ დანაშაულს, თავიანთი ახლობლის წინააღმდეგ ჩვენებას არ იძლევიან. გასათვალისწინებელია ისიც, რომ კანონი ბრალდებულის წინააღმდეგ ახლო ნათესავებს ჩვენების მიცემას არ ავალდებულებს (ახლო ნათესავი - მშობელი, შვილი, შვილად ამყვანი, შვილობილი, პაპა, ბებია, შვილიშვილი, და, ძმა, მეუღლე, მათ შორის განქორწინებულიც). პრობლემურია არა მარტო მოწმეთა სიმცირე, არამედ მათი ჩვენებების არასტაბილურობა; დაზარალებულისა და მოწმის დაუცველობა, რაც ხშირად უბიძგებს მათ, გადათქვან თავიანთი პირვანდელი ჩვენება. უმთავრეს პრობლემად საპროცესო კანონმდებლობაში არსებული ხარვეზები დასახელდა, რომელიც უკავშირდება მტკიცებულებათა შეკრებას, მათ დამაგრებას, საპროცესო მოქმედებების განხორციელების ვადებს, ნივთმტკიცებათა ამოღებას და სხვა გარემოებებს.

პროკურატურის მუშაკთა პრაქტიკა ცხადყოფს, რომ ხშირად დანაშაულის ჩადენისკენ მამაკაცს უბიძგებს ქალის გამაღიზიანებელი საქციელი, მათ ოჯახურ ცხოვრებაში მესამე პირების უხეში ჩარევა (მაგ., სიდედრის). თავად კონფლიქტის გამომწვევ მიზეზად კი აბსოლუტურმა უმრავლესობამ სოციალური სიდუხჭირე, უმუშევრობა, ალკოჰოლიზმი და ნარკომანია დაასახელა. მაგრამ მაინც, ხაზი გაესვა ისეთ გარემოებას, როგორიცაა თითოეული დანაშაულებრივი ფაქტის ინდივიდუალურობა. როგორც რესპონდენტებმა აღნიშნეს, ყველა დანაშაულს განსხვავებული მიზეზი და მოტივი აქვს.

რაც შეეხება დაზარალებულის სამედიცინო შემოწმებას, მათ აღნიშნეს, რომ გამოკვლევის ხარჯების გადახდა ხშირად უხდება იმ მუშაკს, რომელიც გზავნის დაზარალებულს სამედიცინო გამოკვლევაზე. ხშირად სასამართლო-სამედიცინო შემოწმების პროცესში საჭირო ხდება სხვადასხვა დარგის სპეციალისტთა კონსულტაცია. ამ შემთხვევაში, დაზარალებული იძულებულია, თვითონ დაფაროს მომსახურეობის ხარჯები.

ოჯახში ჩადენილ დანაშაულთა გამოძიებისას, როგორც თავად გამომძიებლები განმარტავენ, მათი განსაკუთრებული მიდგომა გამოიხატება ფრთხილი, ინდივიდუალური, უშუალო ურთიერთობის დამყარებაში იმ ოჯახის წევრებთან, სადაც მოხდა დანაშაულებრივი ფაქტი. ოჯახში ჩადენილი დანაშაულის გამოძიებისას დიდი მნიშვნელობა აქვს ასევე ნდობის მოპოვებას, კონფიდენციალურობის დაცვას, გულისხმიერების გამომჟღავნებას, უშუალოდ ოჯახის წევრებთან კონტაქტში შესვლას. პრაქტიკა ადასტურებს, რომ დაზარალებულთან და მის ოჯახის წევრებთან კანონის ენაზე საუბარი ხშირად არაეფექტური და გამოძიებისთვის საზიანოა. გამოძიებამ უხეში, უტაქტო და პირაპირი ჩარევით, შესაძლებელია, მეტი ზიანი მიაყენოს ოჯახს, ვიდრე ფაქტების არასრულყოფილი შემოწმებით.

გამოკითხულთა უმეტესობა არ ეთანხმება აზრს, თითქოს მოქმედი კანონმდებლობა ოჯახში ჩადენილი დანაშაულებების გამოძიების საქმეში მოუქნელი და

არასრულყოფილია, თუმცა გამოძიების ეფექტურად წარმართვისათვის მიზანშეწონილად მიაჩნიათ საპროცესო ნორმების გამარტივება. კერძოდ, ზედმეტია დამსწრის ინსტიტუტი, მათი აზრით, აუცილებელია მეტი ნდობის გამოცხადება გამომძიებლებისათვის, გადასახედია დაკავებისა და ბრალის წაყენების ვადები.

რაც შეეხება სპეციალური კანონის მიღებას ოჯახურ ძალადობაზე, გარკვეული ნაწილი თვლის, რომ ასეთი კანონი დასაშვები იქნება, თუ ის რეალურად უზრუნველყოფს დაზარალებულის დაცვას, მის უსაფრთხოებას, როგორც გამოძიების ეტაპზე, ისე საქმის სასამართლოში განხილვისას, რათა არ მოხდეს მასზე ბრალდებულის მხრიდან რაიმე ზეწოლა. კანონი შესაბამისობაში უნდა იყოს საქართველოში არსებულ რეალობასთან, ტრადიციებთან და უნდა იყოს ძალზე პრაქტიკული. გამოკითხულთა ნაწილი მიიჩნევს, რომ პრობლემა შეიძლება უშუალოდ სისხლის სამართლის კოდექსში დამატებითი სპეციალური მუხლების შეტანით მოგვარდეს. გამომძიებლების გარკვეულმა ნაწილმა კი არასაჭიროდ ჩათვალა რაიმე დამატებების ან სპეციალური კანონის მიღება ოჯახური ძალადობის პრობლემის დასარეგულირებლად.

უნდა აღინიშნოს, რომ გამოკითხული პროკურორების უმრავლესობა კანონში დამატებების მომხრეა, მათი აზრით, ეს გამართლებულია სწორედ არსებული რეალობით. მათი დაკვირვებით, ბოლო პერიოდში იმატა ოჯახური ძალადობის ფაქტებმა. ქვეყანაში მომხდარი საერთო პოლიტიკური თუ სოციალური ცვლილებებიდან გამომდინარე, შეიცვალა ასევე ოჯახში ჩადენილ დანაშაულთა კატეგორიაც, იმატა სოციალურ ნიადაგზე ჩადენილმა დანაშაულებებმა. სწორედ ამიტომ, ოჯახის დაცვაზე სახელმწიფომ მეტი ყურადღება უნდა გაამახვილოს, ხშირად ოჯახში განვითარებული აგრესია სხვა დანაშაულის ჩადენაშიც გამოიხატება.

რაც შეეხება უცხოეთის კანონმდებლობით გათვალისწინებული მექანიზმების შემოღებას, გამოკითხულთა აზრით, ეს მიდგომა პრობლემის მოგვარებისაკენ გადადგმული ნაბიჯი იქნება, მაგრამ აუცილებელია ამ მექანიზმების ქართულ ტრადიციებთან და საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანა.

კითხვაზე - **აუცილებელია თუ არა დაზარალებულისა და მოწმისათვის დამატებითი დაცვის მექანიზმების შემოღება და რამდენად საკმარისია დაცვის ის მექანიზმები, რომლებიც უკვე არსებობს ჩვენს კანონმდებლობაში**, გამომძიებლებმა აღნიშნეს, რომ სწორედ დაზარალებულისა და მოწმის დაცვა გამოძიების უმთავრესი პრობლემაა. ხშირად, როგორც მოწმე, ასევე დაზარალებული მალავს დანაშაულის ფაქტს. მართალია, მოქმედი კანონმდებლობა ითვალისწინებს მათი დაცვის მექანიზმებს, მაგრამ ეს მექანიზმები იმდენად მოუქნელია, რომ მათი პრაქტიკაში განხორციელება თითქმის არ ხდება. თუმცა, რესპონდენტთა ნაწილი მიიჩნევს, რომ უკვე არსებული მექანიზმების ამოქმედებაც საკმარისი იქნება პრობლემის მოსაგვარებლად.

გამოკითხლთა ნაწილს მიაჩნია, რომ, უპირველეს ყოვლისა, უნდა შეიცვალოს სახელმწიფოს მიდგომა და საზოგადოებრივი აზრი ამ პრობლემებისადმი. აუცილებელია არსებული პრობლემის განზოგადება და საზოგადოების ინფორმირება.

მოსახლეობაში სამართალდამცავი სისტემისადმი ნდობის აღდგენის საკითხს არაერთხელ გაესვა ხაზი ამდენად სამართალდამცავი ორგანოების მუშაკები გრძნობენ დაზარალებულისა თუ სხვა სუბიექტისაგან გარკვეულ უნდობლობას. თუმცა ხმამაღლა ამაზე არ საუბრობენ და, შესაბამისად, კონკრეტულ ფაქტებზეც არ უთითებენ.

გამოკითხულთა აზრით, სასურველია შეიქმნას ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა სარეაბილიტაციო ცენტრი, რათა მოხდეს დაზარალებულთა დროებით განრიდება მოძალადისგან და მათი ფსიქოლოგიური რეაბილიტაცია, რაც ძალზე მნიშვნელოვანია.

ასევე უნდა ამოქმედდეს საოჯახო კონფლიქტების მომწესრიგებელი კომისია, რომელიც უზრუნველყოფს ოჯახური ძალადობის პრევენციას. თუ რა ფორმით უნდა ჩამოყალიბდეს ეს კომისია, გამოკითხვის ეტაპზე ვერ მიგვითითეს.

რესპონდენტთა მხრიდან გამოითქვა აზრი ოჯახური საქმეების განმხილველი სასამართლოს შექმნაზეც, რაც ცალსახად მისაღები და სასურველია ჩვენთვის, მაგრამ ამგვარი სასამართლოების ჩამოყალიბებამდე აუცილებელია სპეციალური საკანონმდებლო ბაზის შექმნა.

ეფექტურ ღონიძიებად მიაჩნიათ, ასევე, პროფილაქტიკური სამუშაოების პერმანენტულად ჩატარება და უბნის ინსპექტორის ინსტიტუტის გაძლიერება.

დასკვნა

სამართალდამცავ სისტემაში ჩატარებულმა კვლევამ შესაძლებლობა მოგვცა, ნაწილობრივ მაინც შეგვესწავლა სამართალდამცავი ორგანოების დამოკიდებულება ოჯახური ძალადობის პრობლემისადმი.

პოლიციელებთან უშუალო საუბარმა სხვა ჭრილში დაგვანახა პრობლემა. თუმცა, გარკვეული შეხედულებები მათ საქმიანობაზე იგივე დარჩა. ფაქტია, რომ განსაკუთრებული მიდგომა ოჯახში ჩადენილი დანაშაულებების გამოძიებისას პოლიციასა თუ პროკურატურის ორგანოებში არ არსებობს, არც კანონი ითვალისწინებს რაიმე სპეციფიკას და არც სამართალდამცავები ივალდებულებენ თავს, განსაკუთრებულად მიუდგნენ ძალადობის მსხვერპლ ქალებსა თუ ბავშვებს. ძირითადი არგუმენტი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის არარსებობაა. სწორედ დაფინანსების არარსებობა არის ხშირ შემთხვევაში საქმის სრულყოფილად გამოძიებისთვის ხელის შემშლელი გარემოება.

შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ მიერ წამოყენებული ყველა პრობლემის წყაროდ სახელმწიფოს მიერ დაუფინანსებულობა დასახელდა. რაც, ფაქტობრივად, პასუხისმგებლობის გადაკისრებას გვაგონებს. ზოგ შემთხვევაში ყოვლად მიუღებელია სოციალური ფაქტორების მოხმობა.

საქართველოში საკმაოდ ხშირია ოჯახური ძალადობის ფაქტები, მაგრამ რო-

გორც გავარკვიეთ, საკმაოდ იშვიათად ხდება სისხლის სამართლის საქმის აღძვრა, განსაკუთრებით კი ქალის განცხადების საფუძველზე. ეს, როგორც ჩანს, სხვადასხვა ობიექტური თუ სუბიექტური ფაქტორებით არის განპირობებული.

ყველაზე ხშირი დანაშაული - ცემა, ყველაზე იშვიათად დასჯადია. ცემა ნაკლებად მძიმე დანაშაულთა კატეგორიას განეკუთვნება, მაგრამ, თუ ოჯახური ძალადობის ასპექტში განვიხილავთ საკითხს, შეიძლება ითქვას, რომ მძიმე დანაშაულს ხშირად წინ უსწრებს ნაკლებად მძიმე დანაშაულებები და თუ თავიდანვე არ მოხდა მათზე სათანადო რეაგირება, საბოლოოდ ჩვენი უმოქმედობით ფაქტობრივად ხელს შევუწყობთ უფრო მძიმე შედეგის დადგომას. ცემის შემთხვევაში მოძალადის წინააღმდეგ ს/ს აღძვრის და მისი პასუხისგებაში მიცემა-არ მიცემის საკითხის გადაწყვეტა არ უნდა იყოს დაზარალებულის ნებაზე დამოკიდებული, როგორც ეს ჩვენს კანონმდებლობაშია. იქნებ სწორედ ოჯახში ცემის ფაქტი არ უნდა იყოს კერძო ბრალდების საქმე, ხოლო სხვა შემთხვევაში ცემა შესაძლებელია დარჩეს კერძო ბრალდების კატეგორიაში.

შეიძლება ითქვას, რომ გამოკითხულთა უმრავლესობას არ ესმის ოჯახური ძალადობის ფენომენი და მას, როგორც ჩვეულებრივ კრიმინალს, ისე აღიქვამს. ასევე, არ არის გაცნობიერებული ის სავალალო შედეგები, რომელიც მოძალადის დაუსჯელობას შეიძლება მოჰყვეს. მაგალითად, ცემის შემთხვევაში, როგორც ვნახეთ, პოლიციელები ხშირად ცდილობენ მხარეების შერიგებას ისე, რომ არც უფიქრდებიან, თუ რა დანაშაული შეიძლება ჩაიდინოს შემდეგ ჯერზე მოძალადემ. მართალია, ცემა კერძო ბრალდების საქმეა, მაგრამ მაინც დანაშაულია და, შესაბამისად, გარკვეულ რეაგირებას საჭიროებს.

ასევე სასურველია სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელთა პასუხისმგებლობის გაზრდა სისხლის სამართლის საქმის აღძვრამდე დაზარალებულის სამედიცინო შემოწმების საკითხთან დაკავშირებით, რადგან სწორედ სამედიცინო დასკვნის არარსებობა ხდება ს/ს აღძვრაზე უარის თქმის საფუძველი.

თავად გამოკითხულები ცდილობენ, რეალურად არსებული პრობლემები მწირი დაფინანსებით და კადრების სიმცირით ახსნან. გამოკითხულთა უმრავლესობა არ აღიარებს, რომ სწორედ მათი გულგრილი და უპასუხისმგებლო დამოკიდებულება ზოგიერთ შემთხვევაში მოძალადეში ავითარებს დაუსჯელობის სინდრომს. ფაქტობრივად, არანაირი თვითკრიტიკული მოსაზრებები მათი მხრიდან არ იყო გამოთქმული. არსებული პრაქტიკა კი ადასტურებს, რომ პოლიციაში თუ პროკურატურაში მისული ოჯახური ძალადობის მსხვერპლი უყურადღებობის, არაკვალიფიციური და მიუღებელი დამოკიდებულების ობიექტი ხდება. ეს ძირითადად ეხება ნაკლებად მძიმე დანაშაულებებს.

სამართალდამცავი სისტემის წარმომადგენლებთან გასაუბრების შემდეგ კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ ოჯახური ძალადობის პრობლემა მეტ ყურადღებას და სახლმწიფოს მხრიდან პასუხისმგებლობის გაზრდას საჭიროებს.

რეკომენდაციები

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, აუცილებელია შემდეგი აქტივობების

განხორციელება:

- სამართალდამცავი სისტემის თამნამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლება, განსაკუთრებით ოჯახური ძალადობის თვალსაზრისით. პრიორიტეტული იქნება ქვედა რგოლებთან მუშაობა (რაიონის პოლიცია და პროკურატურა, უბნის ინსპექტორი, პოლიციის სამმართველო). მათი კვალიფიკაციის ამაღლება უნდა მოხდეს არა მარტო სამართლებრივი კუთხით, არამედ, უნდა დაიხვეწოს და დამუშავდეს მსხვერპლთან ურთიერთობის მეთოდიკა.
- სასურველია, პოლიციასა და პროკურატურაში შეიქმნას სპეციალური განყოფილება, რომელსაც დაევალება ოჯახში ჩადენილი დანაშაულებების გამოძიება.
- უნდა დაიხვეწოს დაზარალებულისა და მოწმის დაცვის ის მექანიზმები, რომელიც უკვე არსებობს კანონმდებლობაში.
- ჩამოყალიბდეს ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა გადაუდებელი სამედიცინო გამოკვლევის უფრო ეფექტური მექანიზმი.
- სპეციალური კანონის მიღებამდე, სასურველია, სისხლის სამართლის კოდექსში შევიდეს დამატებითი მუხლი ოჯახურ ძალადობაზე.

ra შეიძლება გაეთდეს ჩვენი მხიდან:

1. მოლაპარაკებები შსს და გენერალურ პროკურატურასთან სპეციალური განყოფილებების ჩამოყალიბებაზე.
2. სპეციალურად შერჩეული პოლიციელებისა და გამომძიებლების მომზადება (ტრეინინგების, ლექცია-სემინარების გზით).
3. საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობისა და არსებული მასალების შესწავლა ოჯახური ძალადობის დისპოზიციის ჩამოსაყალიბებლად.
4. სისხლის სამართლის კოდექსში ოჯახურ ძალადობაზე დამატებების მომზადება.
5. მსხვერპლის გადაუდებელ სამედიცინო შემოწმებასათან და დაზარალებულის/მოწმის დაცვასთან დაკავშირებით კანონმდებლობაში არსებული მექანიზმების სრულყოფილად შესწავლა და ე.წ. გზამკვლევის/ცნობარის მომზადება სპეციალური ჯგუფებისთვის.

სტატისტიკური დამუშავებისას მიღებული შედეგები

ქვემოთ მოყვანილია კითხვარზე გაცემული პასუხების სიხშირეთა პროცენტული განაწილების დიაგრამები. მიღებული შედეგები მოიცავს როგორც პოლიციის, ასევე პროკურატურის თანამშრომელთა პასუხებს.

1. ოჯახში ჩადენილ დანაშაულებათა შორის რომელი სახის დანაშაული გხვდებათ ყველაზე ხშირად?



პოლიციელები ძირითადად მიუთითებენ 4 ტიპის დანაშაულზე. პასუხთა სიხშირეები დაახლოებით თანაბრად არის განაწილებული სხეულის მსუბუქ დაზიანებას (29.6%), სხეულის მძიმე დაზიანებას (28.8%) და სიტყვიერ შეურაცხყოფას შორის (26.4%), შედარებით ნაკლები მაჩვენებელი – 15.2% მიიღო პასუხმა მკვლელობა ან მკვლელობის მცდელობა.

2. ოჯახში მომხდარ დანაშაულთა გამოძიებისას აწყდებით თუ არა პრობლემებს და ძირითადად რა სახისაა ეს პრობლემები?



ოჯახში მომხდარ დანაშაულთა გამოძიებისას სამართალდამცავები ყველაზე ხშირად აწყდებიან შემდეგ პრობლემებს: მოწმეების მოძიების პრობლემას (24.2%), ჩვენების შეცვლას (მოძალადის შეცოდების ან სხვა მიზეზით) (23.7%). ასევე ხშირია დაპირისპირებული მხარეების შერიგება, რის გამოც დანაშაულის გამოძიება შეიძლება შეფერხდეს ან საერთოდ შეწყდეს (21.3%).

3. ოჯახის რომელიმე წევრის ცემის ან ჯამრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანების შემთხვევაში განცხადების შემოტანისას დაზარალებულის მხრიდან რამდენად ხშირია საქმის ბოლომდე გაყოლის პრეცედენტები?

გამოკითხულთა აზრით, ოჯახური კონფლიქტებისას სასამართლოში აღძრული საქმეების აბსოლუტური უმრავლესობა 96.6% ბოლობდე არ სრულდება. (ამ კა-

ტეგორიის დანაშაულებები კერძო ბრალდების საქმეებს მიეკუთვნება, მათი ბოლომდე მიყვანა დაზარალებულის ნებაზეა დამოკიდებული). ზოგიერთი მიზეზი, რომლის გამოც დაზარალებული ითხოვს საქმის შეწყვეტას, მოყვანილია №2 შეკითხვაში. ესენია: კონფლიქტის დამოუკიდებლად მოგვარება, შერიგება, მოძალადის შეცოდება და სხვა.



4. ოჯახში ჩადენილ დანაშაულებებზე ყველაზე ხშირად შეტყობინებას ვისგან იღებთ?

პასუხების საერთო რაოდენობიდან 55.3% მოდის პასუხ "მსხვერპლზე", ე.ი. ჩადენილი დანაშაულების შესახებ ყველაზე ხშირად პოლიციას თვითონ დაზარალებული ატყობინებს, სიხშირით მეორე ადგილზეა–"მეზობელი" 25.7% და მესამეზე–"ოჯახის წევრი" 16.9%. ძალიან იშვიათ შემთხვევებში (1.4%) საკუთარი დანაშაულის აღიარებას მოძალადეც აკეთებს.



5. უფრო ხშირად რა გზით იღებთ შეტყობინებებს, ტელეფონით, თუ პირადად ცხადდებიან დანაშაულის შემსწრე პირები? სატელეფონო შეტყობინების მიღებისას ვინ არის ძირითადად ინფორმაციის მომწოდებელი?

პოლიციელები აღნიშნავენ, რომ ჩადენილი დანაშაულის შესახებ შეტყობინება ძირითადად ან განცხადების (52.3%), ან ტელეფონის (42.9%) მეშვეობით ხდება.

6. თქვენი აზრით, ოჯახის წევრებს შორის ვინ ახდენს დანაშაულის პროვოცირებას?



ჩვენი გამოკითხვის მიხედვით, ოჯახში ძალადობის პროვოცირებას უფრო ხშირად ახდენს ქალი. (პასუხთა საერთო რაოდენობის 42.2%). მამაკაცი, როგორც ძალადობის მაპროვოცირებელი, გვხვდება პასუხთა საერთო რაოდენობის 32.1%. აღსანიშნავია, როდესაც ჩვენი რესპონდენტები ასახელებენ მამაკაცს, როგორც ძალადობის მაპროვოცირებელს, ძირითადად განიხილავენ მას მთვრალ მდგომარეობაში.

7. როგორ ფიქრობთ, რა არის ოჯახში ჩადენილი დანაშაულის გამომწვევი ძირითადი მიზეზები?



სამართალდამცავები აღნიშნავენ (პასუხების 51%), რომ ოჯახური ძალადობის ძირითადი გამომწვევი მიზეზი რთული ეკონომიკური პირობები და უმუშევრობაა. თუმცა, დასახელებულია ძალადობის გამომწვევი სხვა მიზეზებიც: ლოთობა და ნარკომანია. მას ერგო პასუხების 30.5%, ერთ კატეგორიაშია გაერთიანებული ისეთი მიზეზები, როგორიც არის – ღალატი, ტყუილი, ეჭვიანობა (პასუხების 15.5%), ყველაზე მცირე მაჩვენებელი 2.3% ერგო კატეგორია „ტრადიციას“.

8. სასამართლოში ბრალდების მხარდაჭერისას ყველაზე ხშირად სასჯელის რომელი სახის შეფარდებას ითხოვთ? (თუ სანქცია ითვალისწინებს სასჯელის ალტერნატიულ სახეებს)



გამოკითხულები მიუთითებენ, რომ ოჯახური ძალადობისას, სასჯელის ყველაზე გავრცელებული ფორმაა ადმინისტრაციული სასჯელი (33.7%) და თავისუფლების აღკვეთა (30.4%). რესპონდენტთა 14.1%-მა აღნიშნა, რომ ოჯახური ძალადობის ბრალდების მხარდაჭერის შემთხვევა პრაქტიკაში არ ჰქონია.

9. როდესაც მოგმართავთ დაზარალებული სისხლის სამართლის საქმის აღძვრის მოთხოვნით, ვინ უზრუნველყოფს მის გადაუდებელ სამედიცინო შემოწმებას? ვინ იხდის სისხლის სამართლის საქმის აღძვრამდე ჩატარებული სამედიცინო გამოკვლევის ხარჯებს?



რესპონდენტთა 56.8% აღნიშნავს, რომ სამედიცინო შემოწმების ხარჯებს სახელმწიფო იხდის, ხოლო გამოკითხულთა 47.4% თვლის, რომ რომ ეს ხარჯი დაზარალებულს ეკისრება.

10. რამდენად ხშირია სისიხლის სამართლის საქმის პარალელურად სამოქალაქო სარჩელის აღძვრის შემთხვევები?

გამოკითხულ პოლიციელთა უმეტესობის (69.9%) გა-

მოცდილებაში, სისხლის სამართლის საქმის პარალელურად სამოქალაქო სარჩელის აღძვრის შემთხვევები იშვიათად ყოფილა, ხოლო, რესპონდენტთა 17.4%-ს კი ასეთი რამ საერთოდ არ შეხვედრია.

11. ოჯახში ჩადენილ დანაშაულებათა გამოძიებისას დამაბრკოლებელ გარემოებად მიგაჩნით თუ არა სხვის ოჯახურ ცხოვრებაში ჩარევის ფაქტორი და რამდენად გზღუდავთ ეს გარემოება?

ზოგადად, გამოკითხულთა 60.2% სხვის ოჯახურ ცხოვრებაში ჩარევის ფაქტორს არ მიიჩნევს დამაბრკოლებლად.



როდესაც კითხვის ვექტორი პირადად რესპონდენტზეა მიმართული, ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო იზრდება. 78%-მა აღნიშნა, რომ პირადად მათთვის, გამოძიებისას შემზღუდველ ფაქტორს არ წარმოადგენს სხვის ოჯახურ ცხოვრებაში ჩარევის აუცილებლობა.

12. როგორ წარმართავთ მოკვლევისა და გამოძიების პროცესს ოჯახში ჩადენილ დანაშაულთა გამოძიებისას? არსებობს თუ არა რაიმე განსაკუთრებული მიდგომა და რაში გამოიხატება ეს?

57.4%-ს მიაჩნია, რომ ოჯახური ძალადობის მოკვლევის თუ გამოძიებისას ისინი ფლობენ განსაკუთრებულ ხერხებს და მეთოდებს.



მათ შორის, ვინც ამბობს, რომ ოჯახში ჩადენილ დანაშაულებათა მოკვლევისა და გამოძიებისას აქვს განსაკუთრებული მიდგომა, გამოვლინდა სამი ძირითადი ტიპი ამგვარი ქცევისა: პროფილაქტიკური მუშაობა (მსხვერპლთან და მოძალადესთან 10,3%), მხარეთა შერიგება (12,1%), მსხვერპლთან მეგობრული და დელიკატური ქცევა (22,4%).

13. თქვენი აზრით, რამდენად მოქნილია მოქმედი კანონმდებლობა ოჯახში მომხდარ დანაშაულებათა გამოძიებისას? რამდენად ეფექტურია მატერიალური ნორმები და საპროცესო ნორმები სისხლის სამართლის საქმის აღძვრის, მოკვლევისა და გამოძიების ეტაპზე სხვადასხვა ღონისძიებების გასატარებლად?



რესპონდენტების მხოლოდ 9.9%-მა აღნიშნა, რომ არსებული კანონმდებლობა მოქნილია და ხელს უწყობს ოჯახში მომხდარ დანაშაულებათა წარმატებით გამოძიებას. 56%-ს არსებული კანონმდებლობა არაეფექტურად მიაჩნია, გამოკითხულთა 34.1% კი თვლის, რომ მოქმედი კანონმდებლობა არა თუ ხელს უწყობს, არამედ ზოგ შემთხვევაში ოჯახში მომხდარ დანაშაულებათა გამოძიებისას დამაბრკოლებელიც კი შეიძლება აღმოჩნდეს.

14 თქვენი აზრით, ცემისა და ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანების შემთხვევაში სისხლის სამართლის საქმის აღძვრა მხოლოდ დაზარალებულის ნებაზე უნდა იყოს დამოკიდებული, ანუ ეს დანაშაულებები კერძო ბრალდების საქმეებს უნდა მიეკუთვნებოდეს? რას ფიქრობთ იმავე კერძო-საჯარო ბრალდების საქმეებზე?



გამოკითხულთა უმრავლესობას (64.9%) მიაჩნია, რომ ოჯახური ძალადობის შემთხვევები კერძო ბრალდების საქმეებს უნდა მიეკუთვნებოდეს. 20.2% ასეთი ტიპის დანაშაულს უფრო საჯარო საქმედ მიიჩნევს, ხოლო დარჩენილი 14.9% თვლის, რომ ოჯახური ძალადობის შემთხვევები კერძო-საჯარო საქმეებს უნდა მიეკუთვნებოდეს.

15 თქვენი აზრით, საჭიროა თუ არა სპეციალური კანონის მიღება, რომელიც დეტალურად დაარეგულირებდა ოჯახში ჩადენილ დანაშაულებათა წინააღმდეგ ბრძოლის, გამოძიების და დაზარალებულთა დამატებითი დაცვის მექანიზმების შემოღების საკითხებს?



გამოკითხულთა 83.9% ეთანხმება იმ აზრს, რომ ოჯახური ძალადობის დანაშაულებებთან საბრძოლველად საჭიროა სპეციალური კანონის შემუშავება და მიღება.

16 არსებობს თუ არა სსკ-ში და სსსკ-ში დამატებით სპეციალური ნორმების შემოღების აუცილებლობა?





90.5%-ს მიაჩნია, რომ აუცილებელია სსკ-ში და სსსკ-ში დამატებით სპეციალური ნორმების შემოღება.

17.კარგი იქნებოდა თუ არა უცხოეთის კანონმდებლობით გათვალისწინებული მექანიზმების შემოღება. მაგ.: ამკრძალავი ორდერებისა, რაც მოიაზრებს მოძალადის სახლიდან განრიდებას, გარკვეული პერიოდის განმავლობაში სახლში დაბრუნებისა და მსხვერპლთან ურთირთობის აკრძალვას, ან სხვა..

გამოკითხულთა 91.2% დადებითად უყურებს ოჯახურ ძალადობასთან დაკავშირებული უცხოეთის კანონმდებლობით არსებული ზოგიერთი მექანიზმების შემოღებას.

18. აუცილებელია თუ არა, დაზარალებულისა და მოწმისათვის დამატებითი დაცვის მექნიზმების შემოღება და რატომ? რამდენად საკმარისია დაცვის ის მექანიზმები, რომლებიც უკვე არსებობს ჩვენს კანონმდებლობაში?



მონაცემების მიხედვით, რესპონდენტთა უმრავლესობას (82.1%) მიაჩნია, რომ იმისათვის, რომ არ მოხდეს დაზარალებულსა და მოწმეზე ზეწოლა, აუცილებელია მათი დაცვის დამატებითი მექნიზმების შემოღება.

19 თქვენი აზრით, რა გავლენას მოახდენს ოჯახში ჩადენილ დანაშაულებათა რეგულირებაზე კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანა?



რესპონდენტთა 86.2% კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანას პოზიტიურად უყურებს და მიაჩნია, რომ ეს ხელს შეუწყობს ოჯახში ჩადენილ დანაშაულებათა დარეგულირებას, ხოლო 13.8% აღნიშნავს, რომ ცვლილებები კანონმდებლობაში გაართულებს კანონის აღსრულებას.

20 არსებობს თუ არა სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებისათვის უფლებამოსილების გაზრდის აუცილებლობა ოჯახში მომხდარ დანაშაულებათა გამოძიებისას?





გამოკითხულთა 71% ოჯახში მომხდარ დანაშაულებათა გამოძიების გასაუმჯობესებლად აუცილებლად მიიჩნევს სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებისათვის უფლებამოსილების გაზრდას.

21 საჭიროა თუ არა განსაკუთრებული მექანიზმების შემოღება ოჯახში ჩადენილ დანაშაულებათა გამოძიებისას?

განსაკუთრებული მექანიზმების შემოღებას ოჯახში ჩადენილ დანაშაულებათა გამოძიებისას რესპონდენტთა 84% პოზიტიურად აფასებს.

22 თქვენი აზრით, რა სპეციალური მექანიზმების არსებობა გაადვილებდა ოჯახში ჩადენილ დანაშაულებათა წინააღმდეგ ბრძოლას და შეამცირებდა მათ რაოდენობას?

რესპონდენტების აზრით, ყველაზე ქმედითი ზომა, რომელიც გააადვილებდა ოჯახში ჩადენილ დანაშაულებათა წინააღმდეგ ბრძოლას, არის ცვლილება კანონმდებლობაში (რესპონდენტთა 50.4%). გარდა ამისა, დასახელებულია შემდეგი ღონისძიებები: სამკურნალო-შრომითი/ გამოსაფხიზლებელი დაწესებულების შექმნა (26.2%), მოძალადის მიმართ სასჯელის გამკაცრება (12.4%), საგანმანათლებლო მუშაობის ჩატარება (7.6%).

23. როგორია თქვენი საბოლოო რეკომენდაციები?

რესპონდენტთა რეკომენდაციებია:

1. კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანა (18.8%);
2. მსხვერპლისა და მოწმის დამატებითი დაცვის უზრუნველყოფა (14.7%);
3. განსაკუთრებული მექანიზმების შემოღება (14.5%);
4. სამართალდამცავთა უფლებამოსილების გაზრდა (13.6%);

5. სამკურნალო-შრომითი/ გამოსაფხიზლებელი დაწესებულების შექმნა (11.8%);
6. მოძალადის მიმართ სასჯელის გამკაცრება (9%)
7. სპეციალური სამსახურის შემოღება (6.6%)
8. ოჯახური ძალადობის კერძო-საჯარო საქმედ მიჩნევა (6.1%)
9. საგანმანათლებლო მუშაობის ჩატარება (5.%)



საერთაშორისო სამართლებრივი სტანდარტები
და
უცხო ქვეყნების კანონმდებლობა ოჯახური ძალადობის სფეროში

(შედარებითი ანალიზი)

ნინო ბაქაქური – იურისტი

I. საერთაშორისო სტანდარტები ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ

ოჯახური ძალადობა, როგორც ადამიანის სიცოცხლის, თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლების, აგრეთვე წამების, სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების დამამცირებელი მოპყრობისაგან თავისუფლების დარღვევა

ოჯახური ძალადობა და, ზოგადად, ძალადობა ქალზე, მრავალი წლის განმავლობაში საერთაშორისო სამართალში გამოუკვლეველი და ტაბუირებული თემა იყო. მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის უფლებებისადმი განსაკუთრებული მნიშვნელობის მინიჭებითა და მათი დაცვის საერთაშორისო მექანიზმების შექმნით მსოფლიოში დასაბამი მიეცა ძალადობის საწინააღმდეგო კამპანიას, უშუალოდ ქალის მიმართ ძალადობაზე საერთაშორისო წრეებში ხმამაღლა მხოლოდ გასული საუკუნის 70-80-იან წლებში ალაპარაკდნენ. ასეთი დაგვიანების გამო, ადამიანის უფლებების ისეთი მნიშვნელოვანი დოკუმენტები, როგორიცაა ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია და საერთაშორისო პაქტები, აგრეთვე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია, ქალის მიმართ ძალადობაზე, როგორც ადამიანის უფლების დარღვევაზე, პირდაპირ არ მიუთითებენ.

მოგვიანებით, პრობლემის არსებობისა და მასშტაბების თანადათანობითი გამოვლენის შემდეგ, რომელიც დაემთხვა სხვადასხვა ქვეყანაში ქალისა და მამაკაცის თანასწორუფლებიანობის საკანონმდებლო (de jure) აღიარების პროცესს, საერთაშორისო საზოგადოება მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ქალის მიმართ ძალადობა (მათ შორის, მისი ერთ-ერთი ფორმა - ოჯახური ძალადობა) ადამიანის უფლებათა უმძიმესი დარღვევაა, რომელიც მიმართულია ქალის სიცოცხლის, თავისუფლებისა და პიროვნული ხელშეუხებლობის, აგრეთვე წამების, სხვა არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობისაგან თავისუფლების წინააღმდეგ. ამან ქალის უფლებების დამცველებსა და ოჯახური ძალადობასთან მებრძოლებს საშუალება მისცა, გამოეყენებინათ საერთაშორისო დოკუმენტების ის მუხლები, რომლებიც ადამიანის ზემოაღნიშნული უფლებების დაცვას ეხება.

გაერთიანებული ერების ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-3 მუხლის მიხედვით:

„ყოველ ადამიანს აქვს სიცოცხლის, თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლება“.[12]

12 ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, ადამიანის უფლებათა საერთაშიროსო ბილი (წიგნი I), საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის გამოცემა, თბილისი 1999, გვ. 6

იმავე დეკლარაციის მე-5 მუხლის მიხედვით:

„არავინ უნდა დაექვემდებაროს წამებას ან სხვა სასტიკ, არაჰუმანურ ან ღირსების შემლახავ მოპყრობას ან სასჯელს“.[13]

ხოლო მე-8 მუხლის მიხედვით:

„ყოველ ადამიანს უფლება აქვს ეფექტიანად აღიდგინოს თავისი უფლებები კომპეტენტურ ეროვნულ სასამართლოში იმ შემთხვევაში, როცა დარღვეულია მისი კონსტიტუციური თუ კანონით მინიჭებული ძირითადი უფლებები“.[14]

დეკლარაციის ზემოაღნიშნული მუხლებით დაცული უფლებები განმტკიცებულია გაერთიანებული ერების სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტით, კერძოდ,

პაქტის მე-6.1 მუხლის თანახმად:

„სიცოცხლის უფლება თითოეული ადამიანის განუყოფელი უფლებაა. ამ უფლებას იცავს კანონი. არავის შეიძლება თვითნებურად წაართვან სიცოცხლე“.[15]

მე-7 მუხლის თანახმად:

„არავინ უნდა დაექვემდებაროს წამებას ან სასტიკ, არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობასა თუ სასჯელს. . .“[16]

მე-9.1 მუხლის თანახმად:

„თითოეულ ადამიანს აქვს თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლება. . . არავის შეიძლება თავისუფლება აღუკვეთონ სხვაგვარად, გარდა კანონით გათვალისწინებული საფუძვლისა და წესისა“.[17]

მე-3 მუხლის თანახმად:

„წინამდებარე პაქტის მონაწილე სახელმწიფოები კისრულობენ ვალდებულებას, უზრუნველყონ ქალისა და მამაკაცის თანაბარი უფლება, ისარგებლონ წინამდებარე პაქტით გათვალისწინებული ყველა სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებით“.[18]

აღნიშნული პაქტის საფუძველზე შექმნილი გაერთიანებული ერების ადამიანის

13 ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, ადამიანის უფლებათა საერთაშიროსო ბილი (წიგნი I), საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის გამოცემა, თბილისი 1999, გვ. 6

14 იქვე. გვ.6

15 საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ბილი (წიგნი I), საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის გამოცემა, თბილისი 1999, გვ. 32

16 იქვე, გვ. 33

17 იქვე, გვ. 34-35

18 იქვე, გვ. 31

უფლებათა კომიტეტი, რომელიც იხილავს სახელმწიფოების წინააღმდეგ კერძო პირთა ინდივიდუალურ საჩივრებს პაქტით გათვალისწინებული უფლებების დარღვევის გამო, ქალის უფლებათა დამცველებისა და ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ მებრძოლთათვის ერთ-ერთი გზაა საერთაშორისო დონეზე ძალადობის მსხვერპლ ქალთა პრობლემის წარმოსაჩენად.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპის კონვენცია

საქართველოს მოქალაქეებისა და მის ტერიტორიაზე მცხოვრები პირებისათვის მათი უფლებების დაცვის უფრო ეფექტური მექანიზმია ადამიანის უფლებათა ევროპის (სტრასბურგის) სასამართლო, რომელიც ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპის კონვენციის საფუძველზე შეიქმნა. მას შეუძლია სახელმწიფოთა წინააღმდეგ მიმართული კერძო საჩივრების საფუძველზე სახელმწიფოთათვის შესასრულებლად სავალდებულო გადაწყვეტილებების გამოტანა.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპის კონვენციაც შეიცავს იმ უფლებათა ჩამონათვალს, რომლებიც ირღვევა ოჯახური ძალადობისას. კონვენციის მე-2 მუხლის მიხედვით:

„ყოველი ადამიანის სიცოცხლის უფლება დაცულია კანონით . . .“[19]

იმავე კონვენციის მე-3 მუხლის მიხედვით:

„არავინ შეიძლება დაექვემდებაროს წამებას ან არაადამიანურ ან ღირსების შემლახავ მოპყრობას ან სასჯელს“.[20]

მე-5 მუხლის მიხედვით:

„ყველას აქვს თავისუფლებისა და პიროვნული უსაფრთხოების უფლება . . .“[21]

მე-8 მუხლის მიხედვით:

„ყველას აქვს უფლება, პატივი სცენ მის პირად და ოჯახურ ცხოვრებას . . .“[22]

---

19 ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპის კონვენცია, ევროპის საბჭო და ადამიანის უფლებების დაცვა, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გამოცემა, თბილისი 1998 წელი, გვ. 57

20 იქვე, გვ. 58

21 იქვე, გვ. 62

22 ევროპის კონვენციის მე-8 მუხლი აქტიურად გამოიყენებოდა იმ პოზიციის მხარდასაჭერად, რომლის თანახმადაც სახელმწიფო ადამიანის პირად და ოჯახურ ცხოვრებაში არ უნდა ჩაერიოს, მაგრამ დროთა განმავლობაში ამ მოსაზრების სიმცდარე დადასტურებულ იქნა. საქმეში X და « ნიდერლანდების წინააღმდეგ, ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლომ დაადგინა, რომ "პირადი ცხოვრების" ცნება კონვენციის მიხედვით მოიცავს "პირის ფიზიკურ და მორალურ ხელშეუხებლობას, მისი სქესობრივი ცხოვრების ჩათვლით" და რომ ევროკონვენციის მე-8 მუხლი სახელმწიფოებს ავალდებულებს არა მხოლოდ ადამიანთა პირადი და ოჯახური ცხოვრების სფეროში ჩარევისაგან თავის შეკავებას, არამედ ადამიანებს შორის ურთიერთობაში პირადი ცხოვრების უფლების პატივისცემის უზრუნველსაყოფად ქმედითი (მათ შორის, სისხლის სამართლის) ღონისძიებების გატარებასაც.

მე-13 მუხლის მიხედვით:

„ყველას, ვისაც დაერღვა ამ კონვენციით გათვალისწინებული უფლებები და თავისუფლებები, აქვს სამართლებრივი დაცვის ეფექტური საშუალების უფლება სახელმწიფო ხელისუფლების წინაშე . . .“[23]

ხოლო მე-14 მუხლის თანახმად:

„კონვენციით გათვალისწინებული უფლებებისა და თავისუფლებების განხორციელება უზეუნველყოფილ უნდა იქნეს ყველა ადამიანისათვის სქესის... ნიშნით დისკრიმინაციის გარეშე“.[24]

ევროპის სასამართლოში საჩივრის წარდგენის პროცედურას არეგულირებს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპის კონვენცია და ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს ნორმები. კონვენცია სასამართლოში სარჩელის წარდგენის უფლებას ანიჭებს ნებისმიერ პირს, პირთა ჯგუფს ან არასამთავრობო ორგანიზაციას. კონვენციის 34-ე მუხლის თანახმად, "სასამართლოს შეუძლია მიიღოს და განიხილოს ნებისმიერი ფიზიკური პირის, არასამთავრობო ორგანიზაციისა და პირთა ჯგუფის საჩივარი, რომლებიც ამტკიცებენ, რომ არიან ერთ-ერთი მაღალი ხელშემკვრელი მხარე-სახელმწიფოს მიერ კონვენციითა და მისი ოქმებით აღიარებული უფლებების დარღვევის მსხვერპლი“.[25]

ინდივიდუალური საჩივარი სასამართლოში წარდგენილ უნდა იქნეს შიდასახელმწიფოებრივი დაცვის ყველა საშუალების ამოწურვის შემდეგ და მოცემული უფლების დამრღვევი საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანიდან ექვსი თვის ვადაში.

ოჯახური ძალადობა, როგორც ქალის დისკრიმინაციის ფორმა

კონვენცია ქალის დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ (CEDAW)

მსოფლიოში ქალის უფლებათა დაცვისათვის ბრძოლის გააქტიურების პირველი თვალსაჩინო შედეგი - ქალის მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ კონვენცია გაერთიანებული ერების მიერ მიღებულ იქნა 1979 წელს.

23 ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპის კონვენცია, ევროპის საბჭო და ადამიანის უფლებების დაცვა, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გამოცემა, თბილისი 1998 წელი, გვ. 65

24 ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპის კონვენცია, ევროპის საბჭო და ადამიანის უფლებების დაცვა, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გამოცემა, თბილისი 1998 წელი, გვ. 65

25 ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპის კონვენცია, ევროპის საბჭო და ადამიანის უფლებების დაცვა, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გამოცემა, თბილისი 1998 წელი, გვ. 74

ადამიანის უფლებათა სხვა დოკუმენტებისაგან აღნიშნული კონვენცია იმით გამოირჩევა, რომ ქალის უფლებების განსაკუთრებულად ხაზგასმასთან ერთად, მან პირველად მიუთითა როგორც საჯარო, ისე კერძო სფეროში (მათ შორის, ოჯახში) მომხდარი ადამიანის უფლებების დარღვევის გამო სახელმწიფოთა პასუხისმგებლობის თაობაზე.

კონვენცია ქალის მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ პირდაპირ არ მოიხსენიებს ქალის მიმართ ძალადობას, როგორც ქალის დისკრიმინაციის ერთ-ერთ ფორმას.

აღნიშნული შეუსაბამობის გამოსწორების მიზნით, გაერთიანებული ერების ქალის დისკრიმინაციის ლიკვიდაციის კომიტეტმა, 1989 წელს სახელმწიფოთა მიმართ თავის მე-12 რეკომენდაციაში აღნიშნა, რომ "კონვენციის მე-2, მე-5, მე-11, მე-12 და მე-16 მუხლები მონაწილე სახელმწიფოებისაგან მოითხოვს ქალის დაცვას ყველა ფორმის ძალადობისაგან, რომელიც აღმოცენდება ოჯახში, სამუშაო ადგილას ან სოციალური ცხოვრების ნებისმიერ სხვა სფეროში"[26] და ითხოვა სახელმწიფოებისაგან ზემოაღნიშნული მუხლების შესრულებაზე ანგარიშის წარმოდგენისას ქალის მიმართ ძალადობის წინააღმდეგ მიღებული ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის მიწოდება.

მიუხედავად ამ რეკომენდაციისა, სახელმწიფოთა ანგარიშები ნათლად არ ასახავდა მათი მხრიდან ქალის მიმართ დისკრიმინაციის, გენდერული ძალადობისა და ადამიანის უფლებების დარღვევებს შორის მჭიდრო ურთიერთკავშირის არსებობის სათანადოდ აღქმის ფაქტს.

ამის გამო, ქალის დისკრიმინაციის ლიკვიდაციის კომიტეტმა 1992 წელს თავის მე-19 რეკომენდაციაში უკვე პირდაპირ მიუთითა, რომ ქალის მიმართ ძალადობა წარმოადგენს კონვენციის პირველი მუხლით მოცემული ქალის დისკრიმინაციის ერთ-ერთ ფორმას და განმარტა იგი, როგორც

"ძალადობა, რომელიც მიმართულია ქალის წინააღმდეგ ან მოქმედებს ქალზე არაპროპორციულად მისი სქესობრივი კუთვნილების გამო. ის მოიცავს ქმედებას, რომელიც იწვევს ფიზიკურ, გონებრივ ან სექსუალურ ზიანს ან ტანჯვას, ასეთი ქმედების მუქარას, იძულებას ან თავისუფლების სხვაგვარ შეზღუდვას".[27]

კომიტეტმა მიუთითა, რომ გენდერული ძალადობა ხელს უშლის ან მთლიანად გამორიცხავს ქალის მიერ საერთაშორისო სამართლის შესაბამისად ისეთი უფლებებით სარგებლობას, როგორიცაა:

ა. სიცოცხლის უფლება;

ბ. წამების, სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა-

26 CEDAW Committee, General Recommendation 12 (eight session, 1989), www.un.org/womenwatch/daw/cedaw/recomm.htm

27 CEDAW Committee, General Recommendation 19 (eleventh session): Violence against Women (1992), Sec.6, Women and Human Right: The Basic Documents, Center for the Study of Human Rights, Columbia University, 1996, p.235

გან თავისუფლება;

გ. საერთაშორისო და შიდა შეიარაღებული კონფლიქტებისას ჰუმანიტარული ნორმების შესაბამისად თანაბარი დაცვის უფლება;

დ. პიროვნული ხელშეუხებლობისა და თავისუფლების უფლება;

ე. კანონის წინაშე თანაბარი დაცვის უფლება;

ვ. ოჯახში თანასწორობის უფლება;

ზ. უფლება ფიზიკური და ფსიქოლოგიური ჯანმრთელობის უმაღლეს შესაძლო სტანდარტზე;

თ. უფლება სამართლიან და ღირსეულ სამუშაო პირობებზე.[28]

კომიტეტმა მოითხოვა კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებისაგან ქალის მიმართ ძალადობის აღმოსაფხვრელად ქმედითი ზომების მიღება საზოგადოებრივი ცხოვრების როგორც საჯარო, ისე კერძო სფეროში. ეს ნიშნავს, რომ სახელმწიფოებს მოეთხოვათ არა მხოლოდ ქალის მიმართ ძალადობისაგან თავის შეკავება, არამედ აქტიური მოქმედებებით ისეთი გარემოს შექმნა, რომელიც მაქსიმალურად შეუწყობს ხელს ძალადობის სხვადასხვა გამოვლინებებისაგან ქალის დაცვას, როგორც საზოგადოებაში, ისე ოჯახში. სახელმწიფოებს საერთაშორისო პასუხისმგებლობა ეკისრებათ არა მხოლოდ მათი ორგანოების ან თანამდებობის პირების, არამედ კერძო პირების მოქმედებებისთვისაც.

კომიტეტის მე-19 რეკომენდაციის თანახმად:

"სახელმწიფოები პასუხს აგებენ კერძო პირთა მოქმედებების გამო, თუ მათ სათანადო გულისხმიერებით ვერ უზრუნველყვეს უფლების დარღვევის თავიდან აცილება ან ძალადობის აქტის გამოძიება და დასჯა და მიყენებული ზიანის ანაზღაურება".[29]

ამავე რეკომენდაციაში კომიტეტმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ოჯახურ ძალადობას, როგორც ქალის მიმართ ძალადობის ერთ-ერთ ყველაზე ფარულ და საშიშ ფორმას და აღნიშნა, რომ ასეთი ძალადობა ყველა ტიპის საზოგადოების პრობლემაა. ოჯახურ ურთიერთობაში ყველა ასაკის ქალები ექვემდებარებიან სხვადასხვა სახის ძალადობას, როგორიცაა, ცემა, გაუპატიურება, სექსუალური შეურაცხყოფის სხვა ფორმა, ფსიქოლოგიური და სხვა სახის იძულება, რომლებსაც საფუძველს უმაგრებს საზოგადოებაში არსებული ტრადიციული შეხედულებები, ქალის ეკონომიკური დამოკიდებულება მოძალადეზე. კომიტეტმა აღნიშნა, რომ კაცის მხრიდან მისი ოჯახური მოვალეობების უგულებელყოფა ასევე ძალადობის ფორმად უნდა ჩაითვალოს. ოჯახში ძალადობა ქალის ჯანმრთელობას რისკის ქვეშ აყენებს და ხელს უშლის მის თანაბარ მონაწილეობას როგორც კერძო, ისე საზოგადოებრივ ცხოვრებაში.[30]

რეკომენდაციაში მითითებულ ღონისძიებებს შორის, რომლებიც სახელმწიფო-

28 Ibid, Sec.7, p.235
29 Ibid, Sec.9, p.236
30 Ibid, Sec.23, p.237

ებმა უნდა განახორციელონ, კომიტეტმა მიუთითა ისეთი შიდასამართლებრივი მექნიზმის შექმნის ვალდებულებაზე, რომელიც უზრუნველყოფს ძალადობის ყველა ფორმის, მათ შორის, ოჯახური ძალადობისათვის, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დაწესებას, სამოქალაქო დაცვის ღონისძიებებისა და მიყენებული ზიანის ანაზღაურების ნორმების შემოღებასა და განხორციელებას.

კომიტეტის მე-19 რეკომენდაცია ძალადობისაგან ქალის დაცვის გზაზე მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო რამდენიმე თვალსაზრისით. მან:

- განმარტა ცნება "ქალის მიმართ ძალადობა" და გამოაცხადა იგი საერთაშორისო სამართლით აკრძალული ქალის დისკრიმინაციის ერთ-ერთ ფორმად;
- ხაზგასმით მიუთითა ოჯახურ ძალადობაზე, როგორ ქალის მიმართ ძალადობის ყველაზე ფარულ და საშიშ ფორმაზე და სახელმწიფოთა პასუხისმგებლობაზე ოჯახში მომხდარი ადამინის უფლებათა დარღვევებისთვის;
- ბიძგი მისცა გაერთიანებული ერების შემდგომ მოქმედებებს ქალის მიმარ ძალადობის აღმოსაფხვრელად.

გარდა ამისა, რეკომენდაციამ საშუალება მისცა ქალის მიმართ ძალადობასთან მებრძოლებს და ძალადობის მსხვერპლებს გამოიყენონ ქალის ყველა ფორმის დისკრიმინაციის ლიკვიდაციის შესახებ კონვენციის დამატებითი ოქმით ახლახანს შექმნილი ინდივიდუალური საჩივრების მექანიზმი.

კონვენციის დამატებითი ოქმი, რომელიც მიღებულ იქნა 1999 წელს, კონვენციით აღიარებული უფლებების დარღვევის მსხვერპლ ქალებს საშუალებას აძლევს ინდივიდუალური საჩივრით მიმართონ ქალის დისკრიმინაციის ლიკვიდაციის კომიტეტს. ოქმის მე-2 მუხლის შესაბამისად, საჩივარი შეიძლება წარდგენილ იქნეს შესაბამისი სახელმწიფოს იურისდიქციის ქვეშ მყოფი ფიზიკური პირის ან პირთა ჯგუფის მიერ ან მათი სახელით (მაგალითად, არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ).[31] მსხვერპლის ან მსხვერპლთა სახელით საჩივრის წარდგენისას საჭიროა მათი თანხმობა. შესაძლებელია კომიტეტში საჩივარი წარდგენილ იქნეს მსხვერპლის თანხმობის გარეშეც, თუ არსებობს განსაკუთრებული გარემოებები, რომლებიც ამართლებს თანხმობის გარეშე მსხვერპლის სახელით მოქმედებას.

საჩივრის წარდგენა ხდება წერილობითი ფორმით და ის არ შეიძლება იყოს ანონიმური. საჩივარი მიიღება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ წარმდგენმა ამოწურა დარღვეული უფლების დაცვის ყველა შიდასახელმწიფოებრივი საშულება. საჩივარი შესაძლებელია მიღებულ იქნეს შიდასახელმწიფოებრივი საშუალებების ამოწურვის გარეშეც, თუ დადგინდება, რომ ისინი არაეფექტურია ან გაუმართლებლად ჭიანურდება.

საჩივრის მიღების შემდეგ კომიტეტი გამოიძიებს საჩივარში ასახულ ფაქტებს და მთავრობის ვალდებულებებს ქალთა კონვენციის შესაბამისად. თუ ის აღმოაჩენს, რომ სახელმწიფო არ ასრულებს კონვენციით გათვალისწინებულ მოვალე-

31 Optional Protocol to the Convention on the Elimination of All Forms of Discrimination against Women, A/RES/54/4, 15 October 1999, http://www.un.org/womenwatch/daw/cedaw/op.pdf

ობებს, კომიტეტი იღებს რეკომენდაციებს სახელმწიფოს მიერ სიტუაციის გამოსასწორებლად განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ.

საქართველომ დამატებითი ოქმის რატიფიცირება 2002 წლის 18 მაისს მოახდინა[32], რაც ქალის უფლებათა დამცველებს საშუალებას აძლევს გამოიყენონ ახალი პროცედურა საქართველოსთვის ოქმის ძალაში შესვლის (2002 წლის 30 ივლისი) შემდგომ მომხდარი დარღვევების მიმართ.

ქალთა კონვენციით გათვალისწინებული უფლებების დარღვევისათვის ინდივიდუალური საჩივრების მექანიზმი მომავალში მნიშვნელოვან როლს ითამაშებს ძალადობისაგან ქალის დაცვის საქმეში.

გაერთიანებული ერების შემდგომი ნაბიჯები

პრაქტიკული ღონისძიებებისა და საჯარო კამპანიების ურთიერთშეთანხმების საშუალებით ფემინისტური ჯგუფებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ პრობლემის წინ წამოწევა მის გარშემო საზოგადოებრივ ცნობიერებას თანდათანობით ზრდიდა, რამაც ხელი შეუწყო ქალის მიმართ ძალადობის წინააღმდეგ კიდევ რამდენიმე მნიშვნელოვანი ნაბიჯის გადაგმას და მასთან ბრძოლის ამოცანის ჩართვას სახელმწიფოთა და საერთაშიროსო ორგანიზაციათა სამოქმედო გეგმებში.

ყოველმხრივი კონსულტაციების შემდგომ, მსოფლიოს ქალთა ორგანიზაციების კოალიციამ ვენაში 1993 წელს გამართულ გაერთიანებული ერების ადამიანის უფლებათა მეოთხე მსოფლიო კონფერენციაზე ლობირება გაუწია ქალის მიმართ სქესობრივ განსხვავებაზე დაფუძნებული (გენდერული) ძალადობის, როგორც ადამიანის უფლებათა არსებითი დარღვევის ოფიციალურ აღიარებას[33].

დეკლარაცია ქალის მიმართ ძალადობის წინააღმდეგ

1993 წლის 20 დეკემბერს გენერალური ასამბლეის რეზოლუციით მიღებულ იქნა დეკლარაცია ქალის მიმართ ძალადობის წინააღმდეგ, რომელმაც შექმნა საფუძველი ამ სფეროში შესასრულებლად სავალდებულო ძალის მქონე საერთაშორისო ხელშეკრულების მოსამზადებლად. დეკლარაცია შეიცავს ქალის მიმართ ძალადობის დეფინიციას, რომელიც ეფუძნება ქალის დისკრიმინაციის ლიკვიდაციის კომიტეტის მე-19 რეზოლუციაში მოცემულ განმარტებას. კერძოდ, დეკლარაციის მიხედვით,

"ქალის მიმართ ძალადობა" გულისხმობს სქესობრივ განსხვავებაზე დაფუძნებულ ნებისმიერ ძალადობრივ ქმედებას, რომელიც ფიზიკურ, სექსუალურ ან

32 საქართველოს პარლამენტის დადგენილება "ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ" კონვენციის დამატებით ოქმთან შეერთების თაობაზე, № 1472-რს, თბილისი, 2002 წლის 18 მაისი

33 World Conference on Human Rights: Vienna Declaration and Program of Action (1993), Sec. 36-44, Women and Human Rights: The Basic Documents, Center for the Study of Human Rights, Columbia University, 1996, p. 84-86

ფსიქოლოგიურ ზიანს ან ტანჯვას აყენებს, ან შეიძლება მიაყენოს ქალს, მათ შორის ასეთი ქმედების მუქარას, იძულებას ან თავისუფლების უკანონო აღკვეთას, მიუხედავად იმისა, ამ ქმედებას ადგილი აქვს საზოგადოებრივ თუ პირად ცხოვრებაში.[34]

დეკლარაციის მიხედვით ქალის მიმართ ძალადობა არის ფიზიკური, სექსუალური და ფსიქოლოგიური ძალადობის ერთობლიობა, რომელიც შეიძლება აღმოცენდეს ოჯახში, საზოგადოებაში, ან ჩადენილ ან შეწყნარებულ იქნეს სახელმწიფოს მიერ მიუხედავად მისი აღმოცენების ადგილისა.

დეკლარაცია მნიშვნელოვანია აგრეთვე იმით, რომ იგი წარმოადგენს პირველ საერთაშორისო დოკუმენტს, რომელიც შეიცავს ოჯახური ძალადობის შემადგენელი ქმედებების ჩამონათვალს. ეს ქმედებებია: ცემა, მდედრობითი სქესის ბავშვებზე სექსუალური ძალადობა ოჯახში, საცოლის გამოსყიდვის ტრადიციასთან დაკავშირებული ძალადობა, მეუღლის მიერ გაუპატიურება, ქალის ჯანმრთელობისათვის საზიანო ტრადიციული ჩვეულებები, პარტნიორის მხრიდან ძალადობა და ექსპლუატაციასთან დაკავშირებული ძალადობა.[35]

დეკლარაციამ სახელმწიფოებს მოუწოდა:

- გაითვალისწინონ სისხლის სამართლის, სამოქალაქო, ადმინისტრაციული და სხვა სახის სანქციები/სასჯელები ქალის მიმართ ძალადობის შემადგენელი ქმედებებისთვის;
- ძალადობის მსხვერპლთათვის უზრუნველყონ მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა;
- უზრუნველყონ ძალადობის შედეგად მიყენებული ფიზკური, მორალური თუ ქონებრივი ზიანის ანაზღაურების სამართლიანი და ეფექტური საშუალებების შექმნა;
- აღმოუჩინონ ძალადობის მსხვერპლ ქალებსა და ბავშვებს სპეციალიზებული დახმარება, რაც მოიცავს შესაბამის დაწესებულებებში და შესაბამისი პროგრამებით რეაბილიტაციას, ბავშვის აღზრდასა და რჩენაში დახმარებას, კონსულტაციას, სამედიცინო და სოციალურ დახმარებას, ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას;
- ითანამშრომლონ ქალის მიმართ ძალადობის წინააღმდეგ მებრძოლ არასამთავრობო ორგანიზაციებთან.

პეკინის სამოქმედო პლატფორმა

ქალის დისკრიმინაციის საწინააღმდეგო კომიტეტის რეზოლუციასა და ქალის მიმართ ძალადობის შესახებ დეკლარაციაში მოცემული მიდგომა განმტკიცდა გაერთიანებული ერების ქალთა მეოთხე მსოფლიო კონფერენციის (პეკინი, 4-15

34 Declaration on the Elimination of Violence against Women (Art. 1), UN General Assembly, A/RES/48/104, 23 February, 1994

35 Declaration on the Elimination of Violence against Women (Art. 2 (a)), UN General Assembly, A/RES/48/104, 23 February, 1994

სექტემბერი, 1995) მიერ მიღებულ სამოქმედო პლატფორმით, რომელმაც მოუწოდა სახელმწიფოებს, არა მხოლოდ თავი შეეკავებინათ ქალის უფლებათა დარღვევისაგან, არამედ მიეღოთ ყოველმხრივი აქტიური ზომები ქალის მიმართ ძალადობის თავიდან აცილებისა და აღმოფხვრისათვის.[36]

სამოქმედო პლატფორმა, რომელიც მიღებულ იქნა პეკინის კონფერენციაზე, გამოყოფს ქალის მიმართ ძალადობის ორ ძირითად ფორმას: ძალადობას, რომელიც აღმოცენდება ოჯახში და ძალადობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში, სამუშაო ადგილზე ძალადობის, ქალთა ტრეფიკინგისა და იძულებითი პროსტიტუციის ჩათვლით. სამოქმედო პლატფორმა სახელმწიფოებს უწევს მთელი რიგი პრაქტიკული ზომების მიღების რეკომენდაციას, რომელთა შორისაა, თავშესაფრების მოწყობა ძალადობის მსხვერპლთათვის, სადაც მათ გაეწევათ უფასო ფსიქოლოგიური, სამედიცინო და იურიდიული დახმარება.[37]

დოკუმენტების სერია "პეკინი პლიუს ხუთი"

ხუთი წლის შემდეგ ნიუ-იორკში ჩატარებულმა გაერთიანებული ერების გენერალური ასამბლეის სპეციალურმა სესიამ (5-9 ივნისი, 2000) "ქალები 2000: გენდერული თანასწორობა, განვითარება და მშვიდობა 21-ე საუკუნეში", რომელიც ეძღვნებოდა პეკინის კონფერენციის მეხუთე წლისთავს, მიიღო დოკუმენტების სერია, ცნობილი "პეკინის დეკლარაციისა და სამოქმედო პლატფორმის განხორციელებისათვის შემგომი მოქმედებებისა და ინიციატივების" სახელით[38], რომელიც შეიცავს ძალადობის დეფინიციის ნოვატორულ განმარტებებს, მაგალითად, იგი ძალადობის ფორმად მიიჩნევს ღირსების სახელით მკვლელობას. ამ სესიამ დასკვნითი რეზოლუციით სახელმწიფოებს შესთავაზა ნაციონალური საკოორდინაციო მექანიზმის, მაგალითად ეროვნული მომხსენებლის სამსახურის ან სხვა უწყებათაშორისი ორგანოს შექმნა სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობით, რომელიც წაახალისებდა ქალის მიმართ ძალადობის შესახებ ინფორმაციის გაცვლას და მისი გამომწვევი მიზეზებისა და ხელისშემწყობი ფაქტორების კვლევასა და აღმოფხვრას.

გაერთიანებული ერების სპეციალური მომხსენებელი მოდელური კანონმდებლობა ოჯახურ ძალადობაზე

დეკლარაციის მიღებიდან ერთ წელის შემდეგ, 1994 წელს, გაერთიანებულმა ერებმა დანიშნა ქალის მიმართ ძალადობის, მისი მიზეზებისა და შედეგების თაობაზე სპეციალური მომსხენებელი, რომელსაც დაევალა ამ პრობლემის მსოფ-

36 Beijing Declaration and Platform for Action, Forth World Conference on Women, Chapter IV: Strategic Objectives and Actions, Human Rights of Women, Sec.215, Women and Human Rights: The Basic Documents, Center for the Study of Human Rights, Columbia University, 1996, p.100

37 Beijing Declaration and Platform for Action, Forth World Conference on Women, Chapter IV: Strategic Objectives and Actions, Violence against Women, www.un.org/womenwatch/daw/beijing/platform/vioence.htm

38 Document A/S-23/10/ Rev.1 - General Assembly, 23rd Special Session, Supplement No.3

ლიოს მასშტაბით დოკუმენტირება და ანალიზი.

გაერთიანებული ერების პირველმა სპეციალურმა მომხსენებელმა დანიშვნიდან 2 წლის შემდეგ, 1996 წელს, მის მიერ ჩატარებული კვლევისა და ანალიზის შედეგად მოამზადა "გაერთიანებული ერების მოდელური კანონმდებლობა ოჯახურ ძალადობაზე"[39].

ეს დოკუმენტი მოიცავს ყველა იმ მნიშვნელოვან ასპექტს, რომელსაც უნდა ითვალისწინებდეს სახელმწიფოთა კომპლექსური კანონმდებლობა ოჯახური ძალადობის სფეროში. იგი წარმოადგენს სახელმძღვანელოს კანონმდებელთათვის, აგრეთვე, ყველა იმ პირისათვის, ვისაც გადაწყვეტილი აქვს ოჯახური ძალადობის სფეროში კომპლექსური კანონმდებლობის მიღებას ლობირება გაუწიოს.

გაეროს მოდელური კანონმდებლობა შედგება 7 თავისაგან. პირველ თავში მოცემულია: კანონმდებლობის მიზანი, მერე თავი ეძღვნება ტერმინთა განმარტებას, მესამე თავში მოცემულია საჩივრების მექანიზმი, მეოთხე თავი ეხება სასამართლო მოხელეთა უფლებამოსილებებს, მეხუთე თავი არეგულირებს სისხლის სამართლის საპროცესო, ხოლო მეექვსე თავი - სამოქალაქო საპროცესო საკითხებს, მეშვიდე თავში კი მოცემულია მსხვერპლთათვის გათვალისწინებული მომსახურების სახეები.

თავი I. მიზნები

ეს თავი იწყება ოჯახური ძალადობის ცნების განმარტებით. კერძოდ, ოჯახური ძალადობა განმარტებულია, როგორც გენდერული ძალადობის ფორმა, რომელიც მიმართულია ქალის წინააღმდეგ პირად და ოჯახურ ურთიერთობებში, წარმოადგენს მძიმე დანაშაულს და არ უნდა იქნეს საზოგადოების მიერ იგნორირებული. გაერთიანებული ერების სპეციალური მომხსენებელი ამ თავში სახელმწიფოებს მოუწოდებს სპეციფიკური კანონმდებლობის შექმნისაკენ, რომელიც ქალს პირად და ოჯახურ ურთიერთობებში მის წინააღმდეგ მიმართული ძალადობისაგან დაიცავს.

პირველი თავი ითვალისწინებს სპეციალური დეპარტამენტების, პროგრამებისა და მომსახურების დაფუძნებას, თავშესაფრების, საკონსულტაციო პროგრამებისა და პროფესიული ტრეინინგების პროგრამების ჩათვლით, რომლებიც განკუთვნილი იქნება ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა დახმარებისათვის.

იგი მოუწოდებს სათანადო სამართლებრივი ბაზის არსებობის უზრუნველყოფისაკენ მომსახურების ისეთი სახეებისათვის, როგორიცაა:

- მსხვერპლთა და მათი ოჯახის წევრთა გადაუდებელი დახმარება;
- მსხვერპლთა და მათი ოჯახის წევრთა სპეციფიკური მოთხოვნებიდან გამომდინარე დახმარების პროგრამები;

39 A Framework for Model Legislation on Domestic Violence, Report of the Special Reporter on Violence against Women, its Causes and Consequences, Commission on Human Rights, Economic and Social Council, E/CN.4/1996/53/Add.2, 2 February 1996

- განათლება, საკონსულტაციო მომსახურება და თერაპიული მომსახურების პროგრამები;
- პროგრამები, რომელთა მიზანია ოჯახური ძალადობის თავიდან აცილება და აღმოფხვრა მოსახლეობის ცნობიერების დონის ამაღლების მეშვეობით;
- სამართლადამცავ ორგნოთა, სასამართლოთა და საკონსულტაციო ცენტრების შესაძლებლობების გაუმჯობესება ოჯახურ ძალადობასთან ბრძოლისა და მსხვერპლთა დახმარების თვალსაზრისით[40].

თავი II. ოჯახური ძალადობის დეფინიცია

ამ თავში მოცემულია ზოგადი რჩევა, რომ სახელმწიფოებმა, უმჯობესია, მიიღონ ერთი კომპლექსური კანონი ოჯახურ ძალადობაზე, რომელიც თავის თავში მოიცავს, როგორც სისხლის, ისე სამოქალაქო სამართლის ელემენტებს, ვიდრე შეიტანონ ცვლილებები სამოქალაქო და სისხლის სამართლის კოდექსებში.

დოკუმენტი სახელმწიფოებისაგან მოითხოვს ნათლად დააფიქსირონ, რომ

"ქალის მიმართ ძალადობა (ა)ოჯახსა და (ბ)პიროვნულ ურთიერთობებში წარმოადგენს ოჯახურ ძალადობას"[41].

იგი უნდა ნათლად განსხვავებულ იქნეს ოჯახსგარე ძალადობისაგან.

ოჯახური ძალადობის დეფინიცია უნდა მოიცავდეს ძალადობას: მეუღლის, პარტნიორის, ყოფილი მეუღლისა და პარტნიორის, შეყვარებულის (მიუხედავად იმისა, მოძალადესთან ცხოვრობს თუ არა), ნათესავებისა (და-ძმა, მშობლები, შვილები) და ოჯახის მოსამსახურე ქალთა მიმართ[42].

სახლმწიფოებმა არ უნდა დაუშვან, რომ რელიგიური და კულტურული ტრადიციების სახელით ადგილი ჰქონდეს ოჯახურ ძალადობას. მათ უნდა დაიცვან, აგრეთვე, ის ქალები, რომლებიც მოცემული სახელმწიფოს მოქალაქეები არ არიან და დასაჯონ ამ სახელმწიფოს არამოქალაქე მოძალადე მამაკაცები. სამოქალაქო და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსები უნდა შესწორდეს იმგვარად, რომ ოჯახური ძალადობის მსხვერპლს შეეძლოს მისი ოჯახის წევრის, პარტნიორის ან ნათესავის პასუხისმგებლობის საკითხის დასმა.

ოჯახური ძალადობა უნდა მოიცავდეს ისეთ ქმედებებს, როგორიცაა: ფიზიკური, ფსიქოლოგიური და სექსუალური ძალადობა, დაწყებული მარტივი შეურაცხყოფიდან, დამთავრებული მძიმე ფიზიკური ძალადობით, კერძოდ: ცემა, თავისუფლების უკანონო აღკვეთა, მუქარა, ანგარიშსწორება, იძულება, დევნა, სიტყვიერი შეურაცხყოფა, ძალადობრივი ან უკანონო შეჭრა, ცეცხლის წაკიდება, ქონების დაზიანება, სექსუალური ძალადობა, მეუღლის მხრიდან გაუპატიურე-

40 A Framework for Model Legislation on Domestic Violence, Report of the Special Reporter on Violence against Women, its Causes and Consequences, Commission on Human Rights, Economic and Social Council, E/CN.4/1996/53/Add.2, 2 February 1996, Sec. I

41 Ibid, Sec.II

42 Ibid, Sec.II

ბა, მზითევის გაცემასთან ან საცოლის გამოსყიდვასთან დაკავშირებული ძალადობა, ქალის გენიტალიების მოკვეთა, ძალადობა, რომელიც უკავშირდება სხვისი პროსტიტუციის ექსპლუატაციას, ძალადობა ოჯახის მოსამსახურეთა წინააღმდეგ და ყველა ზემოაღნიშნული ქმედების მცდელობა[43].

თავი III. საჩივრების მექანიზმი

ამ თავში განსაზღვრულია, ოჯახური ძალადობის შემთხვევაში ვინ შეიძლება მიმართოს პოლიციას ან სასამართლოს. ესენია: მსხვერპლი, მოწმე, მსხვერპლის ოჯახის წევრი ან ახლობელი, სახელმწიფო ან კერძო სამედიცინო მომსახურების დაწესებულება, ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულება.

ამ თავში, ასევე, განსაზღვრულია:

ა. პოლიციის თანამშრომელთა ფუნქციები;

ბ. ალტერნატიული საჩივრების პროცედურა;

გ. მსხვერპლის უფლებათა ჩამონათვალი;

დ. ოჯახური ძალადობის შემთხვევის შესახებ ანგარიშის შედგენის წესები[44].

თავი IV. სასამართლო მოხელეთა უფლებამოსილება

ა. ცალმხრივი დროებითი შემზღუდავი ორდერები

ამ თავის პირველი ნაწილი ეძღვნება ცალმხრივ, დროებით შემზღუდავ ორდერებს. მოდელური კანონმდებლობის მიხედვით, ისინი გამოიყენება, როცა მოპასუხე მხარე (მოძალადე) არ ცხადდება სასამართლოში ან შეუძლებელია მისი გამოძახება, რადგან იმალება. ასეთი ორდერი შესაძლებელია შეიცავდეს წინასწარ სასამართლო აკრძალვას, რომელიც მიმართულია მომავალში ძალადობის წინააღმდეგ და/ან პრევენციულ ზომას, რომელიც მოძალადეს არ აძლევს მსხვერპლისათვის აუცილებელი ნივთებით, მათ შორის საერთო საკუთრებაში მყოფი საცხოვრებლით სარგებლობისათვის ხელის შეშლის საშუალებას.

მსხვერპლის გარდა, მისი სახელით ცალმხრივი დროებითი შემზღუდავი ორდერის მოთხოვნის უფლება უნდა ჰქონდეთ სხვა პირებსაც. ასევე შესაძლებელია ძალადობის საფრთხის ქვეშ იყოს და ორდერით დაცვა დასჭირდეს ძალადობის მოწმეს ან პირს, რომელიც პროფესიულ მომსახურებას უწევს ოჯახური ძალადობის მსხვერპლს.

როცა მსხვერპლის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან უსაფრთხოებას სერიოზული საფრთხე ემუქრება, სასამართლომ ორდერი ძალადობის შემთხვევის დროიდან 24 საათის გასვლამდე უნდა გამოსცეს. ცალმხრივი დროებითი შემზღუდავი ორ-

43 Ibid, Sec.II
44 Ibid, Sec.III

დერი ძალაშია გამოცემიდან 10 დღის განმავლობაში. მისი დარღვევა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას იწვევს[45].

ბ. დამცავი ორდერები

სასამართლო დამცავი ორდერის მოთხოვნის უფლება აქვს მსხვერპლს, მის ნათესავს, სოციალურ მუშაკს ან პირს, რომელიც დახმარებას უწევს მსხვერპლს. დამცავი ორდერის მიზანია დაიცვას ზემოაღნიშნული პირები შემდგომი ძალადობის ან ძალადობის მუქარისაგან.

სასამართლო დამცავი ორდერის მოთხოვნა შეიძლება ცალმხრივი შემზღუდავი ორდერის ვადის გასვლამდე ან შემზღუდავი ორდერისაგან დამოუკიდებლად. დამცავი ორდერის გამოცემის მოთხოვნით მიმართვისას სასამართლომ საქმის განხილვა უნდა დანიშნოს მიმართვიდან 10 დღის განმალობაში.

მოდელურ კანონმდებლობაში მოცემულია ორდერის შინაარსი[46].

იქვე აღნიშნულია, რომ ორდერის გამოცემის საქმის განხილვისას სასამართლო პროცესზე სამოქალაქო საქმეში მტკიცების ტვირთი, რომ ოჯახური ძალადობა არ მომხდარა, აწევს მოპასუხეს.

დამცავი ორდერის გამოცემისას მისი ასლები 24 საათში უნდა გადაეგზავნოს პოლიციის ყველა განყოფილებას მსხვერპლის და/ან მოძალადის საცხოვრებელი ადგილის მოხედვით. დამცავი ოდერის პირობების შესრულებას მეთვალყურეობენ პოლიცია და სასამართლო. დამცავი ორდერის პირობების დარღვევა სისხლის სამართლის დანაშაულია და იწვევს ჯარიმას ან თავისუფლების აღკვეთას.

თუ მსხვერპლს არა აქვს სასამართლო ბაჟის გადახდის საშულება, შემზღუდავი ან დამცავი ორდერები უნდა გამოიცეს უფასოდ. თუ მოსარჩელის სარჩელი არაკეთილსინდისიერი ან უსაფუძვლოა, მას შეიძლება მოპასუხის სასარგებლოდ სარჩელის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება დაეკისროს.

თავი V. სისხლის სამართლის პროცესის თავისებურებები

ოჯახური ძალადობის შემადგენელ დანაშაულებზე საქმის მწარმოებელმა ორგანომ დოკუმენტებში უნდა მიუთითოს, რომ ეს დანაშაული ოჯახური ძალადობის დანაშაულია.

მსხვერპლის ჩვენება საკმარისი მტკიცებულებაა. არ შეიძლება გამამართლებელი განაჩენის გამოტანა მხოლოდ იმ საფუძვლით, რომ მტკიცებულებათა დადასტურება ვერ მოხერხდა.

საქმეზე განაჩენის გამოტანისას სასამართლომ უნდა მიუთითოს, რომ პირმა ჩაიდინა ოჯახური ძალადობა.

45 A Framework for Model Legislation on Domestic Violence, Report of the Special Reporter on Violence against Women, its Causes and Consequences, Commission on Human Rights, Economic and Social Council, E/CN.4/1996/53/Add.2, 2 February 1996, Sec. IV.A

46 Ibid, Sec. IV.B.

სასამართლო განხილვისას ბრალდებულს არ შეიძლება ჰქონდეს უმეთვალყურეო კონტაქტი მსხვერპლთან.

შემზღუდავი ან დამცავი ორდერის გამოცემის ფაქტს შემდგომი სასამართლო განხილვისათვის პრეიუდიციული ძალა აქვს.

დანაშაულის ხასიათიდან გამომდინარე, თუ პირი მსჯავრდებულია ნაკლებად მძიმე ოჯახური ძალადობის დანაშაულის პირველად ჩადენისათვის, მას შეიძლება განესაზღვროს პირობითი მსჯავრი, მოძალადისათვის განკუთვნილ გამოსასწორებელ კურსთან და დამცავი ორდერის გამოცემასთან ერთად, მსხვერპლის თანხმობის შემთხვევაში.

განმეორებით ან იარაღის გამოყენებით ძალადობა დანაშაულის დამამძიმებელ გარემოებად უნდა ჩაითვალოს[47].

თავი VI. სამოქალაქო პროცესის თავისებურებანი

სამოქალაქო წესით განქორწინების, სასამართლო განცალკევების ან მიყენებული ზიანის ანაზღაურების საქმეთა განხილვისას შესაძლებელია გამოცემულ იქნეს დამცავი ორდერი. ასეთ შემთხვევაში, დამცავი ორდერი უნდა გამოიცეს სასამართლოს გადაწყვეტილებასთან ერთად და არა მის ნაცვლად.

სასამართლო შემზღუდავ და დამცავ ორდერებს გამოსცემს დამოუკიდებელი მიმართვის საფუძველზე, მიუხედავად იმისა, არის თუ არა სარჩელი განქორწინებაზე ან სასამართლო განცალკევებაზე.

შემზღუდავი ან დამცავი ორდერის გამოცემის ფაქტს პრეიუდიციული მნიშვნელობა აქვს სამოქალაქო საქმის შემდგომ სასამართლო განხილვაზე[48].

თავი VII. მსხვერპლთა მომსახურება

ა. გადაუდებელი მომსახურება

გადაუდებელ მომსახურებაში იგულისხმობა:

- 72-საათიანი კრიზისული მომსახურება;
- ასეთი ტიპის მომსახურების მუდმივი ხელმისაწვდომობა;
- სამედიცინო დაწესებულებაში ან თავშესაფარში დაუყოვნებელი გადაყვანა;
- სასწრაფო სამედიცინო დახმარება;
- დაუყოვნებელი იურიდიული კონსულტაცია;

47 A Framework for Model Legislation on Domestic Violence, Report of the Special Reporter on Violence against Women, its Causes and Consequences, Commission on Human Rights, Economic and Social Council, E/CN.4/1996/53/Add.2, 2 February 1996, Sec. V

48 Ibid, Sec. VI

- კრიზისული მომსახურება მხარდაჭერისა და დაცულობის განცდის შექმნის მიზნით;
- მომსახურებისას მსხვერპლისა და მისი ოჯახის წევრთა ვინაობის კონფიდენციალურობის დაცვა.

ბ. გრძელვადიანი მომსახურება

ასეთ მომსახურებაში იგულისხმება:

- გრძელვადიანი რეაბილიტაციის პროგრამების შემუშავება როგორც მსხვერპლების, ისე მოძალადეებისათვის;
- ოჯახური ძალადობის პროგრამები, რომლებიც სოციალური დაცვის პროგრამებისაგან დამოუკიდებელია.

გ. პოლიციის მოხელეთა ტრეინინგი, სპეციალური განყოფილებების შექმნა, ასეთ ტრეინინგებში ფსიქოლოგებისა და თავად მსხვერპლთა მონაწილეობა.

დ. მოსამართლეთა ყოველწლიური ტრეინინგი და საოჯახო საქმეების განსახილველად ცალკე პალატების შექმნა.

ე. მოძალადეთა და მსხვერპლთათავის განკუთვნილ სპეციალურ პროგრამებში მონაწილე პირთა ტრეინინგი. მოძალადეთა რეაბილიტაციის (გამოსასწორებელი) პროგრამების აუცილებელი დანერგვა[49].

ოჯახური ძალადობა, როგორც ბავშვის უფლებების დარღვევა

გაერთიანებული ერების ბავშვის უფლებათა კონვენცია

ოჯახში ბავშვის მიმართ ძალადობის თემამ, ქალის მიმართ ძალადობის მსგავსად, საერთაშორისო საზოგადოების მზარდი ყურადღება შედარებით გვიან მიიპყრო. თუმცა ბავშვის უფლებების შესახებ დამოუკიდებელი საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტის - გაერთიანებული ერების ბავშვის უფლებათა კონვენციის მომზადების დროს, ამ საკითხის ირგვლივ უკვე მრავალი გამოკვლევა და დასკვნა არსებობდა (კონვენცია მიღებულ იქნა 1989 წელს). ალბათ ამით

49 A Framework for Model Legislation on Domestic Violence, Report of the Special Reporter on Violence against Women, its Causes and Consequences, Commission on Human Rights, Economic and Social Council, E/CN.4/1996/53/Add.2, 2 February 1996, Sec. VII

აიხსნება ის ფაქტი, რომ ქალის დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ კონვენციისაგან განსხვავებით, ბავშვის უფლებათა კონვენცია ოჯახში ბავშვის მიმართ ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ და სექსუალურ ძალადობაზე უშუალო მითითებას შეიცავს. კერძოდ, კონვენციის მე-19 მუხლის თანახმად, სახელმწიფოებს ეკისრებათ ვალდებულება მიიღონ შესაბამისი საკანონმდებლო, ადმინისტრაციული, სოციალური და საგანმანათლებლო ზომები მშობლების, კანონიერი მეურვეების ან ბავშვზე მზრუნველი ნებისმიერი პირის მხრიდან განხორციელებული ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის, ზიანის მიყენების ან შეურაცხყოფის, მათ შორის, სქესობრივი ძალადობის, უყურადღებო, დაუდევარი და ცუდი მოპყრობის ან ექსპლუატაციისაგან ბავშვის დასაცავად[50].

დაცვის ასეთი ღონისძიებები აუცილებლობის შემთხვევაში უნდა მოიცავდეს ეფექტურ პროცედურებს სოციალური პროგრამების შემუშავებისათვის იმ მიზნით, რათა აუცილებელი მხარდაჭერა აღმოუჩინონ ბავშვს და იმ პირებს, ვინც მასზე ზრუნავს, აგრეთვე ხელი შეუწყონ ბავშვთა მიმართ არასათანადო მოპყრობის ზემოაღნიშნული გამოვლინებების თავიდან აცილების, წინასწარი გამომჟღავნების, შეტყობინების, განსახილველად გადაცემის, გამოძიების, მკურნალობის და სხვა ღონისძიებების განხორციელებას, აუცილებლობის შემთხვევაში კი - სასამართლო პროცესის აღძვრას.

ბავშვის უფლებათა კონვენცია იცავს ბავშვის სიცოცხლის უფლებას და წამებისაგან ან სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან სასჯელისაგან, აგრეთვე თავისუფლების უკანონოდ აღკვეთისაგან მის თავისუფლებას, რაც ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ მიმართულ კიდევ ერთ სამართლებრივ საშუალებას წარმოადგენს. კერძოდ, კონვენციის მე-6 მუხლის თანახმად, თითოეულ ბავშვს აქვს სიცოცხლის თანდაყოლილი უფლება. სახელმწიფოები ვალდებულნი არიან უზრუნველყონ ბავშვის სიცოცხლის შენარჩუნება და ჯანსაღი განვითარება.

ხოლო კონვენციის 37-ე მუხლის თანახმად, მონაწილე სახელმწიფოებს ეკისრებათ ვალდებულება უზრუნველყონ, რომ არც ერთი ბავშვი არ იყოს წამების, სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან სასჯელის მსხვერპლი; და არც ერთ ბავშვს არ აღეკვეთოს თავისუფლება უკანონოდ ან თვითნებურად[51].

სახელმწიფოთა მიერ ბავშვის უფლებათა კონვენციით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიმდინარეობის განსახილველად შექმნა გაერთიანებული ერების ბავშვის უფლებათა კომიტეტი, რომელიც იხილავს სახელმწიფოთა პერიოდულ მოხსენებებს კონვენციის იმპლემენტაციის თაობაზე. კომიტეტს შეუძლია ზოგადი ხასიათის წინადადებები და რეკომენდაციები მისცეს სახელმწიფობს. მას არა აქვს ინდივიდუალური საჩივრების განხილვის უფლება, რაც ერთგვარად ამცირებს მის ეფექტურობას. თუმცა ბავშვის უფლებათა დამცველებს მაინც შე-

50 ბავშვის უფლებათა კონვენცია, მუხლი 19, ბავშვის უფლებები, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის გამოცემა, თბილისი, სექტემბერი 2000

51 ბავშვის უფლებათა კონვენცია, მუხლი 37, ბავშვის უფლებები, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის გამოცემა, თბილისი, სექტემბერი 2000

უძლიათ მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინონ სახელმწიფოსადმი კომიტეტის რეკომენდაციებზე ქვეყანაში ბავშვთა მდგომარეობის შესახებ ჩრდილოვანი ანგარიშების წარდგენით.

ევროპული დოკუმენტები ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ

გაერთიანებული ერების მიერ მიღებულმა ზომებმა ხაზი გაუსვა პრობლემის უნივერსალურ ხასიათს. მის მოქმედებებს კვალდაკვალ მიჰყვნენ რეგიონალური ორგანიზაციები. ევროპის საბჭომ, ევროკავშირმა და მოგვიანებით ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციამ შეიმუშავეს ფართომასშტაბიანი პოლიტიკა და სტრატეგია ქალის მიმართ ძალადობის წინააღმდეგ საბრძოლველად.

ევროპის საბჭოს 1997 წლის გეგმა ქალის მიმართ ძალადობის წინააღმდეგ შეიცავს იმ ღონისძიებების დაწვრილებით ჩამონათვალს, რომლებსაც უნდა მიმართონ სახელმწიფოებმა ქალის მიმართ ძალადობის თავიდან აცილებისა და მისი აღმოფხვრის მიზნით, აგრეთვე, ძალადობის მსხვერპლთა დასაცავად. იგი სახელმწიფოებისაგან მოითხოვს საკანონმდებლო ზომების მიღებასაც, შიდა კანონმდებლობაში ქალის მიმართ ძალადობის ნათელი დეფინიციის მიღების ჩათვლით.

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის 2002 წლის 30 აპრილის "რეკომენდაცია წევრი ქვეყნებისადმი ძალადობისაგან ქალთა დაცვის შესახებ", რომელიც შეიცავს მითითებებს ევროსაბჭოს წევრ ქვეყნებში შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების თაობაზე, აქცენტს აკეთებს მსხვერპლთა დაცვაზე და დაწვრილებით აღწერს იმ ღონისძიებებს, რომლებიც უნდა გატარდეს ამ მიმართებით.

რეკომენდაცია უმნიშვნელოვანესი დოკუმენტია იმ თვალსაზრისით, რომ თავის თავში მოიცავს ოჯახური ძალადობის სფეროში საერთაშორისო სამართალში არსებულ უახლეს ტენდენციებს.

რეკომენდაცია ხელმძღვანელობს გაერთიანებული ერების ქალის მიმართ ძალადობის შესახებ დეკლარაციის დეფინიციით, თუმცა ოჯახური ძალადობის შემადგენელი ქმედებების ჩამოთვლისას სცილდება მას და მოიცავს პეკინის სამოქმედო პლატფორმასა და "პეკინი პლუს ხუთის" დოკუმენტებით გათვალისწინებულ ნოვატორულ ელემენტებსაც. კერძოდ, რეკომენდაციის თანახმად,

"ოჯახში აღმოცენებული ძალადობის სახეებია: ფიზიკური და გონებრივი აგრესია, მორალური და ფსიქოლოგიური ძალადობა, გაუპატიურება და სხვაგვარი სექსუალური ძალადობა, ინცესტი, მეუღლის, რეგულარული ან შემთხვევითი პარტნიორის ან თანამობინადრის მიერ გაუპატიურება, ღირსების სახელით ჩადენილი დანაშაულები, ქალის გენიტალიების მოკვეთა ან ქალისათვის საზიანო სხვა ტრადიციები, მათ შორის, იძულებითი ქორწინება".[52]

52 Recommendation Rec (2002)5 of the Commitee of Ministers to Member States on the Protection of Women against Violence (Adopted by the Commitee of Ministers on 30 April 2002 at the 79th Meeting of the Ministers' Deputies), Appendix to Recommendation, Sec. 1

დეკლარაცია შეიცავს იმ სპეციფიკური მოთხოვნების ჩამონათვალს, რომლებიც უნდა განახორციელონ სახელმწიფოებმა ოჯახური ძალადობის სფეროში მსხვერპლთა დაცვის, სისხლის სამართლის საქმის აღძვრისა და სასჯელის დანიშვნის დროს.

ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების თვალსაზრისით სახელმწიფოებს მოეთხოვებათ უზრუნველყონ, რომ ოჯახური ძალადობის მსხვერპლს:

- მიუხედავად იმისა, შეიტანს თუ არა საჩივარს სამართალდამცავ ორგანოში ან სასამართლოში, ჩაუტარდეს სამედიცინო გამოკვლევა და ექსპერტიზა, და გადაუდებელი მკურნალობა;
- გაეწიოს პოსტტრამვული ფსიქოლოგიური და სოციალური დახმარება;
- გაეწიოს იურიდიული დახმარება;
- მიეწოდოს სრული ინფორმაცია მისი უფლებების შესახებ;
- ზემოაღნიშნულ მომსახურებაზე ხელი მიუწვდებოდეს კონფიდენციალურობის დაცვით, უფასოდ და 24 საათის განმავლობაში.[53]

სახელმწიფოებს ასევე მოეთხოვებათ:

- მსხვერპლთათვის ანონიმური უფასო ცხელი ხაზების ამოქმედება, შემოსული ზარების აღრიცხვის წარმოება და განზოგადება ქვეყანაში ოჯახური ძალადობის სფეროში არსებულ მდგომარეობაზე მონაცემების შექმნის მიზნით;
- მსხვერპლთან ურთიერთობისას მისი პატივისა და ღირსების, მისი პირადი მონაცემების კონფიდენციალურობის დაცვაზე ზრუნვა და ამ მიზნით სპეციალურად გაწვრთნილი თანამშრომლების, უპირატესად, ქალი-თანამშრომლების გამოყენება;
- ოჯახური ძალადობის მსხვერპლი ბავშვებისადმი მოპყრობის განსაკუთრებული სტანდარტების დანერგვა და შესაბამისი დაწესებულებების შექმნა.

სისხლის სამართლის კუთხით სახელმწიფოებს მოეთხოვებათ, რომ:

- ადამიანის წინააღმდეგ მიმართული ძალადობა, კერძოდ, ფიზიკური და სქესობრივი ძალადობა მიაკუთვნონ ადამიანის თავისუფლებისა და უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებს;
- დანაშაულად გამოაცხადონ მეუღლის, მუდმივი ან დროებითი პარტნიორის ან თანამობინადრის მიერ გაუპატიურება ან სხვა სახის სექსუალური ძალადობა;
- დანაშაულად გამოაცხადონ პირის ნების საწინააღმდეგოდ მასთან სქესობრივი კავშირის დამყარება, იმ შემთხვევაშიც კი, როცა სახეზე არ არის წინააღმდეგობის ნიშნები;
- დანაშაულად გამოაცხადონ სექსობრივი ხასიათის ნებისმიერი ძალმომრეობითი მოქმედება;

53 Ibid, Sec. 55-59

- დანაშაულად გამოაცხადონ პირის უმწეობის, დაუცველობის, ფიზიკური ან გონებრივი ნაკლის, ფეხმძიმობის ან დამნაშავეზე დამოკიდებულების ბოროტად გამოყენება, განსაკუთრებით ბავშვის მიმართ.

სამოქალაქო კანონმდებლობით სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ

- ოჯახური ძალადობის მსხვერპლმა მიიღოს მიყენებული ფინანსური, ფიზიკური, ფსიქოლოგიური, მორალური და სოციალური ზიანის ანაზღაურება, იურიდიული მომსახურებისათვის საჭირო თანხების ჩათვლით;
- მსხვერპლთათვის კომპენსაციის გაცემის მიზნით შეიქმნას შესაბამისი სახელმწიფო ფონდები.

სისხლის სამართლის პროცესის თვალსაზრისით, სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ:

- სისხლის სამართლის საქმის აღძვრა შესაძლებელი იყოს პროკურორის (და არა მსხვერპლის) ინიციატივით, ე.ი. ოჯახური ძალადობის დანაშაულები მიეკუთვნოს საჯარო ბრალდების დანაშაულების კატეგორიას;
- ქალისა და ბავშვის მიმართ ძალადობა ჩაითვალოს დამამძიმებელ გარემოებად იმის განსაზღვრისას, უნდა აღძრას თუ არა პროკურორმა საჯარო ბრალდების საქმე;
- შეიქმნას მსხვერპლთა და მოწმეთა დაკითხვისა და ჩვენების ჩამორთმევის ისეთი მექანიზმი, რომ მათ არ უწევდეთ ჩვენების მიცემა განმეორებით, რათა საქმის მსვლელობის პროცესში ნაკლები სტრესი და ტრამვა მიადგეთ;
- მიღებულ იქნეს მსხვერპლთა და მოწმეთა უსაფრთხოების დაცვის ზომები.[54]

სასჯელის განსაზღვრასთან დაკავშირებით, სახელმწიფოებს ევალებათ უზრუნველყონ, რომ:

- დამძიმდეს სასჯელი, როცა ძალადობას და ცემას ადგილი აქვს ოჯახის წევრის მიერ;
- პოლიციას მიეცეს საცხოვრებელ ბინაში შესვლის, მოძალადის დაპატიმრებისა და სასამართლოს წინაშე წარდგენის უფლება;
- შემოღებულ იქნეს დამცავი ორდერების ინსტიტუტი;
- შეიქმნას პოლიციის, სამედიცინო და სოციალური მომსახურების ერთიანი შეთანხმებული სისტემა;
- წახალისდეს მსხვერპლთა დაცვის პროაქტიური მეთოდები, როცა ხდება მსხვერპლთან აქტიურ კავშირზე გასვლა მისი დახმარების მიზნით პასიური ლოდინის ნაცვლად, როდის მიმართავს მსხვერპლი დახმარებისათვის.[55]

54 Ibid, Sec. 38-44
55 Ibid, Sec. 34-35

II. უცხო ქვეყნების კანონმდებლობა – საკანონმდებლო სიახლეები

ოჯახური ძალადობის ფენომენის ფსიქოლოგიური და სამართლებრივი კვლევის შედეგებმა, რომლებმაც ამ პრობლემასთან ბრძოლის მანამდე არსებული მექანიზმების სრული უუნარობა წარმოაჩინა, ბიძგი მისცა არა მხოლოდ საერთაშორისო სტანდარტების, არამედ მრავალი ქვეყნის კანონმდებლობის რადიკალურად შეცვლას. ამ ცვლილებების გაცნობა აუცილებელია როგორც ამ სფეროში თანამედროვე სამართლებრივი მიდგომის ეფექტიანობის აღქმისათვის, ისე საქართველოს კანონმდებლობის ნაკლოვანებების წარმოსაჩენად.

თითოეულ ქვეყანაში, სადაც ოჯახური ძალადობის სფეროში რეფორმა განხორციელდა, ეს სხვადასხვა ფორმით მოხდა:

ზოგიერთ ქვეყანაში (მაგ., ფინეთსა და ესპანეთში) რეფორმა შემოისაზღვრა მხოლოდ სამოქალაქო კანონმდებლობით, რომლითაც შემოღებული იქნა დამცავი ორდერების სისტემა და ახლებურად დარეგულირდა ოჯახური ძალადობის კონტექსტში ბავშვთან ურთიერთობის საკითხები (ახალი ზელანდია);

ზოგიერთ ქვეყანაში გაიზარდა ოჯახური ძალადობის შემთხვევაში დამცავი ორდერების გამოყენებისა და პოლიციის ჩარევის სიხშირე და ფარგლები (ავსტრია, ირლანდია);

სხვაგან მოხდა სამოქალაქო და სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის რეფორმა (კვიპროსი, მექსიკა, ნიკარაგუა, აშშ-ს ზოგიერთი შტატი);

ზოგიერთმა შექმნა ახალი დანაშაულის სახე ან მთელ რიგ დანაშაულთა დამამძიმებელ გარემოებებში გაითვალისწინა მათი ჩადენა ოჯახის წევრის მიერ (ბელგია, საფრანგეთი, ესპანეთი, შვედეთი);

ხოლო ზოგიერთ ქვეყანაში შემუშავებულ იქნა კომპლექსური კანონი, რომელიც განსაზღვრავს როგორც ოჯახური ძალადობის იურიდიულ ასპექტებსა და სახელმწიფოს მოვალეობებს მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების თვალსაზრისით, ისე მონიტორინგისა და პრევენციის მექნიზმებს სახელმწიფოს სავალდებულო დაფინანსებით (კვიპროსი, ავსტრია, დანია, ფინეთი, შვედეთი).

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, არსებობს გარკვეული პრინციპების ერთობლიობა, რომელიც ყველა ამ ქვეყნისათვის საერთოა. წინამდებარე თავში განხილულია სწორედ ეს პრინციპები.

ოჯახური სფეროს ხელშეუხებლობის პრინციპი
პიროვნული უსაფრთხოების პრინციპის ნინააღმდეგ

უპირველეს ყოვლისა, აღიარებულ იქნა, რომ, მიუხედავად სახელმწიფოს ვალდებულებისა, პატივი სცეს და დაიცვას ოჯახური სფეროს ხელშეუხებლობა, ეს უფლება არ შეიძლება მოქმედებდეს მაშინ, როცა სახელმწიფოს ჩარევა აუცილებელია პიროვნების სიცოცხლისა და ფიზიკური უსაფრთხოების დასაცავად, განსაკუთრებით მაშინ, თუ ეს პიროვნება სოციალურად ან ფიზიკურად დაუცველია.

ავსტრიაში ზემოაღნიშნული პრინციპი ოჯახური ძალადობის სფეროში რეფორმის ქვაკუთხედად იქცა. 1994 წლის 28 ივნისს ავსტრიის ფედერალურმა მთავრობამ მიიღო დადგენილება, რომელიც წარმოადგენდა ოჯახური ძალადობის სფეროში რეფორმის მომხრე და მოწინააღმდეგე ძალთა შორის პოლიტიკურად სავალდებულო კონსენსუსის შედეგს. ეს კონსენსუსი გულისხმობდა შემდეგს:

"მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფომ პატივი უნდა სცეს და დაიცვას ოჯახური სფეროს ხელშეუხებლობა, ეს უფლება ხელშეუხებლობის დაცვაზე არ შეიძლება მოქმედებდეს მაშინ, როცა სახელმწიფოს ჩარევა აუცილებელია პიროვნების ფიზიკური უსაფრთხოების დასაცავად, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ ეს პიროვნება სოციალურად ან ფიზიკურად სუსტია"[56].

ავსტრიაში ეს ფრაზა სახელმძღვანელო მითითებად იქცა იმის გასარკვევად, უნდა ჩაერიოს თუ არა სახელმწიფო ოჯახურ ურთიერთობებში. მიუხედავად იმისა, რომ აუცილებელია თითოეული პიროვნების პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის პატივისცემა (ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა ევროპის კონვენცია, მუხლი 8.1), საყოყმანო არ უნდა იყოს ოჯახურ ურთიერთობებში ჩარევა მაშინ, როცა პირი, რომელიც ძალადობას განიცდის, დაცვას საჭიროებს.[57]

ოჯახური ძალადობა - საჯარო ბრალდების დანაშაული

თუ ადრე ოჯახური ძალადობის დანაშაულთა უმეტესობის გამო სისხლის სამართლის საქმის აღძვრა დამოკიდებული იყო მსხვერპლის მიერ სამართალდამცავი ორგანოებისადმი საჩივარით მიმართვაზე, ეს პრინციპი შეიცვალა საწინააღმდეგო პრინციპით. ოჯახური ძალადობის შემადგენელი დანაშაულები გახდა საჯარო ბრალდების დანაშაულები, რომელთა ჩადენის შემთხვევაში სისხლის სამართლის საქმე აღიძვრება თვით დანაშაულის ჩადენის ფაქტის ძალით, მიუხედავად მსხვერპლის სურვილისა უჩივლოს ან არ უჩივლოს მოძალადეს.

ასეთი მიდგომის წყალობით ხდება ისეთი დაბრკოლებების გადალახვა, როგორიცაა მსხვერპლის პასიურობა, შიში და მოძალადისადმი სოლიდარობის გრძობა, რომელთა შესახებაც წინა თავებში გვქონდა საუბარი და რომლებიც, მრავალ ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც, ხელს უშლის მოძალადის წინააღმდეგ საქმის აღძვრას. ასეთი მიდგომა საშუალებას იძლევა, აგრეთვე, არიდებულ იქნეს მსხვერპლი დამატებითი ფსიქოლოგიური თუ ფიზიკური აგრესიისაგან, რომელსაც ხშირად იყენებს მოძალადე, რათა დაარწმუნოს იგი, არ მიმართოს სამართალდამცავ ორგანოებს.

---

56 სემინარის მასალები "როგორ ვებრძოლოთ ოჯახურ ძალადობას", ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისი, კავკასიის ქალთა კვლევითი და საკონსულტაციო ქსელი, ძალადობისაგან ქალთა და ბავშვთა დაცვის ეროვნული სამსახური, 2003 წლის 9-13 ივნისი.

57 ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა ევროპის კონვენციის მე-8 მუხლი ითვალისწინებს ოჯახურ ურთიერთობებში კანონიერ ჩარევას დანაშაულებრივ ქმედებათა თავიდან აცილების მიზნით.

დამცავი ორდერები: ცალმხრივი, გადაუდებელი (დროებითი) შემზღუდავი ორდერი

ამ ინსტიტუტის მიზანია დაიცვას მსხვერპლი ძალადობის ან ძალადობის განმეორების საფრთხისაგან. მისი არსი იმაში მდგომარეობს, რომ ოჯახური ძალადობის შემთხვევაში სახელმწიფოს ჩარევა გულისხმობდეს არა ძალადობის მსხვერპლისათვის თავდაცვის მიზნით საკუთარი საცხოვრებლის დატოვების შეთავაზებას, არამედ მიმართული იყოს იმ პირის წინააღმდეგ, რომლიც საფრთხეს უქმნის ძალადობის მსხვერპლის უსაფრთხოებას.

მოძალადეს (და არა მსხვერპლს) მოეთხოვება დაუყოვნებლივ დატოვოს სახლი (ბინა), რომელშიც იგი მსხვერპლთან ერთად ცხოვრობს, მიუხედავად იმისა, მოძალადე ამ სახლის მესაკუთრეა თუ არა და გარკვეული ხნის განმავლობაში (რომელსაც კანონი ადგენს ან სასამართლო განსაზღვრავს) არ დაბრუნდეს იქ, აგრეთვე, არ ჰქონდეს ურთიერთობა მსხვერპლთან. მოძალადეს ეკრძალება მსხვერპლთან მიახლოება გარკვეულ მანძილზე, მასთან სატელეფონო ან სხვა საშუალებებით დაკავშირების მცდელობა, მსხვერპლის სამუშაო ან საცხოვრებელ ადგილთან გარკვეულ დისტანციაზე მიახლოება ან სხვათა გამოყენება მასთან დაკავშირებისათვის.

სხვადასხვა ქვეყანაში ამ ინსტიტუტის დანერგვას თან ახლდა დისკუსია იმასთან დაკავშირებით, რამდენად შეიძლება მესაკუთრეს დაატოვებინონ საკუთარი სახლი (ბინა); ხომ არ წარმოადგენს ეს საკუთრების უფლების შელახვას. თუმცა, საზოგადოება ერთხმად მივიდა იმ აზრამდე, რომ ძალადობის შემთხვევაში, როდესაც საფრთხე ემუქრება ადამიანის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას, საკუთრების უფლების დაცვასთან შედარებით უპირატესი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს სწორედ მათ დაცვას, რადგან ადამიანის სიცოცხლე და ჯანმრთელობა უფრო მაღალი საზოგადოებრივი ღირებულებაა.

ცალმხრივი გადაუდებელი შემზღუდავი ორდერები დანერგილია ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ევროპის ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა ავსტრია, ესპანეთი, ფინეთი, შვედეთი.

გადაუდებელი შემზღუდავი ორდერი გამოიცემა ძალადობის ან ძალადობის საფრთხის შესახებ ინფორმაციის მიღებისთანავე და მას გამოსცემენ პოლიციის თანამშრომლები ან სასამართლო. სხვადასხვა ქვეყანაში მათი გამოცემის პროცედურა განსხვავებულია.

ავსტრიაში ოჯახური ძალადობის შემთხვევაში საკმარისია ნებისმიერი შეტყობინება, მაგალითად, მეზობლის ზარი, რომ პოლიცია დაუყოვნებლივ გაჩნდეს შემთხვევის აგილზე. ოჯახში მისული პოლიციელები აფასებენ შექმნილ ვითარებას და თუ დარწმუნდებიან ძალადობის არსებობაში, მათ შეუძლიათ კანონით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე გამოსცენ ორდერი მოძალადე პირის სახლიდან დროებითი გაძევების შესახებ. ავსტრიაში ასეთი დროებითი გაძევება შეიძლება გაგრძელდეს 10 დღის განმავლობაში. ამასთან, თუ ამ პერიოდში მსხვერპლი მიმართავს სამოქალაქო სასამართლოს, ორდერის მოქმედების ვადა თავისთავად გრძელდება 20 დღით. ამ პერიოდის განმავლობაში მოძალა-

დეს ეკრძალება ყოველგვარი ურთიერთობა მსხვერპლთან[58].

აშშ-ს მთელ რიგ შტატებში პოლიციას გადაუდებელი შემზღუდავი ორდერის გამოსაცემად სასამართლოს თანხმობა სჭირდება. ამ მიზნით, სასამართლოში ყოველთვის იმყოფება მორიგე მოსამართლე, რომელიც პოლიციის თანამშომელს მისგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ასეთი ორდერის გამოცემის უფლებას აძლევს. ასეთი წესით გამოცემული ორდერი გამოცემის მეორე დღის ბოლომდე უნდა წარედგინოს სასამართლოს. გადაუდებელი შემზღუდავი ორდერის მოქმედების ვადა 72 საათს გრძელდება. ამ ვადის გასვლამდე მსხვერპლმა სამოქალაქო წესით უნდა მიმართოს სასამართლოს ორდერის მოქმედების გასაგრძელებლად[59].

გადაუდებელი შემზღუდავი ორდერის გამოცემა შეუძლია სასამართლოსაც, თუ მსხვერპლი უშუალოდ მას მიმართავს. გარდა ძალადობის განმეორების საფრთხისა, სასამართლოს უფლება აქვს ცალმხრივი გადაუდებელი შემზღუდავი ორდერი გამოსცეს იმ შემთხვევაშიც, თუ მოძალადე არ გამოცხადდა სასამართლო სხდომაზე ან იმალება. სასამართლო გადაუდებელ შემღუდავ ორდერს გამოსცმს მიმართვიდან 24 საათის განმავლობაში. სასამართლოს შეუძლია იმავდროულად დანიშნოს მოსმენა, სადაც ორივე მხარის მონაწილეობით არსებითად იმსჯელებს გრძელვადიანი დამცავი ორდერის გამოცემის მიზანშეწონილობაზე[60].

მოძალადეს ცალმხრივი გადაუდებელი შემზღუდავი ორდერით შეიძლება აეკრძალოს:

ა) მსხვერპლის ან ოჯახის სხვა წევრის ან თანამობინადრის მიმართ ოჯახური ძალადობა ან ასეთი ძალადობის მუქარა;

ბ) მსხვერპლის შეურაცხყოფა, შეწუხება, ტელეფონით დარეკვა ან ნებისმიერი სხვა ურთიერთობა, პირდაპირ თუ არაპირდაპირ.

შემზღუდავი ორდერით მოძალადეს შეიძლება დაევალოს:

ა) მსხვერპლის საცხოვრებელი ადგილის დატოვება;

ბ) მსხვერპლის ან ოჯახის სხვა წევრის ან თანამობინადრის საცხოვრებელი ადგილიდან, სკოლიდან, სამუშაო ადგილიდან ან რომელიმე სხვა ადგილიდან (რომელიც მსხვერპლის თხოვნით განისაზღვრება) შორს ყოფნა.

ორდერით ასევე შეიძლება განისაზღვროს ავტომობილის ან სხვა აუცილებელი პირადი ნივთების მფლობელობისა და სარგებლობის წესი, მიუხედავად იმისა, ვინ არის მათი მესაკუთრე, და დაევალოს სამართალდამცავი ორგანოს თანამ-

58 სემინარის მასალები "როგორ ვებრძოლოთ ოჯახურ ძალადობას", ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისი, კავკასიის ქალთა კვლევითი და საკონსულტაციო ქსელი, ძალადობისაგან ქალთა და ბავშვთა დაცვის ეროვნული სამსახური, 2003 წლს 9-13 ივნისი

59 Model Code on Domestic and Family Violence, Femily Violence: a Model State Code, National Council of Juvenile and Femily Court Judges, 1994, Sec. 305, p. 25

60 A Framework for Model Legislation on Domestic Violence, Report of the Special Reporter on Violence against Women, its Causes and Consequences, Commission on Human Rights, Economic and Social Council, E/CN.4/1996/53/Add.2, 2 February 1996, Sec. IV.A

შრომელს თან ახლდეს მოსარჩელეს საცხოვრებელ ბინაში (სახლში) შესვლისას, რათა უზრუნველყოს მოსარჩელის მფლობელობაში სახლის, ავტომობილის ან სხვა პირადი ნივთების უსაფრთხო გადასვლა, ან მოსარჩელის ან მოპასუხის მიერ საცხოვრებლიდან პირადი ნივთების მშვიდობიანი წამოღება.

ორდერით შესაძლებელია ბავშვზე მეურვეობის უფლება დროებით გადაეცეს მოსარჩელეს და განისაზღვროს სხვა ღონისძიებები, რომლებიც, სასამართლოს აზრით, აუცილებელია მოსარჩელის, ან ოჯახის სხვა წევრების ან თანამობინადრეების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

სასამართლო ცალმხრივ გადაუდებელ ორდერს გამოსცემს დაუყოვნებლივ სასამართლო განხილვის გარეშე. ასეთივე წესით ხდება ორდერის შინაარსის შეცვლა.

მოძალადის იძულება დროებით დატოვოს სახლი და არ ჰქონდეს ურთიერთობა მსხვერპლთან საშუალებას იძლევა, განიმუხტოს დაძაბულობა და ორივე მხარეს მიეცეს მომხდარის გაანალიზების შესაძლებლობა. ამასთან, მსხვერპლი იძულებული არ არის თავდაცვის მიზნით თავშესაფარი ეძიოს მშობლებთან, მეგობრებთან ან ნებისმიერ სხვა ადგილას. ის გარემოება, რომ ქალს, უმეტეს შემთხვევაში ბავშვით (ბავშვებით) წასასვლელი არსად აქვს, ხშირ შემთხვევაში მისი მხრიდან ძალადობის ყოველგვარი გამოვლინების მოთმენის საფუძველი ხდება.

სამოქალაქო სამართლის ნორმების გამოყენება ოჯახური ძალადობისას

სასამართლო დამცავი ორდერები

იმ ქმედებების სიმძიმე, რომლებიც ოჯახურ ძალადობას შეადგენს, ყოველთვის არ აღწევს იმ დონემდე, რომ ისინი კვალიფიცირებულ იქნეს სისხლის სამართლის დანაშაულებად. ამ დროს არ ხდება მოძალადის წინააღმდეგ საქმის აღძვრა, პოლიციის მხრიდან მისი დაპატიმრება ან "გადაუდებელი შემზღუდავი ორდერის" გამოცემა. ძალადობა კი განაგრძობს პროგრესირებას. ამ გარემოებამ გამოიწვია სამოქალაქო სამართლის ნორმებით პრობლემის დარეგულირების აუცილებლობა. ამ ნორმების შესაბამისად, ძალადობის მსხვერპლს დამცავი ორდერის გამოცემის თხოვნით შეუძლია მიმართოს სამოქალაქო სასამართლოს. ავსტრიაში ამას უწოდებენ ე.წ. „შუალედურ სასამართლო აკრძალვას", რომელიც მოძალადეს აიძულებს, დროებით დატოვოს სახლი და უკრძალავს მსხვერპლთან ნებისმიერი სახის (უშუალო თუ არაპირდაპირ) ურთიერთობას[61]. ეს პროცედურა საშუალებას იძლევა დაცული იქნეს მსხვერპლი ისეთი ძალადობისას, რომელიც თავისი სიმძიმით დანაშაულს არ შეადგენს, აგრეთვე თავიდან იქნეს აცილებული პოლიციასთან უშუალო კონტაქტი.

შუალედური სასამართლო აკრძალვა ვრცელდება მხარეთა საცხოვრებელი

61 სემინარის მასალები "როგორ ვებრძოლოთ ოჯახურ ძალადობას", ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისი, კავკასიის ქალთა კვლევითი და საკონსულტაციო ქსელი, ძალადობისაგან ქალთა და ბავშვთა დაცვის ეროვნული სამსახური, 2003 წლს 9-13 ივნისი

სივრცის გარეთ და მოიცავს უფრო დიდ ტერიტორიას, ვიდრე პოლიციის მიერ გამოცემული დროებითი შემზღუდავი ორდერი. სასამართლოს შეუძლია აუკრძალოს მოძალადეს ისეთ ადგილებში მისვლა და დარჩენა, როგორიცაა, საბავშვო ბაღი ან სკოლა (რომელშიც დადიან მისი ან მსხვერპლის შვილები) ან მსხვერპლის სამუშაო ადგილი. მოძალადეს ასევე შეიძლება მიეცეს მითითება, რომ თავი მოარიდოს ოჯახის სხვა წევრებთან შეხვედრას.

სასამართლო დამცავი ორდერის ეფექტურობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ მსხვერპლმა დროულად წარადგინოს განცხადება სასამართლოში. ამისათვის კი ის დროის საკმაოდ მცირე მონაკვეთში უნდა დარწმუნდეს ამ ნაბიჯის მართებულობაში. ეს მიუთითებს სწრაფი და ეფექტური კონსულტაციისა და მსხვერპლის ფსიქოლოგიური მხარდაჭერის მნიშვნელობაზე. ავსტრიაში სპეციალიზებული კერძო სამართლის იურიდიული პირები უზრუნველყოფენ ამგვარ კონსულტაციასა და მხარდაჭერას. მათ ეწოდებათ "ჩარევის ცენტრები", რომლებიც ჩამოყალიბდა რეფორმის განხორციელების პროცესში.

ფინეთში აკრძალვის ორდერი შემოღებულ იქნა 1999 წელს. იგი გამოიცემა ადამიანთა სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვის მიზნით, და მეორე ადამიანს, მაგალითად, მეუღლეს ან სრულწლოვან შვილს, რომელიც ცუდად ეპყრობა მშობლებს, უკრძალავს მეუღლესთან ან მშობლებთან ურთიერთობას.

ფინეთის კანონმდებლობა განასხვავებს ორი სახის აკრძალვის ორდერს: ძირითადი აკრძალვის ორდერი ნიშნავს, რომ პირს, რომლის მიმართაც იგი გამოიცა, ეკრძალება მეორე ადამიანთან შეხვედრა ან ურთიერთოების მცდელობა. განვრცობილი აკრძალვის ორდერი პირს უკრძალავს ასევე მსხვერპლის საცხოვრებელი ან სამუშაოს ადგილის ახლოს გამოჩენას. განცხადება აკრძალვის ორდერის შესახებ შესაძლებელია შეტანილ იქნეს პოლიციაში ან რაიონულ სასამართლოში. ორდერი ერთჯერადად გამოიცემა არაუმეტეს ერთი წლის ვადით. მისი დარღვევისათვის პირს შეიძლება დაეკისროს ჯარიმა ან მიესაჯოს თავისუფლების აღკვეთა არა უმეტეს ერთი წლისა. 1999 წელში ფინეთში გაიცა 1000 აკრძალვის ორდერი[62].

აშშ-ში სასამართლო დამცავი ოდერის რამდენიმე სახე არსებობს. ძალადობის საფრთხის სერიოზულობიდან გამომდინარე, მოძალადეს შეიძლება აეკრძალოს მსხვერპლის, მისი ოჯახის წევრებისა და ახლობლების მიმართ ოჯახური ძალადობის შემადგენელი დანაშაულების ჩადენა ან ამ დანაშაულების ჩადენის მუქარა; მსხვერპლის სიტყვიერი შეურაცხყოფა, ტელეფონით ან სხვა საშუალებებით უშუალოდ ან არაპირდაპირ დაკავშირების მცდელობა; მსხვერპლის საცხოვრებელ ადგილას ყოფნა, მიუხედავად საკუთრების უფლებისა; მსხვერპლის საცხოვრებელ ადგილთან, სკოლასთან, სამსახურთან ან მსხვერპლის, მისი ოჯახის წევრების ან ახლობლების მიერ მითითებულ სხვა ადგილთან მიახლობა; იარაღის ტარება და სხვა[63].

62 Legislation in the Member States of the Council of Europe in the field of Violence against Women, Volume I, Council of Europe, Strasburg, January 2001, p. 73

63 Model Code on Domestic and Family Violence, Femily Violence: a Model State Code, National Council of Juvenile and Femily Court Judges, 1994, Sec. 204, p. 4-5

აშშ-ს მოდელური სახემწიფო კოდექსის თანახმად, სასამართლო დამცავი ორდერის მოთხოვნის უფლება აქვს პირს, რომელიც იყო ან არის ოჯახური ძალადობის მსხვერპლი. თუ მსხვერპლი ბავშვია, სასამართლო დამცავი ორდერის მოთხოვნი უფლება აქვს მშობელს, მეურეველს ან სხვა კანონიერ წარმომადგენელს.

ყველა სასამართლოს, რომელსაც აქვს იურისდიქცია საოჯახო საქმეთა განხილვაზე, აქვს დამცავი ორდერის გამოცემის უფლება. კერძოდ, ორდერის გამოცემის უფლება აქვს სასამართლოს:

ა) მოსარჩელის მიმდინარე ან დროებითი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით;

ბ) მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით;

გ) ოჯახური ძალადობის ფაქტის ადგილის მიხედვით.

არსებობს ორდერის მოთხოვნისა (სარჩელის) და თავად ორდერის წინასწარ შემუშავებული და დაბეჭდილი ფორმები, რათა გაადვილდეს ორდერის მოთხოვნისა და გამოცემის პროცედურა.

სასამართლო დამცავი ორდერის ტექსტს ბოლოში აუცილებლად უნდა ერთვოდეს შემდეგი ორი წინადადება:

„წინამდებარე ორდერის დარღვევა იწვევს თავისუფლების აღკვეთას x ვადით და ჯარიმას y ოდენობით;

სასამართლოს მიერ შესაბამისი ბრძანების არსებობის შემთხვევაში, მოპასუხეს ეკრძალება მოსარჩელის საცხოვრებელ სახლში (ბინაში) შესვლა ან დარჩენა თუნდაც მოსარჩელის ან მასთან მცხოვრების პირების თანხმობის არსებობის შემთხვევაში. დამცავი ორდერის პირობების დარღვევა აკრძალულია ნებისმიერი მიზეზით“[64].

ბავშვზე მეურვეობის საკითხის გადაწყვეტა

ოჯახური ძალადობის შემთხვევაში და მისგან გამომდინარე დავების განხილვის დროს განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მოძალადე მშობლის ბავშვთან ურთიერთობის საკითხს, რადგან სამეცნიერო კვლევებით დადასტურებულია, რომ ძალადობა ოჯახში სეროზულ გავლენას ახდენს ბავშვზე, მიუხედავად იმისა, არის თუ არა იგი ძალადობის უშუალო ობიექტი.

ამერიკის შეერთებულ შტატებში ნებისმიერი საქმის განხილვისას, რომელიც ეხება ბავშვზე მეურვეობის საკითხის გადაწყვეტას, სასამართლოს მიერ ოჯახური ძალადობის შესახებ ინფორმაციის მიღება წარმოშობს პრეზუმფციას, რომ მოძალადე პირის სრულ მეურვეობაში ან მასთან ერთობლივ კანონიერ ან ფიზიკურ მეურვეობაში ბავშვის გადაცემა ბავშვისათვის საზიანოა და ეწინააღმდეგება მის ინტერესებს.

ისეთი საქმეების განხილვისას, სადაც წყდება ბავშვზე მეურვეობის ან რომელი-

64 Model Code on Domestic and Family Violence, Femily Violece: A Model State Code, National Coucil of Juvenile and Family Court Judges, 1994, Sec. 302 (3), p.22

მე მშობლის მიერ ბავშვის მონახულების საკითხები, სასამართლოს განკარგულებაში ოჯახური ძალადობის შესახებ ინფორმაციის არსებობისას, სასამართლომ გადაწყვეტილება უნდა მიიღოს:

(ა) ბავშვის უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის, აგრეთვე, ოჯახური ძალადობის მსხვერპლი მშობლის უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის ინტერესების გათვალისწინებით;

(ბ) მოძალადის მხრიდან ოჯახური ძალადობის შემადგენელი დანაშაულის ან დარღვევის სახისა, სიმძიმისა და საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხის გათვალისწინებით.

თუ ერთ-ერთი მშობელი სასამართლო სხდომაზე წარმოდგენილი არ არის ან სხვა ადგილას იმყოფება მეორე მშობლის მხრიდან ოჯახური ძალადობის შედეგად, ეს გარემოება მის წინააღმდეგ გამოყენებული არ უნდა იქნეს ბავშვზე მეურვეობის ან მასთან ურთიერთოების საკითხის გადაწყვეტის დროს.

ბავშვზე მეურვეობის საკითხის გადაწყვეტისას ოჯახური ძალადობის არსებობის შემთხვევაში სასამართლოს, როგორც წესი, გამოაქვს გადაწყვეტილება იმ მშობელთან ბავშვის ცხოვრების შესახებ, რომელიც არ არის მოძალადე.

თუ ოჯახური ძალადობის ფაქტი მოხდა მას შემდეგ, რაც სასამართლომ უკვე გამოიტანა გადაწყვეტილება ბავშვთან მშობლების ურთიერთობის შესახებ, ეს გადაწყვეტილება შეიძლება გადაიხედოს ძალადობის ფაქტის გამო.

სასამართლომ მხოლოდ მაშინ შეიძლება დართოს მოძალადე მშობელს ბავშვის ნახვის ნება, თუ ბავშვისა და მეორე მშობლის უსაფრთხოების ზომები დაცულია.

ბავშვის მონახულების ნებართვაში სასამართლომ შესაძლებელია მიუთითოს, რომ:

(ა) ბავშვის მონახულება უნდა მოხდეს დაცულ ადგილას;

(ბ) ბავშვის მონახულება უნდა მოხდეს სხვა პირის ან დაწესებულების ზედამხედველობის ქვეშ;

(გ) მოძალადე მშობელმა უნდა გაიაროს სპეციალური გამოსასწორებელი კურსი;

(დ) მოძალადე მშობელმა თავი უნდა შეიკავოს ალკოჰოლის ან სხვა საშუალებების მიღებისაგან ბავშვის ნახვისას და მის ნახვამდე 24 საათით ადრე;

(ე) მოძალადე მშობელმა უნდა გადაიხადოს ბავშვის მონახულების დროს ზედამხედველობის ხარჯები;

(ვ) მოძალადე მშობელს უნდა აეკრძალოს ბავშვის ღამისთევით წაყვანა;

(ზ) მოძალადე მშობელს უნდა ჩამოერთვას ბავშვის დაბრუნებისა და მისი უსაფრთხოების დაცვის პირობა;

(თ) მიღებულ უნდა იქნეს ნებისმიერი სხვა ზომა, რომელიც აუცილებელია ბავშვის, ძალადობის მსხვერპლი მშობელის ან ოჯახის სხვა წევრის უსაფრთხოებისათვის.

მიუხედავად იმისა, ნებადართულია თუ არა ბავშვის მონახულება, სასამართლოს შეუძლია გაასაიდუმლოოს როგორც ბავშვის, ისე დედის მისამართი.

თუ სასამართლო ოჯახის რომელიმე წევრს ბავშვის მონახულების დროს ზედამხედველობის ნებას დართავს, მან თავის გადაწყვეტილებაში დეტალურად უნდა განსაზღვროს ბავშვის მონახულების წესები.

აშშ-ს მრავალ შტატში შექმნილია ბავშვთა მონახულების სპეციალური სახელმწიფო დაწესებულებები, სადაც მოძალადე მშობლებს საშუალება ეძლევათ ბავშვები ზედამხედველობის ქვეშ მოინახულონ, რათა თავიდან იქნეს აცილებული შემდგომი ძალადობის ყოველგვარი საფრთხე.

მრავალ ქვეყანაში არა მხოლოდ ბავშვთან მოძალადე მშობლის ურთიერთობის, არამედ ოჯახური ძალადობის მსხვერპლ ბავშვთან სამართალამცავი ორგანოების, ფსიქოლოგთა და მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოების ურთიერთობის, ბავშვისათვის ჩვენების ჩამორთმევის, სასამართლო პროცესზე მისი მოწმედ გამოყვანისა და მთელი რიგი სხვა საკითხები სპეციალური კანონით ან ნორმებით რეგულირდება.

ოჯახური ძალადობა, როგორც დამოუკიდებელი დანაშაული
ოჯახური ძალადობის დეფინიცია

ოჯახური ძალადობა, როგორც დანაშაულის დამოუკიდებელი სახე, მრავალ ქვეყანაში არსებობს. ყველაზე საინტერესო ამ მხრივ არის ლათინური ამერიკის ქვეყნები, რომლებმაც ოჯახური ძალადობის სისხლის სამართლის დეფინიციაში გაითვალისწინეს ფსიქოლოგიური ძალადობის ელემენტებიც.

ა. ამერიკის შეერთებული შტატები

ოჯახური ძალადობის დეფინიცია მოცემულია ამერიკის შეერთებული შტატების არასრულწლოვანთა და საოჯახო სასამართლოების მოსამართლეთა ეროვნული საბჭოს მიერ 1994 წელს შემუშავებულ ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ მოდელურ სახელმწიფო კოდესშიც. კოდექსის თანახმად,

"ოჯახური ძალადობა" გულისხმობს ოჯახის წევრის ან თანამობინადრის მიერ შემდეგი ქმედებების ჩადენას (გარდა თავდაცვის მიზნით ჩადენილი ქმედებებისა):

ა) ოჯახის მეორე წევრის ან თანამობინადრისათვის ფიზიკური ზიანის მიყენება ან ასეთი ზიანის მიყენების მცდელობა;

ბ) ოჯახის წევრის ან თანამობინადრისათვის ფიზიკური ზიანის მიყენების მუქარა;

გ) ძალის გამოყენებით, მუქარით ან იძულებით ოჯახის წევრთან ან თანამობინადრესთან მისი ნების საწინააღმდეგოდ სქესობრივი კავშირის დამყარება ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედება"[65].

65 Model Code on Domestic and Family Violence, Femily Violece: A Model State Code, National Coucil of Juvenile and Family Court Judges, 1994, Sec. 102, p.1

ტერმინი "ფიზიკური ზიანი" სასამართლოს მიერ ფართოდ განიმარტება და მოიცავს ისეთ ზიანსაც, რომელიც შესაძლებელია ტიპურ სამედიცინო დაზიანებად არ დაკვალიფიცირდეს.

ამ დეფინიციაში არაფერია ნათქვამი ფსიქოლოგიური ძალადობის სხვა ფორმებზე გარდა მუქარისა და იძულებისა (ეს უკანასკნელი შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური, ისე ფსიქოლოგიური).

მოდელური კოდექსი იძლევა "ოჯახის წევრის ან თანამობინადრის" განმარტებასაც, რომელიც ასევე ოჯახური ძალადობის დეფინიციის განუყოფელ ნაწილს შეადგენს. განმარტების თანახმად ტერმინში **"ოჯახის წევრი ან თანამობინადრე"** იგულისხმებიან:

ა) სრულწლოვანი ან არასრულწლოვანი მეუღლეები ან ყოფილი მეუღლეები;

ბ) სრულწლოვანი ან არასრულწლოვანი პირები, რომლებიც ერთად ცხოვრობენ ან ცხოვრობდნენ;

გ) სრულწლოვანი ან არასრულწლოვანი შეყვარებულები ან ყოფილი შეყვარებულები;

დ) სრულწლოვანი ან არასრულწლოვანი პირები, რომლებიც ერთმანეთთან სქესობრივ კონტაქტში იმყოფებიან ან იმყოფებოდნენ;

ე) სისხლით ან შვილად აყვანის ურთიერთობებიდან გამომდინარე ნათესაობით ერთმანეთთან დაკავშირებული სრულწლოვანი ან არასრულწლოვანი პირები;

ვ) სრულწლოვანი ან არასრულწლოვანი პირები, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებულნი არიან ან იყვნენ ქორწინებიდან წარმოშობილი ნათესაური ურთიერთობით;

ზ) პირები, რომელთაც საერთო ბავშვი ჰყავთ; და

თ) ზემოაღნიშნულ პარაგრაფებში მითითებულ პირთა არასრულწლოვანი შვილები[66].

აშშ-ს მოდელური კოდექსი სისხლის სამართლის კოდექსის მიზნებისათვის ოჯახური ძალადობის განსხვავებულ დეფინიციას შეიცავს. ამ დეფინიციაში თავმოყრილია სისხლის სამართლის კოდექსით უკვე გათვალისწინებული ისეთი დანაშაულები, რომლებიც ოჯახური ძალადობის დანაშაულის შემადგენელ ქმედებებს წარმოადგენს.

მოდელური კოდექსის თანახმად, **სისხლის სამართლის კოდექსის მიზნებისათვის "ოჯახური ძალადობის შემადგენელი დანაშაული" გულისხმობს ოჯახის წევრის ან თანამობინადრის მიერ ოჯახის მეორე წევრის ან თანამობინადრის მიმართ ისეთ დანაშაულთა ჩადენას, როგორიცაა:**

- **ცეცხლის წაკიდება;**

66 Model Code on Domestic and Family Violence, Femily Violece: A Model State Code, National Coucil of Juvenile and Family Court Judges, 1994, Sec. 102, p.1

- ჯანმრთელობის დაზიანება (მძიმე დაზიანება, ნაკლებად მძიმე დაზიანება, მსუბუქი დაზიანება);
- ქურდობა, საცხოვრებელ სახლში შეჭრა;
- ქონების დაზიანება, განადგურება;
- მკვლელობა (განზრახ მკვლელობა და გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობა, მკვლელობა აუცილებელი მოგერიების ფარგლებს გადაცილებით);
- თავისუფლების უკანონო აღკვეთა;
- სექსუალური დანაშაულები;
- იარაღის ტარების დანაშაულები;
- დევნა, შევიწროება;
- ქონების განკარგვის უფლების ბორიტად გამოყენება[67].

ეს ჩამონათვალი ყოველი ქვეყნისათვის სხვადასხვაგვარი იქნება, ქვეყნის სისხლის სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარე, თუმცა ზოგიერთი ქმედება შეიძლება ახლად იქნეს კრიმინალიზებული.

ბ. შვედეთი

დანაშაულის ახალი სახე "ქალის უსაფრთხოების უხეში დარღვევა"

დანაშაულის სახე - ქალის უსაფრთხოების უხეში დარღვევა - 1998 წელს შემოიღო შვედეთის სისხლის სამართლის კოდექსმა. ეს დანაშაული მოიცავს ქალის წინააღმდეგ იმ მამაკაცის განმეორებად დასჯად ქმედებებს, რომელიც მასთან ახლო ურთიერთობაში იმყოფება (იმყოფებოდა).

"ქალის უსაფრთხოების უხეში დარღვევა" არის დანაშაულის სახე, რომელიც გულისხმობს სხვადასხვა დანაშაულებრივი ქმედებების ერთობლიობას, რომელთაგან თითოეული, შესაძლოა, დამოუკიდებელ დანაშაულად დაკვალიფიცირდეს. ანუ სხვაგვარად რომ ვთქვათ, თუ მამაკაცი, რომელიც დაქორწინებულია (ქორწინებაში იყო) ან ცხოვრობს (ცხოვრობდა) ქალთან, ამ ქალის მიმართ ჩაიდენს გარკვეული სახის დანაშაულებს (მაგალითად, ისეთს, როგორიცაა შეურაცხყოფა, მუქარა, იძულება, სექსუალური ხასიათის ძალმომრეობითი მოქმედება და სხვ), მის მიერ ჩადენილი ამ დანაშაულების ნაცვლად ის დაისჯება ერთი დანაშაულის - ქალის უსაფრთხოების უხეში დარღვევის - ჩადენისათვის.

დამნაშავის ქმედებების ახალ დანაშაულად დაკვალიფიცირების აუცილებელი პირობაა, რომ ისინი იყოს ნაწილი ქალის უსაფრთხოების არაერთჯერადი დარღვევისა და მათ მიზანს წარმოადგენდეს მისი პიროვნული უსაფრთხოების სერიოზული ხელყოფა.

67 Model Code on Domestic and Family Violence, Femily Violece: A Model State Code, National Coucil of Juvenile and Family Court Judges, 1994, Sec. 102, p.3

ახალი დანაშაულის სახე სასამართლოებისათვის შესაძლებელს ხდის გაზარდონ ზემოაღნიშნული ქმედებების დასჯადობის ხარისხი, იმ შემთხვევაში, როცა ისინი წარმოადგენს ნაწილს პროცესისა, რომელსაც პიროვნების შინაგანი მთლიანობის, მისი ხელშეუხებლობის დარღვევა ჰქვია, და რომელიც, როგორც წესი, შედეგია ოჯახური ძალადობისა.

ასეთი მიდგომით, შესაძლებელი ხდება მხედველობაში იქნეს მიღებული ძალადობის მსხვერპლის საერთო მდგომარეობაც, ანუ როგორც დასაწყისში აღვნიშნავდით, ოჯახური ძალადობა განხილულ იქნეს, არა როგორც ცალკეული კონფლიქტების ერთობლიობა, არამედ, როგორც ერთი მთლიანი კომპლექსი ძალადობრივი ურთიერთობებისა, რომელსაც მივყავართ მსხვერპლის შინაგანი მთლიანობისა და პირადი უსაფრთხოების, მისი თვითშეფასებისა და თვითრწმენის დარღვევამდე.

ქალის პიროვნული უსაფრთხოების უხეში დარღვევისათვის სასჯელი განისაზღვრება თავისუფლების აღკვეთით ექვსი თვიდან ექვს წლამდე. ახალი დანაშაული არ გამორიცხავს იმავდროულად სხვა დანაშაულისათვის, მაგალითად, დამამძიმებელ გარემოებებში შეურაცხყოფის ან გაუპატიურებისათვის სასჯელთა შეკრების წესით დამნაშავის დასჯის შესაძლებლობას. ახალი მუხლის ძალაში შესვლის შემდეგ მის საფუძველზე უკვე რამდენიმე საქმე აღიძრა[68].

სამართალდამცავი ორგანოების როლი

ა. ავსტრია

სამართალდამცავ ორგანოებს, კანონის შესაბამისად, მოეთხოვებათ დაიცვან ცალკეული პირები მათი უსაფრთხოების მოსალოდნელი დანაშაულებრივი ხელყოფისაგან. როდესაც პოლიციის სახლში გამოძახება ხდება ოჯახური ძალადობის აქტის არსებობის გამო, მათ უნდა მიიღონ გადაუდებელი ზომები, რათა უზრუნველყონ ძალადობის საფრთხის ქვეშ მყოფ პირთა ეფექტური დაცვა.

ავსტრიაში "ოჯახური ძალადობისაგან დაცვის შესახებ" კანონის მიღებამდე სამართალდამცავი ორგანოების შესაძლებლობები, შეესრულებინათ ეს ამოცანა, მეტად შეზღუდული იყო. იმ შემთხვევაში, როდესაც პროკურატურისა და სასამართლოს შეხედულებით, შესაძლებელია, კვლავ მოსალოდნელი ყოფილიყო ამავე ტიპის დანაშაულებრივი ქმედებები, სამართალდამცავ ორგანოებს ჰქონდათ უფლება რეაგირება მოეხდინათ ოჯახური ძალადობის აქტზე დამნაშავის დაპატიმრების გზით. თუმცა, ავსტრიის კანონმდებლობის შესაბამისად, ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანება არ წარმოადგენდა დანაშაულებრივი ქმედების განმეორებით ჩადენის საფუძველზე მოძალადის დაკავების მიზეზს. გარდა ამისა, სასამართლო ორგანოები ყოველთვის არ იყვნენ მზად, ასეთ შემთხვევებში

68 Legislation in the Member States of the Council of Europe in the field of Violence against Women, Volume II, Council of Europe, Strasburg, January 2001, p. 82

გაეცათ მოძალადის დაკავების ბრძანება, ამიტომ სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლები იძულებულნი ხდებოდნენ გამოენახათ სხვა გზები და საშუალებები იმისათვის, რომ უზრუნველეყოთ ძალადობის საფრთხის ქვეშ მყოფ პირთა უსაფრთხოება. უმეტეს შემთხვევაში, სამართალამცავი ორგანოების თანამშრომლებს შეეძლოთ მხოლოდ ერჩიათ ძალადობის მსხვერპლისათვის, რომ აუცილებლობის შემთხვევაში მას დროებით დაეტოვებინა საკუთარი სახლი და შვილებთან ერთად საცხოვრებლად გადასულიყო სხვა ადგილას - მშობლებთან, მეგობრებთან ან ფიზიკური ძალადობის მსხვერპლ ქალთა თავშესაფარში.

რეფორმასთან დაკავშირებული დებატების მიმდინარეობისას (1993-94 წლებში), ყველა მონაწილე მხარემ აღიარა ამ პროცედურის უარყოფითი მხარეები. აღინიშნა, რომ პოლიციის ასეთი მოქმედება ნიშნავს დავალების არასათანადოდ შესრულებას. ავსტრიის ფედერალური მთავრობის მიერ 1994 წლის 28 ივნისს მიღებული გადაწყვეტილებაში მითითებულია, რომ:

"ძალადობის აქტებისაგან პრევენციული დაცვა სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელთა ერთ-ერთ ძირითად ამოცანას წარმოადგენს. თუმცა, პოლიციის ჩარევა იმას კი არ უნდა გულისხმობდეს, რომ შესთავაზოს ძალადობის მსხვერპლს თავდაცვის მიზნით საკუთარი საცხოვრებლის დატოვება, არამედ ამგვარი ჩარევა მიმართული უნდა იყოს იმ პირის წინააღმდეგ, რომელიც საფრთხეს უქმნის ძალადობის მსხვერპლის უსაფრთხოებას. იმ შემთხვევაში, როცა შეუძლებელია ეჭვმიტანილი მოძალადის დაკავება, განხილულ უნდა იქნეს მისი სახლიდან დროებითი გაძევების გზით ძალადობის მოსალოდნელი საფრთხის თავიდან აცილების შესაძლებლობა".

ეს მიზანი მიღწეულ იქნა 1997 წლის 1 მაისს პოლიციის კანონში ცვლილებების შეტანის საფუძველზე. ეს ცვლილებები ითვალისწინებდა საკანონმდებლო ბაზის შექმნას ოჯახური ძალადობის შემთხვევებში მოძალადის დროებითი გასახლებისა და სახლში დაბრუნების აკრძალვისათვის. ამ კანონის 38(ა)-ე მუხლის მიხედვით:

"იმ შემთხვევაში, თუ გარკვეული ფაქტების, განსაკუთრებით კი ადრე ჩადენილი ძალადობის აქტების გათვალისწინებით, მოსალოდნელია, ამა თუ იმ პირის სიცოცხლე, ჯანმრთელობა ან თავისუფლება ძალადობის რისკის ქვეშ აღმოჩნდეს, სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლები უფლებამოსილნი არიან, ამგვარი სახიფათო ქმედების ჩამდენი პირი გააძევონ იმ სახლიდან (და მიმდებარე ტერიტორიიდან), სადაც ცხოვრობს ამგვარი საფრთხის ქვეშ მყოფი პირი. სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლებმა მოძალადეს უნდა მიუთითონ ის ადგილები, რომლებსაც ის უნდა მოერიდოს. ამგვარი ადგილების განსაზღვრა უნდა მოხდეს ძალადობის ეფექტური პრევენციის მოთხოვნების გათვალისწინებით. პოლიციის თანამშრომლები, ასევე, უფლებამოსილნი არიან გასახლებულ პირს აუკრძალონ აღნიშნულ ადგილებში გამოჩენა. პოლიციის თანამშრომლები უფლებამოსილნი არიან ჩამოართვან მოძალადეს საცხოვრებელი სახლის ყველა გასაღები. მათ მოძალადეს უნდა მისცენ საშუალება თან წაიღოს აუცილებელი პირადი ნივთები და მოიპოვოს ინფორმაცია შესაძლო საცხოვრებელი ადგილების შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ მოძალადეს სჭირდება იმ სახლში შესვლა, საიდა-

ნაც ის გაასახლეს, მას შეუძლია ამის გაკეთება მხოლოდ სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომელთა თანდასწრებით".

რაც შეეხება ძირითად უფლებას პირადი სფეროს ხელშეუხებლობაზე, როგორც ეს განსაზღვრულია ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა მე-8 მუხლში, ასევე შესაბამის ძირითად უფლებებს (საკუთრების უფლება, მომგებიანი საქმიანობის წარმართვის უფლება), სახლში დაბრუნების აკრძალვის ღონისძიება რეგულირდება პროპორციულობის პრინციპის საფუძველზე. ამასთან, სამართალდამცავი ორგანოს მიერ გაცემული აკრძალვის ბრძანება შიდა პროცედურებით უნდა შემოწმდეს 48 საათის განმავლობაში.

"ოჯახური ძალადობისაგან დაცვის შესახებ" კანონის ძალაში შესვლამდე 150 სპეციალისტი მომზადდა ერთობლივად არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მოსამართლეების მიერ. ამ სპეციალისტებს დაევალათ ავსტრიის სამართალდამცავი ორგანოების ყველა თანამშრომლის მომზადება. კანონის განმარტებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა შიდა საორგანიზაციო საკითხები და პოლიციის საქმიანობის შესახებ ანგარიშების მომზადება - ნათლად არის განსაზღვრული შინაგან საქმეთა ფედერალური სამინისტროს მიერ გაცემულ ადმინისტრაციულ დადგენილებებში.

ბ. ამერიკის შეერთებული შტატები

სამართალდამცავი ორგანოების როლს ოჯახური ძალადობის სიტუაციებში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ამერიკის შეერთებულ შტატებშიც. ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ მოდელურ სახელმწიფო კოდექსში დეტალურად არის აღწერილი ოჯახური ძალადობის შემთხვევის დროს სამართალდამცავთა ფუნქციები. კოდექსის თანახმად, სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლებმა უნდა გამოიყენონ მსხვერპლის დაცვისა და შემდგომი ძალადობის თავიდან აცილების ყველა გონივრული საშუალება. მათ შორის:

(ა) უზრუნველყონ მსხვერპლისა და ოჯახის სხვა წევრთა პირადი უსაფრთხოება;

(ბ) ჩამოართვან მოძალადეს ყველა სახის იარაღი;

(გ) საჭიროების შემთხვევაში გადაიყვანონ მსხვერპლი და ბავშვები შესაბამის თავშესაფარში;

(დ)დაეხმარონ მსხვერპლს პირველადი მოხმარების ნივთების გადატანაში;

(ე) დახმარონ მსხვერპლსა და ბავშვებს სამედიცინო დახმარების მიღებაში და, საჭიროების შემთხვევაში, გადაიყვანონ სამედიცინო დაწესებულებაში;

(ვ) განუმარტონ მსხვერპლს მისი უფლებები და წერილობითი ფორმით გადასცენ ამ უფლებათა ჩამონათვალი, რათა მსხვერპლს ჰქონდეს შესაძლებლობა უფრო მშვიდ გარემოში გულდასმით გაეცნოს მას.

თუ ოჯახში ჩადენილი ძალადობა თავისი სიმძიმით და საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხით სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას არ იწვევს, მაგრამ ოჯახში მოძალადის დატოვება ემუქრება მსხვერპლის უსაფრთხოებას, სამართალდამცავი ორგანოს თანამშომელს უფლება აქვს სასამართლოს თანხმობით

(წერილობითი ან ზეპირი) გადაუდებელი შემზღუდავი ორდერი გამოსცეს, რომელიც ძალაშია გამოცემიდან 72 საათის განმავლობაში.

იმ შემთხვევაში, თუ სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომელს აქვს სათანადო საფუძველი ივარაუდოს, რომ ჩადენილია ოჯახური ძალადობის დანაშაული (მიუხედავად იმისა, ჩადენილია მძიმე თუ მსუბუქი დანაშაული; თვითონ შეესწრო დანაშაულის ჩადენის ფაქტს თუ არა), მას შეუძლია სასამართლოსაგან წინასწარი თახმობის გარეშე მიიღოს გადაწყვეტილება ეჭვმიტანილის დაკავებისა და სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ.

თუ სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომელი ოჯახური ძალადობის შესახებ საჩივარს მიიღებს ორი ან მეტი დაპირისპირებული მხარისაგან, მან თითოეული საჩივარი დამოუკიდებლად უნდა შეაფასოს, რათა მოხდეს ძირითადი აგრესორის გამოვლენა. თუკი დადგინდება, რომ დაპირისპირებული მხარეებიდან ერთ-ერთი ძირითადი აგრესორია, მაშინ დაკავებულ უნდა იქნეს მხოლოდ ეს პირი. ძირითადი აგრესორის გამოვლენისას სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომელმა მხედველობაში უნდა მიიღოს:

(ა) ამ ოჯახში ძალადობის სხვა ფაქტების არსებობა;

(ბ) თითოეული მხარისადმი მიყენებული ფიზიკური ზიანის სიმძიმე;

(გ) თითეული მხარისადმი მომავალში ზიანის მიყენების ალბათობა;

(დ)ხომ არ მოქმედებდა რომელიმე მათგანი თავდაცვის მიზნით.

სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლებს ეკრძალებათ მხარეებისათვის ორივე მხარის შესაძლო დაკავების შესახებ დამუქრება ან მინიშნება, რათა მათმა ასეთმა მოქმედებამ რომელიმე მხარეს პოლიციასთან თანამშრომლობის სურვილი არ დაუკარგოს. პოლიციის თანამშრომლებს ასევე ეკრძალებათ დაკავების შესახებ გადაწყვეტილება დააფუძნონ მსხვერპლის თხოვნას ან საკუთარ შეფასებას იმის თაობაზე ითანამშრომლებს თუ არა მომავალში ძალადობის მსხვერპლი ან მოწმე სამართალდამცავ ორგანოებთან.

თუ სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომელი ოჯახური ძალადობის შემთხვევაში არ აკავებს მოძალადეს ან აკავებს ორ ან მეტ მხარეს, მან ამის შესახებ უნდა წარმოადგინოს ანგარიში, სადაც განმარტებული იქნება ამ გადაწყვეტილების მიღების მოტივები.

სამართალდამცავი ორგანოს თანამშომელს სასამართლოს წინასწარი ნებართვის გარეშე მოძალადის დაკავების უფლება აქვს აგრეთვე მოძალადის მიერ შემზღუდავი ან დამცავი ორდერის პირობების დარღვევის შემთხვევაში. პოლიციას ასევე უფლება აქვს ამოიღოს ოჯახური ძალადობის ადგილზე ნაპოვნი ყველა სახის იარაღი.

თუ სასამართლო მიიღებს წინასწარი დაკავებიდან პირის გათავისუფლების გადაწყვეტილებას, მან უნდა გამოსცეს სასამართლო დაცვის ორდერი, რათა უზრუნველოფილ იქნეს მსხვერპლის უსაფრთხოება და შეატყობინოს მსხვერპლს მოძალადის გათავისუფლებისა და ორდერის გამოცემის შესახებ. გათავისუფლების პირობებისა და ორდერის მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში პირი ექ-

ვემდებარება სამართალდამცავ ორგანოთა მიერ აუცილებელ დაკავებას.

სახელმწიფო და არასამთავრობო დონეზე ინსტიტუციური თანამშრომლობის აუცილებლობა

ოჯახურ ძალადობასთან ბრძოლაში სამართალდამცავი ორგანოების აქტიურ როლთან ერთად გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება სამართალდამცავი ორგანოების, სასამართლოს, სოციალური სამსახურებისა და მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების ცენტრების შეთანხმებულ მოქმედებას. ამ ინსტიტუტების მჭიდრო თანამშრომლობის გარეშე საუკეთესო კანონმდებლობაც კი არაეფექტურობისათვის არის განწირული. ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ ყველა ქვეყანაში, სადაც ოჯახური ძალადობის სფეროში რეფორმა განხორციელდა, ამ რეფორმის ერთ-ერთ მთავარ პირობას ამ თანამშრომლობისათვის მყარი საფუძვლის შექმნა წარმოადგენდა.

ა. ავსტრია

სახელმწიფო და არასამთავრობო ინსტიტუტების მჭიდრო თანამშრომლობის კარგი მაგალითია კვლავ ავსტრია, სადაც ძალადობის მსხვერპლის ინფორმირება მსხვერპლთა დაცვის სათანადო დაწესებულებების შესახებ სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელთა კანონით გათვალისწინებულ ვალდებულებაა. ეს ვალდებულება რეფორმის ძირითადი ელემენტია. ის ემყარება მოსაზრებას, რომ ოჯახური ძალადობის შემთხვევაში სახელმწიფო იმას კი არ უნდა ელოდოს, ძალადობის მსხვერპლი თვითონ როდის გამოძებნის გზას საკონსულტაციო მომსახურებისაკენ, არამედ, აქტიურად უნდა დაეხმაროს მას ფსიქოლოგიური, სოციალური და სამართლებრივი პრობლემების გადაჭრაში ხელშეწყობის გზით.

უნდა გავითვალისწინოთ, რომ მსხვერპლს სჭირდება კონსულტაცია, რათა ინფორმაცია მოიპოვოს იმ გზებისა და საშუალებების შესახებ, რომლებიც შეცვლის მის პირად მდგომარეობას. თუმცა, გარემოებების შესაბამისად, ის ყოველთვის ვერ შეძლებს ოჯახური ძალადობისაგან თავის დაღწევას. მიღებული გამოცდილება აშკარად ადასტურებს, რომ სპეციალური დახმარების გარეშე ძალადობის მსხვერპლი, უმეტეს შემთხვევაში, არ მოითხოვს სასამართლო დაცვის ორდერის გამოცემას. აქედან გამომდინარე, აუცილებელია, რომ სამართალდამცავმა ორგანოებმა დაუყოვნებლივ აცნობონ ე.წ. "ჩარევის ცენტრებს" მათ მიერ გაცემული ნებისმიერი აკრძალვის ბრძანების შესახებ, რომლის მიღებისთანავე ეს ცენტრები უკავშირდებიან მსხვერპლს შესაბამისი ფსიქოლოგიური, სოციალური და იურიდიული დახმარების შეთავაზების მიზნით (ავსტრიის ტერიტორიაზე ასეთი ცხრა "ჩარევის ცენტრი" ფუნქციონირებს).

"ოჯახური ძალადობისაგან დაცვის შესახებ" კანონის საფუძველზე ავსტრიაში შეიქმნა აგრეთვე ინფორმაციის გაცვლის იურიდიული ბაზა, რომელიც მეტად საჭიროა სამართალდამცავ ორგანოებსა და ძალადობის მსხვერპლთა მხარდამჭერ დაწესებულებებს შორის მჭიდრო თანამშრომლობისათვის. ამ უკანასკნელს მიეწოდება ინფორმაცია ჩარევის პროცედურებისა და მოძალადის მოქმედების

შესახებ, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ძალადობის მსხვერპლის მხარდამჭერი დაწესებულებების მუშაობისათვის.

ამ მუშაობის ძირითად ასპექტს, ერთი მხრივ, წარმოადგენს მსხვერპლისათვის კომპეტენტური ინფორმაციის მიწოდება და, მეორე მხრივ, მისდამი ემოციური თანაგრძნობისა და თანადგომის გამოჩენა მისი უფლებების დაცვის, მისი მხარდაჭერისა და რთულ გარემოებებში ახალი ცხოვრების დაწყების შესაძლებლობისადმი მისი რწმენის გაძლიერების გზით.

ინდივიდუალური სოციალური პრობლემების სფეროში მუშაობის გარდა "ჩარევის ცენტრები" ასევე მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ინსტიტუციურ დონეზე: ეს ცენტრები ხელს უწყობენ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის თანამშომლობას, აკონტროლებენ მათ საქმიანობას და შინაგან საქმეთა ფედერალურ სამინისტროში არსებულ "ძალადობისაგან დაცვის საკონსულტაციო საბჭოს" წარუდგენენ წინადადებებს თანამშრომლობის ფორმების შემდგომი განვითარების თაობაზე ოჯახური ძალადობის ეფექტურად აღკვეთის მიზნით.

ბ. ამერიკის შეერთებული შტატები

ოჯახურ ძალადობასთან ბრძოლის დულუსის მოდელი[69]

ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ სახელმწიფო და არასამთავრობო დაწესებულებების თანამშრომლობის თვალსაზრისით მეტად საინტერესოა, აგრეთვე, ოჯახურ ძალადობასთან ბრძოლის ე.წ. "დულუსის მოდელი". დულუსის მოდელი შეიმუშავა მინესოტის შტატის (აშშ) ერთ-ერთი ქალაქის - დულუსის პოლიციის დეპარტამენტმა და წარმოადგენს აშშ-ში ბოლო 20 წლის განმავლობაში ოჯახური ძალადობის სფეროში სამართალდამცავი ორგანოების როლის არსებითი ცვლილების გამოხატულებას. იგი ეფუძნება ოჯახური ძალადობის მსხვერპლის დაცვისათვის პრიორიტეტის მინიჭების პრინციპს. ამ პრიორიტეტის შესაბამისად შეიცვალა გამოძიების, ანგარიშგების, თანამშრომელთა წვრთნისა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ურთიერთობის მეთოდები.

დულუსი იყო აშშ-ს ერთ-ერთი პირველი ქალაქი, სადაც ოჯახში მოძალადეთა სავალდებულო დაპატიმრების წესი ამოქმედდა. თუმცა აღნიშვნის ღირსია, რომ ამ წესის ამოქმედება ერთბაშად, შიშველ ნიადაგზე არ მომხდარა. მას წინ უძღოდა ცვლილებები ყველა სტრუქტურის დამოკიდებულებაში ოჯახური ძალადობის საქმეების მიმართ. უზრუნველყოფილ იქნა, რომ პროკურორები მკაცრად და მტკიცედ, ბოლომდე მიჰყოლოდნენ ამ საქმეებს, მოსამართლეებს დაესაჯათ დამნაშავენი, პრობაციის სამსახურსა და საკონსულტაციო პროგრამებს უზრუნველეყოთ დამნაშავეთა მიერ სასამართლო გადაწყვეტილებების შესრულება და მსხვერპლთა უფლებების დამცველი არასამთავრობო ორგანიზაციები ყოფილიყვნენ მთავარი რგოლი ამ სისტემურ მიდგომაში.

69 Domestic Violence: The Law Enforcement Response, Written by Ellen Pence (1988), Updated by Michael Paymar and Ellen Pence (1999, 2000), Joint Project of Duluth Domestic Abuse Intervention Project and Law Enforcement Resource Center.

დულუსის მოდელის წარმატების საიდუმლო მდგომარეობს სწორედ იმ იშვიათ თანამშრომლობაში, რომელიც დამყარდა პოლიციას, სასამართლოს, პროკურა-ტურას, პრობაციის სამსახურს, საკონსულტაციო პროგრამებს და მსხვერპლთა უფლებების დამცველ ორგანიზაციებს შორის, რომელთაც აერთიანებთ ერთი მიზანი - ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა დაცვა.

დულუსის მოდელი ფართოდ დაინერგა ჯერ მინესოტის შტატში, ხოლო შემდეგ აშშ-ს სხვა შტატებში და ამჟამად ოჯახური ძალადობის სფეროში ამერიკული რეფორმის ძირითად მოდელს წარმოადგენს.

საქართველოში ოჯახური ძალადობის სფეროში არსებული სამართლებრივი პრობლემები და მათი აღმოფხვრის გზები

ნინო ბაქაქური – იურისტი

საერთაშორისო სტანდარტებთან და უცხო ქვეყნების კანონმდებლობასთან ქართული კანონმდებლობის შედარებითმა ანალიზმა, ისევე როგორც საქართველოს სამართალდამცავი ორგანოების (პოლიცია, პროკურატურა) თანამშრომლებთან ჩატარებული ინტერვიუების ანალიზმა, წარმოაჩინა, რომ საქართველოში არსებობს მთელი რიგი სამართლებრივი პრობლემებისა, რომლებიც ხელს უშლის ოჯახური ძალადობის თავიდან აცილებას, მის წინააღმდეგ ბრძოლასა და ძალადობის მსხვერპლთა და მოწმეთა ადამიანის უფლებების დაცვას. წინამდებარე ნაშრომის მიზანია ამ პრობლემების გაანალიზება და მათი აღმოფხვრის შესაბამისი რეკომენდაციების შეთავაზება.

პრობლემა I - ოჯახური ძალადობის დეფინიციის არარსებობა

საქართველოს კანონმდებლობაში ოჯახური ძალადობის დეფინიციის არარსებობა უპირველესი პრობლემაა, რომელიც ხელს უშლის ამ მოვლენის წინააღმდეგ ეფექტური სამართლებრივი ზომების მიღებას. იურიდიული დეფინიცია აუცილებელია ოჯახური ძალადობის, როგორც საზოგადოებრივად საშიში მოვლენის, ბუნებისა და ძირითადი მახასიათებელი ნიშნების წარმოსაჩენად, რაც მეტად მნიშვნელოვანია, როგორც ოჯახური ძალადობის პრევენციის, ისე მასთან ბრძოლისა და მსხვერპლთა დაცვის მიზნებისათვის. დეფინიციის გარეშე მუდმივად შენარჩუნდება გაურკვევლობა, რომელიც შეინიშნება ამ პრობლემასთან დამოკიდებულებაში, როგორც საზოგადოების, ისე სამართალდამცავი სტრუქტურების მხრიდან. უფრო მეტიც, აუცილებელია ოჯახური ძალადობის ორგვარი დეფინიცია: პირველი - ზოგადი, რომელიც მოიცავს ოჯახური ძალადობის შემადგენელ ელემენტთა სრულ ჩამონათვალს (ფიზიკური, სექსუალური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, სტრუქტურული და ინტელექტუალური ძალადობა) და მეორე - სისხლის სამართლის მიზნებისათვის, რომელშიც მოცემული იქნება ოჯახური ძალადობის შემადგენელ დანაშაულთა ჩამონათვალი.

ოჯახური ძალადობის დეფინიცია აუცილებელია არა მხოლოდ სამართლებრივი ღონისძიებების გატარების, არამედ სამეცნიერო მიზნებისათვის. დეფინიციის არსებობა შესაძლებელს გახდის სტატისტიკური კვლევების წარმოებას, რომლებიც მეტად მნიშვნელოვანია ქვეყანაში ოჯახური ძალადობის ფენომენის ბუნებისა და მასშტაბების წარმოსაჩენად.

პრობლემა II - ოჯახური ძალადობის დანაშაულებზე სისხლის სამართლის საქმეთა აღძვრისას მსხვერპლის ინიციატივაზე დაყრდნობა

ოჯახური ძალადობის ყველაზე უფრო ფართოდ გავრცელებულ დანაშაულთა[70] ნაწილი კერძო ან კერძო-საჯარო ბრალდების დანაშაულებს[71] მიეკუთვნება, რაც ნიშნავს, რომ მათ შესახებ სისხლის სამართლის საქმე მხოლოდ დაზარალებულის საჩივრით აღიძვრება. ამასთან, კერძო ბრალდების საქმეები წყდება ბრალდებულთან დაზარალებულის შერიგების შემთხვევაში. კერძო-საჯარო ბრალდების საქმეები ზოგადად ბრალდებულისა და დაზარალებულის შერიგების გამო არ წყდება, მაგრამ კანონმდებელი აქაც ითვალისწინებს შერიგებით შეწყვეტის შესაძლებლობას, თუ საქმის შემდგომმა გამოძიებამ შეიძლება ზიანი მიაყენოს როგორც ბრალდებულის, ისე დაზარალებულის ინტერესებს.

ეს, ერთი შეხედვით, არც თუ ისე მნიშვნელოვანი გარემოება, სხვა ფაქტორებთან ერთად არსებით უარყოფით გავლენას ახდენს საგამოძიებო ორგანოსა თუ სასამართლოში ოჯახურ ძალადობასთან დაკავშირებული საქმეების წარმოებაზე.

ოჯახური ძალადობის დანაშაულებთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმის აღძვრისას მსხვერპლის ინიციატივაზე დაყრდნობა კანონმდებლის შეცდომაა, რაც მრავალი ქვეყნის გამოცდილებამ დაადასტურა.

კანონმდებლის მიერ ოჯახური ძალადობის დანაშაულებზე სისხლის სამართლის საქმის აღძვრისათვის დაზარალებულის საჩივრის არსებობის აუცილებლობის დაწესება იწვევს ამ საქმეების საერთოდ არაღძვრას ან აღძვრის შემდეგ დახურვას დაზარალებულის მიერ საჩივრის უკან წაღების ან ბრალდებულისა და დაზარალებულის ვითომ "შერიგების" გამო.

ეს დაადასტურა პოლიციის მუშაკთა გამოკითხვამაც. კითხვაზე: "ოჯახში მომხდარ დანაშაულთა გამოძიებისას აწყდებით თუ არა პრობლემებს და ძირითადად რა სახისაა ეს პრობლემები", - გამოკითხულთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ ერთ-ერთ მთავარ პრობლემად მის მიმართ ჩადენილი დანაშაულის ფაქტისადმი დაზარალებულის დამოკიდებულების ცვალებადობა დაასახელა. აღინიშნა, რომ მოკვლევისა და გამოძიების ეტაპზე დაზარალებული ხშირად იცვლის დამოკიდებულებას დამნაშავისადმი. თუ საჩივრის შეტანისას დაზარალებული თავის ახსნა-განმარტებაში პრინციპულობასა და მოძალადის უპირობო დასჯაზე აკეთებს აქცენტს, იხსენებს და უთითებს მოძალადის მიერ წინათ ჩადენილ აგრესიულ ქმედებებს, გარკვეული პერიოდის გასვლის შემდეგ მისი პრინციპულობა სუსტდება და ხშირია შემთხვევები, როცა დაზარალებული ცვლის საკუთარ ახ-

70 გამოკითხულ პოლიციელთა 76,8% ყველაზე ფართოდ გავრცელებულ ოჯახურ დანაშაულებს შორის ცემას და ჯანმრთელობის სხვადასხვა სახის დაზიანებას ასახელებს.

71 ცემა და ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანება მიეკუთვნება კერძო ბრალდების დანაშაულებს; ხოლო გაუპატიურება დამამძიმებელი გარემოებების გარეშე, სექსუალური ხასიათის ძალმომრეობითი მოქმედება დამამძიმებელი გარემოებების გარეშე, სქესობრივი კავშირის ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედების იძულება და პირადი ან ოჯახური საიდუმლოს ხელყოფა - კერძო-საჯარო ბრალდების დანაშაულებს.

სნა-განმარტებაში მითითებულ გარემოებებს, უკან მიაქვს საჩივარი ან ურიგდება მოძალადეს.

ანალოგიური მიზეზი დასახელდა პროკურატურის თანამშრომელთა მხრიდანაც. მათი განმარტებით, ოჯახში ჩადენილი დანაშაულებების დასჯადობის სიმცირე თავად მსხვერპლის ამ პრობლემისადმი დამოკიდებულებით არის განპირობებული. მსხვერპლები გაურბიან სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობას. არსებობს "რაღაც შიშის კომპლექსი" - მათ უმრავლესობას ეშინია მოძალადის მხრიდან ძალადობის შესახებ პოლიციაში გაცხადებისა. დაზარალებულთა უმრავლესობა თვლის, რომ ამ საქციელს (მათი განმარტებით "დასმენას") აუცილებლად ოჯახური ურთიერთობების კიდევ უფრო გართულება მოჰყვება. მოძალადე, რომელიც შეიძლება დაისაჯოს, მსხვერპლს პოლიციაში მიმართვას საბოლოოდ მაინც არ აპატიებს. მსხვერპლს, რომელიც სამართალდამცავ ორგანოებში ცხადდება, პროკურატურის თანამშრომელთა განმარტებით, ახასიათებს ასევე "საკუთარი დანაშაულის შეგრძნების კომპლექსი", რაც მოკვლევისა და გამოძიების ეტაპზე მის პასიურობას განაპირობებს.

თუ გავეცნობით ოჯახური ძალადობის მსხვერპლის ფსიქოლოგიის შესახებ არსებულ გამოკვლევებს, მაშინ მისი ამგვარი მოქმედება სავსებით გასაგები და მარტივად ასახსნელი გახდება. საქმე იმაშია, რომ მოძალადისადმი შიში ოჯახური ძალადობის ჯაჭვის შემადგენელი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტია და ამ შიშს საფუძვლად სხვა გარემოებებთან ერთად მსხვერპლის უსაფრთხოების დაცვის მექანიზმების არარსებობა, მისდამი სამართალდამცავი ორგანოებისა და საზოგადოების გულგრილი და ხშირად ნეგატიური დამოკიდებულება უდევს.

რაც შეეხება „საკუთარი დანაშაულის შეგრძნების კომპლექსს", ის მჭიდროდ უკავშირდება ფსიქოლოგიაში კარგად ცნობილ მოვლენას, ე.წ. „მძევლის სინდრომს", რომელიც ოჯახური ძალადობის მსხვერპლსაც უჩნდება და რომელიც დაზარალებულის მხრიდან დამნაშავისათვის სოლიდარობის გამოცხადებას ნიშნავს. ამ სინდრომის წარმოშობას ხელს უწყობს:

- ხანგძლივი სერიოზული საფრთხე, რომელიც ემუქრება მსხვერპლის ჯანმრთელობას ან სიცოცხლეს;
- მოძალადის ხელში ყოფნისა და გაქცევის შანსის არარსებობის გრძნობა;
- ძალადობის მსხვერპლის რწმენა იმისა, რომ მოძალადე აფასებს მის ქცევას, აჯილდოებს მას "კარგი" საქციელისათვის და სჯის "ცუდისთვის".

ასეთი მდგომარეობა იწვევს ძალადობის მსხვერპლის ყურადღების სრულ კონცენტრირებას კითხვაზე - რა სახის საქციელი აკმაყოფილებს ყველაზე მეტად მოძალადეს. უკეთესი შეფასების მიღების მიზნით, მსხვერპლი ცდილობს თავისი თავი წარმოიდგინოს მოძალადის ადგილას - ამოიცნოს მისი სურვილები, ფიქრები და აზრები. ყოველივე ამას, საბოლოოდ, მივყავართ მოძალადისადმი სოლიდარობის გამოცხადებამდე და იმის შეგრძნებამდე, რომ ყველაფერი, რაც მოხდა მსხვერპლის ბრალია. ასეთი დასკვნის ჩამოყალიბებას საზოგადოებრივი აზრი და სამართალდამცავ ორგანოთა დამოკიდებულებაც აქტიურად უწყობს ხელს,

რაც პოლიციისა და პროკურატურის თანამშრომელთა გამოკითხვის შედეგებითაც დადასტურდა.

გამოკითხულ პოლიციელთა და პროკურატურის თანამშრომელთა უმრავლესობა ფიქრობს, რომ ოჯახური ძალადობის დანაშაულთა გამომწვევი ძირითადი მიზეზი ქალის ქცევაა, რომელიც, პოლიციელთა განცხადებით, მოძალადეზე "ფსიქოლოგიურ ტეროორს" ახორციელებს. ასეთ "ფსიქოლოგიურ ტეროორს" სოციალური სიდუხჭირის ფონზე თურმე ხშირად მიმართავენ ცოლები, ხოლო მამაკაცის ისედაც დაძაბული ფსიქიკა ვეღარ უძლებს კრიტიკას და პრეტენზიებს, რაც მას ძალადობისაკენ უბიძგებს. პროკურატურის მუშკთა აზრითაც, ხშირად დანაშაულის ჩადენისაკენ მამაკაცს ქალის გამაღიზიანებელი ქცევა ან ოჯახურ საქმეებში მესამე პირის (მაგალითად, სიდედრის) ჩარევა უბიძგებს.

მომხდარში თვითონ დაზარალებულის დადანაშაულების ტენდენცია ძალადობის მსხვერპლის პრობლემების იგნორირების ყველაზე უარესი ფორმაა. დაზარალებული ქალი ასე გამომწვევად რომ არ მოქცეულიყო, მაშინ მას არ შეურაცხყოფდნენ, არ სცემდნენ, არ გააუპატიურებდნენ - ასეთი დასკვნის გაკეთება, რომლის მიხედვითაც, ძალადობის მსხვერპლს რაც დაემართა, მისი პროვოცირებული იყო და მისი ბრალია, დასკვნის ავტორებს თითქოს აზღვევს იმ საფრთხისაგან, რომლის წინაშეც ძალადობის მსხვერპლი აღმოჩნდა. მაგრამ ასეთი დასკვნის გაკეთებას სინამდვილეში ძალადობის კიდევ უფრო პროგრესირებამდე მივყავართ.

პოლიციისა და პროკურატურის თანამშრომლებს ოჯახური ძალადობის საქმეებისადმი ყველაზე მართებულ მიდგომად მხარეების შერიგება და ოჯახის შენარჩუნება მიაჩნიათ. ეს ერთი შეხედვით "ჰუმანური" მიდგომა პრაქტიკაში სავალალო შედეგებს იწვევს. კერძო და კერძო-საჯარო ბრალდებით აღძრულ საქმეთა უმრავლესობა მხარეთა "შერიგებით" მთავრდება. ძალადობის ციკლური ბუნებიდან გამომდინარე, აგრესიის ფაზას სიმშვიდის ფაზა მოსდევს, რომლის დროსაც ძალადობის მსხვერპლს, მის გარშემო შექმნილი უკდურესად არასახარბიელო ვითარების გავლენით, უკან მიაქვს პოლიციაში ან სასამართლოში შეტანილი საჩივარი ან სასამართლო სხდომაზე ურიგდება მოძალადეს, რაც ხელს უწყობს მომავალში მოძალადის მხრიდან უფრო მეტი აგრესიის გამოვლენას. მით უმეტეს, რომ მხარეთა შერიგებისას, საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, აღარ დგება ბრალდებულის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საკითხი.

ზოგადად, მოდავე მხარეთა შერიგების სამართლებრივი ინსტიტუტი ორივე მხარის კომპრომისს გულისხმობს და დადებითი მოვლენაა, მაგრამ ოჯახური ძალადობის დანაშაულებში მსხვერპლისა და მოძალადის შერიგება, სამწუხაროდ, მხოლოდ ერთი მხარის - მსხვერპლის კომპრომისს გულისხმობს. შერიგება ეყრდნობა ორი თანაბარ მდგომარეობაში მყოფი მხარის ნებას, მიაღწიონ საკუთარ ინტერესთა დაბალანსებას, მაგრამ ოჯახური ძალადობის შემთხვევაში, მხარეები თავიდანვე არათანაბარ მდგომარეობაში იმყოფებიან. ერთი მათგანი (მსხვერპლი) ყოველთვის დათრგუნული, შეშინებული და მეორე მხარის გავლენის ქვეშ მოქცეულია, რაც ძალიან ართულებს მათ შორის ინტერესთა ბალანსის მიღწევას და ქმნის საშიშროებას, რომ ერთი მხარე (მსხვერპლი) კვლავ კონტროლირებუ-

ლი და მართული დარჩება მეორე მხარის (მოძალადის) მხრიდან, რომელიც თავიდან იცილებს პასუხისმგებლობას.

ამ მიმართებით, საინტერესოა ამერიკის შეერთებულ შტატებში არსებული, მსხვერპლისა და მოძალადის მშვიდობიანი მორიგების ინტიტუტი, რომლის არსი იმაში მდგომარეობს, რომ მშვიდობიანი მორიგების მიღწევამდე მოძალადე აღიარებს თავის დანაშაულს და იღებს პასუხისმგებლობას იმ ზიანისათვის, რომელიც მსხვერპლს მიაყენა. ყოველივე ეს საშუალებას იძლევა, რომ დამნაშავე პასუხისმგებლობას არ გაექცეს, ხოლო დაზარალებულს აუნაზღაურდეს მისი ქმედებით გამოწვეული მორალური, ფიზიკური თუ ქონებრივი ზიანი.

ქართული კანონმდებლობაში ამ ინსტიტუტის დანერგვას, ჩვენი აზრით, მნიშვნელოვანი დადებითი შედეგი მოჰყვება.

პრობლემა III. დაზარალებულისა და მოწმის ჩვენების უქონლობა

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი, რომელიც, პოლიციისა და პროკურატურის თანამშრომელთა განცხადებით, ხელს უშლის საგამოძიებო ორგანოსა თუ სასამართლოში ოჯახურ ძალადობასთან დაკავშირებული საქმეების წარმოებას, ოჯახური ძალადობის დანაშაულის შესახებ დაზარალებულისა და/ან მოწმეთა ჩვენებების უქონლობაა. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 204(2)-ე მუხლი, რომლის თანახმად, დაზარალებული და მოწმე ჩვენების მიცემაზე უარის თქმისათვის პასუხს არ აგებენ, თუ ისინი ბრალდებულის ახლო ნათესავები არიან, ოჯახურ ძალადობასთან დაკავშირებული სამართალწარმოებისას აქტიურ ხელისშემშლელ ფაქტორს წარმოადგენს. ჩვენების არმიცემის უფლების არსებობის გამო მოკვლევისა და გამოძიების ორგანოები და სასამართლო მუდმივად დგას დანაშაულის შესახებ მტკიცებულებათა უკმარისობის პრობლემის წინაშე.

პრობლემა IV - ოჯახური ძალადობის დანაშაულებისათვის გათვალისწინებული სასჯელების არაადეკვატურობა

ოჯახურ ძალადობასთან დაკავშირებულ დანაშაულთა უმეტესობა, თუ ისინი განსაკუთრებით მძიმე შედეგით არ სრულდება, მიეკუთვნება ნაკლებად მძიმე დანაშაულთა კატეგორიას, რომელთა ჩადენისათვის გათვალისწინებული მაქსიმალური სასჯელი ხუთი წლით თავისუფლების აღკვეთას არ აღემატება. უფრო ხშირად ამ დანაშაულების ჩადენისათვის დამნაშავე ისჯება ჯარიმით, თავისუფლების შეზღუდვით ან ტუსაღობით რამდენიმე თვით ან თავისუფლების აღკვეთით არა უმეტეს ერთი წლისა. ამასთან, დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკის ანალიზის შედეგად, ირკვევა, რომ აღნიშნულ დანაშაულთა უმეტესობის ჩადენაში დამნაშავე პირებს ძირითადად პირობითი სასჯელი ენიშნებათ, რაც სრულიად შეუსაბამოა ოჯახური ძალადობის დანაშაულების საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხთან.

პრობლემა V - ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა და მოწმეთა ადამიანის უფლე-

ბების დაცვის მექანიზმების არაეფექტურობა

ოჯახური ძალადობის საქმეთა გამოძიების პროცესში მნიშვნელოვანი დამაბრკოლებელი ფაქტორია აგრეთვე ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა და მოწმეთა უსაფრთხოების დაცვის მექანიზმის არაეფექტურობა. ისეთ პირობებში, როცა ადამიანების პირადი უსაფრთხოება და ხელშეუხებლობა უზრუნველყოფილი არ არის, მათი მხრიდან აქტიურობის გამოჩენის მოლოდინი ვერც სამართალდამცავ ორგანოებს და ვერც საზოგადოებას ვერ ექნება.

საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული არ არის აგრეთვე ოჯახური ძალადობის მსხვერპლთათვის უფასო სამედიცინო, ფსიქოლოგიური და იურიდიული დახმარების სამართლებრივი საფუძვლები. სათანადო სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა განთავსებისა და დახმარების დაწესებულებების - თავშესაფრებისა და რეაბილიტაციის ცენტრების მოსაწყობად.

პრობლემა VI - სამოქალაქო კანონმდებლობით ოჯახური ძალადობის პრობლემის ახასათანადო რეგულირება

ოჯახური ძალადობის პრობლემასთან მიმართებაში ასევე არაადეკვატურია საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობა. სამოქალაქო და სამოქალაქო საპროცესო კოდექსები არ შეიცავს დებულებებს, რომლებიც ოჯახური ძალადობიდან გამომდინარე მთელი რიგი საკითხების (მაგ.: დამცავი ორდერების გამოცემა, მიყენებული მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურება, მოძალადე მშობლის ბავშვთან ურთიერთობა) სამოქალაქო წესით გადაწყვეტას შესაძლებელს გახდიდა.

სამოქალაქო (კერძოდ, საოჯახო და საპროცესო) კანონმდებლობაში უნდა შევიდეს მნიშვნელოვანი ცვლილებები და დამატებები, რომლებიც ოჯახური ძალადობის კონტექსტში ოჯახის წევრთა პირად და ქონებრივ უფლება-მოვალეობებს სრულიად ახლებურად დაარეგულირებს.

***

ქვემოთ მოცემული ცხრილის საშუალებით ჩვენ შევეცადეთ ქართული კანონმდებლობის ყველა ეს ნაკლოვანება საერთაშორისო სტანდარტებთან მისი შედარებით უფრო თვალსაჩინოდ წარმოგვეჩინა.

ცხრილი 1. ოჯახური ძალადობის სფეროში ქართული კანონმდებლობისა და საერთაშორისო სტანდარტების შედარება

ქართული კანონმდებლობა	საერთაშორისო სტანდარტები
ოჯახური ძალადობის შემადგნელი დანაშაულების უმეტესობაზე საქმე აღიძვრება დაზარალებულის საჩივრის საფუძველზე და წყდება მსხვერპლისა და მოძალადის შერიგების შემთხვევაში.	ოჯახური ძალადობის შემადგენელ დანაშაულებზე საქმე აღიძვრება არა დაზარალებულის, არამედ პროკურორის ინიციატივით და არ წყდება მსხვერპლისა და მოძალადის შერიგების გამო.
ოჯახური ძალადობის შემთხვევათა უმეტესობის დროს, როცა ადგილი არა აქვს განსაკუთრებით მძიმე დანაშაულს, მოძალადე რჩება იმავე სახლში, სადაც ცხოვრობს მსხვერპლი. მსხვერპლი იძულებულია დატოვოს სახლი და ეძიოს თავშესაფარი ნათესავებთან, მეგობრებთან ან ახლობლებთან, ან დარჩეს მოძალადესთან განმეორებითი ძალადობის საფრთხის ქვეშ.	• ოჯახური ძალადობის დროს მოძალადეს მოეთხოვება დაუყოვნებლივ დატოვოს ის სახლი, სადაც მსხვერპლი ცხოვრობს, მიუხედავად ამ სახლზე მისი საკუთრების უფლების არსებობაარარსებობისა და მას გარკვეული დროის მანძილზე ეკრძალება მსხვერპლთან ყოველგვარი ურთიერთობა, მათ შორის, ტელეფონით დაკავშირება ან მის საცხოვრებელ ან სამუშაო ადგილთან გარკვეულ მანძილზე მიახლოება. • დამცავი ორდერები გამოიცემა იმისაგან დამოუკიდებლად მოძალადის მიერ ჩადენილი ქმედება წარმოადგენს თუ არა დანაშაულს. თუ მოძალადემ ისეთი დანაშაული ჩაიდინა, რომელიც მისთვის წინასწარი პატიმრობის შეფარდებას ითვალისწინებს, ორდერი გამოიცემა წინასწარი პატიმრობიდან მისი გათავისუფლების შემთხვევაში. ყველა სხვა შემთხვევაში ორდერი დაუყოვნებლივ გამოიცემა. თუ მოძალადეს დანაშაული არ ჩაუდენია, დამცავი ორდერი გამოიცემა მსხვერპლის სამოქალაქო სარჩელის საფუძველზე სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

ცხრილი 1. /გაგრძელება. დასაწყისი იხ. წინა გვერდზე/

ქართული კანონმდებლობა	საერთაშორისო სტანდარტები
წინასწარი გამოძიების დროს, თუ მიღებული არ იქნა მოძალადის წინასწარ პატიმრობაში ყოფნის გადაწყვეტილება, არ არსებობს მისი მხრიდან დაშინების, ანგარიშსწორების მუქარის ან განმეორებითი ძალადობისაგან მსხვერპლის დაცვის რეალური მექანიზმები.	არსებობს ე.წ. შემზღუდავი და დამცავი ორდერები, რომელთა გამოცემა შეუძლია სასამართლოს მსხვერპლის მოთხოვნის საფუძველზე ან ძალადობის ადგილზე მისულ პოლიციის თანამშრომელს მდგომარეობის შეფასებს შემდეგ საკუთარი ინიციატივით, რომელიც მოძალადეს უკრძალავს მსხვერპლთან გარკვეულ მანძილზე მიახლოებას ან სხვაგვარ ურთიერთობას (მაგ., სატელეფონო ზარებს). შემზღუდავი და დამცავი ორდერების დარღვევა სისხლის სამართლის დანაშაულია და ისჯება თავისუფლების აღკვეთით.
გაუმართავია წინასწარი გამოძიების სტადიაზე და სასამართლო პროცესის მსვლელობისას ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა და მოწმეთა უსაფრთხოების დაცვის კანონმდებლობით გათვალისწინებული მექანიზმები.	არსებობს წინასწარი გამოძიებისა და სასამართლო პროცესის მსვლელობისას სამართალდამცავი ორგანოების მიერ მსხვერპლთა და მოწმეთა უსაფრთხოების დაცვის სპეციალური სისტემა.
კანონმდებლობით გათვალისწინებული არ არის ოჯახური ძალადობის მსხვერპლთათვის უფასო სამედიცინო, ფსიქოლოგიური და იურიდიული დახმარება.	არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტიდან ფინანსდებიან, უფასო სამედიცინო, ფსიქოლოგიურ და იურიდიულ დახმარებას უწევენ მსხვერპლებს.
კანონმდებლობით არ არის შექმნილი სათანადო სამართლებრივი საფუძველი ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა დახმარების სპეციალიზებული დაწესებულებების, მათ შორის თავშესაფრების, ფუნქციონირებისათვის.	არასამთავრობო ორგანიზაციათა ბაზაზე ფუნქციონირებენ სპეციალური ცენტრები და თავშესაფრები, რომლებიც ოჯახური ძალადობის მსხვერპლს ეხმარებიან ძალადობის აქტით გამოწვეული პირველი სტრესის გადალახვაში, არსებული მდგომარეობის უკეთ გაცნობიერებასა და საკუთარი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვაში.

ცხრილი 1. /დასასრული. დასაწყისი იხ. 150-ე გვერდზე/

ქართული კანონმდებლობა	საერთაშორისო სტანდარტები
სამოქალაქო კანონმდებლობაში გათვალისწინებული მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურების მექანიზმები არაეფექტურია ოჯახური ძალადობის მსხვერპლთათვის.	სამოქალაქო კანონმდებლობით გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურების მექანიზმები ოჯახური ძალადობის მსხვერპლს საშუალებას აძლევს მიიღოს ძალადობის შედეგად მიყენებული ფიზიკური, მატერიალური, მორალური და სოციალური ზიანის ანაზღაურება, რაც მეტად მნიშვნელოვანია მისი ეფექტური რეაბილიტაციისათვის.
სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დაურეგულირებელია ოჯახური ძალადობის (და ზოგადად, დანაშაულის) მსხვერპლ და მოწმე ბავშვთა უფლებების დაცვისა და განსაკუთრებული მოთხოვნილებების დაკმაყოფილების საკითხები	არსებობს დანაშაულის მსხვერპლ და მოწმე ბავშვებთან მოპყრობის, მათგან ჩვენების მიღებისა და სხვ. განსაკუთრებული წესები.
სამოქალაქო კანონმდებლობა განქორწინებასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტისას, აგრეთვე, მშობლებისა და შვილების ურთიერთ უფლება-მოვალეობების განსაზღვრისას საერთოდ არ ითვალისწინებს ოჯახში ძალადობის ფაქტორს.	ოჯახში ძალადობის ფაქტები (ოჯახში ძალადობის ისტორია) მხედველობაში მიიღება როგორც განქორწინებასტან დაკავშირებული დავების, ისე მშობლებისა და შვილების, ასევე ოჯახის სხვა წევრების ურთიერთ უფლებამოვალეობების განსაზღვრისას.

ყოველივე ზემოაღნიშნული ნათელს ხდის, რომ მოსაზრებები ოჯახური ძალადობის სფეროში საქართველოს კანონმდებლობის სრულყოფილების შესახებ არასწორია. ამ მოსაზრებების ქვაკუთხედად არსებული არგუმენტი იმის შესახებ, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლების შინაარსი ოჯახში მომხდარ დანაშაულებს მთლიანად მოიცავს, კანონმდებლობის ეფექტურობის დამადასტურებელ საკმარის არგუმენტად ვერ გამოდგება. აუცილებელია ძალადობის მსხვერპლის უფლებების დაცვის პოზიციიდან ქართული კანონმდებლობის ძირეული რეფორმის გატარება, რათა იგი ოჯახური ძალადობის ფენომენის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტურ საშუალებად იქცეს.

რეკომენდაციები

წინამდებარე კვლევისა და ანალიზის შედეგებიდან გამომდინარე და მათზე დაყრდნობით, საქართველოში ოჯახური ძალადობის თავიდან აცილების, მის წინააღმდეგ ბრძოლისა და ძალადობის მსხვერპლთა და მოწმეთა ადამიანის უფლებების დაცვისათვის აუცილებლად მიგვაჩნია შემდეგი ღონისძიებების განხორციელება:

I. შემუშავდეს კომპლექსური კანონი ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ, რომელიც შეიცავს ტერმინთა განმარტებებს, ოჯახური ძალადობის პრევენციის, მასთან ბრძოლისა და ძალადობის მსხვერპლთა და მოწმეთა ადამიანის უფლებების დაცვის ღონისძიებებს, ოჯახური ძალადობის საქმეებთან დაკავშირებული სისხლისა და სამოქალაქო სამართალწარმოების თავისებურებებს, ოჯახური ძალადობის სფეროში მომუშავე სახელმწიფო და საზოგადოებრივი დაწესებულებების თანამშრომლობის თავისებურებებს.

II. შემუშავდეს ოჯახური ძალადობის ორგვარი დეფინიცია: პირველი - ზოგადი, ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ კანონის მიზნებისათვის, რომელიც მოცავს ოჯახური ძალადობის შემადგენელ ელემენტთა სრულ ჩამონათვალს, ფიზიკური, სექსუალური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, სტრუქტურული და ინტელექტუალური ძალადობის ჩათვლით, და მეორე - სისხლის სამართლის კოდექსის მიზნებისათვის, რომელშიც მოცემული იქნება ოჯახური ძალადობის შემადგენელ დანაშაულთა ჩამონათვალი.

   ოჯახური ძალადობის დეფინიცია უნდა მოიცავდეს ძალადობას: მეუღლის, პარტნიორის, ყოფილი მეუღლისა და პარტნიორის, შეყვარებულის (მიუხედავად იმისა, მოძალადესთან ცხოვრობს თუ არა), ნათესავების (და-ძმა, მშობლები, შვილები), სხვა თანამობინადრეთა და ოჯახის მოსამსახურეთა მიმართ[72].

III. კერძო და კერძო-საჯარო ბრალდების დანაშაულები, იმ შემთხვევაში, როცა ისინი ოჯახის წევრის მიმართ არის ჩადენილი, მიეკუთვნოს საჯარო ბრალდების დანაშაულთა კატეგორიას.

IV. დამძიმდეს სასჯელი, როცა ძალადობის შემადგენელი დანაშაულები ჩადენილია ოჯახის წევრის მიერ.

V. ოჯახური ძალადობის დანაშაულის შედეგად დაზარალებულსა და ოჯახური ძალადობის დანაშაულის მოწმეზე არ გავრცელდეს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 204-ე მუხლით გათვალისწინებული ახლო ნათესავების წინააღმდეგ ჩვენების არმიცემის უფლება.

VI. დაიხვეწოს ოჯახური ძალადობის დანაშაულის მსხვერპლთა და მოწმეთა დაცვის, დახმარებისა და რეაბილიტაციის მექანიზმები, კერძოდ, უზრუნველყოფილ იქნეს ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა გადაუდებელი და გრძელვადიანი მომსახურება.

72 Ibid, Sec.II

გადაუდებელ მომსახურებაში იგულისხმება:

- 72–საათიანი კრიზისული მომსახურება;
- ასეთი ტიპის მომსახურების მუდმივი ხელმისაწვდომობა;
- სამედიცინო დაწესებულებაში ან თავშესაფარში დაუყოვნებელი გადაყვანა;
- სასწრაფო სამედიცინო დახმარება;
- დაუყოვნებელი იურიდიული კონსულტაცია;
- კრიზისული მომსახურება მხარდაჭერისა და დაცულობის განცდის შექმნის მიზნით;
- მომსახურებისას მსხვერპლისა და მისი ოჯახის წევრთა ვინაობის კონფიდენციალურობის დაცვა.

გრძელვადიან მომსახურებაში იგულისხმება:

- გრძელვადიანი რეაბილიტაციის პროგრამების შემუშავება, როგორც მსხვერპლების, ისე მოძალადეებისათვის;
- ოჯახური ძალადობის პროგრამები, რომლებიც სოციალური დაცვის პროგრამებისაგან დამოუკიდებელია.

უზრუნველყოფილ იქნეს ასევე:

- მსხვერპლთათვის ანონიმური, უფასო „ცხელი ხაზების“ ამოქმედება, შემოსული ზარების აღიცხვის წარმოება და განზოგადება ქვეყანაში ოჯახური ძალადობის სფეროში არსებულ მდგომარეობაზე მონაცემების შექმნის მიზნით;
- მსხვერპლთან ურთიერთობისას მისი პატივისა და ღირსების, მისი პირადი მონაცემების კონფიდენციალურობის დაცვაზე ზრუნვა და ამ მიზნით სპეციალურად გაწვრთნილი თანამშრომლების, უპირატესად, ქალი-თანამშრომლების გამოყენება;
- ოჯახური ძალადობის მსხვერპლ ბავშვებთან მოპყრობის განსაკუთრებული სტანდარტების დანერგვა და შესაბამისი დაწესებულებების შექმნა.

VII. შემოღებულ იქნეს გადაუდებელი (დროებითი) შემზღუდავი და სასამართლო დამცავი ორდერების სისტემა.

დროებითი შემზღუდავი ორდერები გამოყენებულ იქნეს იმ შემთხვევაში, როცა მოპასუხე მხარე (მოძალადე) არ ცხადდება სასამართლოში, ან შეუძლებელია მისი გამოძახება, რადგან იმალება. ასეთი ორდერი შესაძლებელია შეიცავდეს წინასწარ სასამართლო აკრძალვას, რომელიც მიმართულია მომავალში ძალადობის წინააღმდეგ და/ან პრევენციულ ზომას, რომელიც მოძალადეს არ აძლევს მსხვერპლისათვის აუცილებელი ნივთებით, მათ შორის საერთო საკუთრებაში მყოფი საცხოვრებლით, სარგებლობისათვის ხელის შეშლის საშუალებას.

მსხვერპლის გარდა, მისი სახელით ცალმხრივი დროებითი შემზღუდავი ორდერის მოთხოვნის უფლება მიეცეთ სხვა პირებსაც, მაგალითად, ძალადობის

მოწმეს ან პირს, რომელიც პროფესიულ მომსახურებას უწევს ოჯახური ძალადობის მსხვერპლს.

როცა მსხვერპლის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან უსაფრთხოებას სერიოზული საფრთხე ემუქრება, სასამართლომ ორდერი ძალადობის შემთხვევის დროიდან 24 საათის გასვლამდე უნდა გამოსცეს. ცალმხრივი დროებითი შემზღუდავი ორდერი ძალაში უნდა იყოს გამოცემიდან 10 დღის განმავლობაში. მისი დარღვევა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას უნდა იწვევდეს[73].

დამცავი ორდერები - სასამართლო დამცავი ორდერის მოთხოვნის უფლება უნდა ჰქონდეს მსხვერპლს, მის ნათესავს, სოციალურ მუშაკს ან პირს, რომელიც დახმარებას უწევს მსხვერპლს. დამცავი ორდერის მიზანია დაიცვას ზემოაღნიშნული პირები შემდგომი ძალადობის ან ძალადობის მუქარისაგან.

სასამართლო დამცავი ორდერის მოთხოვნა შეიძლება ცალმხრივი შემზღუდავი ორდერის ვადის გასვლამდე ან შემზღუდავი ორდერისაგან დამოუკიდებლად. დამცავი ორდერის გამოცემის მოთხოვნით მიმართვისას სასამართლომ საქმის განხილვა უნდა დანიშნოს მიმართვიდან 10 დღის განმავლობაში.

ორდერის გამოცემის საქმის განხილვისას სასამართლო პროცესზე სამოქალაქო საქმეში მტკიცების ტვირთი, რომ ოჯახური ძალადობა არ მომხდარა, უნდა დაეკისროს მოპასუხეს.

დამცავი ორდერის გამოცემისას მისი ასლები 24 საათში უნდა გადაეგზავნოს პოლიციის ყველა განყოფილებას მსხვერპლის და/ან მოძალადის საცხოვრებელი ადგილის მოხედვით. დამცავი ოდერის პირობების შესრულებას უნდა მეთვალყურეობდნენ პოლიცია და სასამართლო. დამცავი ორდერის პირობების დარღვევა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას უნდა იწვევდეს.

თუ მსხვერპლს არა აქვს სასამართლო ბაჟის გადახდის საშულება, შემზღუდავი ან დამცავი ორდერები უნდა გამოიცეს უფასოდ. თუ მოსარჩელის სარჩელი არაკეთილსინდისიერი ან უსაფუძვლოა, მას შეიძლება მოპასუხის სასარგებლოდ სარჩელის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება დაეკისროს.

VIII. სამოქალაქო (კერძოდ, საოჯახო და საპროცესო) კანონმდებლობაში შევიდეს ცვლილებები და დამატებები, რომლებიც ოჯახური ძალადობის კონტექსტში ოჯახის წევრთა პირად და ქონებრივ უფლება-მოვალეობებთან დაკავშირებულ საკითხებს, კერძოდ: დამცავი ორდერების გამოცემას, მიყენებული ფიზიკური, ქონებრივი და მორალური ზიანის ანაზღაურებას ახლებურად დაარეგულირებს.

IX. ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ კანონითა და სამოქალაქო კოდექსით დარეგულირდეს ოჯახური ძალადობისას ბავშვზე მეურვეობის საკითხები

ოჯახური ძალადობის შემთხვევაში და მისგან გამომდინარე დავების განხილვის დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს მოძალადე მშობლის ბავშვთან ურთიერთობის საკითხს, რადგან სამეცნიერო კვლევებით დადას-

73 A Framework for Model Legislation on Domestic Violence, Report of the Special Reporter on Violence against Women, its Causes and Consequences, Commission on Human Rights, Economic and Social Council, E/CN.4/1996/53/Add.2, 2 February 1996, Sec. IV.A

ტურებულია, რომ ძალადობა ოჯახში სეროზულ გავლენას ახდენს ბავშვზე, მიუხედავად იმისა, არის თუ არა იგი ძალადობის უშუალო ობიექტი.

ნებისმიერი საქმის განხილვისას, რომელიც ეხება ბავშვზე მეურვეობის საკითხის გადაწყვეტას, სასამართლოს მიერ ოჯახური ძალადობის შესახებ ინფორმაციის მიღებამ უნდა წარმოშვას პრეზუმფცია, რომ მოძალადე პირის სრულ მეურვეობაში ან მასთან ერთობლივ კანონიერ ან ფიზიკურ მეურვეობაში ბავშვის გადაცემა ბავშვისათვის საზიანოა და ეწინააღმდეგება მის ინტერესებს.

ისეთი საქმეების განხილვისას, სადაც წყდება ბავშვზე მეურვეობის ან რომელიმე მშობლის მიერ ბავშვის მონახულების საკითხები, სასამართლოს განკარგულებაში ოჯახური ძალადობის შესახებ ინფორმაციის არსებობისას, სასამართლომ გადაწყვეტილება უნდა მიიღოს:

(ა) ბავშვის უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის, აგრეთვე, ოჯახური ძალადობის მსხვერპლი მშობლის უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის ინტერესების გათვალისწინებით;

(ბ) მოძალადის მხრიდან ოჯახური ძალადობის შემადგენელი დანაშაულის ან დარღვევის სახის, სიმძიმისა და საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხის გათვალისწინებით.

თუ ერთ-ერთი მშობელი სასამართლო სხდომაზე წარმოდგენილი არ არის ან სხვა ადგილას იმყოფება მეორე მშობლის მხრიდან ოჯახური ძალადობის შედეგად, ეს გარემოება მის წინააღმდეგ გამოყენებული არ უნდა იქნეს ბავშვზე მეურვეობის ან მასთან ურთიერთოების საკითხის გადაწყვეტის დროს.

ბავშვზე მეურვეობის საკითხის გადაწყვეტისას ოჯახური ძალადობის არსებობის შემთხვევაში სასამართლომ უნდა გამოიტანოს გადაწყვეტილება იმ მშობელთან ბავშვის ცხოვრების შესახებ, რომელიც არ არის მოძალადე.

თუ ოჯახური ძალადობის ფაქტი მოხდა მას შემდეგ, რაც სასამართლომ უკვე გამოიტანა გადაწყვეტილება ბავშვთან მშობლების ურთიერთობის შესახებ, ეს გადაწყვეტილება შეიძლება გადაისინჯოს ძალადობის ფაქტის გამო.

სასამართლომ მხოლოდ მაშინ შეიძლება დართოს მოძალადე მშობელს ბავშვის ნახვის ნება, თუ ბავშვისა და მეორე მშობლის უსაფრთხოების ზომები დაცულია.

ბავშვის მონახულების ნებართვაში სასამართლომ შესაძლებელია მიუთითოს, რომ:

(ა) ბავშვის მონახულება მოხდეს დაცულ ადგილას;

(ბ) ბავშვის მონახულება მოხდეს სხვა პირის ან დაწესებულების ზედამხედველობის ქვეშ;

(გ) მოძალადე მშობელმა გაიაროს სპეციალური გამოსასწორებელი კურსი;

(დ)მოძალადე მშობელმა თავი შეიკავოს ალკოჰოლის ან სხვა საშუალებების მიღებისაგან ბავშვის ნახვისას და მის ნახვამდე 24 საათით ადრე;

(ე) მოძალადე მშობელმა გადაიხადოს ბავშვის მონახულების დროს ზედამხედველობის ხარჯები;

(ვ) მოძალადე მშობელს აეკრძალოს ბავშვის ღამისთევით წაყვანა;

(ზ) მოძალადე მშობელს ჩამოერთვას ბავშვის დაბრუნებისა და მისი უსაფრთხოების დაცვის პირობა;

(თ) მიღებულ იქნეს ნებისმიერი სხვა ზომა, რომელიც აუცილებელია ბავშვის, ძალადობის მსხვერპლი მშობლის ან ოჯახის სხვა წევრის უსაფრთხოებისათვის.

მიუხედავად იმისა, ნებადართულია თუ არა ბავშვის მონახულება, სასამართლოს შეუძლია გაასაიდუმლოოს როგორც ბავშვის, ისე დედის მისამართი.

თუ სასამართლო ოჯახის რომელიმე წევრს ბავშვის მონახულების დროს ზედამხედველობის ნებას დართავს, მან თავის გადაწყვეტილებაში დეტალურად უნდა განსაზღვროს ბავშვის მონახულების წესები.

X. კანონმდებლობით განისაზღვროს ოჯახური ძალადობის მსხვერპლ ბავშვთან სამართალამცავი ორგანოების, ფსიქოლოგთა და მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოების ურთიერთობის, ბავშვისათვის ჩვენების ჩამორთმევის, სასამართლო პროცესზე მისი მოწმედ გამოყვანისა და მთელი რიგი სხვა საკითხები.

XI. წახალისდეს ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა დაცვის პროაქტიური მეთოდები, როცა ხდება დახმარების მიზნით მსხვერპლთან აქტიურ კავშირზე გასვლა იმის მაგიერ, რომ პასიურად ელოდეს, როდის მიმართავს მსხვერპლი დახმარებისათვის.[74]

XII. განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს სამართალდამცავი ორგანოების როლს ოჯახური ძალადობის სიტუაციებში. ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ კანონით დეტალურად განისაზღვროს ოჯახური ძალადობის შემთხვევის დროს სამართალდამცავთა ფუნქციები. სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლებს დაევალოთ გამოიყენონ მსხვერპლის დაცვისა და შემდგომი ძალადობის თავიდან აცილების ყველა გონივრული საშუალება. მათ შორის:

(ა) უზრუნველყონ მსხვერპლისა და ოჯახის სხვა წევრთა პირადი უსაფრთხოება;

(ბ) ჩამოართვან მოძალადეს ყველა სახის იარაღი;

(გ) საჭიროების შემთხვევაში გადაიყვანონ მსხვერპლი და ბავშვები შესაბამის თავშესაფარში;

(დ) დაეხმარონ მსხვერპლს პირველადი მოხმარების ნივთების გადატანაში;

(ე) დახმარონ მსხვერპლსა და ბავშვებს სამედიცინო დახმარების მიღებაში და, საჭიროების შემთხვევაში, გადაიყვანონ სამედიცინო დაწესებულებაში;

(ვ) განუმარტონ მსხვერპლს მისი უფლებები და წერილობითი ფორმით გადასცენ ამ უფლებათა ჩამონათვალი, რათა მსხვერპლს ჰქონდეს შესაძლებლობა უფრო მშვიდ გარემოში გულდასმით გაეცნოს მას.

74Ibid, Sec. 34-35

თუ ოჯახში ჩადენილი ძალადობა თავისი სიმძიმით და საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხით სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას არ იწვევს, მაგრამ ოჯახში მოძალადის დატოვება ემუქრება მსხვერპლის უსაფრთხოებას, სამართალდამცავი ორგანოს თანამშომელს უფლება მიეცეს სასამართლოს თანხმობით გამოსცეს გადაუდებელი შემზღუდავი ორდერი, რომელიც ძალაშია გამოცემიდან 72 საათის განმავლობაში.

XIII. შექმნას ოჯახური ძალადობის თავიდან აცილების, მის წინააღმდეგ ბრძოლისა და ძალადობის მსხვერპლთა და მოწმეთა დაცვის სფეროში სამართალდამცავი ორგანოებისა და საზოგადოებრივი დაწესებულებების თანამშრომლობის მექანიზმები. სამართალმდაცავ ორგანოებს დაევალოთ, ოჯახური ძალადობის ფაქტისა და მათ მიერ გაცემული შემზღუდავი ორდერის შესახებ აცნობონ მსხვერპლთა დახმარებისა და რეაბილიტაციის ცენტრებს. ინფორმაციის მიღებისთანავე ეს ცენტრები დაუკავშირდნენ მსხვერპლს შესაბამისი ფსიქოლოგიური, სოციალური და იურიდიული დახმარების შეთავაზების მიზნით.

შეიქმნას აგრეთვე ინფორმაციის გაცვლის იურიდიული ბაზა, რომელიც მეტად საჭიროა სამართალდამცავ ორგანოებსა და ძალადობის მსხვერპლთა მხარდამჭერ დაწესებულებებს შორის მჭიდრო თანამშრომლობისათვის.

XIV. შეიქმნას "ძალადობისაგან დაცვის საკონსულტაციო საბჭო", რომელიც განახორციელებს ოჯახური ძალადობის სფეროში მიმდინარე საქმიანობის მონიტორინგს და შეიმუშავებს წინადადებებს ოჯახური ძალადობის თავიდან აცილების, მის წინააღმდეგ ბრძოლისა და ძალადობის მსხვერპლთა და მოწმეთა ადამიანის უფლებების დაცვის შემდგომი ღონისძიებების განხორცილების მიზნით.

ოჯახური ძალადობის საკითხები მედიცინის მუშაკთა თვალთახედვით

რუსუდან იმედაძე, ფსიქოლოგი

კვლევა მიმართული იყო სამედიცინო სფეროში ოჯახური ძალადობის საკითხებთან დაკავშირებული ძირითადი ტენდენციებისა და პრობლემების გამოსავლენად. იგი მიზნად ისახავდა, გაგვერკვია ექიმების გამოცდილება ამ სფეროში, ძალადობის ძირითადი სახეები, რომლებსაც ისინი ხვდებიან და ის ძირითადი რეაგირების მექანიზმები, რომლითაც ექიმები სარგებლობენ, როდესაც საქმე აქვთ ოჯახური ძალადობის მსხვერპლებთან.

კვლევას, რომელსაც ეფუძნება წარმოდგენილი ნაშრომი, არ გააჩნია სტატისტიკურად სანდო, სრულფასოვანი კვლევის პრეტენზია, რადგან გამოკითხული იყო ცოტა რესპონდენტი, სულ 57 ექიმი. მას ერთგვარი საცდელი, პილოტური ხასიათი ჰქონდა, რომლითაც შესაძლებელია არა კანონზომიერებებზე, არამედ უფრო ტენდენციებზე საუბარი. მიუხედავად ამისა, მიგვაჩნია, რომ კვლევის შედეგები დახმარებას გაგვიწევს, დაიგეგმოს უფრო ქმედითი ნაბიჯები, იმისათვის, რომ სამედიცინო სფერო უფრო აქტიური რგოლი გახდეს სახელმწიფო სტრუქტურის ღონისძიებათა საერთო ჯაჭვში, რომელიც მიმართულია ოჯახური ძალადობის პრობლემის მოგვარების საქმისაკენ.

პირველადი სამედიცინო რგოლი, რომელიც ყველაზე უშუალო კონტაქტშია ადამიანებთან, ოჯახურ პრობლემებთან, არის პოლიკლინიკა და სასწრაფო-გადაუდებელი სამსახური. ამიტომ ჩვენ ვივარაუდეთ, რომ ოჯახური ძალადობის შემთხვევებთან ყველაზე მეტი შეხება შეიძლება ჰქონოდათ სწორედ ამ სამსახურის ექიმებს. ჩვენ მიერ გამოკითხულ ექიმთა თითქმის ნახევარს (49.1%) სასწრაფო სამედიცინო სამსახურის - 03-ის ექიმები შეადგენენ, ხოლო დანარჩენი რესპონდენტები მუშაობენ თბილისის სხვადასხვა პოლიკლინიკურ დაწესებულებებში.

რესპონდენტების ასაკობრივი დიაპაზონი საკმაოდ დიდია – 25-70 წელი, შესაბამისად, განსხვავდება მათი სამუშაო გამოცდილებაც. ყველაზე მცირე სამუშაო სტაჟი არის 1 წელი, ხოლო მაქსიმალური – 46 წელი. (იხ. ცხრილი №1)

ცხრილი №1

	მინიმალური	მაქსიმალური	საშუალო
ასაკი	25 წელი	70 წელი	46.7 წელი
სამუშაო გამოცდილება	1 წელი	46 წელი	21.04 წელი

ექიმთა სპეციალობების სპექტრი შემდეგნაირად არის წარმოდგენილი: (გრაფიკი №1)

გვინდა აღვნიშნოთ, რომ ექიმთა პასუხები არ ეფუძნება რაიმე დოკუმენტურ ან ანკეტურ მონაცემებს, მათი პასუხები ეყრდნობა მეხსიერებაში, გამოცდილებაში არსებულ შემთხვევებს ან, ხშირად, მხოლოდ ინტუიციას.

ჩვენ მიერ გამოკითხულ ექიმთა უმრავლესობა – 87.7% აღნიშნავს, რომ მათ საექიმო პრაქტიკაში ჰყოლიათ პაციენტები, რომელთა ჯანმრთელობის გაუარესება გამოწვეულია ოჯახური ძალადობის შედეგად. 75.4% აღნიშნავს, რომ ასეთი შემთხვევები ხშირი არ არის (იხ. გრაფიკი №2), მაგრამ არიან ისეთებიც (რესპონდენტთა 12.3%), რომლებსაც მიაჩნიათ, რომ ოჯახური ძალადობის შედეგად ჯანმრთელობის დაზიანება საკმაოდ ხშირი მოვლენაა.



გრაფიკი №1 სპეციალობა

ჩვენ შევეცადეთ, უფრო დაგვეკონკრეტებინა ექიმთა პრაქტიკაში ოჯახური ძალადობის სიხშირე, ამიტომ ვთხოვეთ რესპონდენტებს, აღენიშნათ ასეთ პაციენტთა რაოდენობა დროის გარკვეულ შუალედში. (იხ. ცხრილი №2)



გრაფიკი№2. (კ.2) ოჯახური ძალადობის შედეგად ჯანმრთელობის გაუარესების ჩივილი

ექიმთა 71.4%-მა მიუთითა, რომ ოჯახური ძალადობის გამო ჯანმრთელობის დაზიანების 1-დან 10-მდე შემთხვევა აქვთ წელიწადში. დანარჩენმა რესპონდენტებმა 1-დან 10-მდე პაციენტი უფრო მცირე დროის შუალედზე განსაზღვრა. თუ გავასაშუალოებთ ამ მონაცემებს, მივიღებთ, რომ ჯანმრთელობის დაზიანება ოჯახში მომხდარი ძალადობის მიზეზით არცთუ ისე იშვიათი მოვლენაა.

გარდა ამისა, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ხშირად პაციენტი ერიდება ოჯახური ძალადობის ფაქტის აღიარებას და ექიმს უმალავს

ცხრილი№2 კ.6 ოჯახური ძალადობის გამო ქალის ჯანმრთელობის დაზიანების დაახლოებით რამდენი შემთხვევა გქონდათ თქვენს პრაქტიკაში?

თვეში	1-10 მდე პაციენტი	6.1%
კვარტალში	1-10 მდე პაციენტი	10.2%
კვარტალში	10-20 მდე პაციენტი	10.2%
წელიწადში	1-10 მდე პაციენტი	71.4%
წელიწადში	10-20 მდე პაციენტი	2.0%



გრაფიკი№3. ვინ არის ოჯახური ძალადობის მსხვერპლი?

თავისი ჯანმრთელობის გაუარესების რეალურ მიზეზს, რიგ შემთხვევებში კი (თუკი ძალადობა არ არის პირდაპირი, ფიზიკური) პაციენტი შეიძლება ვერც კი აცნობიერებდეს თავისი დაავადების ჭეშმარიტ მიზეზს.

ამიტომ, ჯანმრთელობის გაუარესების მიზეზის კვალიფიცირება ოჯახურ ძალადობად ძალიან რთულია და ხშირ შემთხვევაში მხოლოდ ექიმთა გამოცდილებაზე და ინტუიციაზეა დამოკიდებული.

ჩვენი რესპონდენტები თითქმის ერთსულოვანნი არიან (90.6%) იმაში, რომ ოჯახური ძალადობის მსხვერპლი ქალია (იხ. გრაფიკი №3). ასე რომ, ამ მიზეზით ჯანმრთელობის დაზიანება პრაქტიკულად მხოლოდ ქალის პრობლემაა.

როდესაც ლაპარაკია იმ ჩივილებზე, რომლითაც დაზარალებული ქალები მიმართავენ სამედიცინო დაწესებულებებს, აღმოჩნდა, რომ სხეულის (მძიმე თუ მსუბუქ) დაზიანებებზე უფრო ხშირია ფსიქოლოგიური ტრავმები. (იხ. ცხრილი №3, №4).

ცხრილი №3 კ.3. ოჯახური ძალადობის გამო რა ტიპის ჩივილები შეგხვედრიათ?

	განაწილება
1. სხეულის მსუბუქი დაზიანება	34.1%
2. სხეულის მძიმე დაზიანება	12.1%
3. ორგანული ცვლილებები/დაავადებები	6.6%
4. ფსიქოლოგიური ტრავმები	44.0%
5. სხვა	3.3%

ცხრილი №4 კ.5. თქვენი კოლეგებისაგან ოჯახური ძალადობის შემთხვევებში რა ტიპის ჯანმრთელობის დაზიანებების შესახებ გსმენიათ?

	განაწილება
1. სხეულის მსუბუქი დაზიანება	33.0%
2. სხეულის მძიმე დაზიანება	15.6%
3. ორგანული ცვლილებები/დაავადებები	10.1%
4. ფსიქოლოგიური ტრავმები	41.3%
5. სხვა	0.0%

საქმე ის გახლავთ, რომ არსებობს ოჯახური ძალადობის განსხვავებული ფორმები. ფიზიკურ ძალადობასთან (ცემა, წვალება, სხვა) ერთად, ხშირია ფსიქოლოგიური ძალადობის ფორმები, რომელიც შეიცავს ზეწოლისა და აკრძალვების ფარ-



გრაფიკი№4. გქონიათ თუ არა პრაქტიკაში ოჯახური ძალადობის გამო სუიციდის მცდელობა?

თო სპექტრს. ამ ტიპის ძალადობა შეიძლება თვალში ნაკლებად საცემია, მაგრამ პიროვნებაზე თავისი ზეგავლენით ძალიან დრამატულია. ამიტომ არის, რომ ოჯახური ძალადობის შედეგად ქალები ყველაზე ხშირად უჩივიან სხვადასხვა ფსიქოლოგიურ დარღვევებს. განსაკუთრებით მძიმე ფსიქოლოგიური ზეწოლის ქვეშ მყოფი პაციენტი, არცთუ იშვიათად, როგორც გამოკითხვის შედეგები გვიჩვენებს, სუიციდის მცდელობამდეც კი მიდის. ექიმების 72..2% აღნიშნავს, რომ მათ გამოცდილებაში ჰქონიათ ოჯახური ძალადობის გამო სუიციდის მცდელობის შემთხვევები (იხ. გრაფიკი№4). ეს მართლაც ძალიან მაღალი მაჩვენებელია და, ჩვენი აზრით, მოითხოვს ამ პრობლემის უფრო სერიოზულ გამოკვეთას, ხაზგასმას. აუცილებელია ქმედითი პრევენციული ღონისძიებების გატარება, იქნება ეს იურიდიულ-სამართლებრივი, თუ ფსიქოლოგიურ-სარეაბილიტაცო ხასიათის.

რაც შეეხება სხეულის ფიზიკურ თუ ორგანულ დაზიანებებს, ჩვენი რესპონდენტების აზრით, ყველაზე ხშირია დაჟეჟილობა, ტვინის შერყევა და სისხლჩაქცევა (იხ. ცხრილ№5).

ცხრილი №5 კ11. რა ტიპის ჯანმრთელობის კონკრეტული დაზიანებები შეგხვედრიათ ძირითადად გამოწვეული ოჯახური ძალადობით?

	განაწილება
1. ჭრილობა	12.9%
2. დამწვრობა	1.4%
3. დაჟეჟილობა	25.7%
4. მოტეხილობა	5.0%
5. სახსრის ამოვარდნა	0.0%
6. სისხლჩაქცევა	20.0%
7. თავის ტვინის შერყევა	21.4%
8. ნაადრევი მშობიარობა	2.9%
9. ფეხმძიმობის ნაადრევი შეწყვეტა	2.9%
10. სისხლდენა (ვაგინალური, სხვა)	5.0%
11. მხედველობის დაზიანება	2.1%
12 სხვა	0.7%

ამ მონაცემების მიხედვით, საერთო შემთხვევებიდან, ყოველ მეათეს უჩნდება სერიოზული გინეკოლოგიური პრობლემები დაწყებული სისხლდენიდან, გათავებული ნაყოფის მოშლით. მომდევნო შეკითხვა, რომელიც კონკრეტულად ფიზიკური ძალადობის გამო მუცლის მოშლის საკითხს ეხება (იხ. ცხრილი №6 კ.20)

კიდევ უფრო აშკარას ხდის ამ პრობლემის არსებობას. გამოკითხულ ექიმთა 60.4% აღნიშნავს, რომ მათ პირად ან კოლეგების გამოცდილებაში ასეთ შემთხვევებს ადგილი იშვიათად ჰქონია, რესპონდენტთა 3.8%-ს კი ფიზიკური ძალადობის გამო მუცლის მოშლის ფაქტი ხშირად შეხვედრია.

ცხრილი №6

	არასოდეს	ხშირად	იშვიათად
კ.19 გქონიათ თუ არა შემთხვევა თქვენ, ან კოლეგებისგან თუ გსმენიათ, რომ ფიზიკური ძალადობის გამო სასწრაფო ოპერაცია გაუკეთდა ქალს?	46.6%	1.9%	51.9%
კ.20 გქონიათ თუ არა შემთხვევა თქვენ, ან კოლეგებისგან თუ გსმენიათ, რომ ფიზიკური ძალადობის გამო ფეხმძიმე ქალმა დაკარგა ბავშვი?	34.0%	3.8%	62.2%
კ.22. რამდენად ხშირად გქონიათ შემთხვევა თქვენ, ან გსმენიათ კოლეგებისგან, რომ ქალი იყო ოჯახური ძალადობის ქვეშ მისი უშვილობის გამო?	30.9%	18.2%	50.9%
კ.27. თქვენ თუ შეგიტყობინებიათ პოლიციისათვის ოჯახური ძალადობის შემთხვევის შესახებ?	55.8%	28.8%	15.4%

ოჯახური ძალადობის გამო გამოწვეულმა ლოკალურმა გინეკოლოგიურმა დარღვევებმა შეიძლება გამოიწვიოს მომავალი სირთულე ბავშვის გაჩენისას, ან უშვილობაც კი, რაც თავისთავადაც წარმოადგენს "საბაბს" ქალის მიმართ ძალადობის (უფრო ხშირად ფსიქოლოგიურის) განსახორციელებლად. ამას ადასტურებს ექიმთა პასუხები დასმულ შეკითხვაზე – ჰქონიათ თუ არა გამოცდილებაში, და თუ ჰქონიათ, რამდენად ხშირად ყოფილა შემთხვევები, რომ ქალი იყო ოჯახური ძალადობის ქვეშ მისი უშვილობის გამო – (იხ. ცხრილი №6 კ. 22). ჩვენი რესპონდენტების ორ მესამედზე მეტი ასეთი შემთხვევების მომსწრე ყოფილა თავის საექიმო პრაქტიკაში, მათ შორის 18.2% კი მსგავს ძალადობას ხშირად შეხვედრია.

ოჯახური ძალადობის ერთ-ერთი სახეა ქალის იძულება გაიკეთოს აბორტი. ეს ის შემთხვევებია, როდესაც ქალი, სხვისი ზეწოლით, საკუთარი სურვილისგან დამოუკიდებლად იკეთებს აბორტს. ჩვენ მიერ გამოკითხულ ექიმთა 50-%-სათვის იძულებითი აბორტის შემთხვევები "უცხო ხილი არ არის". (იხ. გრაფიკი №5)

იძულებითი აბორტის ყველაზე გავრცელებულ მიზეზად დასახელებულია არსებული მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა, რომლის გამოც ქალი ვერ აძლევს თავს უფლებას, იყოლიოს შვილი. ამ შემთხვევაში "ძალადობის" ვექტორი გადატანილია ადამიანიდან გარემოებაზე, მაგრამ როგორც რესპონდენტების საკმაოდ წარმომადგენლობითი ჯგუფი (34.4%) აღნიშნავს, ხშირია ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ქმარი (ან ოჯახის სხვა წევრი) აიძულებს ქალს აბორტის გაკეთებას. (იხ. გრაფიკი №6)

გრაფიკი№5. (კ.13) გქონიათ თუ არა პრაქტიკაში, რომ ქალმა სხვისი ზეწოლით გაიკეთა აბორტი?



რიგ შემთხვევებში, აბორტის მიზეზად გვევლინება მომავალი ბავშვის არასასურველი სქესი (სელექტიური აბორტი). ის ფაქტი, რომ ამ პრობლემამ მაღალი მაჩვენებელი მიიღო (იხ. გრაფიკი №7), მიუთითებს იმაზე, რომ სელექტიური აბორტი მართლაც გავრცელებული მოვლენაა. ჩვენი კითხვარი არ იძლეოდა საშუალებას, მიგვეღო ინფორმაცია – უფრო ხშირად რომელი სქესი მიიჩნევა არასასურველად. მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც ვივარაუდებთ, რომ მომავალი ბავშვის არასასურველი სქესი სწორედ მდედრობითია, გამომდინარე ქვეყანაში

გრაფიკი№6. (კ.15) ვინ აიძულებდა ქალს აბორტის გაკეთებას?



არსებული პატრიარქალური ტრადიციებიდან, სადაც ვაჟის ყოლას განსაკუთრებული ღირებულება აქვს.

ზოგადად საზოგადოებაში ოჯახური ძალადობა ტაბუდადებული თემაა, ქალისთვის სამარცხვინოდ ითვლება იმის აღიარება, რომ იგი ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური ზეწოლის ქვეშ იმყოფება, ამიტომ, ქალი, როგორც წესი, ყოველ-

გრაფიკი№7. (კ.16) აბორტი სქესის არასასურველობის გამო



მხრივ ცდილობს, მოითმინოს და ოჯახის გარეთ არ გამოამზეუროს მისი შეურაცხმყოფელი ძალადობის შემთხვევები.

როცა ქალი აღიარებს მის მიმართ განხორციელებულ ძალადობას და მიმართავს სამედიცინო დაწესებულებას, ეს განსაკუთრებული შემთხვევაა და საქმე უკვე გვაქვს ჯანმრთელობის სერიოზულ დარღვევასთან, რაც, რიგ შემთხვევაში, გადაუდებელ ქირურგიულ ჩარევასაც კი მოითხოვს (იხ. ცხრილი №6, კ.19). სწორედ იმიტომ, რომ

ქალი უკიდურეს შემთხვევაში მიმართავს სამედიცინო დაწესებულებას, ოჯახური ძალადობის შემთხვევები სასწრაფო დახმარების ექიმებს უფრო მეტი აქვთ, ვიდრე პოლიკლინიკების ექიმებს (იხ. ცხრილი №7)

ცხრილი №7 კ.2 გქონიათ თუ არა შემთხვევები, როცა პაციენტს მოუმართავს ჯანმრთელობის გაუარესების შესახებ ჩივილით, რომლის მიზეზიც ყოფილა ოჯახური ძალადობა

	არასდროს	ხშირად	იშვიათად
სასწრაფო დახმარება	7.1%	14.3%	78.6%
პოლიკლინიკა	30.0%	10.0%	60.0%

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქალი ცდილობს, არ გამოავლინოს მის მიმართ ძალადობის ფაქტები, რადგან ეს მისი ღირსების შემლახველია. გვინდა ხაზი გაუსვათ იმ გარემოებას, რომ თუკი არა გვაქვს საქმე განსაკუთრებით სასტიკ ფიზიკურ ძალადობასთან, ყველა სხვა შემთხვევაში ოჯახური ძალადობის აღიარება საზოგადოებაში დაზარალებული ქალისთვის უფრო არამომგებიანია, ვიდრე მოძალადე კაცისთვის (ზოგადად კაცს ამ ტიპის ქცევა პრინციპულობაში, თავშეუკავებლობაში, სიძლიერეში, მამაკაცურობაში ეთვლება). ამიტომ, სამედიცინო დაწესებულებაში მისვლისას ქალი ცდილობს გვერდი აუაროს, არ განაცხადოს მისი კლინიკის ჭეშმარიტი გამომწვევი მიზეზი. (იხ. ცხრილი№8), ან ყოველ შემთხვევაში, მოითხოვს ექიმისგან კონფიდენციალურობის დაცვას. (იხ. ცხრილი №9)

ცხრილი №8 კ.8. საერთო შემთხვევებიდან რამდენმა პაციენტმა ქალმა განაცხადა თვითონ, რომ მისი ჯანმრთელობის დაზიანების ნამდვილი მიზეზი ოჯახური ძალადობაა?

	განაწილება
10% – მდე	83.7%
10-30% – მდე	6.1%
30-50% – მდე	6.1%
50-70% – მდე	0.0%
70-90% – მდე	4.1%
100%	0.0%

ცხრილი №9 კ.21.როცა პაციენტი ქალი ოჯახური ძალადობის მსხვერპლია, უთხოვია თუ არა თქვენთვის კონფიდენციალურობის დაცვა?

	განაწილება
ყოველთვის	23.1%
არასოდეს	15.4%
ხშირად	32.7%
იშვიათად	28.8%

კიდევ ერთი პრობლემური საკითხი, რომელიც შეიძლება გახდეს ქალის მიმართ ოჯახური ძალადობის მიზეზი, არის ქალწულობის ინსტიტუტი. ემპირიული მო-

ნაცემებით ჩვენთვის თავიდანვე იყო ცნობილი, რომ საქართველოში არსებობს საქალწულე აპკის აღდგენის პრაქტიკა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქალწულე აპკის აღდგენა დღეს მსოფლიოში განხილული და შეფასებულია, როგორც განსაკუთრებული ზიანი, რომელსაც ქალს აყენებენ სხვადასხვა კულტურული და ტრადიციული ქვეყნების სპეციფიკის გამო.

ამიტომ, ჩვენ დავინტერესდით, რამდენად ხშირია ექიმთა გამოცდილებაში საქალწულე აპკის აღდგენის შემთხვევები. (იხ. ცხრილი№10)

ცხრილი №10

	არასოდეს	ხშირად	იშვიათად
კ.23. რამდენად გავრცელებულია თქვენს პროფესიულ პრაქტიკაში ქალწულობის აპკის აღდგენა?	68.8%	6.2%	25.0%
კ.24. გქონიათ თუ არა შემთხვევა, რომ თქვენთვის მოემართათ მსგავსი ოპერაციის გასაკეთებლად?	83.7%	4.1%	12.2%
კ.25. რამდენად გავრცელებულია თქვენს კოლეგებში მსგავსი ფაქტები?	63.0%	15.2%	21.0%

რა თქმა უნდა, ამ საკითხის შესახებ უფრო რეალურ სურათს მივიღებდით, თუკი გამოვკითხავდით მხოლოდ გინეკოლოგიური სამსახურების ექიმებს, მაგრამ მიუხედავად ამისა, მიღებული მონაცემებიც საკმარისია იმისათვის, რომ დავინახოთ პრობლემის არსებობა და მისი სიმწვავე.

ჩვენ მიერ გამოკითხული ექიმების უმრავლესობა (79.2%) ამბობს, რომ ისინი უმახვილებენ ყურადღებას და ეკითხებიან პაციენტს: – "ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების მიზეზი ხომ არ არის ოჯახური ძალადობის შედეგი?" მაგრამ, მას შემდეგ, რაც ხდება ოჯახური ძალადობის ფაქტის დადასტურება პაციენტისგან, ექიმთა რეაგირება ამ მოვლენის მიმართ საკმაოდ ქაოტური რჩება. ისინი ხშირად იბნევიან და არ იციან, რა ტიპის ქმედება იქნება მათგან უფრო ადეკვატური. ეს, შესაძლებელია, გამომდინარეობს იმ გარემოებიდან, რომ არ არსებობს არავითარი სტრუქტურა, რომელიც კურირებას გაუწევს ამ სფეროს, აგრეთვე იმის გამოც, რომ ექიმებს არა აქვთ ამგვარ სიტუაციებში მოქმედების ზუსტი ინსტრუქცია, არ გააჩნიათ ინსტუმენტი, რომელსაც შეიძლება დაეყრდნონ და შესაბამისად იმოქმედონ. კანონზო-



გრაფიკი№8. (კ.26) გაქვთ თუ არა პრაქტიკაში პოლიციის ინფორმირება ოჯახური ძალადობის შემთხვევაში?

მიერია ჩვენ მიერ მიღებული მონაცემიც, რომლის მიხედვით უმეტესობა ექიმებისა არ მიმართავს პოლიციას ოჯახური ძალადობის ფაქტის კონსტატირების შემთხვევაში. (იხ გრაფიკი№8)

დასკვნა და რეკომენდაციები

- ⇨ ოჯახური ძალადობა, თავისი გამოვლინების მრავალფეროვნებით არც თუ იშვიათად ფიგურირებს სამედიცინო სფეროში. ჯანმრთელობის დაზიანების შემთხვევებს ოჯახური ძალადობის მიზეზით ადგილი ჰქონდა ექიმთა 87.7% -თან.
- ⇨ ოჯახური ძალადობის მსხვერპლი, როგორც წესი, ქალია და ამ მიზეზით ჯანმრთელობის დაზიანება ძირითადად ქალის ხვედრია.
- ⇨ ოჯახური ძალადობის შედეგად ყოველ მეათე ქალს აქვს გინეკოლოგიური პრობლემები (სისხლდენა, ნაადრევი მშობიარობა, ნაყოფის მოშლა).
- ⇨ ხშირად ვხვდებით დაზიანების ისეთ ფორმებს, როგორიცაა დაჟეჟილობა, ტვინის შერყევა სისხლჩაქცევა და სხვა,
- ⇨ სხეულის სხვადასხვა დაზიანებებზე უფრო ხშირია ფსიქოლოგიური ტრავმები, რომლის უკიდურეს ფორმას შეიძლება მოჰყვეს **სუიციდის მცდელობა**.
- ⇨ ოჯახური ძალადობის დადასტურების შემთხვევაში ექიმთა დიდი ნაწილი არ აცხადებს პოლიციაში ჩადენილი ძალადობის შესახებ.
- ⇨ ექიმების რეაგირება ამ მოვლენის მიმართ ძალიან არაერთმნიშვნელოვანი, ქაოტურია მაშინაც კი, როცა ხდება ოჯახური ძალადობის ფაქტის დადასტურება პაციენტისგან. ამის მიზეზია ის, რომ მათ ხელში არა აქვთ რეაგირების ადეკვატური ინსტრუმენტი, რომლითაც ისინი იხელმძღვანელებენ შესაბამის სიტუაციაში. არ არსებობს შესაბამისი სამედიცინო თუ იურიდიული დოკუმენტი, რომელსაც შეიძლება დაეყრდნოს ექიმი, და იმოქმედოს შესაბამისი ინსტრუქციის მიხედვით.

* * *

1. აუცილებელ და გადაუდებელ საქმედ მიგვაჩნია, ექიმებისთვის შეიქმნას ოჯახური ძალადობის შემთხვევაში რეაგიების ზუსტი მექანიზმი, მოქმედების აწყობილი სისტემა, რომელიც გაუადვილებს ექიმს (და ჯანდაცვის სხვა პერსონალს) მსგავს სიტუაციებში ადეკვატურ მოქმედებას.
2. მიზანშეწონილად მიგვაჩნია სამედიცინო დაწესებულებებში სპეციალური სამსახურების შექმნა, რომელიც კურირებას გაუწევს ოჯახური ძალადობის სფეროს. სამსახურის ფუნქციაში შევა ოჯახური ძალადობის ფაქტის კვალიფიცირება ასეთად, რეაგირება შესაბამის ინსტანციებში, სხვადასხვა სპეციალობის ექიმთა კონსულტირება ოჯახური ძალადობის სპეციფიკის შესახებ და სხვა.
3. მნიშვნელოვან საქმედ მიგვაჩნია ექიმებთან სპეციალური სატრეინინგო მუშა-

ობის ჩატარება, რომელიც მიმართული იქნება ოჯახური ძალადობის საკითხებში ექიმების ინფორმირებულობის და, საერთოდ, ამ სფეროში მათი ცნობიერების ასამაღლებლად.

4. ექიმთა შინაგანაწესი უნდა ეყრდნობოდეს გარკვეულ იურიდიულ დოკუმენტს, ამიტომ საჭიროა, ოჯახური ძალადობის შემთხვევებში რეაგირების სამართლებრივი დარეგულიება.

5. საზოგადოებაში არსებული ქალისთვის საზიანო სტერეოტიპების გამო, ქალისთვის შეურაცხმყოფელია ოჯახური ძალადობის ფაქტის აღიარება. ამიტომ, ქალი ხშირად ითმენს, მალავს და მიუხედავად მისი ჯანმრთელობის მკვეთრი გაუარესებისა, ცდილობს, არ მიმართოს სამედიცინო დაწესებულებას. და თუკი მაინც მივიდა ექიმთან, ქალი მალავს მის მიმართ განხორციელებულ ძალადობას და ექიმებს არ ეუბნება მისი ჯანმრთელობის გაუარესების ჭეშმარიტ მიზეზს. ვფიქრობთ, რომ თუკი იარსებებს ანონიმურობის დაცვის რაიმე მექანიზმი, რაიმე გარანტი (სიტყვიერი დაპირების გარდა) ეს გაუადვილებს ქალს დროულად მიმართოს ჯანდაცვის სისტემას და ამით მნიშვნელოვნად დაიზღვიოს თავი ჯანმრთელობის გაუარესებისგან.

ოჯახური ძალადობის გამოვლინება ბავშვებში პედაგოგთა თვალთახედვით

ოჯახური ძალადობის გამოვლენის ერთ-ერთ მგრძნობიარე ინდიკატორად დღევანდელ მსოფლიოში მიჩნეულია ოჯახური ძალადობის პირდაპირი და ირიბი გავლენა ბავშვებზე. ეს საკითხი არაერთხელ ყოფილა სხვადასხვა ქვეყნის მკვლევართა ყურადღების ცენტრში. დღეს მიჩნეულია, რომ ბავშვის პიროვნებად ჩამოყალიბების პროცესში ოჯახური ძალადობის ფაქტებს სავალალო შედეგი მოაქვს, მიუხედავად იმისა, ბავშვი ოჯახური ძალადობის პირდაპირი თუ ირიბი მსხვერპლია. ქვემოთ მოგვყავს მცირე ჩამონათვალი იმ მავნე ზეგავლენისა, რომელსაც ახდენს ოჯახური ძალადობა ბავშვებზე:

- ბავშვები, რომლებიც ოჯახური ძალადობის მოწმენი არიან, იმყოფებიან იმავე მდგომარეობაში, როგორშიც ისინი, ვინც თავად არის ფიზიკურად შეურაცხყოფილი;
- ძალადობა მოქმედებს ბავშვთა სწავლის უნარზე, ისინი კარგავენ შესაძლებლობას, მოახდინონ კონცენტრირება სკოლაში, დაამყარონ ნორმალური ურთიერთობა თანატოლებთან;
- ბავშვი სწავლობს ძალადობრივ ქცევას. მომწიფების ასაკისათვის ვაჟები მოძალადე ოჯახებიდან უფრო აგრესიულნი, ხოლო გოგონები უფრო დამოკიდებულნი, პასიურნი, ნერვიულნი და შებოჭილნი არიან.

ამ ზოგადი პრობლემიდან ჩვენ გამოვყავით ერთი ასპექტი და კვლევის მიზნად გავიხადეთ პედაგოგთა თვალთახედვა ბავშვის ოჯახში არსებული ძალადობის საკითხების მიმართ.

ჩვენ გვაინტერესებდა, თუ რამდენად ფლობს პედაგოგი ინფორმაციას ბავშვის ოჯახური გარემოს შესახებ. თვლის, თუ არა, რომ ოჯახში ძალადობის შემთხვევები აისახება ბავშვზე. თუ აისახება, რა სირთულეებს იწვევს ეს ბავშვში და, რა მიაჩნიათ პრობლემის მოგვარების ყველაზე ქმედით ზომად.

ჩვენი კითხვარი იწყება დემოგრაფიულ კითხვათა ბლოკით. სულ გამოკითხულია 118 პედაგოგი. აქედან 75 თბილისის, ხოლო 43 რეგიონის მკვიდრი. (იხ. ცხილი №1)

ცხრილი №1

	რაოდენობა	პროცენტი
თბილისი	75	63.6%
რეგიონი	43	36.4%

ჩვენს შერჩევაში პედაგოგ ქალთა რაოდენობა მნიშვნელოვნად აღემატება პედაგოგი მამაკაცების რაოდენობას, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს იმ გარემოებას, რომ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში დასაქმებულ ქალთა რაოდენობა დიდი წილით სჭარბობს მამაკაცისას. (იხ. ცხრილი №2)

რესპონდენტების ასაკი განსხვავებულია, შესაბამისად განსხვავდება მათი სამუშაო გამოცდილებაც, რომელიც ჩვენ დავაჯგუფეთ შემდეგნაირად: (იხ. ცხრილი №3)

ცხრილი №2

	რაოდენობა	პროცენტი
ქალი	104	88.1%
მამაკაცი	14	11.9%

ცხრილი №3

სამუშაო გამოცდილება	რაოდენობა	პროცენტი
1–5 -მდე წელი	10	8.5%
5–20 -მდე	61	51.7%
20-ზე მეტი	47	39.8%

გამოკითხული პედაგოგების ძირითადი ნაწილი (51.7%) საშუალო კლასების მასწავლებელია, 39.8% ასწავლის მე-9 მე-11 კლასებს, ხოლო დანარჩენი ასწავლის დაწყებით კლასებს. (იხ. ცხრილი №4)

ცხრილი №4

სამუშაო გამოცდილება	რაოდენობა	პროცენტი
1–4 კლასი	10	8.5%
5–8 კლასი	61	51.7%
9-11 კლასი	47	39.8%

პედაგოგები ერთსულოვანნი არიან იმაში, რომ ოჯახური გარემო გავლენას ახდენს მოსწავლის ქცევაზე. ამ შეკითხვაზე არც ერთი უარყოფითი პასუხი არ მიგვიღია. პედაგოგთა 66.7%-ს მიაჩნია, რომ ოჯახური გარემო მოსწავლეზე ყოველთვის ახდენს ზეგავლენას, 32.2% - კი თვლის, რომ ზეგავლენა ხშირად ვლინდება. და თუ ოჯახში ურთიერთობების სირთულეა, ეს აუცილებლად აისახება ბავშვზე. (იხ. გრაფიკი №1)

გრაფიკი№1. ფოქრობთ თუ არა, რომ გარემო გავლენას ახდენს მოსწავლის ქცევაზე?



მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ ფლობენ ინფორმაციას ბავშვის ოჯახური გარემოს შესახებ. პედაგოგთა შეფასებებში განსხვავებულია მათი ინფორმირებულობის ხარისხი. თუკი ზოგიერთი მიიჩნევს, რომ ყოველთვის ფლობს ინფორმაციას, უმეტესობა (55.6%) უფრო ზომიერ შეფასებას იძლევა და ამბობს, რომ ხშირად ფლობს ინფორმაციას. (იხ. გრაფიკი №2)

პედაგოგიური მოღვაწეობის განმავლობაში მასწავლებელთა 90.6% მომსწრე ყოფილა მოსწავლეთა სახლებში ოჯახური ძალადობის შემთხვევებისა. თანაც, უმეტესობა (56.4 %) ასეთი შემთხვევების მომსწრე არაერთხელ ყოფილა. პედაგოგთა 12.8%-მა მიუთითა, რომ ოჯახური ძალადობის შემთხვევები საკმაოდ ხშირია პრაქტიკულად ყველა კლასში. (იხ. ცხრილი №5)

ცხრილი №5 კ.5. რამდენად ხშირია ასეთი ძალადობის შემთხვევები?

	განაწილება
1. ჩემს პრაქტიკაში არასდროს	9.4%
2. ჩემს პრაქტიკაში ერთხელ	11.1%
3. ჩემს პრაქტიკაში არაერთხელ	56.4%
4. ყოველ კლასში ერთი შემთხვევა	2.6%
5. ყოველ კლასში ერთზე მეტი შემთხვევა	3.4%
6. ასეთი შემთხვევები საკმაოდ ხშირია პრაქტიკულად ყველა კლასში	12.8%
7. სხვა	4.3%

გრაფიკი№2. ფლობთ თუ არა ინფორმაციას თქვენი მოსწავლის ოჯახური გარემოს შესახებ?



ის, რომ ბავშვის მიმართ დედა უფრო ხშირად ახორციელებს ძალადობას, ვიდრე მამა, ჩვენი აზრით, შეიძლება აიხსნას იმ მარტივი მიზეზით, რომ ტრადიციულად საქართველოში, შვილის აღზრდაში უფრო მეტი როლი ეკისრება ქალს, უფრო მეტ დროს შვილთან ატარებს დედა, ვიდრე მამა. აქედან გამომდინარე, ყოველგვარი ზემოქმედება (მათ შორის შეიძლება ძალადობრივიც) შვილზე დედის მხრიდან უფრო მეტია.

ხშირია ისეთი შემთხვევებიც, როდესაც დედას დაგროვილი ნეგატიური ემოცია შვილზე გადააქვს.

შემდეგი შეკითხვა მიმართული იყო ძალადობის ყველაზე ხშირი ობიექტის გამოსავლენად. ჩვენი რესპონდენტების 40%-ის აზრით, ოჯახში ძალადობა ყველაზე ხშირად მამის მხრიდან დედის მიმართ ხორციელდება. ეს შედეგი მოულოდნელი არ იყო. საინტერესოა სიდიდით შემდეგი მაჩვენებლების თანმიმდევრობა: მეორე ადგილზეა დედის მიერ ბავშვის მიმართ განხორციელებული ძალადობა, ხოლო მესამეზე მამის მიერ შვილის მიმართ განხორციელებული ძალადობა. (იხ გრაფიკი №3)

გრაფიკი№3. უფრო ხშირად ვის შორის ყოფილა ძალადობის შემთხვევები?



ყველაზე დაბალი მაჩვენებელი მიიღო დედის მხრიდან მამაზე (მეუღლეზე) განხორციელებულმა ძალადობამ (5%).

თუ რა ფორმის ძალადობრივ ქცევას ხვდებიან მასწავლებლები მათი მოწაფეების ოჯახებში მოყვანილია ცხრილში №6

ცხრილი №6 კ.6 თქვენს პრაქტიკაში რა ფორმის ძალადობრივი ქცევა შეგხვედრიათ თქვენი მოსწავლის ოჯახში?

	განაწილება
1. მამის მხრიდან დედის ცემა	17.7%
2. მამის მხრიდან მუქარა დედის მიმართ	18.6%
3. მშობლების მხრიდან ბავშვის ფიზიკური შეურაცხყოფა	29.3%
4. მშობლების მხრიდან ბავშვების დაშინება	29.8%
5. სხვა	4.7%

მასწავლებელთა აზრით, ერთნაირად ხშირია მშობლების მიერ ბავშვზე განხორციელებული ზეწოლა, როგორც ფიზიკური (ცემა), ასევე ფსიქოლოგიური – (დაშინება, მუქარა და სხვა).

გრაფიკი№4. აუცილებლად ვლინდება თუ არა სკოლაში მოსწავლის ოჯახური ურთიერთობების სირთულეები?



როგორც ზემოთაც იყო აღნიშნული, პედაგოგებს მიაჩნიათ, რომ ოჯახური ურთიერთობების სირთულეები, უმრავლეს შემთხვევაში, ბავშვზე ახდენს ზეგავლენას და ეს ამა თუ იმ ფორმით ვლინდება ბავშვის ქცევაში. (იხ. გრაფიკი №4)

გრაფიკი№5. ვინ არის თქვენი ინფორმაციის წყარო?



ამიტომ, მასწავლებელი ბავშვის ოჯახური პრობლემების შესახებ, ყველაზე უკეთ ინფორმაციას ისევ ბავშვისგან – მასზე დაკვირვებისას იღებს. თუმცა, ინფორმაციის წყარო შეიძლება თავად მშობელიც იყოს, ან ბავშვის სხვა საგნის მასწავლებელი (იხ გრაფიკი №5).

როდესაც ოჯახში ბავშვია ძალადობის (პირდაპირი თუ ირიბი) ობიექტი, მას, როგორც წესი, სერიოზული ფსიქოლოგიური პრობლემები უჩნდება სკოლაშიც. პრობლემები შეიძლება განასხვავებული იყოს – სოციალური, ქცევითი, ემოციური თუ სხვა სახისა. ასეთ ბავშვს მნიშვნელოვნად უფუჭდება ურთიერთობები თავის თანატოლებთან. იგი ხშირად ამჟღავნებს აგრესიულ ქცევას სხვების მიმართ, ან პირიქით, ხდება დათრგუნული, მისი აკადემიური მოსწრება ხშირად უარესდება, ბავშვის თვითშეფასების დონე მკვეთრად ეცემა.

ცხრილ №7-ში მოყვანილია მასწავლებელთა გამოცდილებით სისტემატური ოჯახური ძალადობის ქვეშ მყოფი ბავშვის სკოლაში გამოვლინებული სირთულეების სიხშირეთა განაწილება:

ცხრილი №7 კ.8. თუ ოჯახური ძალადობის მსხვერპლია მოსწავლე, როგორ აისახება და ვლინდება ეს სკოლაში უფრო ხშირად?

	განაწილება
1. აგრესიული ქცევა	22.3%
2. დათრგუნული მდგომარეობა	23.6%
3. გართულებული ურთიერთობები თანატოლებთან	13.6%
4. აკადემიური მოსწრების გაუარესება	19.3%
5. გაცდენები	11.6%
6. დაგვიანებები	7.3%
7. სხვა	2.3%

შემდეგი რამოდენიმე შეკითხვა მიმართული იყო ზემოთ აღნიშნული პრობლემის მოგვარების ყველაზე ეფექტური გზების და მეთოდების გამოსავლენად.

გრაფიკი№6. თვლით თუ არა, რომ პედაგოგი უნდა ჩაერიოს მოსწავლის ოჯახში არსებული ოჯახური ძალადობის აღმოფხვრაში?



ჩვენს რესპონდენტთა 63.6%-ს მიაჩნია, რომ პედაგოგმა მონაწილეობა უნდა მიიღოს და ჩაერიოს მოსწავლის ოჯახში არსებული ძალადობის აღმოფხვრაში. 30.5% -მა არ იცის, თუ რამდენად შედის ეს საკითხი მასწავლებლის კომპეტენციაში, ხოლო 5.9% ამ შეკითხვას უარყოფითად პასუხობს (იხ. გრაფიკი №6)

ოჯახური ძალადობის აღმოსაფხვრელად ყველაზე ქმედით ღონისძიებად პედაგოგთა მხრიდან მიჩნეულია მშობლებთან საუბარი და ბავშვის ფსიქოლოგთან მიმართვა. (იხ. ცხრილი №8, 9).

ჩვენი გამოცდილებით, რეგიონებში პრაქტიკულად არ არსებობს ფსიქოლოგიური სამსახური, ამიტომ, არსე-

ბულ სიტუაციაში ბავშვის მიმართვა ფსიქოლოგთან რეგიონებში ვერ ჩაითვლება სწრაფ და ქმედით ღონისძიებად.

ცხრილი №8 კ.11. რა მექანიზმები არსებობს დღეს სკოლაში, რომ პედაგოგები დაეხმარონ ბავშვს შექმნილი სიტუაციიდან გამოსავლის ძიებაში?

	განაწილება
1. მშობელთან საუბარი	36.2%
2. ფსიქოლოგთან ბავშვის მიმართვა	28.5%
3. პოლიციის ჩართვა	1.7%
4. სამედიცინო პირველადი რგოლის ჩართვა	0.9%
5. სკოლის პედსაბჭოს ჩართვა	4.7%
6. სკოლის დირექტორის ინფორმირება	5.5%
7. სხვა მოსწავლეების მობილიზება, რომ დაეხმარონ მეგობარს	17.0%
8. სხვა	5.5%

ქვემოთ ჩამოთვლილი ინსტიტუციონალური რგოლები, მასწავლებელთა აზრით, უძლურია ოჯახური ძალადობის დროს სერიოზული დახმარების აღმოსაჩენად.

ცხრილი №9 კ.12. მოსწავლის ოჯახში ოჯახური ძალადობის აღმოსაფხვრელად რა მექანიზმი მიგაჩნიათ ყველაზე ეფექტურად?

	განაწილება
1. მშობელთან საუბარი	36.2%
2. ფსიქოლოგთან ბავშვის მიმართვა	31.9%
3. პოლიციის ჩართვა	2.9%
4. სამედიცინო პირველადი რგოლის ჩართვა	1.9%
5. სკოლის პედსაბჭოს ჩართვა	3.3%
6. სკოლის დირექტორის ინფორმირება	4.3%
7. სხვა მოსწავლეების მობილიზება, რომ დაეხმარონ მეგობარს	11.0%
8. სხვა	8.6%

სხვებთან შედარებიათ ეფექტურ ზომად მიჩნეულია ისევ არაფორმალური სტრუქტურა, როგორიცაა მეგობრობის ინსტიტუტი.

დასკვნა

მასწავლებელთა 90.6%-მა აღნიშნა, რომ მათი მოსწავლეების ოჯახებში ადგილი ჰქონდა პირდაპირი თუ ირიბი ოჯახური ძალადობის შემთხვევებს. პედაგოგთა უმეტესობამ (56.4%) კი მიუთითა, რომ ასეთი შემთხვევები არაერთხელ ყოფილა.

ჩვენი აზრით, ეს საკმარისად მაღალი მაჩვენებელია, იმისათვის, რომ ოჯახური ძალადობა უფრო მნიშვნელოვან პრობლემად გამოიკვეთოს და სხვადასხვა

სტრუქტურებმა ეს საკითხი სერიოზული ყურადღების საგნად გაიხადონ.

მასწავლებელთათვის დიდ სირთულეს არ წარმოადგენს იმის დაფიქსირება, რომ მოწაფის ოჯახში რთული ურთიერთობებია.

პედაგოგები აღნიშნავენ, რომ ბავშვის ოჯახში ძალადობის შესახებ ინფორმაციას ძირითადად ბავშვზე დაკვირვებისას იღებენ. ასეთ შემთხვევებში, მთავარი ინდიკატორი ბავშვის ქცევაა. როგორც წესი, ასეთ ბავშვებს თანაკლასელებთან ურთიერთობა ურთულდებათ, ეცემა მათი აკადემიური მოსწრება, ისინი ხშირად ამჟღავნებენ აგრესიულ ქცევას ან ხდებიან გულჩათხრობილნი და სხვა.

ოჯახური ძალადობის დაფიქსირებისას მასწავლებლები არ მიმართავენ დღეს-დღეობით არსებულ ოფიციალურ სტრუქტურებს (პოლიცის, სამედიცინო დაწესებულებას, სკოლის დირექციას და სხვა), რადგან მათგან არავითარ რეალურ ჩარევასა და დახმარებას არ ელიან.

მასწავლებლების ხელთ არ არსებობს ამგვარ შემთხვევებზე რეაგირების განსაზღვრული მექანიზმი, რეალური ინსტრუმენტი, სტრუქტურა, რომელსაც შეიძლება დაეყრდნონ და შესაბამისად იმოქმედონ.

პედაგოგები მოწაფეთა ოჯახებში ძალადობის წინააღმდეგ ჩარევას ისევ არაფორმალური ურთიერთობებით ცდილობენ. ყველაზე ქმედით ზომად მიაჩნიათ საუბარი მშობლებთან, თანაკლასელების, მეგობრების მობილიზება მსხვერპლი ბავშვის დასახმარებლად. ხშირად პედაგოგები ბავშვს ფსიქოლოგთან მიმართავენ, რაც რეგიონებში ვერ ჩაითვლება სწრაფ და ქმედით ღონისძიებად, რადგან რეგიონებში ფსიქოლოგიური სამსახურები პრაქტიკულად არ არსებობს.

რეკომენდაცია

საჭიროა, შემუშავდეს ბავშვის მიმართ ოჯახური ძალადობის შემთხვევებისას მასწავლებელთა რეაგირების განსაზღვრული მექანიზმი, სპეციალური ინსტრუქცია, რომელიც გამაგრებული იქნება საკანონმდებლო ბაზით.

კარგი იქნება, რომ სკოლაში ან მის გარეთ არსებობდეს სპეციალური სოციალური მუშაკის შტატი, რომელიც ოჯახური ძალადობის შემთხვევებისას კვალიფიციურ (ფსიქოლოგიურ, იურიდიულ თუ ადმინისტრაციულ) დახმარებას გაუწევს როგორც ბავშვს და მის მშობლებს, ასევე მასწავლებლებს. (ეს ინსტიტუტი განსაკუთრებით აქტუალურია რეგიონებისთვის).

სასურველია, მასწავლებლებმა გაიარონ სპეციალური საინფორმაციო-მოსამზადებელი მეცადინეობა/ტრეინინგი ოჯახური ძალადობისა და მასზე რეაგირების საკითხებზე.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ სამთავრობო სტრუქტურაში ჩამოყალიბდეს სპეციალური რგოლი, რომლის დაქვემდებარებაშიც შევა ოჯახურ ძალადობასთან დაკავშირებული ყველა ზემოთ აღნიშნული საკითხის მოგვარება.